


ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

20 ივლისი 2007

№15 (41)



ახალბერძნული ნოველა
ნუ იქნებით ეზრა პაუნდი
ლირიკული მე-ს ტრაგედია
შვილებისათვის წასაკითხად
ადამიანებო, იყავით ფრთხილად
ნინო თარხნიშვილის მინიატურები

შინაარსი

რედაქტორის გვირგვინი	2	ორი განაჩენი (ნიკო ბურის სიცოცხლის დაისი)
ექსპრეს-ინტერვიუ	4	„აღამიანებო, იყავით ფრთხილად!“
ღებუბები	7	ლაშა იმედაშვილი პატრიარქის ზაფხული
კოლეგია	20	ცირა ბარბაქაძე ახლა უშენობაც შენი ნაწილია
პირველი შთაბეჭდილება	23	მაია ჯალიაშვილი გამომრეზული ტკივილები
ენისტიკა	24	ჟაკლინ სირაძე ჰამლეტის ნიღაბს ამოფარებული ხელოვანი
ენისტოლო	30	ერეკლე ხატისკაცი ნუ იქნებით ეზრა პაუნდი
წამი და მარადისობა	32	როსტომ ჩხეიძე ყურანის იესო, ყურანის მარიაში
მომგონებათა სქივრი	36	სერგეი მაქსიმოვი პეჩორის თაველი
გამომხატვა	44	საბა სულხანიშვილი ლირიკული მე-ს ტრაგედია
	45	სოსო მახარაშვილი შვილებისათვის აუცილებელ წასაკითხად
რეპორტაჟი	47	თამარ შაიშველაშვილი „პარ უმტყიცესი რვალისა“ (კოტე ხიმშიაშვილის ხსოვნის საღამო)
	49	ნინო დეკანოიძე უთვალავ ფართა ძიებაში... (ვაჟა ხორნაულის პოეზიის საღამო)
თეატრალური სიხალენი	52	ანა ბერძენიშვილი ჩიტი ბრძღვნად ღირდა
კრიტიკა	54	ნინო ვახანია კოპლეზიანი ჭიქის საიდუმლო
ლექსები პროზად	55	ნინო თარხნიშვილი მინიატურები
სპორტი	57	გივი გამრეკელი მსოფლიო ჩემპიონობის პრივატიზაცია?
უხსოვარი ნოველა	58	იორდოს იოანნე ქემალის სახლი
	59	ბექირ ილდიზი ალაჩოყის კანონი
მოზაიკა	63	სკოტ ფიცჯერალდი ჰოლივუდში

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 96-20-62

რეკლამა – (995 77) 48-12-24

გავრცელება – (995 99) 93-18-52

ფაქსი: (995 32) 96-20-62

E-mail: info@mtserloba.ge



დაბეჭდილია საბეჭდო „ომეგა ტეგი“
საბეჭდო, თბილისი, სარაქიშვილის 17
ატელფონი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე პოეზიის რედაქტორი – გიორგი ლობჯანიძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

დიზაინერი – მალხაზ იაშვილი მხატვრული რედაქტორი – კარლო ფარულია

კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – მაკა ჯაფარიძე

გავრცელების სამსახური – ლევან ბინაძე

გარეკანზე: აფრიკული პეიზაჟი

უილიამ შექსპირი, ჩინდოს ოჯახის კუთვნილი პორტრეტი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 3 აგვისტოს

ორი განაჩენი

*

ნიკო ბურის სიცოცხლის დანისი

ნიკო ბაგრატიონი, ვისთვისაც ბური შეერქმიათ და ამ სახელით უფრო იცნობდნენ, ვიდრე თავისი სამეფო ჩამომავლობით, ქართული ენციკლოპედიის ფურცლებზეც მოხვდებოდა და მისი უაღრესად მღელვარე, სათავგადასავლო რომანისათვის შესაფერისი ბიოგრაფია ამ თარიღებს შორის ჩაეტეოდა: 1868-1933.

უბრალოდ აღინიშნებოდა: გარდაიცვალაო.

ეს ის ხანაა, როდესაც რეპრესირებულ მოღვაწეთა აღსასრულიც გარდაცვალებად მოიხსენიებოდა და არა დახვრეტად, რაც საგულდაგულოდ იფარებოდა.

ტრაგიზმი პირნინიდან უნდა გადაშლილიყო – ასე მოითხოვდა საბჭოთა წესი.

ნიკო ბურს ისეთი გვარიშვილობა და ბიოგრაფია ჰქონდა, თითქოს მშვიდად არ უნდა გასცლოდა წუთისოფელს ამგვარ ეპოქაში, მაგრამ დიდი ტერორის ყამი ჯერ დგებოდა და იქნებ ამანაც უშველა მის უწყინრად მიცვალებას – 33-ში, თუ შემჩნეული არ იქნებოდა ანტისაბჭოთა ლაპარაკში, „ფრანგული“ წარსულისათვის არ დაატუსაღებდნენ.

ამიტომაც ენციკლოპედიის ცნობა ამ შემთხვევაში იქნებ უსუსტადაც გვაუწყებდეს რეალობას და ნიკო ბურის გარდაცვალება ტრაგიზმს სრულიადაც არა გულისხმობდეს.

მისი სახელი რომ არც აკრძალულიყო, უთუოდ იმის ნყალობით, რომ ხელისუფლება სათავისოდ გამოიყენებდა მის მემუარულ თხზულებას „ბერებთან“, მხატვრულ-დოკუმენტური პროზის ჩინებულ ნიმუშს და თავისებურად უნიკალურს.

სამხრეთ აფრიკის ჯუნგლებში ტრანსვაალის რესპუბლიკა თუ დაეარსებინა ბურების მოდგმას, იქნებ არც არასოდეს შეეცყოთ საქართველოში, იქ აღმასების საბადოები რომ არ აღმოჩენილიყო და ბრიტანეთის იმპერიას მისი დასაკუთრება არ მოენდომებინა 1899 წელს. აღმასთა დასაკუთრებას ჯერ, ცხადია, ტრანსვაალის რესპუბლიკის დაპყრობა სჭირდებოდა და ბრიტანეთი განზრახვას თავისი ნებით არ გადაუხვევდა, ბურები თავგანწირვის უნარს თუ არ გამოიჩინდნენ და თავისუფლების დასანარჩუნებლად იარაღით არ შეებმოდნენ მრავალრიცხოვანსა და სამხედრო ძალით დიდად აღმატებულ მტერს.

მსოფლიოში გახმაურდებოდა ამ ბრძოლის ამბები და ქართული გაზეთებიც გულუხვად მოამარაგებდნენ მკითხველს ახალ-ახალი ცნობებით.

საუკუნის გასაყარზე ვითომ გვაკლდა შინაური მღელვარებანი და წინააღმდეგობანი, ბურების ამბებიც რომ არ მიმატებოდა?.. მაგრამ რედაქტორებისათვის ეს არ გახლდათ შორეული ქვეყნის ყოფის თავსმოხვევა ქართველი მკითხველისათვის, ტრანსვაალის ხვედრში საქართველოს ბედისწერასაც ჭყრეტდნენ და ბურების თავგანწირვის მაგალითებით ქართველთა სულიერი მხნეობის განმტკიცებას ესწრაფოდნენ.

ის დაუმცხრალი ინტერესი, რასაც მსოფლიო პრესა იჩენდა ტრანსვაალის რესპუბლიკის ბედისადმი ძალაუნებურად ამოტივტივებდა ნიკო ბაგრატიონის სახელსაც სხვადასხვა ქვეყნების გაზეთთა ფურცლებზე. ხშირად ახსენებდნენ კაცს, ვინც მოხალისედ შემატებოდა ბურებს და სიცოცხლეს სდებდა მათი თავისუფლების შესანარჩუნებლად. ეს მოვლენა არ ყოფილა მოკლებული სენსაციურობას და ჟურნალისტები ხელიდან როგორ გაუშვებდნენ!

პარტიზანული ბრძოლებისას ყოველთვის ბენზე რომ ეკიდა მისი არსებობა, ეს თავისთავად, და თურმე ისიც უნდა გამოეცადა, რას ნიშნავდა დასახვრეტად გაყვანა და შემართული ლულის წინაშე დგომა.

ინგლისელები ტყვედ ჩაგდებულ ბურებსა და მათი თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველ კაცს სიკვდილს გადაუწყვეტდნენ და... რაღას შეიძლება ესნა მისი სიცოცხლე, თუ არა სასწაულს, სასწაული კი დედის სახედ გასიმბოლოვდებოდა.

გამაოგნებელია ნიკო ბაგრატიონის სიმშვიდე დახვრეტის წინ, სამეფო ჩამომავლობისა რომ არის და ჰეროიკული ბუნების, ამ სურათში ისე ცხადად და ხელშესახებად იკვეთება – ტყვია სადაცაა გავარდება, მას კი დედის ფოტოსურათი ამოულია, დასცქერის და ემშვიდობება.

ფოტოზე გამოსახული ქალის უცნაურმა ჩაცმულობამ ბრიტანელთა ყურადღება უნდა მიიქციოს და მიხვდნენ, ეს მსჯავრდებული სხვა ქვეყნის შვილი უნდა იყოსო. დასახვრეტთა რიგიდან გამოიყვანენ და მისი ვინაობის დაზუსტებას შეეცდებიან. და როდესაც აღმოჩნდება, რომ თურმე ეს მებრძოლი სამეფო საგვარეულოს წევრია, დახვრეტას გადაიფიქრებენ და წმინდა ელენეს კუნძულზე მიუსჯიან გადასახლებას.

ნიკო ბაგრატიონს საამაყოდ დარჩებოდა, უნებურად ნაპოლეონ ბონაპარტეს ბედის თანაზიარი რომ გახდა!..

თავიდან მოგზაურობის ყინს აეყოლიებინა, ჯერ პეტერბურგი ეძახდა, მერე პარიზი, მერე ალექსანდრია, მერე სამხრეთ აფრიკის ჯუნგლებშიც შერგავდა თავს, მაგრამ მიკლუხო-მაკლაის ხვედრს კი არ გაიმეორებდა, არამედ იმ ქართველ მეომართა, საუკუნეების მანძილზე სხვათა ომებით რომ ღვრიდნენ საქართველოსათვის დასაღვრელ სისხლს. ეგაა – იმათ იძულება მიერეკებოდა სხვათა მინა-წყალზე, ამას – გულისთქმა და პირადი წადილი.

რკალის ერთი ნაწილი იკვროდა, პარიზიდან გამგზავრებული კვლავ პარიზს დაუბრუნდებოდა წმინდა ელენეს კუნძულიდან და სული უსწრებდა, მელირსება თუ არა კვლავ საქართველოს ხილვად.

ეს დროც მოაწევდა.

რაღაც განსაკუთრებული თავგადასავალი აქ აღარ გადახდენია, ბიოგრაფია არსებითად იქ დაასრულა, ბურების მხარდამხარ, და შემდგომში ისევ გახსენებებითა და ხილვებით ცხოვრობდა.

მწერლური უნარი უფლებას არ მისცემდა, მხოლოდ თავისთვის შეენახა ან მარტოდენ საუბრებისას ეფანტა და ეხარჯა ეს მოგონებანი, და იმ მრავალმხრივ ფასეულ ჩანაწერებსაც მაშინ მოუყრიდა თავს, ერთ თვალსაჩინო მხატვრულ-დოკუმენტურ ქმნილებად რომ შემორჩებოდა ჩვენს მწერლობას.

ბედისწერას ისე მოეტანა, რომ რუსული ენა უფრო ემარჯვებოდა, ვიდრე მშობლიური, და ამიტომაც მოექცეოდა რუსულ ენობრივ სამოსელში არამარტო ბურებთან ერთად ბრძოლის ამბები, არამედ მუხრანის ბაგრატიონთა ყოფის სურათებიც, ბელეტრისტის კალმით გამოკვეთილი ზოგადი რეალობაც და ისტორიულ პერსონაჟთა გალერეაც, ყველაზე კანთიელად კი მაინც პლატონ იოსელიანის სახება, ბიძად რომ ერგებოდა მემუარისტს და ამიტომაც შემოინახავდა ისეთ დეტალებს, რაც უიმისოდ სამუდამოდ დაგვეკარგებოდა.

თუნდაც ის რად ღირს, დიდი მთავარი რომ წამოადგებოდა თავს წერაში გაართულ პლატონს და რამდენჯერმე დაუძახებდა, ის ხმასაც არ გასცემდა და წერას განაგრძობდა. დიდი მთავარი მოებოდიშებოდა: სულ დამავინწყდა, რომ, როდესაც ფილოსოფოსი წერს, ხელი არ უნდა შეუშალო, – რის პასუხადაც იგი თავაზიან საყვედურს არ ააცდენდა: სრული სიმართლეა, თქვენო აღმატებულებავო.

მიხაილ ვორონცოვის მზაკვრული პოლიტიკის არსიც ზუსტად გაიხსნებოდა მოგონებათა ფურცლებზე, მოქნილად რომ წარმართავდა ქართველობის გარუსების ჩანაფიქრს და... ახლა „პრიკახსაც“ შემოიღებდა, სადაც მემამულეებს შეეძლოთ დაეგრავებინათ საკუთარი მიწები ვითომდა მათივე სასარგებლოდ, სინამდვილეში კი...

ადრე ნიკოლოზ ბარათაშვილსაც ჰყვარებია იქ სტუმრობა, შემდგომ ილია ჭავჭავაძე, დუშეთში მოსამართლედ ყოფნისას, ხშირად ააკითხავდა ამ ოჯახს და, ჩვილ ნიკოს რომ მონათლავდნენ ფრონტიდან მამის დროებითი ჩამოსვლისას, თავისი ორატორული უნარი ჩაუქსოვია გიორგი ბაგრატიონისადმი მიმართულ რჩევაში, შვილები უთუოდ ქართულ წესზე უნდა აღზარდო.

„ბურებთან“ ქართულ ენობრივ გარსში გადმოსვლაც ეღირსებოდა რაჟდენ გვეტაძის წყალობით, და 1951 წელს რომ გამოიცემოდა, წინასიტყვაობას გიორგი ნატროშვილი ამ სიტყვებით დაიწყო: ოცი-ოცდახუთი წლის წინათ თბილისის ქუჩებში ხშირად შეხვდებოდით არაჩვეულებრივი სიმაღლის ახოვან ვაჟკაცს, რომელსაც ძველებური ქართული ჩოხა-ახალუხი ეცვაო.

როგორ პატიობდნენ ასე გამოსვლას ქალაქის ქუჩებში?

ან ახლა რა რჯიდათ, ამ მრწამსის პიროვნების, თანაც უკვე მივიწყებულის, წიგნი რეალობად ექციათ?

ანტიბრიტანული განწყობილება მოხიბლავდა აქაურ ხელისუფლებას ამ მოგონებებში, მართალია სულ სხვა

მოტივით გამჟღავნებული, მაგრამ მისთვის ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა, და ამიტომაც შეეცდებოდა მიესადაგებინა საბჭოთა პროპაგანდისტული მიზნებისათვის ინგლისის წინააღმდეგ, ამ ქვეყნის „პირსისხლიანი მტაცებლობის“ დასადასტურებლად, ნილაბს ნიკო ბაგრატიონი რომ ჰგლეჯდათ.

უკან დარჩენილიყო ინგლისისა და საბჭოთა იმპერიის მოკავშირეობა ჰიტლერული სამხედრო ექსპანსიის აღსაკვეთად და კვლავ დაძაბულნი წარმდგარიყვნენ ერთმანეთის პირისპირ...

ხელისუფლება არ დაგიდევდა ამ მემუარების მხატვრულ-დოკუმენტურ შთამბეჭდაობას და არ განარჩევდა ამ გამოცემას ნაცად საბჭოთა ჟურნალისტ-პუბლიცისტთა მრავალრიცხოვან მცდელობათაგან, მაგრამ ჩვენი მკითხველისათვის კი სახიერო აღმონღებოდა „ბურების“ გამოჩენა, უამრავ საგულისხმო ცნობასთან ერთად თავისუფლების წყურვილს კიდევ ერთხელ და ძალუმიად რომ შეახსენებდათ ბაგრატიონთა საგვარეულოს შთამომავალი, უშუალოდ კი მეფე-პოეტის – არჩილის – შტოსი, იმ არჩილისა, ვისი ნაქონი თოფიც რელიკვიად ინახებოდა მუხრანელ ბაგრატიონთა ოჯახში.

ეს რომ ეგროპელი მეომრის მოგონებანი იყოს, ათას ქებას შეასხამდნენ კრიტიკოსებიც და ისტორიკოსებიც და არც მკითხველთა წრეებში მოაკლდებოდა პოპულარობა გა-

მოჩენის წუთიდანვე, რადგანაც იქ ძალიან ფასობს დოკუმენტური პროზა, სწორედ ამ რანგისა და პირუთვნელობის, ნიკო ბურის ხელითაც რომ გამოქანდაკებულა.

ჩვენში მიინავლებოდა ეს წიგნიც და ეს სახელიც.

მოგვიანებით ნიკო ბაგრატიონის ხსოვნა გამოკრთებოდა რევაზ თაბუკაშვილის მხატვრულ-დოკუმენტურ ფილმთა გახმაურებულ სერიალშიც, წიგნის გამოცემაც განმეორდებოდა, მაგრამ შესაფერისი დაფასების ჟამი ჯერ მაინც ვერ მოანვედა.

თითქოს მშვიდად არ უნდა გასცლოდა წუთისოფელსო...

თურმე არც გასცლია.

და არანაკლებ მტანჯველი ყოფით, ვიდრე ციხის საკანონი თუ საკონცენტრაციო ბანაკია.

შიმშილით ამოხდებოდა სული ბაგრატიონთა შთამომავალს.

ესეც ნიშანდობლივია და ეპოქისა და პოლიტიკური გარემოს თავისებური სიმბოლოც.

რომ ვერ ვიჯერებდით და გული გვიგრძნობდა, თავისი დლით ვერ მიიცვლებოდაო, თურმე აუცილებელი არა ყოფილა დიდი ტერორის შუაგულში მოხვედრა, ტრაგიკული აღსასრული რომ სწევოდა.

მაშინ დახვრეტის განაჩენს გადაურჩებოდა.

ახლა შიმშილით სულის ამოხდის განაჩენს – ვერა.



ნიკო ბაგრატიონი (ბური)

და ამგვარი სიკვდილი სულ სხვა თვალთ ნარმოგვი-სახავს ნიკო ბურის სიცოცხლის უკანასკნელ ჟამსა და ბედისწერას.

ამ ტრაგიზმს ფარავდა და აყალიბებდა უწყინარი განსაზღვრება: გარდაიცვალა.

ამიერიდან მაინც ნულა გაგრძელება საბჭოთა ინერცია და ყოველთვის ზუსტად აღინიშნოს თვით მოკლე ცნობარებშიც გარდაცვალების ნამდვილი მიზეზი – ნურც შეგნებულად დაიმალება და ნურც დაუდევრობისა თუ გულგრილობის გამო ჩაიკარგება ზოგადობაში.

ზუსტი მითითება როგორ ერთბაშად გადაგვიხსნის ეპოქის სულსაც და პიროვნების სიცოცხლის მიმწუხრსაც, ხან მთელი ცხოვრების სულისკვეთებასაც.

დაე ნიკო ბაგრატიონის, ნიკო ბურად წოდებულის, ეს სახელდახელო გახსენება გამოდგეს თავისებურ მონოდე-ბად, ბიოგრაფიის მთავარი რეალიები, მეტყველი დეტა-ლები არა რჩებოდეს ყურადღების მიღმა, თორემ ისე ემ-გვანება ერთმანეთს სრულიად სხვადასხვა ადამიანისა თუ მოღვაწის ბიოგრაფიული ქარგა, ერთი კაცის ცხოვ-რების გაუთავებელი განმეორება გგონია.

ისე უფრო კანთიელი სიმბოლო რაღა გინდა – ბაგრა-ტიონთა შთამომავალი და თვითონაც სულდიდი პიროვნე-ბა, შიმშილით აღესრულება... და ჩოხა-ახალუხს კი არა და არ იცილებს.

ჩოხა მოჩანდა, შიმშილი – არა, მხოლოდ ათასწლეულ-თა შემდგომ რომ ამოტეხდა თავს საგულდაგულოდ მო-სარკულ ზედაპირს.

ექსპრეს-ინტერვიუ

„ადამიანებო, იყავით ფრთხილად!“

*

საუბარი დოდონა კიზირიასთან

მას იცნობენ ოკეანის გაღმაც და გამოღმაც. ამერიკაში ის ინდიანის უნივერსიტეტში მოღ-ვანეობს.

აქ სამშობლოში კი ყოველწლიურად ჩამოდის და საინტერესო ლექციებით გვანებივრებს.

თავისი ლექციების აპოკალიფსური განწყობი-ლებები თურმე საქართველოდან მიაქვს, ამბობს, რომ ყველაზე მეტად გლობალიზაცია აშინებს და სურს ქართველი საზოგადოება გამოფხიზლდეს, რათა თავიდან აირიდოს ეს საფრთხე.

ამ გაზაფხულზე ქალბატონი დოდონა კიზი-რია სამშობლოში სწორედ გლობალიზაციისადმი მიძღვნილ მეორე საერთაშორისო კონფერენცია-ზე ჩამოვიდა და საინტერესო მოხსენებაც წაი-კითხა.

ჩვენი საუბარიც მასთან სწორედ ამ საკითხე-ბით დაიწყო და ბევრ საინტერესო თემასაც გადაწ-ვდა.

– გლობალიზაციის წინააღმდეგ შეტევა ისეთივე რთული რამაა, როგორც იერიში „ეფ მეხუთე ხარისხის ტორნადოზე,“ – ამბობს ქალბატონი დოდონა, – ის ისეთი სიძლიერით მოდის, რომ მისი შეჩერება ძალზე რთული, წარმოუდგენელიც კი მეჩვენება, თუმცა გარკვეულ კალა-პოტში მოქცევა, მიმართულების მიცემა, ვფიქრობ, ჯერ კიდევ შესაძლებელია. ჩემი მოხსენების მთავარი არსიც გლობალიზაციის ნეგატიური მხარეების წამოწევა იყო,

თორემ, ცხადია, ამ პროცესებმა, თავისთავად, დადები-თიც ბევრი მოიტანა.

– გლობალიზაციისადმი თქვენი დამოკიდებულების მიმართ გამოსხაურება კონფერენციაზე, ალბათ, არა-ერთგვაროვანი იყო.

– კი, ასეა. იყვნენ დამცველებიც და მონინააღმდეგე-ნიც. ისე, ჩემდა გასაკვირად, ჩემ მერე გამოსულმა რამდე-ნიმე მომხსენებელმა დამიმონმა კიდევც. კარგი იქნება თუ ეს საკითხები მხოლოდ სპეციალისტების კი არა, ფართო საზოგადოების მსჯელობის საგნად გადაიქცევა.

– გლობალიზაციასთან ბრძოლის ასპარეზად თქვენ ყველაზე მეტად გლობალისტური ქვეყანა აირჩიეთ. მგონი ეს გარკვეულწილად რისკიანი ნაბიჯი უნდა იყოს...

– მოდით დავაზუსტებ – მე კი არ ვებრძვი გლობალი-ზაციას, ეს შეუძლებელია, უბრალოდ, განგამის საყვირი მიჭირავს და ვყვირი: ადამიანებო, იყავით ფრთხილად!..

მინდა ვითხრათ, საინტერესო რამ მკითხეთ. იცით, თვითონ ამერიკაშიც კი ახლა სულ უფრო და უფრო ხში-რად გაისმის ხმები იმის შესახებ, თუ რა ზიანი შეიძლება მოუტანოს გლობალიზაციამ ამერიკას, ამ უზარმაზარ, მსოფლიოში ჯერ კიდევ დომინანტ ქვეყანას, თუმცა მისი ძალაუფლება მწვერვალისადაც თანდათან დაღმასვლით იღებს გეზს და მალე თანამედროვე მსოფლიოში სხვა ქვეყნები უფრო მომგებიან პოზიციაზე აღმოჩნდებიან. დღევანდელ ამერიკაში კი ძალიან ბევრი შემფოთებულია იმით, თუ რა მოაქვს ამ უკონტროლო, ქაოტურად მიმდი-ნაურ გლობალურ პროცესებს. ისინი ამბობენ, რომ ამერი-კულ კულტურას და ენას (თუკი ასეთი რამ არსებობს) საფრთხე ემუქრება და ამ საკითხზე ლაპარაკობენ 301 მი-ლიონიან ქვეყანაში. წარმოიდგინეთ, რამოდენა საშიშრო-ების წინაშე დგანან პატარა ქვეყნები. დღეს ბევრი ხმა-მალლა და გადაჭრით საუბრობს იმაზე, რომ პატარა ერე-ბი, ადრე თუ გვიან, გაქრებიან. იცით, პროცესები ისე შე-უქცევადად მიემართება, გამორიცხული არაფერია, თუმ-ცა ვიდრე ცოცხალი ვარ და ამას ვხედავ, ჩემთვის ეს ტრა-გედიაა და ვერ გავუჩუმდები.

– ქვეყანას, რომელსაც ჰყავს ჰემინგუეი, ფოლკნე-რი, მარკ ტვენის, ჯეკ ლონდონი... ბუნებრივია, რომ

ჰქონდეს პრეტენზია საკუთარ კულტურაზეც, მაგრამ რას მიიჩნევთ მის გამორჩეულობად? ამერიკული კულტურის სახედ?

– თვითონ ამ კულტურის მრავალფეროვნება არის მიხედვით ღირსება. სხვადასხვა კულტურის შერწყმამ მას ახალი თვისობრიობა შესძინა და ეს ხასიათი თვალნათლივაც არის. მაგალითად, ევროპაში მაშინვე განარჩევენ და გეტყვიან, რომ ეს კაცი ამერიკელია, ან ოკეანისგალმა სამყაროს ხელოვნების ნიმუშთან გვაქვს საქმე. დღეს, როცა გლობალიზაციის საფრთხეზე ვსაუბრობთ, ბევრი პატარა ერი სწორედ ამერიკანიზაციის საშუალებას გულისხმობს. ასე რომ, ამერიკული კულტურის უარყოფა სწორი არ იქნება, მაგრამ ის, რომ ამ ქვეყანას, ამ ერს, ამ კულტურას მოკლე ისტორია, პატარა მემკვიდრეობა აქვს, ეს უდავოა.

– თქვენი პოეტური კრებულის შესახებ მინდა გკითხოთ: ამ ლექსებში საოცრად აპოკალიფსური განწყობილებებია, ზოგიერთი თითქოს წინასწარმეტყველებასავითაც კი ახდა... ასეთი მძაფრი ემოციები გლობალიზმის საფრთხეს უკავშირდება?

– გულწრფელად გეუბნებით მაღლობას. ზოგიერთი ჩემი ლექსი მართლაც ამ განწყობილებებიდან მოდის. მაგალითად, „სამოქალაქო ომი“, „ბაბილონი“ – ეს ლექსი ათი-თხუთმეტი წლის წინათ გაჩნდა. არ ვამბობ იმას, რომ პირველი ვიყავი, ვინც ამ საკითხებზე წერა დაიწყო, ისე კი ბევრი სხვა ლექსი საქართველოში ყოფნისას შექმნილი შთაბეჭდილებებით დაიბადა. 1987 წლიდან წელიწადში ორ-სამჯერ ჩამოვდიოდი სამშობლოში და რაღაც ბედად (არ ვიცი რა ალლო, რომელი ინტუიცია მენოდა მაინცდამაინც იმ დროს სამშობლოში) ყოველთვის კატაკლიზმების მომსწრე ვხდებოდი. ისეთი გრძნობა მქონდა, რომ მოწმე ვიყავი, როგორ იღუპებოდა ჩემი ქვეყანა ჩემ თვალწინ. მერე, ვარდების რევოლუციისას, ქართველი ხალხის ერთიანობას რომ ვუყურებდი, ვფიქრობდი სადმე გადამეყარა ეს ლექსები, მრცხვენოდა თითქოს, თუმცა დღესდღეობით, მსოფლიო მასშტაბით რომ ვუყურებ აქ მიმდინარე პროცესებს, საქართველოში მომხდარი ამბები ჩემთვის პლანეტარულ მოვლენებში გადაიზარდა და... ისევ წამომეძალა პესიმისმიზმი, ისევ დაებრუნდი ლექსთან... ჩემი სტრიქონების წაკითხვა ალბათ ძალიან ძნელია, რადგან სულ უიმედობაა, სიკვდილი, ნგრევა... ერთი სხივი არ კიაფობს...

– ასეთი სასწრაფო კვების საფუძველი არსებობს? მართლა ასე ცუდად არის საქმე ჩვენს ირგვლივ? იქნებ ეს უფრო პირადი განწყობილებებია, ან სულაც პოეტური მისტიფიკაცია თუ პოეზიასთან კეკლუცი?

– იცით, მე არ ვარ ის პოეტი, ვისაც შეუძლია თავს უფლება მისცეს (ან საერთოდ ყოფნიდეს საამისოდ ნიჭი) რითმასთან კეკლუცისა. საერთოდაც ვთვლი, რომ პოეტი



დოდონა კიზირია

ნამდვილად არ ვარ, თუმცა ვფიქრობ, რომ რამდენიმე ჩემი ლექსი მართლაც კარგია. როცა ადამიანი პოეტად იბადება, ყველანაირი განწყობილების დროს პოეტია და სურს თავისი ფიქრები და ემოციები რითმებად ამოაფრქვიოს, მე კი ლექსი მენერება მხოლოდ მაშინ, როცა ემოციურად უკიდურესად დაძაბული ვარ. განწყობილებათა მინავლების შემდეგ რითმებიც სადღაც ქრება... თუმცა ისიც მინდა გითხრათ, რომ პირადულიც ძალზე მნიშვნელოვანია – მე დაბადებიდან ბუნებით პესიმისტი ვარ, ბავშვობიდან ვფიქრობ სიკვდილზე, ყველაფერში უფრო ცუდს, ტრაგიკულს, სევდიანს და ტკივილიანს ვხედავ და ყოველთვის მიხარია, როცა ოპტიმისტები დამიმტკიცებენ ხოლმე, რომ ვცდები. ალბათ ამიტომაც, რომ ახლაც გამოსავალს ვერ ვხედავ. პუშკინის მოთხრობისა არ იყოს, კაცობრიობა დღეს მესახება ქეიფსა და ნადიმში მაშინ, როცა ირგვლივ „შავი ჭირი“ მიძინვარებს...

– ბავშვობიდან პესიმისტი ვარო, – თქვით... ეგზოპერი ამბობს: ყველანი ბავშვობიდან მოვდივართო... ასეთ პესიმისმს რაიმე მიზეზი აქვს?

– კი, ასეა. ჩემს ცხოვრებაში არსებობს ბავშვობის ტრავმა. ექვსი წლის ვიყავი, როცა მამა გარდაიცვალა და მე მის უკანასკნელ წუთებს შევესწარი. იცით, მე დავინახე, როგორ განეშორა მისი სული სხეულს და მარადისობას შეუერთდა. ამან იმდენად შემაძრწუნა, რომ სიცხემ ამიწია. სასწრაფოდ წამიყვანეს სახლიდან, მამის დაკრძალვას არ დავსწრებივარ, თუმცა რამდენიმე თვის შემდეგ შემთხვევით მეზობლის დასაფლავებას ვუყურე. საშინელმა გრძნობამ შემიპყრო. კარგა ხანს სიზმრებშიც სიკვდილს ვხედავდი. ერთი ასეთი სიზმარი, რომელიც კადრივით ჩამრჩა მემკვიდრეობაში, დიდი ხნის წინათ ჩემს ორ მეგობარს ვუამბე და ერთ-ერთმა პოეტმა ალექსანდრე ციხულევსკიმ ამაზე ლექსიც დაწერა... ასე მგონია, სიკვდილი ჩემი თემაა. ჩანს, ამ მოვლენის წინაშე შეძრწუნება ვერა და ვერ გადამიხარშია...

– იცით, სიკვდილის თემა არის ედგარ პოსთან, ბოდლერთან, გალაკტიონთან, გრანელთან, მოცარტთან, ბეთჰოვენთან... მაგრამ არსად არის ისეთი მძაფრი, როგორც ამას თქვენ აღიქვამთ...

– მართალი გითხრათ, მე არავის ვედრები და არც ამოდენა ამბიციები მაქვს. სიკვდილის თემა ხელოვნებაში ახალი არ არის. პირადად მე ძალიან მინდა და ვგეგმავ კიდევ ჩემი ლექსების კრებულის გამოცემას აქ, საქართველოშიც. ამ წიგნს აუცილებლად წავუძღვარებ წინასიტყვაობას, სადაც შევეცდები პასუხი გავცე თქვენს კითხვას და ავხსნა, რატომ არის ჩემი ლექსები ასეთი შავბნელი...

– ახალ კრებულს ამზადებთ?

– არა, იმდენი ახალი ლექსი არ დამინერია, ცალკე კრებულად რომ შეგვკრა, თუმცა რამდენიმე მაქვს. სხვათა შორის, ერთ-ერთი – „მომავალი“ – თქვენმა ჟურნალმა გამოაქვეყნა გამომხაურებითურთ. მე კი ამის შესახებ ამერიკიდან შევიტყვე. მეგობარმა დამირეკა და მითხრა: შენი ბოლო ლექსი „ჩვენს მწერლობაში“ დაიბეჭდა და საინტერესო გამომხაურებაც ახლავსო. ტელეფონით წამიკითხა. ძალიან გამიხარდა. ვთქვი კიდევ: ასე კეთილად ჩემზე არავის დაუნერია-მეთქი. საერთოდ, რაკი თავს პოეტად არ ვთვლი, ვერ გეტყვით, რომ დიდად ვესწრაფი ჩემი სტრიქონების პუბლიკაციას, თუმცა გულწრფელად გავიმხელთ, რომ ყოველთვის მაქვს სურვილი, ჩემი ლექსები სხვასაც გაეუზიარო და შესაბამისად, ასეთი ფაქტებიც ძალიან მახარებს.

– თქვენი მოხსენებებიც ყოველთვის გამორჩეულია. აი, თუნდაც „ოთარანთ ქვრივის“ შესახებ, რომელსაც არაერთგვაროვანი გამომხაურება მოჰყვა...

– სხვათა შორის, ახლახან დამიკავშირდნენ ლიტერატურის ინსტიტუტიდან ილიას იუბილეს გამო. სტატიების კრებულის გამოცემას გეგმავენ და ჩემი ეს მოხსენებაც მთხოვეს. თუ მოვასწარი, მინდა, რომ ჩამოვაჭრა პოლიტიკური მხარე და პირწმინდად ლიტერატურული ასპექტები დავტოვო. მთავარი აზრი ამ მოხსენებისა ის იყო, რომ თუკი გავანალიზებთ ოთარანთ ქვრივის სახეს, რომელიც, ფაქტობრივად, იდეალად საბჭოთა კავშირის პერიოდში იქცა, ვნახავთ, რომ ეს არის გამამაკაცებელი ქალი, ოღონდ საინტერესოა ის, რომ მისი ქალური ვნებები, ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად, მაინც გამოვლენილია. მე მას კასტრიებული ქალი ვუნოდე (გვულისხმობდი ქალურობის კასტრაციას). ჩანს, იმ დროს საზოგადოება არ იყო მზად ქალის დამოუკიდებლობის მისაღებად, თუკი მამაკაცის ფუნქციებთან ერთად მის ზოგიერთ თვისებებსაც არ შეითავსებდა და არ გახდებოდა დედაკაცი, თუმცა მიუხედავად მისი პიროვნული სიძლიერისა, ის მაინც მამაკაცის კუთვნილებად – ოთარანთ ქვრივად მოიხსენიება. საკუთარი სახელი მას ნაწარმოებში არ აქვს. აი, ასეთი წინააღმდეგობებია, რომელიც თავისთავად არსებულ ფასეულობებთან დაპირისპირებიდან მომდინარეობს.

საერთოდ, როცა გარდამავალი პერიოდია, ლითონი დნება და ჯერ არანაირი ფორმა არ გამოკვეთილა, აქამდე არსებული მოდელები განსხვავებულ კონტექსტში შეიძლება გაიზაროს – ერთი მხრივ, ძველის დაცვით, მეორე მხრივ, მისთვის ახალი მნიშვნელობის მინიჭებით. აი, ასე გაიხლიჩა ოთარანთ ქვრივიც...

– არსებული ფასეულობები ახსენეთ და მსოფლიო კულტურის სფეროში მიმდინარე პროცესებზეც მინდა გკითხოთ: რა ტენდენციები შეინიშნება იქით – ოკეანის გაღმა და აქეთ ოკეანის გამოღმაც.

– ასეთი ლექსი მაქვს: „ჰორიზონტები“, სადაც ვწერ, რომ მსოფლიომ დაკარგა ჰორიზონტები, რაც უწინარესად კულტურის სფეროში აისახება. საზღვრების მოშლის გამო ერთმანეთს ერწყმის კულტურები და ძლიერი იმარჯვებს. ასეთი ეკლექტიკა ყველაფერში ჩანს – ქცევაშიც, ხელოვნებაშიც, საზოგადოებრივ ყოფაშიც... ეს პროცესები საქართველოშიც შესამჩნევია, თუმცა მე მაინც შორიდან ვუყურებ ამ ყველაფერს და შესაძლოა ბევრ რამეს

ვერ ვხედავ, რალაც არ მესმის, ვერ აღვიქვამ... შორს ყოფნაში მხოლოდ სივრცეს არ ვგულისხმობ. იცით, მე სტრიქონულადაც შორს ვარ და დიაქრონულადაც – მე ხომ იმ თაობას ვეკუთვნი, გასული საუკუნის 40-50-იან წლებში რომ ყალიბდებოდა, ამიტომ ჩემი ასეთი დისტანციაც თანამედროვე მოვლენებთან შესაძლოა იყოს მიზეზი იმისა, რომ ბევრი რამ დღევანდელია არ მესმის.

– ასეთ ქაოტურ ყოფაში ხვალინდელი დღის დაგეგმვას თუ ახერხებთ?

– სამწუხაროდ, დღესდღეობით საქართველოში ჩამოვდივარ როგორც სტუმარი. მე აქ არ მაქვს ჭერი, რომელსაც საკუთარს დავარქმევ, არც რაიმე საქმიანობაში ვარ ჩართული, ამიტომ სამშობლოში ყოფნისას ერთადერთი, რაც შემიძლია დაგვეგმო, ეს არის დრო.

საერთოდ კი რამდენიმე პროექტი მაქვს ჩაფიქრებული: კრებულის გამოცემის შესახებ უკვე გითხარით, ამასთანავე მინდა თავი მოვუყარო ჩემს სტატიებს და კიდევ დავწერო მოგონებები (ძალიან ამბიციურად ხომ არ უღერს ეს სიტყვა?), რომელსაც ჩემს სტუდენტებს მივუძღვნი. როცა მათ ლექციებს ვუკითხავდი, რამდენიმე მათგანი შემეხმინა, თავისი კეთილგანწყობა გამოხატა, ერთმა ისიც მითხრა: თუკი ოდესმე მეშუარებს დაწერთ, მზად ვარ ნებისმიერი სახის ტექნიკური სამუშაო შევასრულო.

– ჩანს, პედაგოგიკის საიდუმლოებებისაც კარგად გესმით...

– რამდენჯერმე წარმადგინეს ჯილდოზე. ამ პროცესის დროს ლექტორმა საბუთებში მოკლედ უნდა მიუთითოს თავისი პედაგოგიური მრწამსის შესახებ. მე აკაკის „გამზრდელიდან“ ჰაჯი-უსუპის უკანასკნელი სიტყვები დავწერე. საოცარი გამომხაურება მოჰყვა ამ სტრიქონებს...

– ჩვენი საუბრის დასასრულს ძალიან მინდა ოპტიმისტური განწყობილება შემოგაშველოთ: საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არაერთხელ ჰქონია კრიზისის პერიოდი, თუმცა ჩვენს ერს საკუთარ წიაღშივე მოუკრებია ძალა, ყველაფერი დაუძლევია და მაშინ, როცა უზარმაზარი იმპერიები იშლებოდნენ, დიდი ცივილიზაციები ქრებოდნენ, საქართველო ახერხებდა ათასწლეულები ჩაენერა თავის მატთანში და დღემდე მოეწია თავისი ენით, მამულით, სარწმუნოებით... ამიტომ მჯერა, რომ ამ სიძნელეებსაც გადავლახავთ და არც მსოფლიო დინებებში ავითქვიფებით...

– ღმერთმა ქნას... მაგრამ იმ კრიზისების დროს საქართველოს ყოველთვის ჰქონდა ამოსუნთქვის პერიოდი, როცა ახერხებდა ძალების მოკრებას, საფრთხის მოგერიებას და თვითმყოფადობის შენარჩუნებას. ახლა კი... გლობალიზაციის შემოტევები პერმანენტულია და თანაც ისეთი ძლიერი, საშუალებას არ გაძლევს ამოსუნთქვისა, თუმცა... რა გითხრათ...

ღმერთმა ქნას...

ღმერთმა ქნას...

ღმერთმა ქნას... ცვდებოდე.

ესაუბრა
კაპა გუჯარაშვილი

ლაშა იმედაშვილი

პატრიარქის ზაფხული

ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც ქართველ მწერალს ჰქონდა ჩაფიქრებული. შეხვედრა შედგა რესტორან „შამპანში“, რომელიც განთავსებული იყო გოლოვინის პროსპექტზე, გორელაშვილის სახლში, ნომერ ათში, და რომელიც დაარსებული გახლდათ ძმათა კერესელიძეთა და ბაქრაძეთა მიერ. თუ თავმომწონე სარეკლამო აზრას დაეჯერება, ეს რესტორანი საუკეთესო ადგილს წარმოადგენდა დემოკრატიის სასტუმროდ. საუზმე-სადილებს, ქართლურს, იმერულს, ევროპულს, აზიურს საუკეთესო მზარეულები ამზადებდნენ, იყო სასმელების ფართო არჩევანიც და მთელი წლის განმავლობაში უკრავდა სიმებიანი ორკესტრი. რა თქმა უნდა, დანახარჯს არსენ საგანელიძე ფარავდა. ადვილი მისახვედრი უნდა იყოს, მაშინდელ პროკურატურის თანამშრომლებს რესტორნებში სასიარულო გასამრჯელოს არავინ უხდოდა.

– გული დამეწვა, ნეფარიძის ამბავი რომ გავიგე, მაგ მოხუცს ქართველებისთვის ბევრი კარგი აქვს გაკეთებული, აკი აფრთხილებდნენ კიდეც, მაინც არ მოიშალა სიკეთის კეთება, ქართველები განა ვინმეს რამეს დაუფასებენ?! – თავი გააქინა ქართველმა მწერალმა და მოზრდილ ლუკმას შეეჭიდა, რომლის დალეჭვა-დაქუცმაცებას ორიოდე წუთი მაინც დასჭირდა. – საიდუმლოს გამხელა მისთვისაც გვინდოდა, მაგრამ გადავიფიქრეთ, შედეგს მაინც არ მოიტანდა, ხომ გაგიგონიათ, კუზიანს სამარე გაასწორებსო, სწორედ მაგაზეა ნათქვამი, არადა, საბრალე პირწმინდად გაუსუფთავებიათ.

– ფულიც ბევრი წაიღეს და იარაღიც ხელს გააყოლეს. – დაეთანხმა ლეო კიკაბიძე.

– რამეს ხომ არ მიაგნო მილიციამ, რაც არ უნდა იყოს, მოხუცი კაცია და გულთ უნდა მიუდგნენ საქმეს.

– გულთ კი უდგებიან, მაგრამ ჯერ ვერაფერს მიაკვლიეს, ვილაც ცალხელა კაცი დაუნახავთ სახლის სიახლოვეს.

– ცალხელა? – გაიკვირვა საგანელიძემ.

– ადრეც შეუმჩინიათ, ამ შემთხვევამდე რამდენიმე დღის წინ სახლის სიახლოვეს ტრიალებდა, მეზობლის ბავშვებს დაუნახავთ.

– იმედია, გულდასმით გამოიძიებენ ყოველივეს, აი, თქვენ რომ მონაწილეობდეთ ძიებაში, საზოგადოება გაცილებით წყნარად იქნება. – კიდეც ერთხელ შეაქო კიკაბიძე ქართველმა მწერალმა.

ლეოს შექება ესაიამოვნა, თუმცა საგანელიძეს არაფერი უპასუხა და მხოლოდ უხმოდ გაუღიმა, ისე, როგორც უღიმიან დიდი ხნის უნახავ დამსახურებულ სკოლის მასწავლებლებს. ეს კიდეც არაფერი, გაკვირვებას ის ინვეცდა, რომ ლეო საქმელს არ ეკარებოდა და ისე დასცქერო-

და სუფრას, თითქოს რაიმე მონამულუს სთავაზობდნენ. ჩანს პროკურორს რალაც ანუხებდა და ამის გამო, როგორც იტყვიან, დანა პირს არ უხნიდა.

– რატომ არაფერს ჭამთ? მგონი რალაც უნდა განუხებდეთ? – ადვილად მიუხვდა საგანელიძე, რადგან ამ წუხილის მიზეზი თავადვე ბრძანდებოდა.

– იმ დღეს კარლო ჩხეიძე იყო ჩვენთან, დემოკრატიის ამბებს გვაცნობდა, მე კი, იმის მაგივრად რომ გონებითა თუ გულთ ავყოლოდი ჩვენი მთავრობის მისწრაფებას, სხვა საფიქრალი თავს არ მანებებდა.

– მაინც რა იყო ეს საფიქრალი? – ჩაეძია ქართველი მწერალი, რომელიც ლეოს პასუხს განაჩენივით მოელოდა.

– ეგ ყველაფერი კარგი, ჩვენი სამღვდლოება არც მე მომწონდა, ხალხისთვის არასოდეს ყოფილა, მისკენ არც იხედებოდა და, რალა გასაკვირი იქნება, რომ ეს საიდუმლო დაემალა, მაგრამ ეს სულელები როგორღა დათვალეთ? ვაშლი რომ იყოს, კიდეც გაიგებდა კაცი, ამ სულს კიდეც ხელს ვერ წაავლებ და ვერც ყუთში გამოკეტავ, აი, ეგ ამბავი მაკვირვებს, მეტად კი მაშოფოთებს.

არსენ საგანელიძემ შვებით ამოისუნთქა, თუმცა მცირედი აღელვების მიზეზი მაინც მისცა ქართველ მწერალს, რადგან კიკაბიძე გაცილებით ჭკვიანი აღმოჩნდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო, თუმცა არც იმდენად, რომ მის გონიერებას ჩაფიქრებული აქცია ჩაეშალა.

– დათვლა ყველაფრის შეიძლება. – მტკიცედ განაცხადა ქართველმა მწერალმა. – ეგ საქმე არ მიკვირს, დასაწყისში მეც არ მჯეროდა, მაგრამ მეცნიერებამ დამარწმუნა, დიდი ძალა აქვს განათლებას, მისი ფუძე მტკიცე და ურყევია, ხომ მეთანხმებუთ?

– ჩემი თანხმობა მაგას რაში სჭირდება, ისედაც ქვეყანამ იცის. – გაიკვირვა კიკაბიძემ.

– ჰოდა, თუ ეგრეა, ისიც გეცოდინებათ, რომ განათლება სინათლეა, გაუნათლებლობა კიდეც სიბნელე.

– ვიცი, აბა, როგორ, ჩვენც გვისწავლია რალაც...

– სწავლით კი გისწავლიათ, მაგრამ არასწორად და გამრუდებულად, ამითი კიდეც ყველა სარგებლობს და ჩვენს საბრალე მოქალაქეებს თავგზას უზნევს, თორემ მაგ სულელებზე ადვილი დასათვლელი რალა უნდა იყოს, კაცმა მოინდომოს, თორემ ქადა ორი ხელით იჭმევა... ლეონტი არსენიძის გვარ-სახელი გაგონილი გექნებათ?

ლეო კიკაბიძე უხერხულად შეიმშუშნა, თვალები მორცხვად დახარა და ცარიელ თეფშს დაბლაგვებული დანა რამდენჯერმე ნერვიულად გაუსვ-გამოუსვა.

– იყო დრო, ლეონტის ბრადიგადაც იცნობდნენ, ასეთ სამწერლო სახელს ატარებდა და გვარიან, მებრძოლ ლექსებსაც წერდა. ოციოდე წლის წინათ მან პირველმა გამოიტანა სახალხოდ წითელი დროშა, ახლა ის დროშა მუშათა პროფესიული კავშირების გამგეობას ჩაბარდა, დღესაც კი მახსოვს მისი ერთი ლექსი.

საგანელიძე წამით გაჩუმდა, მერე ღრმად ჩაისუნთქა და ნახევარ ხმაზე, ისე, რომ რესტორანში, სხვა მაგიდასთან კანტი-კუნტად მჯდარი საზოგადოებისთვის ჭამის მადა არ დაეკარგა, ლეონტი არსენიძის რამდენიმე სტროფი პროკურორის თანაშემწეს თითქმის საიდუმლო ვითარებაში გაუხმინა.

აღსრულდა ნატვრა დიდი ხნის, გული ნეტარობს ღხე-
ნითა!

მწარედ ვიგონებ მწარ წარსულს, გულის ტკენით და
წყენითა!

ჩაგვრა, ნამება სხვისაგან, მწარედ აშლილი იარა,
ვინ მოსთვლის ჩემმა სამშობლომ რა ტანჯვა გამოი-
რა!

მაგრამ ახლა კი წყვილია ჟამს მოაქვს კრულვა წყვი-
თა

და ჩემს სამშობლოს გულს იკრავს ნათელ მზე შუქთა
ფენითა!

გულში ნაგუბი დიდი ხნის ბოღმა-ნალეველი ჰქრებიან!
და ჩემიანი აღდგომას სიმღერით ეგებებიან!

იხარე ჩემო ივერო, რომ აღიდგინე უფლება!
დღეიდან ჩემო საუნჯევე, სხვა არვინ დაგეუფლება!

და, ჰა აღსრულდა დიდი ხნის, ნანატრი წმინდის გული-
თა!

და მეც მას, ერის მგოსანი, ჩანგს უმღერ სიხარულითა!

ძნელი წარმოსადგენია, ამ ლექსის პატრიოტული სუ-
ლისკვეთება ვინმეს ვერ ეგრძნო. იგრძნო ეს ყოველივე
კიკაბიძემაც, რაც კიდე ერთხელ ადასტურებდა, რომ
სულ მთლად თავისუფალი პოლიტიკისგან, მიუხედავად
ხელისუფლების დაჟინებული მტკიცებისა, არც პროკუ-
რატურა გახლდათ, ასე რომ, თუ კაცი მოინდომებდა, რამ-
დენიმე გულმზურვალე ქართველს მათ რიგებშიც გამოავ-
ლენდა.

–საჭირო ლექსია...
– აი, ასეთი ხალხის ამოჩემება ვიცით ქართველებმა,
იმდენი ქნეს, ლექსის წერაზე ხელი ააღებინეს, მწერლო-
ბიდან განდევნეს და ლამის თბილისიდანაც გააქციონ, ახ-
ლა, ყველასგან მიტოვებული, თბილისის მორგში მუშა-
მომმარაგებლად იღვწის, მიცვალებულების გადატანა –
გადმოტანაშიც ეხმარება იქაურებს და სხვა ბევრ წვრილ
საქმესაც ასრულებს. პირადად ვთხოვე სამკურნალოს
უფროსს, ბატონ თარხანოვს, ხელი გაემართა დაჩაგრუ-
ლისთვის, მანაც გულისხმიერება გამოიჩინა და ერთი პა-
ტარა სათავსო გამოუყო საბრალო ლეონტის, ეს სათავ-
სოა მისთვის მისაღებიც და მოსასვენებელიც.

თარხანოვი, რომელიც იმხანად ქალაქის ცენტრალურ
სამკურნალოს ხელმძღვანელობდა, მუხრანის ცხრა ნო-
მერში განთავსებულს, ლეო კიკაბიძეს თვალთაც არ ენა-
ხა, თუმცა მისი სახელი გაგონილი კი ჰქონდა, რადგან
სამკურნალოსთან არსებულ მორგში ერთი-ორჯერ ნამყო-
ფი იყო და მის უფროსს, მიხეილ გიგოლოვს პირადად იც-
ნობდა. შიგნიდან ეს შენობა კიდე უფრო დამთრგუნველ
სურათს ატარებდა, ვიდრე გარედან, მართლაც ძალიან
უნდა გასჭირვებოდა ადამიანს, რომ მიცვალებულების
გვერდით დაედო ბინა.

ლეოს ლეონტი, იგივე ბრადიაგა, გულით შეეცოდა.

– მაინც რას ერჩოდნენ საბრალო პოეტს?

– სიმართლის ეშინიათ. – ისე წყნარად თქვა საგანელი-
ძემ, რომ მისი სიმშვიდის გამოცდილ მოსამართლესაც შე-
შურდებოდა. – უბრალო კაცი არ გეგონოთ, დრო იყო, მან-
თაშევის სავაჭრო სკოლაში ახალგაზრდებს კომერციის
ხელობას ასწავლიდა, თან ნელ-ნელა ახალი ცხოვრების

საიდუმლოს უმხელდა. ეს ამბავი მზრუნველთა საბჭოს
ყურამდე მივიდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, ლეონ-
ტი სამსახურიდან დაითხოვეს, ბედი მაგას ჰქონია, ქვეყა-
ნა ახალ ცხოვრებას აშენებს, თორემ სხვა დროს კატორ-
ლას უკან მოატოვებინებდნენ. ეხლა აღარ იკითხავთ, ვინ
იყვნენ ამ პაპეჩიტელსკი სავეტში?! ვინა და მუშა-გლეხის
სისხლის მწოველები, ვისაც პატარა კაცის ბედი არაფრად
მიაჩნდა : თავად ლეონ მანთაშევი, არკადი მილოვი, იოს-
კა ტერ-ოსეპიანცი, ივან გაიდამიკინი, არტაშ ზიფიანჯი-
ანცი, ბოგდან არუტუნოვი, მნაცაკ მარტიროსოვი, გეორგ
გეხტიანცი, ვლადიმერ ბერსეგოვი... ამათმა და კიდეც
სხვებმა კაცს შარი მოსდეს და ულუკმაპუროდ დასტოვეს.
შენაო, ასე უთქვამთ, რომელი მღვდელი ხარ, უფლება ვინ
მოგცა, რომ ჩვენს სულელებს დასდევ, ჩოთქში ყრი, გასა-
ვალ-შემოსავალს ანგარიშობ, გაყიდე-იყიდე რა, ქარვას-
ლა ხომ არ არისო?! ლეონტის თავის მართლება უცდია,
ერთი-ორი სიტყვაც უთქვამს, არც ეგრეა, თქვენ რომ
გგონიათ, სრულიად ადვილი საქმეაო, და რამდენიმე მა-
გალითიც მიუყვანია, მაგრამ რად გინდა, არაფრის მოსმე-
ნა არ სურდათ, თითქოს ბინდი გადაჰფენოდათ თვალზე,
არადა, კაცი რომ დაფიქრდეს, მათ სასარგებლოდ უფრო
იყო ეს ამბავი.

– ჩოთქით როგორ უნდა დაითვალოს? მეშოკით ბრინ-
ჯი იყოს, კიდეც გასაგებია, ჰაერის დათვლა გამიგია?! –
თქვა კიკაბიძემ და ისეთი სახე მიიღო, ეტყობოდა, პაპეჩი-
ტელსკი სავეტის მხარეს აპირებდა გადასვლას.

საგანელიძე რისი საგანელიძე გახლდათ, ეს ცვლილე-
ბა თვალში არ მოხვედროდა. რა თქმა უნდა, შეამჩნია, და
კიკაბიძის დამოძღვრა ადრინდელზე მეტი შემართებით
განაგრძო, რათა პროკურორის თანაშემწეს ქართველი
მწერლის მარნუხებიდან თავი ვეღარასოდეს დაეხსნა.

– თქვენ წარმოიდგინეთ, ადვილზე ადვილი ყოფილა!
ჯერ ის უნდა დადგინდეს, რამდენი ადამიანი გარდაიცვა-
ლა ჩვენს ქვეყანაში ერთი წლის მანძილზე. მერე ისტორი-
ის წიგნი მოვიმარჯვოთ და ეს ციფრი ქვეყნის ისტორიაზე
გადავამრავლოთ, ამას დავამატოთ ომებისა და ეპიდემიე-
ბის დროს გარდაცვლილთა რაოდენობა, გავითვალისწი-
ნოთ ისიც, რაც დღემდე ისტორიისთვის უცნობი გახ-
ლავთ, შემდეგ ეს ყოველივე მივუმატოთ სხვა ქვეყნების
მოსახლეობას, რა თქმა უნდა, მათი ისტორიული თავისე-
ბურების გათვალისწინებით, და საქმეც სანახევროდ გა-
ჩარჩულია.

– მხოლოდ სანახევროდ?! – დაფრთხა კიკაბიძე, რად-
გან გარდაცვლილ-დახოცილთა უზარმაზარი ციფრი, რაც
უსათუოდ ახლდა ამგვარ დაანგარიშებას, მის პატარა გო-
ნებაში გაჭირვებითაც კი ვერ ეტყოდა.

– მთავარი იმის დადგენაა, თუ როდის მოიკიდა ფეხი
ადამიანმა დედამიწაზე.

– მერე?!
– ლეონტიმ ესეც დაადგინა, თუმცა რა დადგენა უნდა,
რაც ჩვენი სამღვდელოებისთვის, მეცნიერთათვის ისე-
დაც ცნობილია, საიდუმლო, თუგინდ მისი დაფარვა, სწო-
რედ რომ აქედან იწყება.

– ვერაფერი გავიგე. – საბოლოოდ დაიბნა ლეო.

– ჩვენი სამღვდელოება და სამეცნიერო წრეები ერ-
თმანეთს ხელს აფარებენ და ადამიანის გაჩენის თარიღს

უკან, ჩვენსკენ სწევენ, რითაც, თავისი წარმოდგენით, სულთა თავშესაფარში ადგილებს ათავისუფლებენ, ხალხს ურცხვად ატყუებენ, ვითომ ეს ადგილები ჯერ კიდევ მოინახება და, თუ უნდათ, რომ უადგილოდ არ დარჩნენ, ყველაფერი მათ ქცევასა და ცხოვრების წესსზეა დამოკიდებული, კარგად მოიქცევიან, სამოთხის კარი გაეღებათ, ცუდად მოიქცევიან, ჯოჯოხეთში აღმოჩნდებიან, აი, ეგრე ზედაპირულად ჩრიან და კერავენ . . . თუმცა მხოლოდ ჩემი საუბარი რა ბედენაა, სჯობს თავად ლეონტიმ აგისნათ ყველაფერი, ვესტუმროთ, მერწმუნეთ, არ ინანებთ.

– როდის?

– რა თქმა უნდა, ღამით, სხვა დროს არ დაგველაპარაკება, დაშინებული ადამიანის ბუნება თქვენი პროფესიის კაცისთვის კარგად უნდა იყოს ცნობილი, თანაც არაყი უნდა მიეუტანოთ, ამ ბოლო დროს დაეჩვია, სიმარტოვე უცნაური ჩვევებისთვის სწირავს ადამიანს, ამ საქმეზე მე ვიზრუნებ. – თქვა ქართველმა მწერალმა და უსაქმოდ მდგარი გარსონი ხელის მოძრაობით იხმო.

შეთანხმდნენ.

ერთხანს კიდევ შეჩერდნენ რესტორანში, მერე კი იმ იმედით გამოემშვიდობნენ ერთმანეთს, რომ მალე კვლავ შეხვდებოდნენ და სიბნელეში ჩაკარგულ ერს, საერთო ძალისხმევით და ბრადიაგას დახმარებით, დღის სინათლეზე გამოიყვანდნენ.

არსენ საგანელიძე, ლეოსგან განსხვავებით, შინ არ წასულა. საფიქრალი კიკაბიძეს სტანჯავდა და განმარტოებაც მას ესაჭიროებოდა, თორემ საგანელიძეს ყველაფერი კარგა ხანია მოფიქრებული ჰქონდა და საკუთარი საქმისთვისაც შეეძლო მიეხედა. საქმე კი მხოლოდ ერთი ჰქონდა ქართველ მწერალს, პირადი ქონების შექენა-განახლება. იმ დღეს თბილისში მორიგი აუქციონი იმართებოდა. მართავდა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო, ტარდებოდა თბილისის სალიკვიდაციო საწყობში და მასზედ იყიდებოდა სხვადასხვა სადგურებში დაუსხნელ – მივინყებულ ბარგი და ნაპოვნი საგნები. ამ საქმით დაინტერესებულ ადამიანს, თითქმის სიმბოლურ ფასად, შეეძლო შეეძინა ათასგვარი ნივთი, რომელიც ასე მრავლად რჩებოდათ გულმავიწყ ქართველებს, და არამარტო მათ, საქართველოს სხვადასხვა კუთხისკენ მიმავალ მატარებლებში. ბევრ რამეს წაანყდებოდა მახვილი მზერა: თუნდაც ცარიელ ბოთლებს, საბაკალეო საქონელს, პორტლანდის ცემენტის ორმოცდაათ ბოჩკას, იქვე ცარიელ გალიას, შავ აბრეშუმის ქოლგას, ვაზის დანწულ კალათას, ანდა საოჯახო ნივთებით სავსე სკივრს, მოქსოვილ კოფტოჩკას, აბრეშუმის შალს და ქიშმიშით სავსე ორ ყუთს. ქართველი მწერალი ამჯერადაც კმაყოფილი დარჩა, სხვა წვრილმანთან ერთად საბილიარდო მაგიდა, ჩვენებურად სტოლი შეიძინა, ოღონდაც დანაწილებულ მდგომარეობაში, მერე სტოლისა და მუშის ფული გადაიხადა, მისამართი მიუთითა და აუქციონი მიატოვა.

ბინდი ჩამოწვა.

ლეო კიკაბიძესთან შეხვედრის დრო ახლოვდებოდა. შეხვედრამდე არაყი უნდა ეყიდა. იმხანად თბილისში ბევრი იყო ღვინის სარდაფი, საწყობი თუ მალაზია. არჩევანსაც არა უშავდა რა: ავაკიანცთან მდიდრები დაიარებოდნენ, რადგან მხოლოდ ძვირიან სასმელს ჰყიდდა, საშუა-

ლო ფენა აგასიანცის მალაზიას ეტანებოდა, იყვნენ სხვებიც, მეცხვარიშვილი, ჩარკვიანი, ჩაჩიბაია, ვერმიშვი, თავად ქართველი მწერალი კაზარ შირზიანცის სავაჭროს გამოარჩევდა ფასისა და ხარისხის თანხვედრის გამო. შეხვედრაც აქ დაითქვა, ნიკოლაევსკის 46 ნომერში, ასეთი იყო საქვეყნოდ ცნობილი მალაზიის მისამართი.

არყის შექენას და გამყიდველთან ერთი-ორი სიტყვით გადალაპარაკებას ზუსტად იმდენი დასჭირდა, რამდენიც სჭირდება ხოლმე ასეთ დროს, არც მეტი და არც ნაკლები. ლეო კიკაბიძე სხვასაც და საკუთარ თავსაც იმდენ პატივს კი სცემდა, რომ დათქმული საათისთვის არ გადაეცილებინა და ღვანლმოსილი მწერალი ლოდინით არ გაეტანჯა.

გზის გაგრძელება ფეხით გადაწყვიტეს. ბრადიაგას თავშესაფრამდე ოციოდე წუთის საგალი მაინც იყო, მეტი თუ არა, მაგრამ გვარიანად განათებულ თბილისში, რომლის უსაფრთხოებასაც თორმეტი უზნის საპოლიციო უჩრატოვი იცავდა, ბინდში, თუნდაც უსაქმოდ სიარული, საფრთხეს არ წარმოადგენდა. მორგის ერთსართულიანი შენობა სრულიად განმარტოებით იდგა, საავადმყოფოდან სამასიოდ მეტრის მოშორებით. ამისა და კიდევ იმის გამო, რომ შენობა ხეებით იყო დაფარული, მასთან მიახლოება შეუმჩნევლად გახლდათ შესაძლებელი, რაც ცნობისმოყვარე მზერის არსებობას უცილობლად გამოიციხავდა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ღამით მორგში, თბილისური ტრადიციიდან გამომდინარე, მიცვალებული თითქმის არასდროს მოჰყავდათ, ადვილი მისახვედრი გახდება, მწერლისა და პროკურორის სტუმრობა ამ უსიამოვნო ადგილას, ავი თვალისთვისაც კი, შეუმჩნეველი დარჩებოდა.

მორგში იდგა ჩვეულებრივზე მეტი სიცივე და უსიამოვნო სუნე, რომელიც მხოლოდ სიკვდილს შეიძლება ჰქონდეს. ბრადიაგას მოსასვენებელი ოთახი ვინრო დერეფნის ბოლოს გახლდათ განთავსებული, იქ, სადაც ერთმანეთზე ელაგა მიცვალებულთა გადასატანი საკაცეები, თუმცა ეს ხელს არ უშლიდა ყოფილ პოეტს, რომ ნებისმიერ დროს ღრმა ძილით სძინებოდა, რაშიც მას უეჭველად თავისი საყვარელი არაყი ეხმარებოდა.

მიუხედავად ასეთი სახელისა თუ ფსევდონიმისა, მამაკაცი სულაც არ გამოიყურებოდა ისე, როგორც ამ სახელს შეეფერებოდა. პირიქით, პირიც გაპარსული ჰქონდა და სუფთა პერანგიც ჰმოსავდა, რაც საგანელიძის, მეტად კი კიკაბიძის გაოცებას იწვევდა.

– მოიტანეთ?! – იკითხა ბრადიაგამ და სტუმრებს ოთახში შეუძღვა.

– პირობა პირობაა. – დააწყნარა საგანელიძემ და მასპინძელს არყის ბოთლი გადასცა.

– უკან ხომ არავინ გამოგყოლიათ?! – კვლავ იკითხა ბრადიაგამ.

– მანანალა ძაღლიც არსად შეგვხვედრია. – ისევ დააწყნარა საგანელიძემ.

ჩანს ბრადიაგა პასუხით კმაყოფილი დარჩა, ბოთლი გახსნა, ორი სტაქანი უხმოდ დასცალა და საგანელიძეს მიუბრუნდა.

– ეს არის?

– კი, ეს არის. – თავი დააქნია საგანელიძემ.

– მაშ საიდუმლოს გაგება გნებავთ, ყმანვილო?! – ბრადიამ პროკურორის თანაშემწე გამოცდილი მზერით გაზომა. – ბედნიერი ადამიანი ბრძანდებით, იმედი ვიქონიოთ, ამის შემდეგ თქვენი ცხოვრება სრულიად გამოიცვლება, ერთი ეს მითხარით, ადამიანის თუ გაგეგებათ რაიმე, ოღონდ ისე არა, როგორც თქვენს უწყებას სჩვევია, მეცნიერული თვალსაზრისით გეკითხებით.

– არა . . .

– ასე გამოდის, სულ თავიდან უნდა დავიწყო ყველაფერი, რა გაეწყობა. – ამოიოხრა ბრადიამ, ერთიც ჩამოასხა და ლაპარაკის საღერღელაშლილმა გუდას თავი მოხსნა.

ბევრი საინტერესო რამე ირკვეოდა მისი საუბრიდან.

თუნდაც ის, რომ ადამიანი შორიდან მოდის.

უილმერ ბეროუზის აზრით, მისი გამოჩენა მილიონ ნახევარი წლის წინ მოხდა. ეს ბეროუზი ჩვენი მეცნიერი არ გეგონოთ, ამერიკელია, ჩვენგან ძალიან შორს ცხოვრობს და, მგონი, დაეჯერება კიდეც, მითუმეტეს, რომ სახელმძღვანელოებშიც ასე სწერია. სადაც ერთი აზრია, იქ მეორეც იქნება, ასე რომ, ამ ამბავთან დაკავშირებით სხვა მოსაზრებაც არსებობს, რომელიც ასევე გარკვეული ფაქტებით გახლავთ გამყარებული.

მიუხედავად ყველაფრისა, ადამიანმა გაიმარჯვა. გამარჯვებული საკუთარ წესებს აწესებს, ასეთია გამარჯვების ბუნება. მას კარგად ესმის, ვინც სხვაზე მეტი იცის, ისტორიის გადანერაც შეუძლია და ხალხის გაძლიერების თავიც აქვს, ამიტომაც გამარჯვებული ადამიანი საკუთარი წარმოშობის თარიღს სრულიად შეგნებულად ჩქმალავს, რათა გაცილებით დიდსა და მნიშვნელოვან საიდუმლოს ფარდა არ აეხადოს.

მანამდე კი ცოტაოდენი ისტორია, რომელიც ჩვენც გვხვება, რადგან ჯერ კიდევ მაინც ადამიანებად ვითვლებით.

ორი მილიარდი წლის წინათ, ის ადგილი, სადაც ცხოვრება ასე მოსაწყენად მიედინება, უზარმაზარ, შეუხედავ ქვის ნატეხს წარმოადგენდა. სიცოცხლის ჩასახვას მილიარდი წელი დასჭირდა, ასე გაჩნდნენ ამ ქვეყნად ბაქტერიები და წყალმცენარეები. 530 მილიონი წლის წინათ დედამიწა სრულად დაიკავეს წარმონაქმნებმა, რომლებიც ჯერ წყალში ბინადრობდნენ, შემდეგ კი ხმელეთზე გადაინაცვლეს. ასე გადაიქცა ჩვენი პლანეტა სოფლის ორლობიდან უზარმაზარ და გადატვირთულ ქუჩად.

190 მილიონი წლის წინათ დინოზავრები გამოჩნდნენ, რომლებმაც 125 მილიონი წელი იმეფეს და 65 მილიონი წლის წინათ ისევე მოულოდნელად გაუჩინარდნენ, როგორც გამოჩნდნენ.

მოგვიანებით, ასე დაახლოებით 60 მილიონი წლის შემდეგ, შეიმჩნევა კვალი იმისა, რასაც შემდეგ პირველი ადამიანის ნიშნები დაერქვა: ჩვენი მსგავსი მაიმუნები ხიდან ჩამოცოცდნენ და ცხოვრება უკვე ორ ფეხზე განაგრძეს.

ამის შემდეგ, ასე 25 მილიონი წლის წინათ, შეიქმნა პირველი მარტივი შრომის იარაღები, რა თქმა უნდა, არქეოლოგების დაჟინებული მტკიცებით. ის, რასაც ჩვენს კულტურას ეძახიან, გაცილებით ახალგაზრდაა და სულ რაღაც თერთმეტი ათასი წლის გახლავთ. ლითონის შექ-

მნა-გამოგონებისათვის კიდევ ხუთი ათასი წელი მოუწოდებიათ. ამ ახსნა განმარტებით ისე გამოდის, რომ სამოთხე-ჯოჯოხეთში რამდენიმე ათეული მილიონი ადგილი, მეტი თუ არა, კიდევ მოინახება, რადგან ოთხ მილიონ წელზე ადრე მატერიალური კულტურის ნიმუშების არსებობის მტკიცება, ისევე და ისევე მეცნიერთა აზრით, უმეცრებაა და მხოლოდ ბავშვური ღიმილის მომგვრელია, ასე რომ, ათვლა სწორედ აქედან იწყება. კაცმა რომ თქვას, ამ შემთხვევაში მართლები არიან, თუ ადამიანი არ იქნებოდა, არც კულტურა შეიქმნებოდა, ამაზე დგანან, სხვის აზრს არად აგდებენ, მეტიც, სდევნიან და ამაში სამღვდლოებასაც იხმარენ. ხელი ხელს ჰბანსო, სწორედ მაგათზეა ნათქვამი.

ჩვენ მაინც ჩვენი ვთქვათ.

არც ეგრეა საქმე.

მივყვით და ვნახოთ.

1891 წლის ზაფხულის ადრიან დილით, ამერიკის პატარა ქალაქის, მორისონვილის ადგილობრივი გაზეთის რედაქტორის მეუღლე, რომლის გვარ-სახელი დღეს უკვე არაფერს გვეუბნება, ეზოდან სახლში ნახშირს ეზიდებოდა. ერთი ნატეხი დიდი მოეჩვენა და შუაში გატეხვა განიზრახა. გატეხა კიდეც და ნატეხებს შუა ოქროს ძეწკვი აღმოაჩინა, საკმაოდ ლამაზი და უცნაურად დამუშავებული. სხვაც ასე მოიქცეოდა და ქალმა ძეწკვის ამოღება გადანყვიტა, თუმცა არაფერი გამოუვიდა, ნაპოვნი მაგრად იყო ჩაჭედილი ნატეხში და ისეთი პირი უჩანდა, რომ იმ ნახშირით ძველი უნდა ყოფილიყო, რომლის სახლში შეტანასაც რედაქტორის მეუღლე ლამობდა. სხვა გზა აღარ რჩებოდა, საქმეში იუველიერი ჩართო, ორი დღის ნვალების შემდეგ ძეწკვი ამოიღო და ყურადღებით დაათვალიერა. შესწავლა-დაკვირვებამ შედეგი გამოიღო, ძეწკვი ოც გრამს იწონიდა და ოქროთი გახლდათ დამზადებული. სამწუხაროდ, ეს ნივთი გვარიანად არავის გამოუკვლევია, თუმცა ერთი რამის თქმა დანამდვილებით შეიძლება: იმ ადგილას, სადაც ეს ამბები ხდებოდა, ქვანახშირის ასაკი 260-320 მილიონი წლით განისაზღვრება, რა თქმა უნდა, მეცნიერთა დასკვნით, თორემ ჩვეულებრივი ადამიანის დაკვირვებული თვალიც კი ამ შემთხვევაში ვერაფერს გახდებდა. ხუმრობა საქმე ხომ არ არის ოქროს ნაკეთობის დამზადება? ხომ სჭირდება გარკვეული უნარ – ჩვევები? განა ქვის იარაღებით ძეწკვის დამზადებას შეძლებდნენ? ამას ისიც ემატება, რომ პირველი ძეწკვები 5500 წლის წინათ დამზადდა ძველ ეგვიპტესა და მესოპოტამიაში, ასე ამტკიცებენ არქეოლოგები. მაშ რა გამოდის? ერთნი ერთს ამბობენ, მეორენი სხვას ამტკიცებენ, თუმცა ზუსტი პასუხის გაცემა ყველას უჭირს და ამ ძეწკვის გამო მხოლოდ მხრებს იჩეჩავენ. არადა, ისე გამოდის, რომ ცივილიზაცია ჯერ კიდევ ადრეული დინოზავრების ეპოქაში არსებობდა.

ეს კიდევ არაფერი, სხვა საინტერესო ამბებიც მომხდარა.

1844 წელს, ზაფხულის თვეში, გაზეთმა „თაიმსმა“ უცნაური ამბავი გამოაქვეყნა. ქვის მთელ მუშებს, მდინარე ტუიდთან ახლოს, მთის ქანში ოქროს ძაფი ეპოვნათ. ჩანს, ამ ძაფს მოკლე არ ეთქმოდა, რადგან ნახევარი თავად მუ-

შემა გაინანილეს, ხოლო მეორე ნახევარი ადგილობრივი გაზეთის კანტორაში გამოფინეს, სადაც შეეძლო კიდეც ადგილობრივ მოსახლეობას და ქალაქის სტუმრებს მისთვის თვალის შევლება. ვილაც იტყვის, დიდი ამბავი, ოქროს ძაფი რა ბედენაა, ვილას არ უნახავსო. საქმეც ეგაა, ძაფი ძაფად, მაგრამ იმას რაღა ვუყოთ, რომ ამ მთის ქანი, გეოლოგების მტკიცებით, 360 მილიონ წელს ითვლის. რა თქმა უნდა, დროთა განმავლობაში, სხვა შემთხვევების არ იყოს, ყველა მტკიცება განადგურდა, ძაფი სადღაც გაქრა, მონმეები უცნაურად გაუჩინარდნენ და ველარც იმ გაზეთის ნომერს მოიძიებს სადმე დაინტერესებული მკითხველი. ძნელი მისახვედრი აღარ უნდა იყოს, ვის აძლევდა ხელს ამგვარი ამბების მიჩუმათება და ვისი ხელი უნდა ერიოს ამ საქმეში.

არადა, დასამალ-გასანადგურებელი ჯერ კიდევ ბევრი ჰქონდათ.

1862 წელს, მაკუჰის საგრაფოში, მუშები ჭასა თხრიდნენ. სიღრმეს სიღრმე ემატებოდა, წყალი კი არსად სჩანდა. წყალს ვერა, მაგრამ ქვანახშირის საბადოს კი მიაკვლიეს, იქვე რაღაც ძვლებიც აღმოჩნდა, რომლებიც ისე იყო ჩაჭედოილი მთის ქანში, კაცი იფიქრებდა, მაგარი წებოთი გულმოდგინედ ჩაანებესო. ატრიალეს ეს ძვლები მუშებმა, მაგრამ ვერაფერი გაუგეს, არადა, ინტერესი ჰქვავდათ, ამიტომაც გადაწყვიტეს, ამ საქმის მცოდნე ხალხისთვის ეჩვენებინათ. მცოდნეებს არ გასჭირვებიათ და მალევე დაადგინეს, რომ ძვლები ადამიანისა უნდა ყოფილიყო, გაკვირვებას მხოლოდ იმ ქანების ასაკი იწვევდა, სადაც ეს ძვლები იყო ჩაჭედოილი. 286 მილიონი წელი ცოტა არ უნდა იყოს, მითუმეტეს, იმ დროს ადამიანის ძვალი კი არა, მისი სახსენებელიც არ უნდა ყოფილიყო.

უცნაური ხალხია ეს გეოლოგები, გამუდმებით რაღაცას თხრიან და ჩიჩქნიან. ჯონ რეიდი გამონაკლისი არ გახლდათ, თავად არ იცოდა, რას ეძებდა, მაგრამ ამ რაღაცის პოვნის იმედს არასოდეს ჰკარგავდა. ერთ დღესაც გაუმართლა და ფეხსაცმლის ქუსლის ნახევარი აღმოაჩინა, ზედ შერჩენილი კარგად შემონახული ძაფით, რომელიც სავარაუდოდ ქუსლსა და ფეხსაცმლის ძირს ერთმანეთთან აკავშირებდა. რეიდმა ნაპოვნი ნივთი სხვა გეოლოგებს აჩვენა. იმათაც იმსჯელეს, ქანები შეისწავლეს და დაადგინეს, რომ ფეხსაცმელიცა და ანაბეჭდიც 248 მილიონი წლის წინანდელი უნდა ყოფილიყო.

ამას ემატება ისიც, რომ ადამიანები და დინოზავრები ერთმანეთის გვერდით ცხოვრობდნენ, მართალია ვითომდა ნამდვილ მეცნიერებს ეს ამბავი სასაცილოდაც არ ჰყოფნით, მაგრამ ველარც იმ აღმოჩენას ხსნიან, რომელიც დღემდე ტილორის ბილიკის სახელით არის ცნობილი. ეს ბილიკი მდინარე პალუსკის კალაპოტში მდებარეობს. დიდ ნაფეხურს გვერდით პატარა მიჰყვება, თითქოს უცნობი პატრონი უზარმაზარ ცხოველს ფინია ძალღივით ასეირნებდა.

მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი კეთდება ამ ამბების მისაჩქმალად, დროდადრო მაინც გაეპარებათ ხოლმე და ზოგიერთი ჩვეულებრივი ადამიანის ყურამდეც აღწევს, თუმცა ეს ზღვაში წვეთია და, რამე თუ არ შეიცვალა ტყუილსა და ფარისევლობას ბოლო არასოდეს მოელება.

საუბარი მოსაწყენი ხდებოდა, მაგრამ ნაამბობიდან გარკვეული დასკვნების გამოტანას მაინც შეძლებდა გონიერი ადამიანი. საკამათო აღარ იყო, ადამიანს გაცილებით გრძელი გზა ჰქონდა გავლილი, ვიდრე ჩვენ გვახვევდნენ თავს. ამას იმიტომ აკეთებდნენ, რომ სამოთხე-ჯოჯოხეთში გადავსებული ადგილების შესახებ არავის არაფერი შეეცყო, ხოლო სხვები გამუდმებული შიშის ქვეშ ჰყოლოდათ, ასე და ისე თუ არ მოიქცევით, აქა და იქ ველარ მოხვედებითო, რა თქმა უნდა, ნამდვილ მიზეზს საბრალო ხალხს არავინ ეუბნებოდა. თავად დათვლის მეთოდი თუ სისტემა ბრადიაგას შემუშავებული გახლდათ და, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სულელების დაანგარიშება ნებისმიერ, ცოტა მაინც განათლებულ ადამიანს სრულიად თავისუფლად შეეძლო. ბრადიაგას მოსაწყენ საუბარსა თუ მშრალ მეცნიერულ ფაქტებს ისიც ემატებოდა, რომ საცაა მორგის მასპინძელი არყის ბოთლის ძირს გამოაჩენდა. მალე ბრადიაგას საუბრის გარჩევა შეუძლებელი შეიქნა, ხოლო ორიოდ წუთში საბოლოოდ გაჩუმდა, თვალეები მილულა, თავი ჩამოქინდრა და იმ მიცვალებულებს დაემსგავსა, რომლებსაც ასე გულმოდგინედ დარაჯობდა.

მორგიდან გარეთ გამოსულ მამაკაცებს ეშში შესული ღამე შემოეგებათ. ოდნავ აგრილდა, აგვისტოს თბილისურ სიციხეს, დროებით მაინც, ძალა დაეკარგა და ფეხით სიარული სიამოვნებასაც კი ჰგვრიდა ადამიანს. ლეომ ცას ახედა, თითქოს სამუდამოდ ემშვიდობებოდა საკუთარ ადგილს.

– არაყი რომ არა, კიდევ დიდხანს ისაუბრებდა, მაგრამ არყის გარეშე საერთოდ უარს აცხადებს საუბარზე, როგორც იტყვიან, მოჯადოებულ წრეში მოგხვდით. – სიტყვა შეაშველა ფიქრში ნასულ კიკაბიძეს ქართველმა მწერალმა.

– გონიერი კაცისთვის ესეც საკმარისია. – მოჭრა ლეომ.

– თქვენი გონიერების ამბავი ქვეყანამ იცის, მაგრამ ზედმეტი მტკიცება საქმეს არ ნახდენს. – დასძინა საგანელიძემ. – თუნდაც სერ დევიდ ბრიუსტერის აღმოჩენილი ლურსმნის ამბავი, ანდა ავსტრიულ ფალბურკში ნაპოვნი რკინის ნაჭრის ისტორია, თუნდაც შორეულ ამერიკაში ამოთხრილი ჯაჭვის დაუფერებელი ამბავი, რომელთა დანამდვილებით დადგენილი ასაკი რამდენიმე ათეულ მილიონ წელს აღემატება.

– საკმარისია. – სიტყვა გაანწყვეტინა კიკაბიძემ. – ყველაფერი ისედაც ნათელია, ქართველი ხალხი და ჩვენი ქვეყანა ბნელეთში აგრძელებს ცხოვრებას, სხვას კი გვეუბნებიან და გვიმტკიცებენ.

– გზა მხოლოდ ერთი რჩება, ხომ მეთანხმებით?
– რომ არ გამოგვივიდეს? – დაეჭვდა კიკაბიძე
– ხელს ვერაფერი შეგვიშლის, ყოველივე ზუსტად გვაქვს დაანგარიშებული, უფროსს რომ მოვიცილებთ, უმცროსები დაფრთხებიან, ზოგი მიიმალება, ზოგი უნამუსო ტყუილებს თავს მიანებებს, უმეტესობა ჩვენს მხარეს დაიჭრის, ხოლო ვინც გაჯიუტდება და გადაწყვეტს, რომ საკუთარი ერი კვლავ სიბნელეში შეიტყუოს, ხალხის რისხვა არ ასცდება.

კიკაბიძე ისევ გაჩუმდა, ხალხის რისხვის წარმოდგენას თუ ცდილობდა.

– საქვეყნო საქმის გარდა, თქვენთვისაც სასიკეთო უნდა იყოს ეს ამბავი. – განაგრძო საგანელიძემ. – გვარიან გასამრჯელოსაც მიიღებთ და მთავარი პროკურორის ადგილსაც, რა თქმა უნდა, ახალ საქართველოში.

კიკაბიძე კვლავ გაჩუმდა, ახლა უკვე გასამრჯელოს რაოდენობის წარმოდგენას ცდილობდა.

– რამდენიმე დღე სამსახურში მისვლაზე ხელი უნდა აიღოთ.

– ეგ როგორ, ძებნას დამიწყებენ.

– მაგაზე ნუ იღელვებთ, ჩვენი მხარდამჭერები თქვენს უწყებაშიც მოინახება.

ლეო ისევ დადუმდა, ოღონდ ამჯერად თანხმობის ნიშნად.

პირობა ორივემ შეასრულა.

ლეო კიკაბიძე არც სახლში გამოჩენილა და არც სამსახურში. ქართველმა მწერალმა პროკურორის თანაშემწე სამიოდე დლით, ოპერაციის დეტალების შესათანხმებლად, კონსპირაციულ ბინაზე მოათავსა და მეთვალყურეც მიუჩინა, დამწყები მსახიობის, ოლინკა დგებუაძის სახით.

ეს ის ოლინკა დგებუაძე გახლდათ, რომლის ჩუმი სიყვარული ლეო კიკაბიძეს სტანჯავდა და ზოგჯერ სწვავდა კიდეც. ოლინკა, თეატრის გარდა, სოციალ-დემოკრატებთანაც თანამშრომლობდა, უმნიშვნელო დავალებებს ასრულებდა და საკუთარ ბინას, რომელიც ავი თვალისგან მოცილებულ ადგილას, სუბსარქისის ქუჩაზე მდებარეობდა, ხშირად უთმობდა პარტიის აქტივის შეკრებისა თუ სხვადასხვა სახის აქციების დაგეგმვისათვის.

ლეოს საკუთარ სიყვარულზე სიტყვაც არ დასცდენია, ისედაც ბედნიერი გახლდათ. დღისით, საგანელიძის ხელმძღვანელობით, ოპერაციის დეტალებს ეცნობოდა, რამდენიმე აუცილებელ ლოცვას სწავლობდა, საღამოთი კი ოლინკასთან საუბრით ირთობდა თავს.

– ახალ პიესაში დამაკავებს, ვერაფრით მოვირგე ავტორის ტექსტი, იქნებ დამეხმაროთ. – სთხოვა ოლინკამ სტუმარს და რამდენიმე ფურცელი გადაანოდა.

– მე? მე რით შემიძლია . . . ვეცდები . . . არ ვიცი . . . – ძლივს ამოთქვა ლეომ, თუმცა ფურცლები მაინც ჩამოართვა.

– ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა გადაუკეთებია ვინმე გერგესელს და პიესისთვის „ელეონორა“ დაურქმევია, მთავარი როლი მერგო, მაგრამ ვარჯიში მჭირდება, თქვენ ვახტანგი იქნებით, მამაჩემი, მე კი ელეონორა, თქვენი ქალიშვილი.

ლეო მიჯნურს დამორჩილდა, პიესის ტექსტს ჩახედა, დასაწყისს თვალი მიადევნა და კითხვა დაგუდული ხმით დაიწყო, რითაც ოლინკა დგებუაძის ღიმილი გამოიწვია.

„მოქმედება პირველი: ვახტანგის ოჯახის ერთი ოთახი. ძველ, ფეოდალურ გემოზე მონყობილი. სამი კარი. მარჯვნივ ელეონორას ოთახი, მარცხნივ ვახტანგის. ფარდის ახდისას მოისმის ელეონორას სიცილ-კისკისი. თავის ოთახიდან გამოდის ვახტანგი. ფანჯარაში იცქირება. ცოტა ხნის შემდეგ ცქირალოთ შემოირბენს ელეონორა.

ვახ: ალბათ კიდეც ნახე სასაცილო რამ . . . მასხრად აიგდებდი ვისმეს.

ელეონ: არა, მამა, უცხო არავინ, აი, ჩვენი კრეჭიაშვილი იყო, ბალის ქვემოთ ფერდობზე ვიჯექი. ის მოსულყო, როგორც სალოცავად გამზადებული ბერი, თავს დამდგომოდა და, თითქოს ხატი ვყოფილიყვე, ისე მლოცულობდა.

ვახ: მერე რა არის აქ სასაცილო!

ელეონ: შევაცქერდი, მასაც თვალეები გაუშტერდა, მერე თვალს ცრემლები მოადგა, მე სიცილი ვერ შევიკავე, დაუყვირე: ნადი კრეჭიაშვილო, კაკალი დამიკუხე მეთქი! ჩემი ბრძანება ბედნიერებად მიიჩნია, გაიქცა.

ვახ: მერე რა მოხდა?

ელ: ალბათ მეტისმეტი ალტაცებისგან გონება აებნა, ხის გადანაჭერს ფეხი წამოჰკრა და დაღმართზე თავქვე დაემო.

ვახ: კაცი დაიმტვრა და შენ კი იცინი, შვილო!

ელ: იცი, მამავ, როცა წამოდგა, სასაცილო შესახედავი იყო, გაბანჯგლული წვერ-ულვაში, დიდი თავი, ელამი თვალეებით გამოხედვა, წამდვილი სასაცილო სურათი იყო . . . კაკალი კი მაინც მომიტანა.

ვახ: ნუ დასცინებ, შვილო, ლევან კრეჭიაშვილი ჩვენი ოჯახის დიდი ერთგულია, სხვებიც გეყოფა დასაცინად.

ელ: მამავ ჩემო, ხვალ აუცილებელიც დიდი ღიზი უნდა გავმართოთ, ჩემი სილამაზის ყველა თავყვანისმცემელი დავპატივოთ. მე მინდა ვიმხიარულო, როცა ისინი ერთმანეთს ეცილებიან ცეკვაში, სიმღერაში, რომ მიზანს მიაღწიონ და ჩემი გული მოიგონ, ამ დროს სიხარულით ცას ვეცნევი.

ვახ: აბა, როდემდის უნდა ატარო ასე დრო, ერთხელაც იქნება ყველას გული გაუტყდება შენზე და, ვინ იცის, იქნება კარგი ბედიც დაკარგო.

ელ: როგორ მამავ?! გათხოვება?! არა, ეს არ მითხრა.

ვახ: მამ რას ფიქრობ, შვილო? ყველაფერს საზღვარი აქვს.

ელ: არა, მამავ, მე ჯერ ვიშლები, ჩემი ყმანვილური სიცელქე, ცოცხალი, განაზებული სიმშვენიერე და სიკეკლუცე ყმანვილ კაცებისთვის ჯერ კიდევ დიდხანს საოცნებო საგანი უნდა იყოს. ყველას, ვისაც სახელი, გვარი და შეძლება ხელს უწყობს, ენატრება ჩემი შეუღლება, მაგრამ ჩემი გული შემოზღუდულია ყინულით, რომელიც არც ერთი ვაჟკაცის მხურვალე სუნთქვას არ გაულხვია . . .“

ასე შემდეგ და ასე და ამგვარად.

ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ოლინკას ეს პიესა საგანგებოდ ჰქონდა შერჩეული, რათა შეყვარებული კიკაბიძე, რომლის ვითომდა დაფარულ გრძნობას კარგად ხედავდა, მეტად დაეტანჯა, რომ ისედაც აუტანელი სიცოცხლე კიდეც უფრო აუტანლად მოსჩვენებოდა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეს საქმე სხვაზე გაცილებით კარგად გამოსდიოდა. კიკაბიძე დნებოდა, სხვა საფიქრალს თავს ვერ უყრიდა და ოლინკას, უფრო კი საგანელიძეს, უხმოდ თუ მონურად ემორჩილებოდა.

სწორედ იმ დროს, როდესაც ოლინკა და ლეო პიესის კითხვით თავს ირთობდნენ და ფლირტსა შლიდნენ, თბილისში კიდეც ერთი ამბავი მოხდა, რომელსაც უცნაურს წამდვილად ვერ დაარქმევდა ადამიანი, რადგან ასეთი რაღაცები, როგორც სხვა ევროპულ ქალაქებში, ჩვენთანაც იშვიათად, მაგრამ მაინც ხდებოდა.

მეხუთე საპოლიციო უჩასტოკის მილიციელებმა, კობეშავიძემ და ირემაძემ, თავის სამოქმედო ტერიტორიაზე, მდინარე მტკვრის ნაპირზე, ხიდის ძირში ადამიანის მსგავსი რამ შენიშნეს, თუმცა ირგვლივ გამეფებული სიბნელის გამო აღნიშნული კარგად ვერ გაარჩიეს და ნაპირზე ჩასვლისგან, დროებით მაინც, თავი შეიკავეს. იმხანად თბილისის განათებას კიროჩნის ქუჩაზე განთავსებული ქალაქ განათების კანტორა ახორციელებდა ინჟინერ ვანაძის ხელმძღვანელობით. ისიცა და მისი მუშებიც თავს არ ზოგავდნენ, მაგრამ თბილისში რამდენიმე ადგილი მაინც რჩებოდა გაუნათებელი, კერძოდ, ხიდები და მასთან მიმდებარე ტერიტორია. კობეშავიძეცა და ირემაძეც ამ ადგილებს კარგად იცნობდნენ, რადგან ხუთიოდე წელი მაინც იქნებოდა, რაც ამ საქმეს უძღვებოდნენ. ისიც უნდა უთქვას, რომ მეხუთე უჩასტოკი არც ისე პატარა იყო, იწყებოდა ბოტანიკური ბაღიდან, ჩადიოდა ქვევით ხლებნიზე, ფეთხანის ქუჩაზე, იერუსალიმის ქუჩაზე, დახურულ დაღმართზე, გადიოდა მდინარე მტკვართან, აერთიანებდა სამ ხიდს და ასზე მეტ ქუჩასა თუ მოედანს. ადვილი მისახვედრია, ორი ადამიანი ამოედენა ქონებას თავს ვერ გაართმევდა, ამიტომაც პატარ-პატარა უბნებად ჰქონდათ დაყოფილი და მორიგეობასაც ამის მიხედვით აწესებდნენ. კობეშავიძეს და ირემაძეს ერთი ხიდის, ათიოდე ქუჩა-შესახვევის და იქ განთავსებული სახლ-ნაგებობების თვალთვალი ევალებოდათ. მილიციელები ნაპირზე ჩასვლას არ ჩქარობდნენ იმ იმედით, რომ მოვარდნილი წყალი მამაკაცის სხეულს მეექვსე უჩასტოკისკენ წაათრევდა, ანდა გათენდებოდა, მორიგეობა დასრულდებოდა და ეს ამბავიც მათი შემცვლელების თავსატეხი შეიქნებოდა, მაგრამ წყალი არ ჩქარობდა და გათენებასაც არ უჩანდა პირი. ამას ემატებოდა ისიც, რომ გამორიყული მამაკაცი რამდენიმე უსაქმურმა გამვლელმა შეამჩნია და მილიციელებს მოქმედება მოსთხოვა, რასაც კანონი ისედაც ავალდებდა. სხვა რაღა უნდა ექნათ და ორივენი მდინარის ნაპირზე ჩავიდნენ. მერე უცნობი მშრალზე გამოათრიეს და, როგორც წესი იყო, სასწრაფო დახმარება გამოიძახეს. ჟუკოვსკის ქუჩიდან სასწრაფოს მოსვლას კიდევ ნახევარი საათი დასჭირდა. გამოცხადნენ ექიმი მიხეილ ლოლობერიძე და მედდა ვერა უმანსკაია, რომლებმაც მამაკაცის



მხატვარი ნინო ზალიშვილი

სიკვდილი დაადასტურეს, სავარაუდოდ დახრჩობა, და რადგან მამაკაცს არანაირი პირადობის დამადასტურებელი საბუთი არ გააჩნდა, მისი საქალაქო მორგში გადაყვანის განკარგულება გასცეს.

მიუხედავად იმისა, რომ გარდაცვლილს გარეგნული დათვალერებით ძალადობის ნიშნები არ ეტყობოდა, საქმე მაინც აღიძრა. ახლა მთავარი მისი ამოცნობა იყო, რაც განახორციელა კიდევ დროებით გამოფხიზლებულმა მორგის მეთვალყურე ბრადიაგამ და დასძინა: ამ კაცის გვარ-სახელი მართალია არ ვიცი, მაგრამ დანამდვილებით შემიძლია განვაცხადო, რომ პროკურატურის თანამშრომელი უნდა იყოს, რადგან ერთი-ორჯერ აქაც მოსულა სხვადასხვა საქმესთან დაკავშირებით. ამის შემდეგ ძიებაში პროკურატურის თანამშრომლები ჩაერთვეს და მოკლე ხანში გარდაცვლილის ვინაობა დაადგინეს. იგი აღმოჩნდა პირველი უბნის პროკურორის თანაშემწე ლეო კიკაბიძე. ამ ფაქტმა პროკურატურასა და ზოგადად ქალაქში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, ძნელი ასახსნელი იყო ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე, შეიძლება ითქვას, თავის საქმეში წარმატებული კაცის ამგვარი სიკვდილი.

სოფელ ნაფარეულიდან უბედური დედა, ზინაიდა ზომბეთელი იხმეს. მან გარდაცვლილი შვილი ამოიცნო, თუმცა ამოცნობისას ორჯერ გონება დაჰკარგა და, რომ არა მორგში ამ საქმისთვის შემონახული ნიშნების მარაგი, ისიც, სავარაუდოდ, შვილის კვალს გაჰყვებოდა.

ამოცნობით კი ამოიცნო, მაგრამ იმაზე კი ვერაფერი თქვა, თუ რატომ გამოუტანა განაჩენი საკუთარ თავს ლეო კიკაბიძემ. ძიება თვითმკვლელობისკენ იხრებოდა, ამიტომაც ფორმალური მხარე მალევე მოგვარდა. ლეო კიკაბიძის ცხედარი ერთი დღით პროკურატურის სააქტო დარბაზში დაასვენეს, სადაც გაიმართა კიდევ სამოქალაქო პანაშვილი. ამის შემდეგ გარდაცვლილი მშობლიურ სოფელში გადაასვენეს და მამის გვერდით დაკრძალეს.

მიუხედავად ყველაფრისა, რადგან კანონი ავალდებდათ, მოკვლევა მაინც ჩაატარეს. ზერელედ, მაგრამ მაინც დაჰკითხეს თანამშრომლები, ახლობელ-მეგობრები, და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ კიკაბიძეს თავი მოუკლავს უიმედო სიყვარულის გამო, თუმცა ქალის ვინაობას ვერა-

ვინ ასახელებდა. ასე რომ, თვითმკვლევლობაზე შეთანხმდნენ, რაც თავისთავად რომანტიზმით გაჯერებული სევდიანი სევდიანი ამბავი კი იყო, მაგრამ კრიმინალს არ შეიცავდა.

თუმცა იყო სხვა ვერსიაც.

საქმე ისაა, რომ გამოკითხულთა შორის მოხვდა არსენ საგანელიძეც, როგორც პროკურორის ნაცნობი, რომელიც რამდენჯერმე ჰყავდათ შემჩნეული გარდაცვლილთან ერთად, როგორც ქუჩაში, ასევე ყველასთვის ცნობილ რესტორანში. არსენ საგანელიძე ამ ნაცნობობას არ უარყოფდა, პირიქით, მაღლიერიც კი გახლდათ გარდაცვლილისა სხვადასხვა მიზეზთა გამო და რესტორანში გამართული სადილიც სწორედ რომ ამის დასტურს წარმოადგენდა. ქართველი მწერლის სიტყვებით ისე გამოდიოდა, რომ პროკურორს შიშის თუ არა, ლელვის მიზეზი ნამდვილად ჰქონდა. მართალია, საპატრიარქოს თანხებთან დაკავშირებით გამოძიება დაწყებული ჯერ კიდევ არ იყო, მაგრამ ლეოს ამ საქმის გარშემო გარკვეული მოსაზრებები გააჩნდა, აკი ამბობდა კიდევ, მაგათგან ყველაფერია მოსალოდნელი. მოკლედ, ძიება ჩიხში შევიდა და მხოლოდ ჭორებით იკვებებოდა. თბილისელებს გულით უიმედო სიყვარულის ამბავი უფრო იტაცებდათ, მაგრამ ქალის დაუდგენლობის გამო გონებით მეორე, საპატრიარქოს ვერსიისკენ უფრო იხრებოდნენ. იყო მხოლოდ ლაპარაკი, ენის ქავილი და ჭორაობა, რომელიც, უნდა ითქვას, მალევე დასრულდა ახალმომხდარი მკვლევლობისა თუ თვითმკვლევლობის გამო, რომელსაც თითქოსდა ლეოს გარდაცვალებასთან საერთო არაფერი ჰქონდა, მაგრამ, თავისდაუნებურად მეორე, საპატრიარქოს ვერსიას ამყარებდა.

დადგა 26 აგვისტო.

გამოვიდა გაზეთები.

გაზეთის გამოსვლა, აბა, ვისღა უკვირდა ევროპულად მოწყობილ თბილისში, მაგრამ იქ აღწერილი ამბავი გასაოცრად მოჩანდა და, ერთის შეხედვით, მართლაც დაუჯერებელ საქმეს წარმოადგენდა. ყოველ მათგანში, დიდი ასოებით, სიტყვასიტყვით, სწორედ რომ ასე ეწერა:

„მარტყოფის ტრაგედია.

1918 წ თბილისის 26 მარტყოფის მონასტერში საზარელი საიდუმლო ამბავი მოხდა.

წინა დღით დასასვენებლად აბრძანებული სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი კირიონი ამ დილით თავის საწოლში ტყვიით გულ-განგმირული იხილეს.

ერთნი ამბობენ: ველარ აიტანა ზოგიერთ სამღვდელს პირთა გაიძვერობა – ქვებუდანობა და თვითონ მოიკლა თავიო, მეორენი – სხვამ მოკლაო. ზოგნი ფლანგია ბერებს აბრალევენ, რომელთაც ანგარიში მოსთხოვა, ზოგნი ჩვენი ერის მოძულეებს, ზოგნი თვით კირიონის მტერ-მოყვარეთ.

ვის ხელსაც არ უნდა ჩაედინა ეს საზარელი საქმე, მომხდარი ამბავი მაინც ჩვენი ერის ტრაგედიას მოწმობს. ჩვენი სულიერი და ხორციელი ყოფა – ცხოვრება განსაცდელშია, ჩაჰქრა ლამპარი, რომელიც ჯერ კიდევ რუსის ტყვეობის დროს, მრავალგზის ნანამები, საქართველოს უნათებდა და მონობაშიც მყოფ ქართველ ერს აღთქმული ქვეყნისკენ მოუწოდებდა; ჩაჰქრა ლამპარი, რომლის

მსგავსი იშვიათად აღინთება საუკუნიდან საუკუნეში! ეს იყო კაცი არა მხოლოდ ბერი – მღვდელ-მთავარი, არამედ უპირველეს ყოვლისა სამოქალაქო მოღვაწე, მოაზროვნე, მეისტორიე, დიდი მამულიშვილი, ამას მოწმობს მისი შრომანი და მონამებრივი ცხოვრება-მოღვაწეობა.

ფრიად სამწუხაროა ასეთი დანაკლისი: თუ გარეშე მტერთ მოუსპეს მას სიცოცხლე, ვაი მათ, რამეთუ მსხვერპლი ესე უნაყოფოდ არ ჩაივლის მტერთავე საგმირავად, ხოლო თუ ვინმე ჩვენიანმა შეიმალა თვისი ბინძური ხელი დიდად ნაამაგარ ადამიანზე, ვაი ჩვენ სულიერ დაცემას!

ერთიკი ცხადია: საქართველო მხოლოდ დიდი სისხლის შეწირვით აღსდგებოდა ხოლმე წარსულში და დღესაც ასეა: დიმიტრი ყიფიანის თავის გაჩეხვას მოჰყვა ქართველთა თვით შეგნება, ილია ჭავჭავაძის შუბლის განგმირვას-საქართველოს დაქსაქსულ მამულიშვილურ აზროვნების განმტკიცება, ხოლო სულიერი მამის, კირიონის იდუმალი ტყვიით განგმირვას უნდა მოჰყვეს ჩვენი ერის სულიერად განპეტაკება და ზნეობრივად ამაღლება. თუ ეს მოხდა, და მნამს რომ მოხდება, მაშინ არც კირიონის უდროოდ დაკარგვა დაგვცემს.

ხსოვნა მისი მარადის ნეტარი იქნება და ქართველთა მეხსიერებაში იშუქებს!“

ავტორი ერთ რამეში მართალი გახლდათ.

მართლაც მძიმე ცხოვრება ჰქონია კირიონს, ერისკაცობაში გიორგი საძაგლიშვილს, ბედმა მისთვის არც გამოცდა დაიშურა, არც განსაცდელი და არც საფიქრალ-სადარდებელი. განათლებაც კარგი მიუღია, მეცნიერიც იყო და საზოგადო მოღვაწეც, წერდა ივერიელისა და ნიქოზელის ფსევდონიმებით, თარგმნიდა, იკვლევდა, ასწავლიდა, არქივს ადგენდა, რომელიც მოგვიანებით გადასცა კიდევ საქართველოს საისტორიო – საეთნოგრაფიო საზოგადოებას. ბერად შვილებისა და მეუღლის გარდაცვალების შემდეგ აღკვეცილა და ღვთიური გზიდან ერთხელაც არ გადაუხვევია.

მეორე რამეში კი სცდებოდა.

ჩვენი ერი არც სულიერად განსპეტაკდა და არც ზნეობრივად ამაღლდა. პირიქით, თუ კარგად დააკვირდებით, სულ უკან – უკან წავიდა, რაც დაამტკიცა კიდევ შემდგომმა წლებმა და ქართველი მწერლის გამხელილმა საიდუმლომ, რომელიც, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, მთელი ქართველი ერისთვის კარგა ხანია ცნობილი ყოფილა. რას იზამ, გვიჭირს ქართველებს საიდუმლოს შენახვა.

მაგრამ ეს მერე იქნება, მანამდე კი საზოგადოება ჯერ კიდევ ღელავდა და აღნიშნული საქმის სასწრაფო გამოძიებას ითხოვდა. ცხედარი გაცივებულიც არ იყო, როდესაც მარტყოფის მონასტერში განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი შალვა მიქელაძე ავიდა თანმხლებ პირებთან ერთად. შესწავლილ იქნა ოთახი, სადაც გარდაიცვალა კიდევ პატრიარქი, ნაპოვნი იქნა ბრაუნინგის იარაღიც, რომელიც ლოგინის გვერდით, სკამზე იდო, რაც თვითმკვლელობის ვერსიას თავიდანვე საეჭვოს ხდიდა. ისე გამოდიოდა, თითქოს პატრიარქს ჯერ ტყვია დაეხალა, შემდეგ იარაღი თავადვე დაედო სასთუმალთან. მოვლენათა ასეთი განვითარება გონიერებისა და ადამიანის შესაძლებლობის ზღვარს სცილდებოდა, ეს კი ბერისთვისაც და

ერისთვისაც ნათელზე ნათელი იყო. სიმართლე მალე გამოიკვამ, იგულისხმება იარაღის ადგილმდებარეობა. დაკითხულმა მღვდელმა, მამა იობმა, ერისკაცობაში ჯუანშერ ჭიაბერაშვილმა, რომელიც მიზეზთა და მიზეზთა გამო ადვილი მისახვედრია, რომ ტყუილს არ იკადრებდა, გამოძიებლის თანდასწრებით დაადასტურა შემდეგი: იქნებოდა საათის ორი, იგი თავის ოთახში იმყოფებოდა, პატრიარქის მოსასვენებელთან ახლოს და ძილ-ღვიძილში მყოფი თვალის მილულვას ღამობდა. სწორედ ამ დროს გაისმა გასროლის ხმა, რომელიც თავიდანვე მამაოს სრულიადაც არ მოეჩვენა როგორც გასროლის ხმა, არამედ მიახლოება რაიმე მძიმე ნივთის დაცემას, თუმცა მაინც წამოდგა და პატრიარქის ოთახისკენ გაემართა. კარი კრძალვით შეაღო, ჯერ დაბალი ხმით დაუძახა, ხმა არავინ გასცა, ალბათ ძინავსო, გაიფიქრა და უკან გაბრუნებას აპირებდა, მითუმეტეს, რომ ოთახში, ერთი თვალის შევლებით, სინყნარე სუფევდა, მაგრამ ღვთიურმა ძალამ უბიძგა და ლოგინთან მიიყვანა, მხოლოდ მაშინ მიხვდა რაშიც იყო საქმე, პატრიარქს იარაღი ხელში ჩაებლუჯა, გულისპირი სისხლით ჰქონდა მოთხვრილი, მამაო იობმა იარაღი გამოჰგლიჯა და მოისროლა თუ სკამზე დადო, ალღევებისგან კარგად აღარ ახსოვდა, შემდეგ კი პატრიარქის გადარჩენა სცადა, თუმცა კი ამაოდ.

დაახლოებით იგივე დაადასტურეს სხვებმაც, ოღონდაც იმ განსხვავებით, რომ მათი მტკიცებით ოთახში შესულელებს მამაო იობი დახვდათ, რომელსაც ხელები სისხლში ჰქონდა მოთხვრილი. თავის მხრივ, მამაოსაც მოეძებნებოდა ამის ახსნა და ამტკიცებდა, რომ სისხლით მაშინ დაისვარა, როდესაც პატრიარქის გადარჩენას ცდილობდა. კაცი რომ დაფიქრდეს, სიმართლის მარცვალი ამ მსჯელობაშიც მოინახებოდა.

საინტერესო იყო იარაღის ამბავიც. ერთნი ამტკიცებდნენ, იარაღის შესახებ არაფერი გვსმენია და თვალთაც არასოდეს გვინახავსო. მეორენი გაიძახოდნენ, გაგებულნი კი გვქონდა პატრიარქის იარაღის შესახებ, მაგრამ ჩვენთან არ გამოუჩენიაო. მხოლოდ იობი ამტკიცებდა, იარაღი რომ ჰქონდა, ვიცოდი, რამდენჯერმე ვნახე და ხელიც კი შევაველე, ერთხელ შევებდე და ვუთხარი, თქვენო უწმინდესობავ, ეს ეშმაკის მანქანა რა თქვენი საკადრისია, რაში გჭირდებათ მეთქი? აგრე მიპასუხა, ვიცი, მაგრამ სიტყვამ ძალა დაჰკარგა, ლოცვა-კურთხევის აღარავის ესმის, ახლა ეს რკინის ნაჭერი ლაპარაკობსო.

ნამდვილად საკვირველი საქმეა, მაგრამ კაცია და გუნება, გაიფიქრა განსაკუთრებულ საქმეთა გამოძიებელმა შალვა მიქელაძემ.

მამა იობის სიტყვებში ეჭვის შეტანა ჭირდა, რადგან ყველას მოეხსენებოდა, რომ მამაო პატრიარქთან დაახლოებულ პირად ითვლებოდა. მეორეს მხრივ, ყველა ერთხმად აღნიშნავდა იობის უცნაურ ქცევას, განსაკუთრებით ბოლო ორი დღის განმავლობაში. წინა დღით ცქმუტავდა, შემფოთებული ჩანდა და ლოცვის მაგივრად გაურკვეველ სიტყვებს ლულულულებდა, მაგრამ დიდად ამისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ და მოგვიანებით წინათგრძნობად ჩათვალეს. მერე იყო და სულ აირია, წესი და რიგი დაივიწყა, თითქოს სასულიერო პირი არც ყოფილიყო, მაგრამ ყურადღება არც ამისთვის მიუქცევიათ და

ყოველივე სულიერ აღღევებს მიაწერეს, ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, გარდაცვლილ პატრიარქს პირველმა შეავლო თვალი. ასეა თუ ისე, დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა ყველას ჰქონდა, თუმცა მოტივი გაურკვეველი გახლდათ და, რადგანაც გამოძიებელს გამოცდილებისა თუ ინტუიციის გამო, თვითმკვლელობის არ სჯეროდა, ახლართულ საქმეში გარკვევა მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი. იმავდროულად ისიც კარგად ესმოდა, რომ ძველებური მეთოდი თუ ჩვევა, იგულისხმება დაშინება და მისთანები, აქ აღარ გამოადგებოდა, ანაფორიან დამნაშავეებთან ჰქონდა საქმე და, საზოგადოების გულისწყრომა რომ არ გამოეწვია, ფრთხილად უნდა ემოქმედა. განსაკუთრებულ საქმეთა გამოძიებელმა ისლა მოახერხა, რომ მონასტერში სადარაჯოდ სამი მილიციელი დატოვა, ერთი თვით შენობაში, ხოლო ორი მიმდებარე ტერიტორიაზე, ვეთისმსახურებს კი სთხოვა, მონასტრის დატოვებისგან, რამდენიმე დღით მაინც, თავი შეეკავებინათ. მოკლედ, როგორც ყველა რთული საქმე, ესეც დადინჯებასა და დროს მოითხოვდა.

რა გაცვეთილადაც უნდა ჟღერდეს, დრო მართლაც სწრაფად მიდიოდა.

მიდიოდა და იარებსაც ჰკურნავდა.

პატრიარქი მინას მიაბარეს.

ქვეყანას წინ მნიშვნელოვანი საქმეები ელოდა. სიახლე ყოველ ახალ დღეს მოჰქონდა და ტრაგიკული შემთხვევა უფრო ადრე იმოსებოდა ხავსით, ვიდრე მოსალოდნელი იყო.

გვამცნობდნენ: სანგანიძემ დაამზადა ცნობილ გერმანელ პროფესორის პირსთორფის ლექცია – ქალთა შრომა და ქალთა საკითხი. ლექცია შემოკლებულია და შეიცავს რვეულის 50 სავესე გვერდს. თუ ვინმე იკისრებს ამ ნაშრომის გამოცემას, სანგანიძე დაუთმობს ხელმისაწვდენ საფასურში და ფრიად შეღავათიან პირობით, თვითონ კი იკისრებს წიგნის კორექტურას.

გვატყობინებდნენ : შევარდენთა სალამომ-ტანვარჯიშობამ სახელმწიფო თეატრში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია და ყველა უზომო მადლობას უძღვნიდა ამა საქმის მეთაურ-მონაწილეთ. ყმანცილების, ქალების და ვაჟთა ვარჯიშობა, თითქოს ერთი მეორეს სჭარბობდა. იღვიძებს ძველი ასპარეზობა, სხეულის ვარჯიშობა, განვითარება, რასაც სულიერი განვითარებაც მოჰყვება.

გვიმხელდნენ : ახალი ჟურნალები მოველინა ჩვენს მნიგნობრობას. ერთი მუსიკალური, იოსებ ასლანიკაშვილის რედაქტორობით, გამოდის ქუთაისში. მეორე სალიტერატურო-სამეცნიერო, კოლეგიის რედაქტორობით გამოდის თბილისში. ორივე არაჩვეულებრივი გამოცემაა, რჩეული მასალით და სურათებით შემკული. ბეჭდვითი საქმის გაძნელების დროში ასეთი გამოცემანი საამო მოვლენაა და ჩვენი მწერლობის უეჭველი განძია. პირველი ღირს თუმანი, მეორე – 25 მან. თითო ნომერი.

შორიდანაც გვითვლიან: ოთხასი წელი შესრულებულა ლეონარდო და ვინჩის გარდაცვალებიდან. ხელოვნებაში არ დარჩა არც ერთი დარგი, რომ მის ნიჭს არ გაებრწყინოს, განსაკუთრებით კი მხატვრულმა შემოქმედებამ უკვდავყო იგი. ცხოვრების სიღამაზე მან ცოცხლად გადაიტანა ტილოზე. სამხატვრო ხელოვნება უმაღლეს ნერტი-

ლამდე აიყვანა. დღევანდელ ხელოვნების ნგრევის ხანაში მარად მოსაგონებელია მისი სახელი.

ცხოვრება, როგორც სჩვევია, წინ მიიწევდა.

იყვინენ სხვებიც, რომლებიც ამტკიცებდნენ, წინ კი არა, უკან-უკან მივექანებითო. იყო ერთი ჩხუბი, კამათი და დავიდარაბა, რა თქმა უნდა, ამ ორ მხარეს შორის, თუმცა ერთ რამეზე ორივენი თანხმდებოდნენ, ქვეყანაში მოძრაობა ნამდვილად შეინიშნებოდა, რადგან წინ სვლა-საც და უკან დაბრუნებასაც ნაბიჯის გადადგმა თუ არა, გატოკება მაინც სჭირდებოდა.

მოკლედ ერი ნათლდებოდა. ამ ერის შვილი გახლდათ განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი, შალვა მიქელაძე, რომელიც გვარიანად გაკვირვებული, მეტად კი შეშინებული დარჩენილა, როდესაც ზემდგომმა, სტოლონა-ჩალნიკმა, რიზა-ყული ახუნდოვმა სასწრაფოდ თავისთან იხმო და მოულოდნელი ამბავი აცნობა : ანაფორაში შემოსილი საქართველოს მოქალაქე, სავარაუდოდ, სასულიერო პირი, გამომძიებელთან შეხვედრას ითხოვდა, რათა მისთვის მნიშვნელოვანი რამ ეცნობებინა. იმავდროულად, აღნიშნული მოქალაქე დაჟინებით ამტკიცებდა, რომ ბრძანდებოდა პირველი უბნის პროკურორის თანაშემწე, ლეო კიკაბიძე. სტოლონაჩალნიკი თავიდანვე მიმხვდარა და მოქალაქის ჯანმრთელობის მდგომარეობით დაინტერესებულა. მოქალაქეს ეს ამბავი გულთან ახლოს მიუტანია, პირად შეურაცხყოფად მიუღია, სწყენია და ახუნდოვს ჩვილით დამუქრებია. ამიტომაც ახუნდოვი მიქელაძეს სთხოვდა, როგორმე უხმაურად მოეგვარებინა აღნიშნული ინციდენტი, მოქალაქეს გასაუბრებოდა, პატრონისთვის ანდა საპატრიარქოსთვის ჩაებარებინა, ვიდრე ჟურნალისტები ყველაფერს შეიტყობდნენ და, როგორც სჩვევიათ, ყოველივეს ქვეყნის სალაპარაკოდ გახდიდნენ.

მიქელაძე უარეს ელოდა, შემონმებას და მისთანებს, შვებით ამოისუნთქა და საკითხის მოგვარების პირობა დასდო. ათიოდე წუთს როგორმე გაძლებდა, რაც უნდა იყოს, უფროსის დავალებას ასრულებდა და მისი გამოცდილება-დაანგარიშებით ამ საუბარს მეტი დრო არ უნდა დაეჭირა.

თუმცა მწარედ ცდებოდა.

წარმოიდგინეთ მისი გაცემა, როდესაც უცნობი მოქალაქის მაგივრად ხელში ანაფორით შემოსილი მამა იობი შერჩა.

შეხვედრა შედგა მიქელაძის სამუშაო ოთახში. საუბარს დასწრებია მიქელაძის თანაშემწე, პისარი იშხნელი. გამომძიებელს, ყოველი შემთხვევისათვის, ძირითადად აღრიცხვიანობისა და უფროსების საჩვენებლად, ამავე დროს იობის დაჟინებული მოთხოვნით, პროტოკოლი შეუდგენია, რომელსაც სწერდა კიდევ იშხნელი საკუთარი ლამაზი კალიგრაფიით, რითაც ცნობილი ყოფილა მთელს თბილისში. მოგვიანებით, ვიდაცის მზრუნველ ხელს ეს პროტოკოლი სათუთად შეუნახავს, თუმცაღა იმ დღის შემდეგ აღარავის დასჭირვებია და აღარც შიგ ჩაუხედავს ვინმეს.

არადა, ცალი თვალი მაინც რომ ჩაეკრა, ბევრ საინტერესო რამეს ამოიკითხავდა და, ვინ იცის, იქნებ ჩვენი საქმე ანდა ბედი სულ სხვაგვარად შეტრიალებულიყო.

მაგიდის ერთ მხარეს მიქელაძე იჯდა, მეორე მხარეს მამა იობი, რომელიც გამომძიებელმა, როგორც უკვე ითქვა, წამსვე იცნო, თუმცა, გამომძიებლის ინტერესებიდან გამომდინარე, ამის გამოხატვისგან, დროებით მაინც, თავი შეიკავა.

მივეყვით პროტოკოლს.

მიქელაძე: თქვენი სახელი და გვარი?

იობი: ლეო კიკაბიძე, დაბადებული სოფელ ნაფარეულში, ოცდაშვიდი წლის, მართლმადიდებელი, პირველი უბნის პროკურორის თანაშემწე.

მიქელაძე: მამ ეს ანაფორა რად ჩაგიცვიათ?

იობი: ამჟამად მარტყოფის მონასტერში ვმოღვაწეობ და იქ მიცნობენ, როგორც მამა იობს.

მიქელაძე: თქვენი სიტყვებით ისე გამოდის, რომ ორი ადამიანი ყოფილხართ.

იობი: არა, ადამიანი ერთი ვარ, როგორც უკვე მოგახსენეთ, ანაფორა კი საქმეს სჭირდებოდა.

მიქელაძე: რომელ საქმეს?! ემალებით ვინმეს?!

იობი : საქვეყნო საქმეს, ახალი საქართველოს შენებას.

მიქელაძე : დღეს ყველა ეგრე იძახის.

იობი: სხვა თუ იძახის და ენას იქავებს, მე მოქმედებას ვარ ჩვეული.

მიქელაძე: მაინც რა წვლილი შეიტანეთ ამ, ახალი ქვეყნის შენებაში?

იობი: წურბელა მოვაცილე მშრომელ ხალხს, პატრიარქი მე მოვკალი და არც ვნანობ ამას, გული მხოლოდ იმაზე მწყდება, რომ მწარედ მომატყუეს.

ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რა გრძნობა დაეუფლებოდა გამომძიებელ მიქელაძეს. დღეს უკვე ძნელი სათქმელია, რამდენად ეკლესიურ ცხოვრებას ეწეოდა გამომძიებელი, ამ შემთხვევას მხოლოდ კრიმინალის გამოვლინებად თვლიდა თუ, როგორც ერის სულიერი მამის მკვლელს, დამნაშავეს მორალურ პასუხისმგებლობასაც აკისრებდა, მაგრამ ერთის თქმა თითქმის ასიოდე წლის შემდეგაც დანამდვილებით შეიძლება: იობი-კიკაბიძის ეს აღსარება, სულ ცოტა, მასში გაკვირვებას გამოიწვევდა. მოკლედ, სახტად დარჩაო, რომ იტყვიან, მიქელაძეზე გახლდათ ნათქვამი, თუმცა პროტოკოლის მშრალი ენა ამ გაკვირვების ვერც ხარისხს გამოხატავდა და ვერც ზომა-წონას.

მიქელაძე: მაშინ ის მითხარით, რატომ მოჰკალით, ზიარება არ მოგცათ თუ აღსარებაზე გითხრათ უარი?

გამომძიებლის ამ სიტყვებიდან მხოლოდ ერთი აზრის გამოტანა შეიძლებოდა: მიქელაძე მამაოს, სულ ცოტა, ახირებულ კაცად მიიჩნევდა, თუმცაღა ამის იქით გამომძიებელი აღარ მიდიოდა, რადგან, როგორც გახსოვთ, სამედიცინო განათლება მიღებული არ ჰქონდა, მაგრამ იმდენს კი ხვდებოდა, მამაოს ნათქვამი სათვალავში არ ჩაეგდო.

აღბათ მამაოც ხვდებოდა გამომძიებლის ამგვარ დამოკიდებულებას, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, უკან დახევას მაინც არ აპირებდა, რაზეც მეტყველებდა კიდევ მისი შემდგომი პასუხი.

იობი: იმიტომ მოვკალი, რომ ხალხს ატყუებდა, სამოთხე – ჯოჯოხეთის ადგილებს ანაწილებდა.

მიქელაძე: ეგენი მაგ ადგილებს ორი ათასი წელია ანაწილებენ, ეგ რა მიზეზია?

იობი: ეგ იმის ბრალია, რომ სიბნელეში გვამყოფებენ, ხალხს ატყუებენ და მონობის ფასად არარსებულ ადგილებს ჰპირდებიან, რახანია, ადგილი აღარც ჯოჯოხეთშია და აღარც სამოთხეში.

ამის შემდეგ, მიქელაძე კიდევ ერთხელ ჩუმდება და შიშნარევი ხმით მხოლოდ ერთი სიტყვის თქმას ახერხებს.

მიქელაძე: დიდი ხანია?

იობი: უხსოვარი დროიდან.

მიქელაძე: ეგ ამბავი როგორღა დაადგინეთ?

იობი: საიდუმლო უფრო ეთქმის, ვიდრე ამბავი . . . არსენ საგანელიძემ გამიმხილა.

მიქელაძე: მწერალმა?

იობი: კი, ბატონო.

მიქელაძე: რომელიმე ნაწარმოებში ამოიკითხავდით.

იობი: არა, პირადად მითხრა საკუთარ სახლში.

მიქელაძე: დიდი ხანია იცნობთ ხსენებულ პიროვნებას?

იობი: იქნება ასე სამი თვე.

მიქელაძე: როგორ გაიცანით?

იობი: მაშინ პროკურორის თანაშემწე ვიყავი და პონჩიკით მონამვლის საქმეს ვიძიებდი. პონჩიკი დამზადდა საგანელიძის საკონდიტროში. შესწავლა-გამოძიებით მონამვლის ფაქტი არ დადასტურდა. ამის შემდეგ საგანელიძეებმა, მაღლიერების ნიშნად, სადილი გამიმართეს, სწორედ მაშინ შედგა ჩვენი საუბარი.

მიქელაძე: თქვენი ლაპარაკით ისე გამოდის, რომ მწერალმა, ჩვენი ერის სიქადულმა, არსენ საგანელიძემ პატრიარქის მოკვლა დაგვავალა?

იობი: პირდაპირ არ დაუვალეებია, მაგრამ თავისი ლაპარაკით თვალი ამიხილა, თავიდან არც მე მჯეროდა, მაგრამ სხვებზე ჩაერივნენ და დამარწმუნეს.

მიქელაძე: სხვები?

იობი: საგანელიძის თანამოაზრენი, ლეონტი არსენიძე, იგივე ბრადიაგა, და ოლინკა დგებუაძე, მსახიობი.

მიქელაძე: ეს ბრადიაგა ვინლაა?

იობი: თბილისის მორგის მეთვალყურე

მიქელაძე: საერთო დანაშაულით გაერთიანებულ ჯგუფთან გვექონია საქმე, მოკლედ, ბანდასთან.

იობი: იურიდიულად ასეა.

მიქელაძე: მაინც რაო ამ ბრადიაგამ?

ამის შემდეგ პროტოკოლში იწყებოდა იობისა თუ კიკაბიძის გრძელი მონოლოგი, სადაც იგი ზუსტად იხსენებდა ბრადიაგასთან მისვლის დროსა და საუბრის შინაარსს, რომელიც ადამიანთა მოდგმის გაჩენას, გეოგრაფია-ისტორიას, სულთა დათვლა-დაანგარიშებას და სამღვდელოების ორპირობას ეხებოდა. თუ პისარის გაკრული ხელით ვიმსჯელებთ, რაც იმხნელს იშვიათად, მხოლოდ ძლიერი სულიერი აღელვების დროს ემართებოდა ხოლმე, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა გრძნობის შემოტევას განიცდიდა მთელ ქალაქში სახელმწიფოვეჭილი პისარი.

მიქელაძე: გვარიანად ნასწავლი მორგის ხელქვეითი კი ჰყოლია ჩვენს ქალაქს.

იობი: მართალს ბრძანებთ, მანთაშოვის სასწავლებელში ყმანვილებს ამეცადინებდა, პაპეჩიტელსკი სავეტს სწორედ რომ ბუნტოვნიკური აზრებისთვის დაუთხოვინია.

მიქელაძე: მსახიობი?

იობი: დგებუაძის ბინაზე მმაღავდნენ სამი დღის განმავლობაში.

მიქელაძე: რატომ გმაღავდნენ?

იობი: საქმეს ასე სჭირდებოდა . . . აქციის დეტალებს მაცნობდნენ, საღამოობით კი პიესებს ვკითხულობდით.

მიქელაძე: მამ პატრიარქი თქვენ მოჰკალით?

იობი: დიახ, მე!

მიქელაძე: პირველი უბნის პროკურორის თანაშემწემ, ლეო კიკაბიძემ?!

იობი: დიახ, ლეო კიკაბიძემ, ოღონდაც იობის ანაფორაში გამოწყობილმა.

მიქელაძე: კეთილი . . . იმაზე რაღას იტყვი, რომ ლეო კიკაბიძე გარდაცვლილი იპოვნეს ამ სამი დღის წინათ მეტეხის ხიდის ქვეშ, გარდა ამისა, ცხედარი ამოცნობილ იქნა თანამშრომლებისა და გარდაცვლილის დედის, ზინაიდა ზომლეთელის, მიერ და ამჟამად განისვენებს სოფელ ნაფარეულში ადგილობრივ სასაფლაოზე, რის გამოც საქმე ძიებიდან ამოღებულა.

სავარაუდოდ, საკუთარი დედის ხსენება ყველა ადამიანს, მათ შორის იობ-კიკაბიძესაც შეაშფოთებდა, მაგრამ არა იმდენად, რომ ერთხელ ამორჩეული მტკიცე გეზიდან ოდნავ მაინც გადაეხვია.

იობი: აქციის მიზანი, სხვა ყველაფერთან ერთად, იმაშიც მდგომარეობდა, რომ ძიების მიმართულებაში არეულობა შეეტანა.

იობ-კიკაბიძემ ანაფორის გულისპირში ხელი ჩაჰყო, სადაც სავარაუდოდ, როგორც ადამიანებს ჩვევად აქვთ, ჯიბე უნდა ყოფილიყო. ალბათ ყველაფერი ზუსტად ასე, ანდა დაახლოებით ასე იქნებოდა, რადგან პისარ იმხნელის ხელით შედგენილ პროტოკოლში ამგვარი ჩანაწერი ჩნდება: მოქალაქემ გამოძიებულ მიქელაძეს გადასცა სურათი.

მიქელაძე: ეს რა სურათია?

იობი: ჩემი სურათი გახლავთ.

მიქელაძე: მაგას მეც ვხედავ, საქმესთან რა კავშირში უნდა იყოს?

იობი: სამსახურში მიღებისთანავე გადამიღეს, უკანა მხარეს გარკვევით წერია ყოველივე.

მიქელაძე, რა თქმა უნდა, სურათს გადმოატრიალებდა და ქართულ-რუსულად ასეთ წარწერას წააწყდებოდა: პირველი უბნის პროკურორის თანაშემწე, ლეო პლატონის ძე კიკაბიძე. სურათს პროკურატურის ბეჭედი ამშვენებდა და ხელს აწერდა აღნიშნული სამსახურის კადრების უფროსი ველიამინ ფომინ-ოსიპოვი.

მიქელაძე: ამით რისი თქმა გნებავთ?

იობი: იმისი, რომ იობის მაგივრად შევიპარე მონასტერში, ხოლო ნამდვილი მამაო, როგორც კიკაბიძე, მოჰკლეს და ხიდის ქვეშ დააგდეს, ვითომდა უიმედო შეყვარებულნი.

მიქელაძე: ბერები ვერაფერს მიხვდნენ?

იობი: რას მიხვდებოდნენ, ხომ ნახეთ, ტყუპისცალებით ვგავდით ერთმანეთს.

მიქელაძე: ლოცვა? სხვადასხვა ღვთისმსახურება? ვერც მაშინ შეგამჩნიეს?

იობი: ცოტა რამ დგებუაძის ბინაზე შევისწავლე, სხვა დროს ავადმყოფობა მოვიმიზეზე, სულ ერთი დღე უნდა

გამეძლო, აქციის დასრულების შემდეგ იქაურობა უნდა მიმეტოვებინა და გარეთ გამოვსულიყავი, იქ საგანელიძის კაცი დამხვდებოდა.

მიქელაძე: იცნობდით იმ კაცს?

იობი: არა, მხოლოდ ის ვიცი, რომ ცალხელა უნდა ყოფილიყო.

მიქელაძე: არ გამოცხადდა?

იობი: არ ვიცი, გარეთ ველარ გამოვედი, ყველამ გაიღვიძა, იქაურობის მოტოვება სახიფათო შეიქნა, წამსვე ჩემზე მიიტანდნენ ეჭვს, მერე მილიციაც მოვიდა და დარაჯები დაგვიყენეს.

გადარჩენილი უნდა იყოს, თუ, რა თქმა უნა, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მოხდა, ამასაც დანაშაულის გარეშე გამოსჭრიდნენ ყელს, ოღონდ ამჯერად არა როგორც კიკაბიძეს, არამედ, როგორც მამა იობს – სავარაუდოდ ასე გაიფიქრა განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელმა შალვა მიქელაძემ.

მიქელაძე: მამ თქვენ ხელს საგანელიძეს ადებთ?

იობი: ეგრეა . . . მისი შვილიც ესწრებოდა ერთ საუბარს, მაგრამ არაფერში ჩარეულა, თუმცა მამას კი ეთანხმებოდა . . . კიდევ მსახიობი დგებუაძე, ისიც გარეულია ამ საქმეში.

მიქელაძე: სახლი თუ გახსოვთ ამ დგებუაძის?

იობი: არ მახსოვს, ღამე იყო, თანაც ლაპარაკით გამართო, მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია, მტკვრის იქით უნდა იყოს, ხიდი გადავიარეთ.

მიქელაძე: რომელი?

იობი: მუხრანისა.

მიქელაძე: ის მაინც თუ გახსოვთ, როგორ მოჰკალით პატრიარქი?

იობი: ოთახში შევიპარე, მძინარეს დავადექი თავს, ზურგზე იწვა, ერთხანს ვაკვირდებოდი, დრო მინდოდა შემერჩია, მერე პირზე ხელი დავაფარე, მარჯვენა გვერდზე ჩავაბრუნე, სროლის ხმა რომ ნაკლები ყოფილიყო და მიჯრით ვესროლე.

მიქელაძე: რომელი იარაღით ესროლეთ?

იობი: ბრაუნინგით, რომელიც დგებუაძემ გადმომცა, ეჭვად მაქვს, ეს ბრაუნინგი ნეფარიძის ბინიდან უნდა იყოს წალბებული სხვა ნივთებთან ერთად.

ნეფარიძის ბინის გაქურდვის ამბავი მიქელაძესაც ჰქონდა გაგონილი, თუმცა ისიც კარგად იცოდა, რომ საქმე დღემდე გაუხსნელი რჩებოდა. ამის შემდეგ ეჭვმიტანილი დანაშაულის ისეთ დეტალებს იხსენებდა, რომელიც მხოლოდ დამნაშავისა და საქმის გამომძიებლისთვის უნდა ყოფილიყო ცნობილი, რადგან, მილიციის მითითებით, გარკვეული ცნობები ყურნალ-გაზეთებისთვის არავის გადაუცია. მიქელაძისთვის ნათელი შეიქნა, რომ იობი კიკაბიძე, რამდენიმე დღით მაინც, უნდა დაეკავებინა, ვიდრე რალაც-რალაცებს შეამონებდა.

მიქელაძე: საგანელიძე დაგპირდათ რამეს?

იობი: გვარიან გასამრჯელოს და მთავარი პროკურორის ადგილს ნამდვილად განახლებულ საქართველოში.

მიქელაძე: თუ ეგრე ნანობდით, მაშინვე რატომ არ განაცხადეთ?

იობი: ვინ თქვა, რომ ვნანობ, მწარედ მომატყუეს და ის მანუხებს. მიმაგდეს, ხელი არ გამიმართეს, აღარც გასამ-

რჯელო მალირსეს, თანაც მე რომ სამოთხე-ჯოჯოხეთის ადგილები შევსებული მეგონა, ეგ ადგილები საერთოდ არ ყოფილა და არც ღმერთი არსებულა ამ ქვეყნად.

მიქელაძე: ეგ რამ გაფიქრებინათ?

იობი: სამღვდელო პირთა საუბრებმა, მარტო რომ რჩებიან . . .

ამის შემდეგ პროტოკოლში ჩნდება ჩანანერი : დაკითხვა შეწყდა ეჭვმიტანილის მოთხოვნით, რომელმაც უძილობა და დალილობა მოიყვანა მიზეზად.

მიქელაძე იძულებული შეიქნა იობი-კიკაბიძე წინასწარი დაკავების საკანში გადაეყვანა ვორონცოვის ციხეში, რომელიც მდებარეობდა თითქმის თბილისის გულში, ისევე და ისევე ვორონცოვის ქუჩაზე, თვითონ კი გარკვეული ფაქტების შესწავლა-შემონებებს შეუდგა, ოღონდ ყველასგან მალულად, რაზეც გააფრთხილა კიდევ პისარი იშხნელი. მართალია, ეს ყველაფერი უტოპიას, ანუ განუხორციელებელს ჰგავდა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ადრე თუ გვიან ყველა უტოპიას აღსრულება უნერია, ეს ამბავიც დაუჯერებლად აღარ მოეჩვენება ადამიანს.

მიქელაძემ, უპირველეს ყოვლისა, არსენ საგანელიძე მოინახულა, რომელმაც, როგორც ადრე, ამჯერადაც დაადასტურა კიკაბიძესთან ნაცნობობა, კეთილი სიტყვითაც მოიხსენია საბრალო ლეო, თუმცა სხვა ყველაფერი კატეგორიულად იუარა და ნაწყენიც კი დარჩა, ხოლო სულიერად აშლილი ბერი გულით შეიცოდა. ნაცნობობა კონდიტერმაც დაადასტურა და ის ოჯახური საილიც მოიგონა, რომელზეც კიკაბიძე ჰყავდათ მიპატიჟებული, ხოლო ოლინკა დგებუაძესთან ახლოობას ორივენი კატეგორიულად უარყოფდნენ. თვით მსახიობი დგებუაძე არსად ჩანდა, დასი დაშლილიყო, მისი გვარსახელი კი სცენიური ფსევდონიმი აღმოჩნდა, რომელიც იმხანად მთელს სახელოვნებო სამყაროში გავრცელებულიც იყო და აუცილებლობასაც წარმოადგენდა. რჩებოდა მხოლოდ იარაღი, რომელიც თავად მიქელაძეს ჰქონდა შემთხვევის ადგილიდან ამოღებული და საექსპერტო ბიუროში დალუქულ-ჩაბარებული, მაგრამ გამომძიებელს აქაც ხელი მოეცარა. ყველასთვის მოულოდნელად საექსპერტო კანტორა დაარბიეს, მცველები უცნობებმა დაათვრეს, შემდეგ შენობაში შეიპარნენ და სხვა საქმეთა მტკიცებულებებთან ერთად ბრაუნინგიც გაიტაცეს, ხოლო დანარჩენი ნივთები მთელს ეზოში მიჰფანტ-მოჰფანტეს. მართალია, როგორც უკვე ითქვა, ბრაუნინგთან ერთად სხვა რალაცებიც გაქრა კანტორიდან, მაგრამ მიქელაძეს ეჭვად ჰქონდა, რომ ყველაფერი სწორედ რომ ამ იარაღის წასაღებად იქნა მოწყობილი. საქმე მართლაც საინტერესო ხდებოდა და მიქელაძე, სირთულის მიუხედავად, საკუთარი გონიერებიდან თუ გამოცდილებიდან გამომდინარე, მაინც გახსნიდა, რომ არა ერთი გარემოება. ხელფასის დაგვიანებით განამბულმა იშხნელმა, ორი თვის ჯამაგირის საფასურად, ერთ-ერთ გაზეთს საქმესთან არსებული ინფორმაცია მიჰყიდა. იმავე დღეს ეს ამბავი მთელი თბილისისთვის გამხდარა ცნობილი.

„სანდო ნყარო გვატყობინებს, დაუჭერიათ ჩვენი პატრიარქის მკვლელები, რომელსაც ხალხის რისხვისგან და-

სახსნელად გულმოდგინედ მალავენ. იგივე წყარო გვატყობინებს, რომ მკვლელი პროკურატურის ყოფილი თანამშრომელი უნდა იყოს, რომელიც ერთი თვის უკან გადაცვლილი იპოვნეს მეტეხის ხიდთან. როგორც ჩანს, ჩვენი ქვეყნის მტრებს გონება გაეხსნათ და ძველი მეთოდები ახლით შეცვალეს“.

შემდეგ ხატოვნად იყო მოთხრობილი იობ-კიკაბიძის ამბავი, ოღონდ უდანაშაულობის პრეზუმპციიდან გამომდინარე, არავის გვარი ნახსენები არ იყო. რა თქმა უნდა, ეს ამბავი უფროსების ყურამდევც მივიდა. კიკაბიძე სადაც საჭირო იყო, იქ დაიბარეს, ისიც იძულებული შეიქნა გამოცხადებულიყო და დაკითხვის ოქმი თუ სხვა საბუთები თან გაეყოლებინა. ხანმოკლე შესწავლა-გამოკითხვის შედეგად დადგინდა შემდეგი: საქმე უნდა გვექონდეს სულით ავადმყოფთან, რადგანაც ეს არეულ-დარეული ამბავი, რომელიც მოგვითხრო იობ-კიკაბიძემ, მხოლოდ სწულ გონებაში შეიძლება დაიბადოს, რითაც ჩირქი მოსცხო პატიოსან ხალხსა და ჩვენი ერის სასიკადალო შვილებს.

გამომძიებელი მიქელაძე ზემდგომთა გადაწყვეტილებას დამორჩილდა, აბა, სხვა რა უნდა ელონა. რამდენიმე დღეში ჟურნალ-გაზეთებში ახალი ცნობა გამოჩნდა:

„შინაგან საქმეთა სამინისტროდან გვატყობინებენ, ამას წინათ პატრიარქის მკვლელობისთვის დაკავებული მამაო სულით ავადმყოფი აღმოჩნდა. საბრალო სასწრაფოდ გადაუყვანიათ სულით ავადმყოფთა თავშესაფარში და მიუჩენიათ საქმის მცოდნე ექიმი“.

ეს ექიმი ყოფილა ანდრეი ლუდვიგის ძე ბელანჟე, რომელიც პაციენტების მიმართ გულისხმიერ დამოკიდებულებას არაერთხელ ყოფილა შემჩნეული. განსაკუთრებით კარგად სულით ავადმყოფებს ექცეოდა, რა თქმა უნდა, გამონაკლისი არც იობ-კიკაბიძე გამხდარა. რამდენიმეთვიანი დაკვირვების შემდეგ ბელანჟე იმ დასკვნამდე მისულა, რომ ავადმყოფს ყველაფერი საკუთარი თავიდან სჭირდა, ადგილი ცხოვრებაში ვერაფრით ეპოვნა და ასე დაძრწოდა ორ ადამიანს შუა: როგორც ჭეშმარიტი მართლმადიდებელი, გულით ღმერთისკენ იხრებოდა, როგორც ახალი დროების ნამდვილი შვილი, ყველაფერს ძველს ამრეზით დაჰყურებდა და არაფრად აგდებდა. თვით მკვლელობის შესახებ ბელანჟე ვერაფერს ამბობდა, კაცმა რომ თქვას, ექიმს ეს არც მოეთხოვებოდა. ასე რომ, იობ-კიკაბიძეს სამკურნალოში კარგახნით მოუწევდა დარჩენა, თუკი საერთოდ რამე ეშველებოდა, რაც ბელანჟეს საკმაოდ საეჭვოდ მიაჩნდა. ბედის მუხთლობით თუ შემთხვევითობით იობ-კიკაბიძის მოვლა-პატრონობა იროდიონ ვაჩიბერიძეს, ახოს, დაევალა, როგორც სულით ავადმყოფთა თავშესაფრის მთავარ მეთვალყურეს. თუმცა, თუ იმას გავიხსენებთ, რომ შემთხვევა ღმერთის ფსევდონიმი უნდა იყოს თავისი, მეტად კი ჩვენი, საქმეების მოსაგვარებლად, ყველაფერი ნათელი გახდება.

ცოტა ხანში ამ ამბებისთვის უკვე აღარავის ეცალა.

ქვეყანა აირია.

აინენა გრძნობები.

აიბურდა ისტორია.

მტყუნ-მართლის გარჩევა შეუძლებელი შეიქნა, ყველა საკუთარ სამართალს ჭრიდა და სხვას ძალისხალით

არგებდა ტანზე. თუ ჩვენს ქვეყანაში მომხდარ ამბებს გავითვალისწინებთ, რაც ძირითადად სამღვდლოების შევინროებით, მღვდლების გაპარვით, დახვრეტით, სალოცავ-ეკლესიების ნგრევით, გადაღებვით, მათში კლუბებისა თუ საწყობების გახსნით, მოსახლეობის შესახლებით, ძვირფასეულობის მიტაცებითა და სხვა ამგვარი რაღაცებით გამოიხატებოდა, ნათელი შეიქნება: არსენ საგანელიძის საიდუმლო, რომელიც დასაწყისში სავარაუდოდ მხოლოდ რამდენიმე კაცისთვის გახლდათ ცნობილი, მოგვიანებით მთელი ერისთვის სამოქმედო გეგმად გადააქციეს.

რევოლუციის ქარიშხალმა ამ დაუჯერებელი ამბის მოქმედ-შემსწრენი ერთმანეთს გაჰყარა:

იროდიონ ვაჩიბერიძე, იგივე ახო, ნითელი საქართველოს პირველი ჯანმრთელობის კომისრის მოადგილე გახდა და ოთხმოც წლამდე ამავე სისტემაში მოღვაწეობდა.

შალვა მიქელაძე სამუშაოდ ჩეკაში გადავიდა, თუმცა მუშურ-გლეხური წარმომავლობის არქონის გამო კარიერა ვერ გაიკეთა, ომის დროს ტყვედ ჩავარდა და საკონცენტრაციო ბანაკში განუტევა სული.

ლეონტი არსენიძე, იგივე ბრადიაგა, ორიოდე წლის შემდეგ ლოთობით გარდაიცვალა და თავისსავე მორგში დაასვენეს.

ოლინკა დგებუაძე, იგივე იფიგენია მაქაცარია, რუსეთს გაემგზავრა, იქ გათხოვდა და სცენაზე ვერა ჩორნაიას სახელით მოღვაწეობდა, ვიდრე მასა და მის ქმარს ბოლშევიკები ლაგერში უკრავდნენ თავს.

ხაჯიბეგოვების შემდგომი ბედი უცნობია, თუმცა სავარაუდოდ საკუთარ ისტორიულ სამშობლოს დაუბრუნდნენ და რევოლუციური მოღვაწეობა ახალი ძალით განაგრძეს.

კონდიტერ საგანელიძეს კერძო საცხოვრი და მალაზია დაუხურეს, თუმცა მამის დახმარებით სასურსათო ჯიხურის დირექტორად დანიშნეს, რაც საყოველთაო შიმშილის დროს უმნიშვნელო თანამდებობა ნამდვილად არ გახლდათ.

არსენ საგანელიძე ახალი მთავრობის კეთილგანწყობას თითქმის სიკვდილამდე გრძნობდა, რაც სხვადასხვა ჯილდოსა თუ თანამდებობაში გამოიხატებოდა. გარდაიცვალა სამოციანი წლების შუაში, დაკრძალეს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში და, როგორც მოსალოდნელი იყო, მისი სახლის ფასადზე მემორიალური დაფაც გამოჩნდა, რომელმაც მოგვიანებით სადარბაზოში გადაინაცვლა, ერთხელ უკვე ნახსენები მიზეზის გამო.

კი მაგრამ, ლეო?

ბოლშევიკებმა ლეოს სამსახური არ დაუფასეს, საიფეთიდან არ დაიხსნეს, თუმცა კი ადვილად შეეძლოთ, ალბათ იმიტომ, რომ საკუთარი გიჟებიც ბლომად ჰყავდათ და მეტის დამატება აღარ უნდოდათ. შესაძლებელია სხვა მიზეზიც არსებობდა, თუმცა დღეს უკვე საეჭვოა, რომ სიმართლე დადგინდეს, მაგრამ ერთის თქმა დანამდვილებით შეიძლება: პირველი უზნის პროკურორის თანაშემწე ლეო კიკაბიძე აქვე გარდაიცვალა, სულით ავადმყოფთა თავშესაფარში.

იცხოვრა ისე, თითქოს არც არასდროს მოკვდებოდა.

მოკვდა ისე, თითქოს არც არასდროს ეცხოვრა.



ცირა ბარბაქაძე

* * *

(ტექსტში დარჩენილებს)

ვერ შევამჩნიე,
 დღე ღამეში როგორ გაზავდა...
 ანდა ფოთლებმა
 ხის ტოტები როდის დატოვეს,
 ეს მერამდენედ...
 ცხოვრებასთან ისევ დავზავდი
 და სიცოცხლესაც ისე ვიხდი,
 როგორც ბატონებს...

შენ კი, რომელიც
 ტექსტში ხარ და სიტყვამ დაგაბა,
 სულ შენი ჯავრი
 რად დამყვება ყოველ ცისმარე,
 ნიგნიდან როცა გამოვვდი,
 სიტყვის დარაბა
 გამოვხსენი და...
 შენც იმ გზებით გამოიპარე!

* * *

„უნდა შეცვალო ცხოვრება შენი!“

პატრიკ ზიუსკინდის ესსედან

ჰო, სულერთია...
 ვინ ხარ და რა გწვავს...
 ლექსი რამდენხანს გემახსოვრება...
 ამიერიდან...
 ახლა და ამ წამს
 უნდა შეცვალო შენი ცხოვრება.

უნდა აქციო წარსული ანმყოფ,
 რომ დაიბადოს სული მეორედ,
 კაცობრიობის ყველა ტკივილი
 შენს გულში უნდა გაიმეორო.

და დარჩე ასე –
 ცასა და მიწას
 შორის გაბმული...
 სივრცე განვალღებ...
 ფრენა შეგეძლო...
 ერთ მშვენიერ დღეს
 ადგნენ და ფრთები
 სულ დაგაცალეს!

ფერი იცვალე...
 და ახლა სხვა ხარ,
 ცხოვრებას მაინც
 ვერაფერს შველი...
 ჰო, სულერთია –
 ვინ ხარ და სად ხარ, –
 შეცვალე მხოლოდ სამყარო შენი.

* * *

ნუ წუხხარ,
 მე რომ ვწუხდები,
 რა სათქმელია, წუხილი...
 ნვიმა სარკმელსაც უხდება,
 ჩუმად მოვიდა წუხელი...

ხელში ვარსკვლავი მიქრება, –
 ცაზე ავანთებ მილიონს,
 ნვიმას ვეძახი, იქნება
 ღრუბელი გამომილიოს.

* * *

რამდენი რამე უნდა ვიპოვნოთ
 საკუთარ თავში...
 უწყის უფალმა...
 რასაც დავეძებთ დაბადებიდან,
 სულში ნეტავ რას გადაუფარავს...
 როდის დავკარგეთ ის,
 რაც გვანვალღებს,
 კითხვებმა სული რატომ არია?...
 გთხოვ, დამეხმარო,
 ან გზა მასწავლო, –
 როგორ ვიპოვნო, ჭია-მარია?

* * *

ვცხოვრობთ სიტყვებში...
 ამ სიტყვებით
 გავკვალეთ გზები...
 დაკარგულები

ჩვენ ერთმანეთს
სიტყვებში ვხვდებით...
ვხედავთ სამყაროს
ამ ტექსტიდან
თუმცა სხვა თვალთ...
მაინც სიტყვაა
ახლა ჩვენი
თავშესაფარი...
სრულდება დღე და,
რა თქმა უნდა,
ლამეც ნავიდა...
ხვალიდან ისევ
ყველაფერი
მოვა თავიდან...
ჩვენ კი...
ანმყოფი ჩავიდირეთ
სიტყვის უფლებით...
ტექსტში ვცოცხლობთ და
ცხოვრებისგან ვთავისუფლდებით!

* * *

„ყველაფერს თავისი ფასი აქვს...“
შემთხვევით გაგონილი

თქვენ ამბობთ: ყველაფერს
ფასი აქვს,
სამყარო ნივთებად იშლება...
თქვენ ამბობთ...
თუ მართლა ასეა –
კვირტს ჰკითხეთ, ხეზე რომ იშლება...

არასდროს ილიმის ყასიდად,
თოვლქვეშ რომ ამოდის ენძელა...
ცხოვრება ზოგს მხოლოდ საყიდლად,
ზოგსაც – გასაყიდად ეძლევა...

თქვენ კი – დამიბრუნებთ არჩევანს,
ლიმილით...
როგორც ეს გჩვევიათ...
თვალი ვარსკვლავისკენ დამრჩება...
– მაჩუქებთ?
– ისედაც ჩემია!

* * *

ავადა ხარ სიყვარულით
თოვლის ფიფქებს ესინჯები,
შენი სული ავსებულა
სიყვარულის მესიჯებით.

და აგზავნი ისე, როგორც
ზეცა-წვიმას, ანდა-ფიფქებს,
ვანთებ მთვარეს, ვევედრები,
სულო ჩემო, არ ჩამიქრე!

* * *

უნდა წამოვკრიფო
სულის ნანილები,
ვიდრე ეს ქარები
ღრუბლებს წამოშლიან,
ვიდრე თოვლი მოვა,
ვიდრე განვიმდება...
ვიდრე შემოდგომა
მზისფერ სამოსშია...

მერე მოგიყვები
ამ დღეს დაწვრილებით–
რაზე იცინოდა
მთვარე დავერცხილი,
ფოთლებს მივუყვები...
ვიდრე განვიმდება,
უნდა წამოვკრიფო
სული სარეცხივით.

ახლა უშენობაც
შენი ნანილია...
უფრო ნამდვილი და
უფრო შორეული...
მაინც უშენობით
დალილი–დაცლილი ვარ,
ქუჩას მივუყვები
წვიმამორეული...

* * *

წვიმა მოვა...
თოვლი ნავა...
ხელისგულზე დადნება...
სულის ყველა ფორიაქი
სიტყვით არ ითარგმნება...
მრავალწერტილს ჩავაბარებ,
ნისლი გადააფაროს...
ყველაფერი გაამჟღავნოს...
ყველაფერი დაფაროს...
რადგან სიტყვა საკუთარი
თავით ხშირად ილღება...
სარკმელი რომ იკეტება,
სადღაც კარი იღება...
ზოგი სიტყვა გამიბრბის და
ზოგი – თვალსაც მარიდებს,
ვისაც უნდა, ლექსში დარჩეს,
ვისაც უნდა – ნავიდეს!

*
* *

თავისთავადგასაგებ და...
თავისთავადგაუგებარ
საგნებსა და მოვლენებში
შევდივარ და...
შესვლას ვბედავ...
ჩემ წინ ხარ და
აღარ ვიცი,
ვის ვუყურებ –
ასლს თუ დედანს?
ეს სამყარო გასაგები –
რატომ იქცა გაუგებრად?

გუშინ

რაც ხვალ მოხდება,–
ეს იყო გუშინ...
ანმყო კი მხოლოდ
დროის ხიდია,
რომელსაც დააქვს
სულიდან სულში
სიცოცხლისა და ტანჯვის იდეა.

ვარ მომავალი,
რომელიც იყო,
გუშინდელ დღეში
რომელიც დარჩა...
მიდის ცხოვრება–
ერთი ხილულად,
ხოლო მეორე–
რომელიც არ ჩანს:

დაფარულია დროის დინებით,
სულ სხვა სივრცეში
ბორგავს და წვალობს,
და ელოდება, როდის იტყვიან–
არსად წახვიდე,
„შეჩერდი, წამო!“

რადგან რაც იყო,
კვლავ ჩვენთან მოვა...
რაც ხვალ იქნება,
არ არის შორი...
იქნებ თქვენ მითხრათ,
რომელი დროა–
გუშინდელსა და
ხვალინდელს შორის?

*
* *

მე ვდარდობ შენზე,
ეს იგივეა,

რომ საკუთარი
თავი ვიდარდო,
მე მოვალ შენთან,
ეს იგივეა,
რომ საკუთარ თავთან მივიდე.
ვერ წავალ შენგან,
საკუთარ თავს ვერ მივატოვებ!

*
* *

ალბათ ტკივილებს
ვერ გადმოწერს შავი ფანქარი
შენი სულიდან... ყველაფერი
დუმილს დარჩება,
თუმცა სტრიქონი
მოიზომავს რითმის მაქმანებს,
კალამი მაინც გააკეთებს
თავის არჩევანს...
და გზა, რომელიც
სხივებივით შენ წინ თამაშობს,
ყოველთვის მიდის...
სხივებივით ცრუ და თავნება...
მე გამოგყვები შუა ტექსტში,–
სიტყვამ დამახრჩოს,
არაფერია,
თუ დუმილით დავიფარები...

*
* *

აჰა, შენ ჩემი ბიოგრაფია–
დაბადების წელი, ადგილი,
მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო
ყველა თარიღი...
ერთი ღიმილი
განა უფრო მეტს არ გეტყოდა?!

*
* *

როცა მოვედი,
წასასვლელი გზები ავბურდე,
მაინც მივდივარ...
რომ წასული
უკან დავბრუნდე.

*
* *

ლექსს კი არა ვწერ,
ეს–დრო გამყავს
მზის ამოსვლამდე,

მზის ამოსვლამდე
და შენ მოსვლამდე.

* * *

შენ რომ არ იყო,
დაიღვრებოდა ალბათ ზეცა
თოვლის ფერებად...

მაგრამ ჩემს კალამს
ვერასოდეს აამლერებდა.

* * *

ჩემი გულიდან
შენს გულამდე—
სტრიქონთა ხიდზე,
ვიცი, სიყვარულს
ფეხი არასდროს არ დაუცდება.

პირველი შთაბეჭდილება

მაია ჯალიაშვილი

გამეორებული
ტკივილები

არაფერია ცისქვეშეთში ახალი. ათასჯერ ნათქვამ ბიბლიურ სიბრძნეს მეც დაბეჯითებით ვიმეორებ. პოეტებიც გამოგონილსა თუ რეალურ სიხარულებსა და ტკივილებს იმეორებენ. სამყარო კი მაინც ყოველ დილას ახლდება, ოღონდ განსაკუთრებული, პოეტურად მიდარაჯებული თვალია საჭირო, რომ შენიშნო: სიძველისა და გაცვეთილობის განცდა ქრება, როცა შენი ანთებული მზერა სიყვარულით დაიმუხტება, მაშინ შენი სიტყვა გააფერადებს გახუნებულსა და ფერნასულს.

ასეთი მზერა აქვს ცირა ბარბაქაძეს, ფერის, სითბოს, სურნელისა და ჰარმონიის მაძიებელი. „ჰო, სულერთია — ვინ ხარ და სად ხარ, —/ შეცვალებ მხოლოდ სამყარო შენი“.

რა არის ამგვარი რწმენის წყარო, თითქოს ასეთი იოლი იყოს სამყაროს შეცვლა? ისევ და ისევ სიტყვის, როგორც სასწაულის მოლოდინი. სიტყვით, მხატვრული ტექსტით, შემოქმედებით შეიძლება დაძლიო ყოველდღიურობა, ერთფეროვნება, გულგრილობა. თუ პოეტი შეძლებს და სიტყვას იმგვარად მოიხელთებს, რომ ნაკითხვისა და აღქმისას მასში „დატყვევებული“ სილამაზისა და აზრის ენერჯია გამოთავისუფლდეს, მაშინ შეიქმნება შესაფერისი შთაბეჭდილება.

გამოთქმა ხომ შესაქმის საიდუმლოს იმეორებს. თვითონ სიტყვას აქვს ფენიქსივით აღორძინების უნარი. გააჩნია, ეს სიტყვა ვის ხელში მოხვდება. სიტყვა ამ პოეტისთვისაც მისტიკური რეალობაა, სხვა განზომილებაა, რომელსაც ეხება, გრძნობს, განიცდის: „შენ კი, რომელიც/

ტექსტში ხარ და სიტყვამ დაგაბა,/სულ შენი ჯავრი რად დამყვება ყოველ ცისმარე,/წიგნიდან როცა გამოვედი,/სიტყვის დარაბა/ გამოვეხსენი და.../შენც იმ გზებით გამოიპარე!“

წიგნთან, დანერილთან ამგვარი ურთიერთობა თავბრუდამხვევი და შთაბეჭდავი ვარიაციებით გვხვდება

ცნობილი მწერლის გივი მარგველაშვილის მინიატურებში („მე წიგნის გმირი ვარ“).

ამ ლექსებში მზერა სულშია ჩაბრუნებული, იქ ჩხრეკს და დაეძებს პოეტი დაფარულს, რომლის არსებობისაც სჯერა და ჰგონია, ნაპოვნი ცხოვრების ამაოების დაძლევაში დაეხმარება. „კითხვებმა სული რატომ არია?.../გთხოვ, დამეხმარო,/ან გზა მასწავლო,—/როგორ ვიპოვნო, ჭია-მარია?“

პოეტს სხვათაგან სწორედ ეს, მოუწყინებელი, ბავშვური ცნობისმოყვარეობა გამოარჩევს.

ეს ილუზია აქცევს მას შემოქმედად და უზიდავს სიტყვებით თამაშისკენ, მათგან რიტმებისა და სახეების შექმნისაკენ. სიტყვა ათავისუფლებს მასაც დროსა და საგნებზე მიჯაჭვულობისაგან. „მთლად მე მეკუთვინს ქვეყანა,/ მთაში—მთა, ბარად—ბარია,/ ზღვა და ხმელეთი ერთიან,/ ცა—ვარსკვლავების ჯარია“ (ვაჟა). განა ამას არ იმეორებს ეს სტრიქონებიც: „თვალი ვარსკვლავისკენ დამრჩება.../— მაჩუქებთ?/— ისედაც ჩემია!“ ჰოდა, ამ თავის საუფლოში ხშირად გადაინაცვლებს პოეტი: „ტექსტში ვცოცხლობთ და/ ცხოვრებისგან ვთავისუფლდებით!“

ცხოვრებაც ხომ წიგნია და ჩვენ კი პერსონაჟები ვართ. ამასაც გავიმეორებ. მაგრამ იოლი და ყველასთვის ხელმისაწვდომი როდია ერთი წიგნიდან მეორეში გაქცევა. ხანდახან პოეტსაც აქვს განცდა სიტყვის უძღურებისა: „არს მწუხარება სულისა, არ აქვს ნუგეში რომელსა,/ სჯობს ენა სდუმდეს, ხმა შეწყდეს, მოთქმით რა ერგოს გულ—წყლულსა“ (გრიგოლ ორბელიანი). ცირაც, როცა ვერ პოულობს შესაფერის სიტყვებს, ამ ნუხილსაც თავისებურად „იმეორებს“: „სულის ყველა ფორიაქი/ სიტყვით არ ითარგმნება...“

ეს ლექსები გამოძახილია ყოველივე იმისა, რაც პოეტს უნახავს, ნაუკითხავს და განუცდია, ამიტომაც ასეთივე გამოძახილს იწვევს მკითხველში. „ვის ვუყურებ — ასლს თუ დედანს?“ პლატონისეული, მრავალგზის გამეორებული ფილოსოფიური საკითხავი ამგვარი უშუალოდითა და გულწრფელობით აქაც გაიფლავება. გამეორება კი წარმოჩნდება, როგორც სამყაროს ერთი მისტიკურიათაგანი.

ამ ლექსებს თავისებურ ხიბლს ჰმატებს „რითმის მაქმანებით“ განყოფა, როგორც თვითონ პოეტი იტყობდა. ეს ერთგვარად ამსუბუქებს სტრიქონებს და ტკივილებს (გამეორებისასაც დაუყურებელსა და მგზნებარეს) ალაამაზებს.

ჟაკლინ სირაძემ დაასრულა ხუთმოქმედებიანი პიესა, რომელიც ეხება ხელოვანის არჩევანს, მძაფრ სულიერ ძიებებს თანამედროვე სამყაროში. პიესას ასეც ჰქვია – „ხელოვანის გზა“. გთავაზობთ შესავალს, რომელსაც თვითკმარი ღირებულებაც აქვს, როგორც ესეისტიკის ნიმუშს.

ჟაკლინ სირაძე

ჰამლეტის ნიღაბს ამოფარებული ხელოვანი

ხელოვანი თავისი შთაგონების გზაზე გარდაუვალი კანონზომიერების წყალობით მარად ანყდება იმ ზღვარს. თავისი გენიალურობისა და ერთადერთობის ნიმუში რომ ეგონა, მაგრამ თავისდა გასაოგნებლად აღმოაჩენს, რომ უნაკალურობის იქით მხოლოდ და მხოლოდ ცნობილი ბერძნული მითია, ან უკვე აღიარებულ შედეგთა სიუჟეტები. მაგრამ ამაში გასაოცარი არც არაფერია. ეს ხომ კანონზომიერი მოვლენაა. ბერძნული მითი თუ უკვე ცნობილ ავტორთა შედეგების სიუჟეტები თავიანთ თავში უკვე ატარებენ სამყაროს სულისმიერ რუკას, მის არქიტექტონიკას, თუ პროექტის ესკიზს. ეს ის მონეტებია, რომლითაც ნებისმიერი ამბის შესყიდვა და მოპოვება ხდება შესაძლებელი. ეს ის მარცვლებია – სამყაროს არსს, მის გულისგულს რომ გამოხატავენ და გადაგვიხსნიან.

და როცა ჩემს სულში სამყაროს მარცვალზე, მის მოძრავე სულზე მოვიხდომე თხრობა ჩემდაუნებურად იმ წიგნის სიუჟეტი შემოვხაზე, რომელმაც (თუ არ გამიწყრება თანამედროვე მკაცრი და ირონიული მკითხველი) ფიგურალურად ვიტყვი, სასიკვდილო ჭრილობა მომაყენა. ეს წიგნი შექსპირის „ჰამლეტია“.

ამ წიგნის დაუსრულებელი კითხვა უფრო და უფრო მაფიქრებინებდა, რომ ეს ის მონეტაა, რომლითაც ყველა ამბავი აიხსნებოდა, ოდნავ შუქ-ჩრდილებით დაბურული საგნები კი ყოფიერების საიდუმლოებაზე მიმანიშნებდა. ეს მოციმციმე მონეტა კი იმ სიბრძნედ მესახებოდა, რომელზედაც პლატონი ოდესღაც ნერდა და გვირჩევდა, რომ მოგვეპოვებინა.

ერთხელ ჯეიმზ ჯოისის „ულისეს“ კითხვისას, აღფრთოვანებულმა ამოვიწერე ჰამლეტის ინტერპრეტაცია.

– „**ალგებრის მეშვეობით ამტიკცებს, რომ ჰამლეტის შვილიშვილი შექსპირის პაპაა და რომ თვითონ იგი საკუთარი მამის აჩრდილი.**“

და მე შლეგური აზრი მენვია და ჩემ თავს დავეკითხე:

– ნუთუ შექსპირისთვის ჯოისისეული ვერსია ჰამლეტისა უცხო და მიუღებელი უნდა ყოფილიყო?

„ჰამლეტში“ შექსპირის სულის სიშიშველე, ხან მამის აჩრდილის სახით გვეცხადება, ხან ჰამლეტის იგავმიუნ-ვდომელი მონოლოგებით, იმ ზღვარს რომ აღწევს, როცა სიგიჟის ვარსკვლავები უკვე სიბრძნისეულ გზებს გვიმულავებენ და ცხადი ხდება შექსპირის ყოვლისმხედველი სულის თვალი უკვე იცნობდა ჯოისისეულ ვერსიას. ამის

დასტურად გამოდგება თავდალმა მდგარი სიბრძნე მასხარასი, სიშლეგის ენით, პარადოქსების მეშვეობით სულის უღრმესს საკითხებზე რომ საუბრობს.

მოდით, გავიხსენოთ, თუ როგორ მიუყვება მასხარას ძრწოლა თანამედროვე სიბრძნის პარადოქსული გრეხილს:

„მასხარა: კაცის ტვინი რომ უცებ ქუსლებში მოექცევა, რას იტყვი, კოჟრები არაფერს დაუშავენს? ლირი: როგორ არ დაუშავენს.“

მასხარა: მამ, გიხაროდეს, შენი ტვინი ნალებში აღარასოდეს მოექცევა“ („**მეფე ლირი**“).

ან, მოდით, ჰორაციოს ირონიულ პასუხს მოვუხსინოთ და ასე ვეზიაროთ შლეგური სიბრძნის ირონიას:

„ბერნარდო: ჰორაციო, მგონი შენა ხარ?

ჰორაციო: მგონი, ისა ვარ“ („**ჰამლეტი**“).

ამ ფრაგმენტებით ცხადი ხდება, რომ შექსპირი ჯოისს კარგად იცნობდა. მაგრამ მე სხვა რამ უფრო მაინტერესებს:

– რატომ არის შემოსილი შექსპირის დრამებში სული ამდენი „ტანთსაცმლით“? ამდენი ადათ-ნესებით? ან, რატომ აღიძვრის ჰამლეტის სიმალის სული, ეს წმინდა სული მამის მკვლელობის გამო შურისძიებად და რაც ასე, ერთი შეხედვით, ალოგიკურია, შურისძიების აღსრულების შემდეგ ის ამოწურავს კიდევ თავის არსებობას:

ჰამლეტი აღარ არის ჰამლეტი

და მე ასე მომეჩვენა, რომ ჰამლეტისნაირი კაცისთვის შურისძიება მიტმასნილი ამბავი იყო, უფრო ზუსტად კი ცილისწამება:

და შემდეგ ჩემს თავს დავეკითხე:

– და მაინც რატომ უკავშირდება და ეწვნის ერთი მეორეს ინგლისის თავისუფლება, ჰამლეტის სიკვდილი და მისი უსაზომო ტკივილის გარეთ გამოსახება?

და მე მასაც ჩავხვდი, რომ სულის სიშიშველე ნაძალადევად შემოსეს დ ეს იმითაც გამჟღავნდა, რომ ტრაგედია კომედიად გარდაისახა.



ბოლოს კი შექსპირის ეს უცნაურობა საუკუნის იდეალით ავსხენი. ეს იდეალი ის სულისშემხუთველი ტანთსაცმელია თავისი ადათ-წესებით, რომელიც მოითხოვს მიმოფანტული ბოროტება სხვადასხვა გმირებში ზღაპრული ჯოხის მეშვეობით შეიკრიბოს და ბიძად გარდაისახოს.

ტრაგედია ფარსს ემსგავსება, ამბის დასასრულს აღმონდება, რომ ყველა გმირი კეთილია, ყველა გმირი ბრძენია, ყველას უზომოდ უყვარს სამშობლო ინგლისი. მოკლედ, ყველა ერთი მეორის სიყვარულით არის განმსჭვალული, მაგრამ რაღაც სიზმარეული, ბუნდოვანი ფარდის გამო, მათობელი ბანგივით, გონებას რომ აბნელებს, ამ დრომდე ეს არავინ არ იცოდა.

და მე დავეკითხე ჩემს თავს:

– კი მაგრამ, რაშია საქმე? რამ განაპირობა რომ თავად ისეთი გენიოსიც კი თავისი სინდისის სინრფელეს ამდენი მაქმანებითა და ამდენი ამბებით ხუთავს? თუმცა შექსპირის გენიას ამ ხელოვნურობაშიც ძალუძს მოგვასმენინოს სინდისის ხმა, ხმა სისხლის გამყინავად რომ ჩაგვესმის.

ჰამლეტი – თავისი მამის გასისხლიანებული გვამის იქით აღმოაჩენს ახალ ფანჯარას, საიდანაც სხვა სამყარო მოჩანს, რომელიც მის ფარულ ოცნებას, წმინდა გულის მონახაზს არ ემთხვევა. მისი ღვთიური ცრემლის სინძინდით მოქსოვილი, კაშკაშა მზით გასხვივოსნებული და სიყვარულის უანგარო მდინარით მორწყული სამყარო იშრიტება.

ის სამყარო დაირღვა, ყველა საგანს სინძინდის სიმეზობით რომ აერთიანებდა, – და გამოჩნდა ბნელი კუთხეები და იქ განმხოლოებული საგნები და გაუცხოებული ადამიანები.

ჰამლეტი, ვნებისგან განწმენდილი სულია მაღალ მისტიურ საფეხურზე ასული და მისი ფარული ოცნება, მხოლოდ სულის გამთლიანება და ნატვრა მინიერობისგან სავსებით განთავისუფლება.

– „რად არ მეშლება ეს სხეული ესრეთ მაგარი რად არ გადნება და ცის ნამად არ იქცევა!“

(„ჰამლეტი“)

რად არ ვიქცევი ცის ნამად? ღვთის ცრემლად? ცის ნამად ქცევა – ასე გაცხადდება მასში ღვთის სიყვარული, თუმცა ეს ვერ ხორციელდება. რადგან ვილაცამ ჰამლეტის ოცნებას, მზის კაშკაშა ამ ნათელში ლაქა აჩვენა – მამის გასისხლიანებული გვამის სახით.

ამ ბოროტების, მკვლელობის, ლალატის, უსამაროლობის დაუჯერებლობა ქმნის მთავარ ფრაზას:

„ბოროტი კაცი დანიაშიც ბოროტი არის.“

შემთხვევითი სულაც არ არის, რომ კრიტიკოსთა უმრავლესობა ჰამლეტის ქმედებას არასწორ ინტერპრეტაციას აძლევს, რადგან ჰამლეტის ქმედება თუ აზრი გარეგანი თვალისთვის დაფარული რჩება. ჰამლეტის გონიუწვდომი საიდუმლოება შექსპირის გენიის ფარდია და შექსპირი ვერც კი აგვიხსნიდა, თუ რატომ დაწერა ეს პიესა. წერა აქ სიცოცხლისათვის აუცილებელ ერთადერთ გზად იქცევა, როცა წერის პროცესი სუნთქვის პროცესს

მიუყვება, ეს სუნთქვა სულიერი მდინარის მიმყოლია – ყოველი საგნის ცაში ჩავარდნას რომ ნატვრობს და ზეიმობს.

– და რას ნიშნავს ეს?

იმას, რომ თუ რაიმე, კონკრეტული პასაჟის ახსნა დავეჭირდება, უნდა გავითვალისწინოთ, რომ შექსპირი, როგორც ეს მისთვის მეტისმეტად დამახასიათებელი რამ, ტექსტში თავის გმირს ერთ რაიმეს ათქმევინებს და აქვე, მის სულში სულის სხვა მოძრაობა იხაზება.

მაგალითად, ჰამლეტი პიესაში თუმცა კლავს პოლონიუსს, მაგრამ სინამდვილეში ის არ არის მკვლელი, რადგან „ჰამლეტს“ არათუ არ შეუძლია მოკლას ვინმე, არამედ ამაზე ფიქრიც კი თავზარს სცემს მას. და თუ პიესაში ჩვენ მაინც ვხედავთ, რომ ის დანას ჩაასობს პოლონიუსს, რომ ამ უკანასკნელს სისხლი სდის და ბოლოს კვდება კიდევც, ეს ჩვენ უნდა წავშალოთ, როგორც ფუჭი ზმანება, როგორც ისეთი ქმედება, რომელიც ჩვენ გასასულელებლად არის გათამაშებული, რათა ჰამლეტის ენიგმა კიდევ უფრო დაიფაროს და ხელშესახები ვერ გახადოს.

ზოგმა შეიძლება იფიქროს, რომ შექსპირი მოხერხებულად ახერხებს დაწეროს ერთი რამ და შთაგვაგონოს კი სხვა რამ, მაგრამ ეს უფრო დაფარულის ვერგამოთქმის გამო ხდება.

მეორე მაგალითი კი ასეთია: ჰამლეტი ჩუმად თვალს ადევნებს განმარტოებაში მლოცველ ბიძას, მისი მამის მკვლელს. და აქ შექსპირს დასჭირდა ტყუილი ეთქვა. კერძოდ, ჰამლეტი ამ დროს იმის განსჯას იწყებს, რომ თუ ის ლოცვისას ბიძას მოკლავდა, მაშინ ბიძა შეჭველია სამოთხეში მოხვედბოდა.

მაგრამ ასე ხომ მხოლოდ პრაგმატული გონების ადამიანს, სისხლისმსმელ მკვლელს ძალუძს განსაჯოს. მაგრამ თუ მაინცდამაინც ჰამლეტის ქმედება და აზრი ასე არასწორად მოჩანს, ეს იმიტომ რომ თავად ჰამლეტი თავისთავსაც კი ვერ უმყლავნებს თავისი უბინო სულისა და უბინო სიბრძნის გამო მისთვის უმთავრეს აზრს. –

„ბოროტი კაცი დანიაშიც ბოროტი არის.“

და თუმცა ჰამლეტი პიესაში მუდმივად და უგონოდ იმეორებს ამ ფრაზას, მაგრამ შექსპირმა ის ტექსტში მხოლოდ ერთხელ დაწერა. ის უთქმელად, უჩუმრად იგულისხმება ყოველი ფრაზის იქით... ჰამლეტი ყოველ ამოსუნთქვას ამ ფრაზით იწყებს და ამთავრებს. ეს მეშჩანისთვის ნონსენსია, როგორც დიოგენეს მიერ მზით გაკამკაშებულ ქუჩებში ანთებული ფანრით სიარული. და ეს მეშჩანის თვალით ნონსენსი გვიმყლავნებს იმ გზას, რომელსაც სული გადის შემლილობის ყველა მდგომარეობაში, რათა მონილოს სამყაროს ყოველი საგანი და ყოველ სახეს ნიღაბი ჩამოგლიჯოს. ჰამლეტის ნებისმიერი ნაფიქრი, ნებისმიერი ამოხვრა, ნებისმიერი ფრაზა – ამ უსიტყვო, გამოუთქმელი ტკივილით უნდა გავხსნათ.

ამიტომ ყველაზე არაზუსტია და აბსურდული ტექსტის პირდაპირი, სწორხაზოვანი კითხვა-გაგება. მხოლოდ აღქმას, რომელიც ცდილობს მიჰყვეს ჰამლეტის ფარულ, სულიერ გზას არის სწორი.

მაგალითად, ჰამლეტი ოფელიას ეუბნება:

„მე შენ არ მიყვარხარ.“

აქ ჰამლეტი გამოაჯავრებს საკუთარ გრძობას, ის ამ გრძობით თამაშობს, ასე ეთამაშება ტანჯული, ნანამები სული თავის ყველაზე სათუთ გრძობებს, რომელიც მისთვის უკვე მიუწვდომელია. თითქოსდა, ერთი შეხედვით, არასწორია ჩემი პარალელი:

„...ვინაიდან, ხორციტ ვნებული აღარა სცოდავს“.

მოციქულ პეტრეს პირველი წერილი. 4.1.

მაგრამ განა ჰამლეტმა სხეული არ მოიკვეთა, როცა თავის სულიერ გზას გაუყვება? მისი ტანჯვით განწონილი სულისთვის ამქვეყნიურ სიამოვნებას არ შეიძლება ის ფასეულობა ჰქონდეს, რაც ჩვეულებრივი კაცისთვის.

ჰამლეტი ფაქტიურად ამბობს, რომ იმ კაცს, ვისაც ოფელია უყვარდა ან ეგონა, რომ უყვარდა, იმ კაცსა და დღევანდელ ჰამლეტს შორის, უზარმაზარი მანძილი დევს.

და მაინც, ჰამლეტისთვის ოფელია რჩება ძველი, ჰარმონიული სამყაროს ანასხლეტად, ნათებად. ამიტომაც ის ურჩევს ოფელიას, თავი დამალოს, დაფაროს, რათა გადაურჩეს წუთისოფლის ბოროტ კანონზომიერებას:

– „მონასტერში წადი, მონასტერში!
რად გინდა ქვეყანაზე ცოდვიანები გაამრავლო?“

(„ჰამლეტი“)

მოკლედ, ამით იმის თქმა მინდოდა, რომ ფრაზა:

„ბოროტი კაცი დანაშაუტ ბოროტი არის“

ჰამლეტის სულიერი მდინარის მთავარი მამოძრავია: ეს ფრაზა ერთდროულად გვიმუქნებს ჰამლეტის სიდიადეს და სისუსტეს, რადგან მისთვის დაუჯერებელია, რომ ბოროტება შეიძლება არსებობდეს. მაგრამ სწორედ ეს დაუჯერებლობა და „არცოდნა“, რაც მის სულიერ თვალს უზუსტესად აცნობინებს დაფარულის საზრისს.

აღმოსავლური მისტიკური სიბრძნის შრეებიდან, თუ შევეცდებით ჰამლეტის ტექსტის წაკითხვას, ყველაზე მცდარ გზას დავადგებით. რადგან აღმოსავლური სიბრძნე ბოროტებას ილუზიად მიიჩნევს, ამ დიადი აჩრდილის – ბოროტების თანამდევნი მთავარი აჩრდილებია:

ტანჯვა და სიამოვნება.

თუ რეალობა და მისი თანამდევნი ბოროტება ცუდი და უსარგებლო სიზმარი – ხუმრობაა, მისგან განსათავისუფლებლად სავსებით საკმარისია სულიერი გამოფიზილება – გამოღვიძება, და არა ჰამლეტისებრი ტანჯვა და გვემა. უფრო მეტიც, ყოვლად ფუჭია და უსარგებლო ადამიანი გრძობდეს ტკივილს იმის გამო, რომ ბოროტება არსებობს.

საკუთარი თავის შემეცნებით ჩემმა შინაგანმა ხედვამ უნდა წაშალოს ეს სასაცილო აჩრდილები.

მაგრამ ჰამლეტი, არც აჩრდილად მიიჩნევს ბოროტებას, არც უსარგებლო სიზმრად. მთელი პიესის ენიგმურობა სწორედ ჰამლეტის დაუჯერებლობაში, მის ბავშვურ მიამიტობასა და სინრფელეში ძევს, რომელიც ხედავს ბოროტებას და ვერც ხედავს. მასში ღვთაებრივი იმდენად

დიდა, რომ დანახული, მოსმენილი და განცდილი მამის სიკვდილი დაუჯერებელიცაა და თან მისი მამოძრავებელიც.

ღვთაებრივი მასში ამბობს, რომ სამყარო მხოლოდ სინათლეა, უმანკობაა, სიბრძნეა, სიყვარულია და რწმენაა. და ეს ღვთაებრიობა მასში იმდენად დიდა, რომ ის, როგორც ყოველი კაცი, კი არ მიემართება ცხოველის ნაბიჯებით, ბუნების უტყვი ხმით ღვთაებრიობისკენ, არამედ მასში ღვთაებრივი ძალმოსილება (სასოება) იკვირვებს მის გარეთ მყოფ ბოროტებას. უფრო ზუსტად კი, ადამიანური მისთვის იმდენად უცხოა, რომ როცა აიძულეს – მამის მკვლელობით – დაენახა ბზარი, ლაქა, უსამართლობა, მკვლელობა, ტყუილი, ფლიდობა, მრუშობა და ცოდვა, მისმა უბინო სულმა ეს ვერა და ვერ დაიჯერა: მას არა მარტო თავად არ ძალუძს შესცოდოს, ანუ შური იძიოს ბიძაზე, არამედ თავად ფიქრი ამაზეც კი თავზარს დასცემდა.

ზოგიერთი კრიტიკოსი აქილევსის ქუსლად მიიჩნევს ჰამლეტის უმოქმედობას, მაგრამ აქ დავინყებულება, რომ ყოველი დიადი სული უმოქმედობით არის დალდასმული, რადგან ის ღვთაებრიობის პირმშოა, და ყოველი ქმედება მას თავისთავს, თავის ღვთაებრიობას განაშორებს კიდევც.

ჰამლეტის ერთ ფრაზაში, წამის მეათედ ტანჯვასა და რყევაში კაცობრიობა ხან ჰარმონიულ, სინათლით განათებულ მთელად იქცევა, და ხან კი წამის მეათედში არარავდება და უფსკრულის სიშავეში უაზროდ ინთქმება. ეს კოსმოსის უსასრულობის მოხილვაა ერთი წამის მეათედში და იმ შლეგური აზრების წყებაა, საბოლოოდ სიბრძნეში რომ იკრიბება. მაგრამ თავად ამ რყევასა და ამ სიდიადეში უტოლდება ადამიანი ღმერთს.

ამიტომაც სტეფან მალარმე ასეთ რაღაცას იტყვის ჰამლეტზე, რასაც აღენ რენე ასე იხსენიებს:

– „ჰამლეტი ეს არისო გამოუვლენელი, განუხორციელებელი ღმერთი, რომელსაც არ შეუძლია გახდეს ის, რაც არის.“

და როცა ისევ და ისევ დავეკითხებ ჩემს თავს:

– რას ნიშნავს ჰამლეტის იჭვი? მისი მერყეობა?

მყის ის აზრი მეწვია, რომ ჰამლეტი აუცილებლად ხელოვანი, პოეტი უნდა ყოფილიყო. ხელოვანი, ვიდრე თავისი ქმნილებითა და გენიით დაიფარება, ვიდრე არცერთი გრძობა, არცერთი გაელვებული ფიქრი არ ქცეულა სტილის ამ „მკვდარი“ და განწონასწორებული გონების პირმშოდ. მაშასადამე, მასში სულის ყველა ნაწილი ბორგავდა და ცოცხლობდა. და მე ვიცანი ჰამლეტის ნამდვილი სახე. ხელოვანი, რომელსაც თავისი ტკივილი ახსოვს, ხელოვანი თავისი ცხოვრება წინდანინვე ზეპირად რომ იცის. მე, ცხადია, იმ გამორჩეულ ხელოვანზე ვსაუბრობ, წერის პროცესამდე თეთრი ფურცლის წინაშე თრთოლვა რომ იპყრობს. სწორედ ხელოვანი ჰამლეტი წარმოთქვამს ამ ფრაზას:

„ჩემთვის კი არ ჩანს, იგი არის.“

ეს სიტყვები ხომ მხოლოდ იმ კაცს შეეძლო წარმოეთქვა, ვინც გონებით კი არ ალაგებს სამყაროს საგნებს, ან მათ ემოციის უნებურებით კრავს რაიმე ჯგუფად. მით უფრო უნდა გამოირიცხოს სალი გონების მკაცრი ლოგი-

კა. აქ მოჩანს კაცი, ვინც ჭვრეტს, ანუ ის, ვისაც უკვე მოპოვებული აქვს თავისი სამყარო, ის, ვინც ხელახლა, მეორედ დაიბადა ცით.

ამაოდ ფიქრობენ, რომ ხელოვანი ნაბიჯ-ნაბიჯ, ანუ ნაწარმოებებით, საფეხურობრივ მიემართება თავისი თავისკენ და ასე ქმნის იგი თავის სამყაროს, საქმე უფრო რთულადაა. ხელოვანს თავიდანვე გააჩნია თავისი სამყარო, ვიდრე წერას, ხატვას ან მუსიკალური ქმნილების თხზვას შეუდგებოდეს ანუ ის თავის მჭვირვალე ცრემლში მოქცეულ მსოფლმხატვით „მოძრაობს“, თავისი ტკივილით განწონილი საგნებით.

„ჩემთვის კი არ ჩანს, იგი არის.“

ანუ ჰამლეტი ამბობს:

„საგნები კი არ ჩანან, ისინი მყოფობენ.“

ანუ ისინი აბსოლუტურ ჭეშმარიტებას გვთავაზობენ მის სამყაროში.

და არ არსებობს მანძილი მასა და სხვა საგნებს შორის, რადგან ისინი მის სულში მყოფობენ. ამით ხელოვანში მოძრავი „წმინდანის“ გზას ვგუშნობთ რომელიც მზის სხივივით გადაკვეთს უნივერსუმს.

ხელოვნებაში დაუნერვლი აქსიომა არსებობს:

საგნები ისეთნი არიან, როგორადაც მას ხელოვანი გვთავაზობს, ანუ როგორადაც ის იყვარებს ამ საგნებს.

ამიტომაც ნებისმიერი ხელოვნების ნაწარმოები, როგორი დეფინიციაც არ უნდა შემოგვთავაზოს ქრესტომათიის სახელმძღვანელომ, უდაოდ იდეალისტურია, – რაც ეტიმოლოგიურად სწორედაც **„ხედვას“** უკავშირდება.

ეს იმასაც ნიშნავს, რომ საგნები ხელოვანის სამყაროს კანონზომიერებაში არიან მოცემულნი და მისი ხილვის იგავიუწვდომელ ნათელში მოჩანან. ამ დროს აღდგენა ხდება იმ ცნობიერების, რომელიც ადამიანს სამოთხეში ჰქონდა, როცა ის ღმერთს პირისპირ ჭვრეტდა.

მოდით, აღვადგინოთ მთლიანი ტექსტი:

„ჩემთვის კი არა ჩანს, იგი არის.“

ჩენა რას ჰქვიან, ჩემს გულისთქმას ვერ გამოაჩენს ვერც მელნისფრად შეღებილი წამოსასხამი, ვერც მგლოვიარედ წესისამებრ ძაძებში ჯდომა ყველა ეს ჩანს, ყველას ძალუძს მათ მითვისება, მაგრამ მე გულში მაქვს რაღაც, გარწმუნებთ, იგი არ საჭიროებს მწუხარების მოკაზმულობას“.

(„ჰამლეტი“)

ჰამლეტის ენიგმა კაცობრიობის ენიგმაა. ვერავინ იტყვის დაბეჯითებით, თუ რა არის სული. იოანეს სახარებაში ეს ასე აღიწერება:

„ქარი სადაც სურს, ქრის, და გესმის მისი ხმა, მაგრამ არ იცი, საიდან მოდის და საით მიდის; ასევეა სულის მიერ ყველა შობილიც“ (3.8).

გამოუთქმელია სული და მისი თანამდევნი სევდა, რაც ჰამლეტს ჰამლეტად აქცევს. ამიტომაცაა აუცილებელი და კანონზომიერი კაცი ცბუნდებოდეს და კრთომა იპყრობდეს ჰამლეტის სიდიადის წინაშე. მოდით, ისევ გავიმეოროთ ეს სიტყვები:

„მაგრამ მე გულში მაქვს რაღაც, გარწმუნებთ, იგი არ საჭიროებს მწუხარების მოკაზმულობას“.

„ჰამლეტი“



ჰამლეტი და იორიკის თავის ქალა მხატვარი გორდონ კრევი

ჩაძინებულ ადამიანებს თავიანთი ხელოვნური თამაშით, მრავალი სახეებით და ნიღბებთ, რომ ცდილობენ იმიტაცია გაუკეთონ სინამდვილეს.

„ყველა ეს ჩანს, ყველას ძალუძს მათ მითვისება“.

(„ჰამლეტი“)

სხვაგან ის ამ აზრს ასეთ კომენტარს ურთავს:

„ღმერთმა ერთი სახე მოგცათ, თქვენ მეორეს იკეთებთ, დახტით, თამაშობთ, დაჩურჩულებთ, მეტს სახელს უგონებთ ღვთისგან გაჩენილ ადამიანს და ამ უნესო ქცევის მიზეზად უმანკოებას დასახელებთ“.

(„ჰამლეტი“)

ღმერთმა თავისუფალი არჩევანით ყოფელ კაცს უბოძა ნიჭი სულიერ გზაზე სვლისა და თავისი სამყაროს შექმნისა.

ჰამლეტი ამ ტექსტით დასცინის იმ კაცის მდგომარეობას, სწორედაც თავის ნიჭს რომ უარყოფს და გახევებულ-თოჯინურობით ამაოდ ცდილობს ითამაშოს „სულიერობა“ სხვადასხვა ნიღბით.

და ის ყოველთვის იმ წესრიგს ექვემდებარება, რაც ლოგიკის ენაზე დოსტოევსკის თარგმანით ნიშნავს $2+2=4$. ჰამლეტის გზა, ცხადია, დოსტოევსკის სიტყვებით: $2+2=5$. $2+2=4$, როგორც დოსტოევსკი წერს, შეუმსხვრევი კედელია, ბუნების გარდაუვალობაა და წესრიგი. ბუნება იცავს და მფარველობს ამ ბრმად მიმყოლ არსებებს.

ჰამლეტის დედა, დედოფალი თითქოსდა თავის თავზე ამბობდა:

„შენც კარგად იცი, ეგე წესი საერთო არის, რაც ცოცხალია, ყველა კვდება და მინას ტოვებს საუკუნოსთვის“. („ჰამლეტი“)

ის ამ სიტყვებს აულელებლად წარმოთქვამს, ისე როგორც მეშჩანი არასოდეს ალელდება იმ საგნებით, რაც მის პირადულს არ შეეხება. მეშჩანის პირადული კი მხოლოდ მის ვნებიან „სამყაროს“ გამოხატავს, ანუ ის მხოლოდ ძალმომრედ არის დაკავშირებული სამყაროსთან. მას წარმართავს სიკვდილის შიში და ათიათასი მისი სახესხვაობა. ეს არის შური, ავზორცობა, სიხარბე, სიძუნწე, მრისხანება, შურისძიება და ა. შ. და ა. შ. ის მხოლოდ მაშინ „მოძრაობს“, როცა მის „მაერთს“ ეხებიან, ანუ როცა მას ართმევენ თავისი ვნების საგანს. ის აზარტულ თამაშში არის ჩართული ნააგებინეთ ფული და ისიც „ამოძრავდება“, ისიც „ალელდება“. თუმცა სინამდვილეში მას არც ღელვა შეუძლია, არც წუხილი, არც სიხარული და არც სევდა.

როცა ლაროშფუკომ მოინდომა უზუსტესი ანალიზი მოეცა ყოფიერებაში მოქმედ ადამიანთა შესახებ, მან ჰამლეტისნაირი კაცი გამოტოვა:

– „ანგარება ყველა ენაზე ლაპარაკობს. თვით უანგარობის ენაზეც კი“.

რადგან ჰამლეტი გამონაკლისია, ამოვარდნილია საზოგადოების ჩვეული წესიდან და, ცხადია, მისი ყველა ქმედება უანგაროა, მას მხოლოდ ერთი სახე აქვს – მასში გამოსჭვივის ერთი არსისადმი ერთგულება, ანუ ის ჭეშმარიტი გზის სინათლის მიმყოლი სულია, რომელიც თავისი სინამდვილითა და სინათლით შემამინებელია ამ ათასი გზებით მოსიარულე ადამიანისთვის. ამიტომაც ის იძულებულია სიგიჟის ნიღბით გვეჩვენოს. თუმცა ჰამლეტის სიგიჟე ეს არის ისეთი რამ, რომლის ჩანვდომა ძალიან ცოტა ადამიანს თუ შესწევს. მაგალითად, ოფელიას გულუბრყვილო და უმანკო სული გუმანობს, რომ ეს საშიშია, რაღაც თავზარდამცემია და მიუღებელიც მისი სულისთვის. და თუმცა ჰამლეტს ძნელად და მაინც შეუძლია აიტანოს დიდი ტკივილიც, სამყაროს ბზარი, ბოროტება, ლაქა, – მამის გასისხლიანებული გვამის სახით რომ განცხადდა მის წინაშე, მაგრამ ოფელიას ეს არ შეუძლია, რადგან მასში მხოლოდ სინათლე და სინამდვილეა, – ბზარი კი ვერასოდეს ჩააღწევს მასში, ამიტომაც ის პირდაპირ ისე, რომ არ ჰყოვნდება აღმოჩენილი ბოროტების წინაშე (როცა გაიგებს, რომ მამამისი მოკლეს და მკვლეელი კი ჰამლეტია). ის მას იშორებს, ვით მისთვის მიუღებელ და უცხო საგანს

და ასე პირდაპირ, უბინოდ გადადის თავის წარმოსახვით სამყაროში, რაც თარგმანში გიჟის სამყაროა.

ჰამლეტის სიგიჟესა და ოფელიას სიგიჟეს შორის უზარმაზარი უფსკრულია. ჰამლეტი თამაშობს სიგიჟეს, იგონებს მას, ანუ ის „ზეპირად“ იცნობს თავის სიგიჟეს. არავინ იფიქროს, რომ ეს სიგიჟე მსუბუქი თამაშია. გალაკტიონი ასე წერდა ამ „ცხადი სიგიჟის“ შესახებ:

„არის გზა, არის ნელი თამაში და შენ მიდიხარ სულ მარტო, მარტო“.

გალაკტიონი

ამიტომ, არამც არაზუსტია, სასაცილოც კი არის ის მოსაზრება, რომელიც ამბობს, რომ ჰამლეტი ვითომცდა სუსტი არსებაა, – პირიქით, არ არსებობს უფრო ძლიერი და ამტანი არსება, როგორც ჰამლეტია. ჰამლეტის ვითომცდა სისუსტე, არის მისი სიძლიერე – ის ამ „სისუსტით“, ანუ ტკივილის მიღებით ხდება ის, ვინც არის.

ამიტომაცაა, რომ ჰამლეტი არც არაფერს ქმნის, მაგრამ ეს იმიტომ კი არა, რომ ძალა არ შესწევს. არა, საქმე პირიქითაა. მას ყველაფერი შეუძლია, მაგრამ მას არ შეუძლია ერთ რაიმეში გამოიხატოს.

მისი ტკივილი, სიხარული, სევდა მთელ სამყაროს განეკუთვნება, ისე როგორც ქრისტეს სიყვარული თანაბრად არის განფენილი და განწონილი ყველა საგანში, სულიერსა თუ უსულოში.

მისი პიროვნების სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ის ყველაფერია ერთდროულად, – ის ფილოსოფოსია, ის თეოლოგია, ის ისტორიკოსია, ის ხელოვანია, – ერთდროულად მუსიკოსი, მხატვარი, პოეტი... მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნე, არამც და არამც ერთი რამ. ის ისეთივე გიგანტური და ამოუცნობი ფიგურაა, როგორც ეგვიპტის ქურუმები, რომელთაც ხელდასხმის შვიდი საფეხური ჰქონდათ განვლილი.

რაიმედ ქცევა ჰამლეტისთვის თავისი თავის ღალატია. თუმცა ის მაინც ხელოვანია, რადგან ის კი არ ემზადება, როგორც ხელდასხმული ღვთაებრივის ხილვისთვის, არამედ მარად რჩება იმ მდგომარეობაში, რასაც შეიძლება გამოუთქმელის ერთგულების სამზადისი ვუნდოთ.

და როცა ჰამლეტში ხელოვანი დავინახე – დრამის მოქმედებამ თავისთავად ხელოვნების სამყაროში გადაინაცვლა. ჰამლეტი იმანულოდ გარდაისახა, დიდებული ორფეოსის შვილად და გზის გამგრძელებლად. ბიძა, – თანამედროვე ხელოვნების მეუფედ, – მთავარ პოეტად გარდაისახა, დედა-დედოფალი – ცხოვრების სიმბოლოდ, ხოლო ოფელია კი ფსიქეა იყო, – ეს მოფარფატე პეპელა, ეს ჰაერში მოლივლივე ფოთოლი, – ყოველ შედეგში ჩასაიდუმლოებულად რომ ძევს... აი, ასე ნელ-ნელა გარდაისახა შექსპირის „ჰამლეტი“ იმ ნაწარმოებად, რომლის გამომზეულებას დღეს ვაპირებ.

და თუმცა შექსპირი იყო, ვინც შთამაგონა ეს პიესა, მაგრამ არსებობს შთაგონების სხვა წყაროც. ეს ზოგიერთი თანამედროვე ლიტერატორთა ნაწერებია. მაგრამ უმ-

თავრესი წყარო კი ლოურენსის ცნობილი მოსაზრებებია ჰამლეტის შესახებ:

„ჰამლეტის ჭეშმარიტი სანუთრო სექსუალურია.

ახალგაზრდა კაცი შეძრწუნებულია დედამისის სისხლის აღრევის გამო. სექსს აქ ახასიათებს ისეთი ველური და უჩვეულო შიში, როგორც მას აქამდე არასოდეს გააჩნდა... ჰამლეტში სჭარბობს შეძრწუნებული ზიზლი დედის ფიზიკური ურთიერთობის მიმართ, რაც მას აიძულებს ზიზლით უარყოს ოფელია და თვით მამაც, აჩრდილის სახითაც კი ზარავს... ფიზიკური ურთიერთობის უბრალო ხსენებაც კი, მას ზარავს, თითქოს ეს არნახული ნაკლია.“

შემდეგ ამ დაუჯერებელი განსჯის თუ ცილისწამების განშლა მიმდინარეობს:

– „დარწმუნებული ვარ, რომ შექსპირისეული მამის მოკვლის კომპლექსიც, ჰამლეტის შიშიც დედის, ბიძის, ყველა მოხუცის მიმართ გამომდინარეობს იმ შეგრძნებიდან, რომ მამებს შეუძლიათ გადასცენ სიფილისი ან მისი შედეგები თავიანთ შვილებს.“

და მკითხველი დაბნეული იკითხავს:

– სად ბოროტების ამ ზომის განცდა, რომელიც მხოლოდ იმ კაცს შესწევს, ვინც წმინდანობის სიმალემდეა ასული და, რასაც მოჰყვება ის მონოლოგები, რომელიც ადამიანის სულის ყველა ჟღერადობას გაგვიმჟღავნებს და სად ლოურენსის აკვირებული ფიქრი სექსუალობაზე, ინცესტსა და სიფილისზე?

და შეიძლება ლოურენსის მოსაზრება უბრალო ხუმრობად მიგვეჩნია, რომ არა ის ფაქტი, რომ თანამედროვე სამყაროს სწორედ ლოურენსივით ეს აზრები აკვირდება და მისი მოძღვარი რომ ზიგმუნდ ფროიდი.

და მე გამბედაობა უნდა მომეხმოდ, რათა გამეცნობიერებინა ჩემი თავის წინაშე, რომ ჩვენ ეპოქას ზგ. ფროიდის ფსიქოანალიზმა სხვა სახე მისცა. მან ღვთაებრივი გზნება და ცეცხლი ჩაუქრო ჩვენი სიცოცხლის წვესს – ღვთის რწმენას – ლოცვის ჟამს წარმოთქმულ ჩვენ სიტყვებს რომ ამოძრავებდა, სამყაროს და ადამიანის სულს ღვთაებრივი შუქით რომ ავსებდა, უსახური თარგმანი შეუქმნა – მისი ანატომისტური სურათი.

თითქოსდა მან კომპიუტერივით გადაიღო სიცოცხლის უღრმესი და იდუმალ შრეთა ასლები, შემდეგ კი ისინი უსასრულოდ გადაამრავლა და მისი ყველაზე ფერმკრთალი ასლი შემოგვთავაზა.

ამ უსახური ასლით შესძლო ამოეყირავებინა ჩვენი წარმოდგენები სამყაროზე და ღრმად დაფარული ჭეშმარიტება ზედაპირზე დაეფინა.

ზიგმუნდ ფროიდის კვალი მოჩანს ნებისმიერი თანამედროვე მოაზროვნის ნაწერებში, განუსხვებელია თუ რას ვკითხულობთ. იქნება ეს ხელოვნების ქმნილება თუ ფილოსოფიური ნააზრევი, ყველა მათგანში ვპოულობთ აბსოლუტური რწმენის რღვევას, ხელოვანისა თუ ფილოსოფოსის ერთგული, მზით გასხივოსნებული გზის ჩვენას. და უმთავრესი კი ისიცაა, რომ ამ უსასრულო ასლების სამყაროში გაბერნებული ხელოვანისა თუ ფილოსოფოსის მიერ საკუთარი ნააზრევის ვერდაჯერება და მისით ვერნეტარებაა გადმოცემული. რადგან მას ყოველთვის გარედან მაცქერალი თვალი მიუძღვება, რომელიც მას

შიგნით, თავისთავში კი არ ამზერინებს, რათა მოკვდეს და ხელახლა დაიბადოს ამ ერთადერთი, მზით გაკაშკაშებული ერთგული გზისთვის, არამედ ამ კაშკაშა მზის წინაშე რჩება დაუბადებელი – და თავის სიკვდილის ვერდამნახავი, არარადჰყოფილი და ასე იქმნება გონებისთვის დაუჯერებელი უსარულო და უნაყოფო სულის გამომფიტავი შესაძლებლობები.

უსაფუძვლოა და სასაცილოც კი ჰამლეტის თანამედროვე გმირად წარმოჩენა. ისევ გავიხსენებ ჰამლეტის მთავარ მამოძრავებელ აზრს:

ციხე ნამად ქცევა.

ანუ ჰამლეტს სურს მისი მიწიერი ცხოვრება წაიშალოს და ის ღმერთის ხილვაში განიმქვრეს და ამ დიდი ოკეანის უსასრულობაში წვეთ-წვეთად ჩაიღვაროს.

მაგრამ, მეორე მხრივ კი, ის იზიარებს მამის სიტყვებს, რომელიც მას შემდეგ წარმოითქმის, რაც ჰამლეტმა უკვე შეიტყო ბიძის მიერ მამამისის მოკვლის ვერაგული ფაქტი.

„...ამ ამბავს, რომ შენ არ აღენთე, მაშინ იმ უმსგავსო ბალახად არ ეღირებოდი, რაც ქვესკნელის ლეთის ნაპირებზედ სიმსუქნით ღებება.“
(„ჰამლეტი“)

ამით მამა ჰამლეტს მიაწინებს, რომ ტანჯვა ადამიანის მოვალეობაა და რომ ძრწოლა, რომელიც ჰამლეტის შემდგომ ცხოვრებას განწონის, თავიდანვე მამის მიერ დასტურყოფილია. ის იწონებს ჰამლეტის მომავალ ცხოვრებას, რომელიც ტანჯვისგან განთავისუფლებას კი არ ესწრაფვის, არამედ ცდილობს თავისი ტანჯვის, თავისი ტკივილის ერთგულება შეინარჩუნოს.

და თუმცა თანამედროვე ადამიანი ტანჯვისადმი ერთგულებას ირჩევს, მაგრამ არა იმისთვის, რათა ამაღლდეს, არამედ რათა დაეცეს და დაკნინდეს.

ჩვენ ყოველწამს, ტელევიზორით, წარმოსახვითი მსოფლიოს სარკეში მატერიალური სამყაროს მუჯღუგუნს შევიგრძნობთ, ის არაფრით არ გვაცლის კინო-შედეგში ღრმად შევალნიოთ. რადგან მას უფლება აქვს, ძალმომრედ შეწყვიტოს ჩვენი ღრმა აზროვნება, ამაღლებული განცდა, ჩვენი სათუთი ფიქრების წყება, რათა უსაზომოდ გაზარდოს უმნიშვნელო საგანი (საპონი, შამპუნი, სარეცხი ფხვნილი და ა. შ. და ა. შ.). და ისეთი ფასი დაადოს მას, რომ ლამის ის წარმოგვიჩინოს ადამიანის არსებად.

ის, რაზედაც ჰამლეტი ასე მკაცრად საუბრობს, როცა ჰორაციოს ესაუბრება:

„აბა, მიჩვენე ჯერ ისეთი კაცი სადმე, რომელიც მონად ვნებათღელვას არ გახდომია და მასაც შენებრ აქ ჩავისვამ, აქ გულის სიღრმეში“.

თანამედროვე ადამიანი კი ლამის თავის მოვალეობად თვლის ვნებათღელვას აპყვეს, – და მუდმივ თავის გულისთქმას მოუსმინოს.

და ეს იმიტომ, რომ ადამიანი იქ „გაჩერდა“, რაც უმაღლესი ძალებისგან აკრძალული ჰქონდა. „აქ შეჩერება“ იმ უმნიშვნელოს გამოდევნებასაც გულისხმობს, მას ანეგ-

დოქტორ შრეში რომ აგდებს. ფრიდრიხ ნიცშე თანამედროვე ეპოქის სინდისი ამ შრეზე ასე წერდა:

„სამად სამი ანეგდოტი იკმარებდა ადამიანის დასახსიათებლად“.

ვინმემ შეიძლება თქვას:

– ჰამლეტს თავზარი დაეცემოდა ამ თანამედროვე „სარკეში“ ჩახედვისას.

მაგრამ განა ჰამლეტი დღეს არ არსებობს? არსებობს და ისიც მდუმარედ, მწუხარედ შეჰყურებს იმ სიშლეგეს, რასაც თანამედროვე სამყარო ჰქვია.

აღბერ კამიუ ასე წერდა თანამედროვე ადამიანზე:

„ჩვენ მხოლოდ დაახლოებით თუ წარმოვადგენთ რაიმეს“ (**„დაცემა“**).

ჰამლეტი იტანჯება, თუმცა მან არჩევანი გააკეთა ბოროტებასა და სიკეთეს შორის და ეს სიკეთეა, სინათლე, სიყვარული, სიბრძნეა.

თანამედროვე გმირი კაცი – უფრო პილატეს მოაგავს, ჰოსა და არას შორის რომ არის გახიდილი, ერთი შეხედვით, თანამედროვე უკუთვალის მსჯელობით – ის უდანაშაულოა. ის არც იესოს მიმდევარია და არც ბარაბასი, ის არც სიკეთეს უძღვნის თავს და არც ბოროტებას.

თუმცა, როგორც ყოველთვის, არჩევანის ბოლომდე ვერმიმდევარის არჩევანს სხვა დაეპატრონება და ეს სხვა – არარაობაა, – შავბნელი და პირქუში ბოროტების მსახური.

ბერტრან რასელის ცნობილი კითხვა, თანამედროვე პილატეს კითხვაცაა:

„– იქნებ სიბრძნე რაფინირებული სისულელეა?“

რადგან ეს კითხვა დასტურყოფაა იმ სისულელისა, რომელსაც თანამედროვეობა სიბრძნედ ასაღებს.

ფედერიკო ფელინი ერთ-ერთ ფილმში კითხულობს:

– იქნებ სიბრძნე კანფეტის შესაფუთი ქაღალდის კიდზე წერია?

დიახ, თანამედროვე ადამიანის სიბრძნე კანფეტის შესაფუთ ფურცელზე ისევე იწერება, როგორც რეკლამის რგოლებში – უმნიშვნელო საგანთა კიდებს აკვრია.

თუ თანამედროვე ადამიანი ტანჯვით თავისთავის დაკნინებისკენ, დაცემისკენ მიემართება.

ჰამლეტისთვის კი ტანჯვა, სიცოცხლისადმი უდიდესი სიყვარულისა და პატივის მიგებაა. რაშიდაც ის ინართობა და თავისი მიწიერი ცხოვრების ყველა შესაძლო საფეხურს გაივლის.

ამ დრამით მე მსურდა ილუზიის ტყვეობაში მყოფთათვის ერთდროულად, **ფრთხილად და სასტიკად** თვალუბი ამეხილა და მეჩვენებინა, რომ ფრიდრიხ ნიცშე შექმნილი სქემა – ოიდიპოსისის კომპლექსი გახდა სასტიკი განაჩენის ყალიბი და საზრისი, რომლის ფარგლებში აპრიორი უნდა ჩაემწყვედეს ხელოვანის სათქმელი, რისი ნყალობითაც ნებისმიერი ფილოსოფიური ტრაქტატისა თუ ხელოვნების ნაწარმოებში ჩადებული ლეტაბრივი გზის გამასხრება მიმდინარეობს. ამ დრამით თანამედროვე სამყაროში შემოქმედის ტრაგიკული ბედის სასტიკი განაჩენის დაძლევის გზაც გამოიკვეთა.

ნუ იქნებით იზრა კაუნდი

არ ვიცი, უნდა მოგწეროთ თუ არა ეს ბარათი. ამდენი ხანია, ვკითხულობ თქვენს ჟურნალს და ერთადერთ სულის მოსადგმელ გამოცემად „ჩვენი მწერლობა“ მესახება.

სიმართლე გითხრათ, ასეთი დასაწყისიც ძალიან მაღიზიანებს ხოლმე, რადგან პირფერობის რაღაც დოზა ამგვარ ქათინაურებში აშკარად შეიმჩნევა, მაგრამ მერწმუნეთ, მე პირადად პირფერობა არაფერში მჭირდება, ვზივარ ჩემს თელავში და გარესამყაროსთან სულ რამდენიმე ძაფი მაკავშირებს. ძირითადად წიგნები და თქვენი ჟურნალი, რომელსაც ყოველ პარასკევს მართლა სულმოუთქმელად ველოდები.

დღემდე რამდენიმე პუბლიკაციასთან დაკავშირებით მოგანვდინეთ ჩემი აზრი და არც იმას ველოდი, რომ ამ გამომხაურებებს ჟურნალის ფურცლებს დაუთმობდით.

თუმცა აქამდე მხოლოდ ალტაცების გამოსახატავად გეხმანებოდით. დღეს კი მიინდა ჟურნალის 13-ე ნომერში რედაქტორის გვერდის რუბრიკით დასტამბული მასალის თაობაზე შეგეხმინათ.

ცხადია, არ დავინწყებ იმის მტკიცებას, რა დიდ პატივს ვცემ ბატონ როსტომ ჩხეიძეს, რომელიც ჩვენი ეროვნული

სულისა და მწერლობის ერთ-ერთ მებაირახტრედ მესახება. არ ვიტყვი იმას, როგორ მეძვირფასება მისი ყოველი ბნკარი, აზრი თუ საჯარო გამოსვლა; როგორ ველოლიავები მასში იმ დიდ ქართულ სულს, რაც XX საუკუნეში თითო-ოროლა ქართველ მწერალს ჯერ კიდევ მოჰყვა, მაგრამ ახლა ნელ-ნელა უნუგემოდ ინავლება და, შეიძლება ითქვას, ჩემთვის მხოლოდ როსტომ ჩხეიძესა და რამდენიმე კაცში-ლა ბრიალებს. არ ვიტყვი იმიტომ, რომ ასეთი რამეების თქმას ჩემზე უკეთ პირფერები მოახერხებენ, მათ გნიასთან კი ჩემნაირი ადამიანების ძახილი, აბა, რა მოსატანია?!

ერთი სიტყვით, იმის თქმა მიინდა, რომ სწორედ ძვირფასი ბატონი როსტომისაგან გამოიკვირდა ის აზრები, რაც იმ ნავსი (მეცამეტე!) ნომრის მასალაში ამოვიკითხე. კერძოდ კი ის, რომ თურმე მთანმინდიდან უნდა ამოვიძრკვით და კანონიერ მფლობელებს დაეუბრუნოთ რუსი პოეტის გრიბოედოვის ძელები, რადგან სანამ ეს სამარე ჩვენს უპირველეს პანთეონში სუფევს, მანამდე ჩვენი დამოუკიდებლობის იდეასაც კი საფრთხე ემუქრება.

მერწმუნეთ, ჩემი კახელობისა და დიდი სენხიის უაღრესი პატივისცემის მიუხედავად, რუსთა ჩექმისა და პოლიტიკის სიყვარულით ნამდვილად არ გამოვიჩრჩევი. სულაც პირიქით. ერეკლესაგან განსხვავებით, რომელიც თავის დროზე შესაძლოა რაღაც ილუზიებით საზრდოობდა, მე იმ თაობის კაცი ვარ, ვინც „დიდი“ ჩრდილოელი მეზობლის „სიკეთე“ სრულად იწვინა და დაინახა. ამდენად, ზედმეტი იმისი მტკიცება, რომ რუსი და საერთოდ ყველა ერი თავის

ქვეყანაში და საკუთარ საზღვრებში მიყვარს, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ეხება იმ ადამიანებს, ვისაც ბედმა საქართველოში ცხოვრება, სიკვდილი თუ, მით, უმეტეს, ჩვენს მიწაზე დასაფლავება არგუნა.

ჩემი აზრით, საქართველოს არაქართველი მოსახლეობა ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეა და უბედურია ის ერი, რომელსაც თავისი მიწა სხვა ერის შვილებისათვის ენანება, რომელიც ვერ ჰგუობს განსხვავებულსა და უცხოს, სხვა ერის შვილში მინცდამაინც მტერს ხედავს და საკუთარი თავი მათზე აღმატებულად მხოლოდ იმის გამო ეჩვენება, რომ ღმერთმა თავის მიწაზე დაბადებისა და ცხოვრების საშუალება უწყალობა.

არადა, ვინ მეტყვის, რომ ქართველი, რომელიც გრილოში კოტრიანოსს და ქვეყნის მომავალი ფეხებზე ჰკიდია, უფრო პატივსაცემია იმ აზერბაიჯანელ, სომეხ, ქურთ, ოს, აფხაზ, ქისტ, ლეკ, ებრაელსა თუ ასირიელზე, ვისაც გული შესტკივა თავისი მშობლიური საქართველოს ბედზე და ვინც ყველაფერს აკეთებს ამ ქვეყნის ვითარების გასაუმჯობესებლად?!

რაც შეეხება გრიბოედოს, რომელიც თავისი ერის შოვინისტურ პოლიტიკას ემსახურებოდა და, როგორც თქვენი წერილიდან ირკვევა, თურმე ქართველების საქართველოდან აყრაც კი ენადა (სად არის დოკუმენტი?), მოდით დავაფასოთ, როგორც მწერალი და, ბოლოს და ბოლოს, როგორც ჩვენი სიძე, რომლის სიყვარულსაც საქართველოს უგანათლებულესმა და ულამაზესმა ქალბატონმა მთელი თავისი სიცოცხლე მიუძღვნა.

სამარეები და ძეგლები თავისთავად სამიში სულაც არ არის, რადგან მთავარია, რას დავინახავთ ძეგლში, რის სიმბოლოდ მივიღებთ და რა მნიშვნელობას მივანიჭებთ. ჩემთვის გრიბოედოსის სამარე დიდი სიყვარულის სიმბოლოა. სიმბოლო იმისა, თუ პოლიტიკისა და ერთა შორის ჩახლართული ვითარების მიუხედავად, პიროვნებებს როგორ შეიძლება უყვარდეთ ერთმანეთი. იქნებ შემომედავოთ, გრიბოედოსს ნინო ჭაჭავაძე არ ჰყვარებიაო, მაგრამ ჩვენსას ხომ უყვარდა და ჩვენთვის ეგეც საკმარისია. ჩვენ ხომ ვუერთგულეთ და დაე, იდგეს ეს ძეგლი და იყოს ეს საფლავი დასტურად იმისა, რომ ქართველებს, თუ მათში ოდნავი

ღირსება მაინც შევამჩნიეთ, მტრის თავდაუზოგავი სიყვარულიც კი შეგვიძლია.

ვინმეს შეიძლება ასეთი განცხადება გულუბრყვილობად ან, უფრო მეტი, ჭკუასუსტობადაც მოეჩვენოს, მაგრამ, რას ვიზამთ, ვილაცას საერთოდ სიყვარულიც კი შეიძლება სიგიჟე ეგონოს და, კაცმა რომ თქვას, ღვთაებრივი სიგიჟის მეტი მონტეგებსა და კაპულეტებს რა დააზავებდა?

პრობლემის საზოგადოებრივი ასპექტი კი უფრო ღრმა და გაცილებით ფართო საწუხარს მოიცავს. მეშინია, გრიბოედოსის სამარესთან დაკავშირებით დანყებულმა ისტერიამ ისე არ აგვიყოლიოს, რომ ქართველთათვის ჩვეული დარბაისლობა და შემწყნარებლობა დაგვაგინყოს. მერწმუნეთ, „მტრის ხატის“ ხელოვნური გამოჩორკვნა ნამდვილად არ გვჭირდება. ამ საზოგადოებას ისედაც საკმარისადა აქვს თავი გატენილი ქსენოფობიითა და რაღაც ბნელი, ბუნდოვანი „უცხო“ სიძულვილით. დღეს სამარეების გინებას დავინწყებთ, ხვალ კი იქნებ ლაბორატორიებიც დავაარსოთ „ნამდვილი არიელის“ მდაბალი, „წუნკალი“ რასის შვილთაგან გადასარჩევად?!

ფაშიზმი ევროპაში სწორედ ასე იწყებოდა, გამარჯვებით კი იმიტომ გაიმარჯვა, რომ მის ბნელი დეებს, სწორედ ეროვნულ მუხტზე ავებდითი ნათამაშების გამო, მხარი მაშინდელი გერმანიის რჩეული ინტელიგენციის დიდმა ნაწილმაც დაუჭირა.

ამიტომ, ბატონო როსტომ, მე არ მინდა იყოთ ეზრა პაუნდი ან კნუტ ჰამსუნი, მე მინდა ჰგავდეთ თომას მანს, რომელსაც სრული უფლება ჰქონდა განეცხადებინა: „გერმანული კულტურა მე ვარ!“

სამარეებისა კი ნუ შეგვემინდება. უფრო მეტად იმ ცოცხალი გვაგებვისა გვეშინოდეს, ქართველები რომ ჰქვიათ, მაგრამ ზოგჯერ თავიანთი წინასწარგანზრახული, მერკანტილური გეგმებით, ზოგჯერ კი გულუბრყვილო „ურაპატრიოტიზმით“, გრიბოედოზე მეტად დგანან შოვინიზმის, ფაშიზმისა თუ საქართველოს დაქცევის სამსახურში.

მწერალმა თავის პერსონაჟში სასამართლომდე მიიყვანა

ფრანგმა მწერალმა პიერ ჟურდმა სასამართლოში უჩივლა თავის რომანში „მიყრუებული ადგილი“ აღწერილი პანანინა სოფლის ხუთ მცხოვრებს. გაზეთ „გარდიანის“ ცნობით, მათ ბრალად ედებათ ლიტერატორსა და მის ოჯახზე თავდასხმა.

2003 წელს გამოქვეყნებულ რომანში ჟურდმა აღწერა მშობლიური სოფელი ლიუსო როგორც ოთხი ღვთაების – ალკოჰოლის, ზამთრის, ნეხვისა და მარტოობის – სამფლობელო. წიგნი სავსეა ადგილობრივ მცხოვრებთა არცთუ სასიამოვნო აღწერილობებით: მაგალითად, იქ ჩნდება მოხუცი ქალი, რომელიც სარეცელს გახრწნილ, მკვდარ ძალღონ იყოფს. ლიუსო „გარე მონგოლეთს“ რომ შედარა, მწერალმა შავბნელი ოჯახური საიდუმლოებანი, ლალატი და მუხანათობა გამოამზეურა.

პარიზის ლიტერატურულ კრიტიკოსებს რომანი „ჭეშმარიტი საფრანგეთის“ შესახებ ძალზე მოეწონათ, მაგრამ ლიუსოს მკვიდრი განრისხდნენ და პირველივე მარჯვე შემთხვევისას თავს დაესხნენ მწერალს.

ჟურდს სოფელში მამისაგან ნაანდერძევი საკუთარი სახლი აქვს. მისი წინაპრები თვით ლიუსოსა და მის შემოგარენშიც ცხოვრობდნენ. მწერალმა თხოვნით მიმართა სოფლის მცხოვრებთ, რომანის შინაარსს პირდაპირ ნუ გაიგებთო, თუმცა რომანის გამართა პროტოტიპები ამანაც ვერ გადაარწმუნა.

პარიზში ლიუსოს მცხოვრებთა წინააღმდეგ აღძრულ პროცესს დიდი ინტერესით ადევნებენ თვალყურს. „ლე ფიგარო“-ს მიმომხილველმა კი შენიშნა: წარმოიდგინეთ ერთი, ვიქტორ ჰიუგოს ტენარდიეს (მედუქნის ამაზრზენი ოჯახი „საბრალონიდან“) რომ დასხმოდა თავსო.

როსტომ ჩხეიძე

ყურანის იესო, ყურანის მარიამი

*

გიორგი ლობჯანიძის მონოგრაფია

თემა, რომელსაც გიორგი ლობჯანიძემ მოჰკიდა ხელი, ერთ-ერთი ურთულესია, მრავალმრიანი და მრავალპლანური: „იესო და მარიამი ყურანში“. ურთულესიც და უაღრესად მწვავეც. ბოლოსდაბოლოს, ის მხოლოდ რელიგიური, ლიტერატურული თუ ლინგვისტური თვალსაზრისით არ არის მნიშვნელოვანი, არამედ საზოგადოებრივი და პოლიტიკური კუთხითაც და ამ მხრივ იქნებ უფრო მეტადაც.

თემის სირთულე და მის ირგვლივ არსებული თეოლოგიურ-სამეცნიერო ლიტერატურის უკიდევანობა მრავალენაზე, ძალაუნებურად უბიძგებს მკვლევარს, თავი მოუყაროს მუსლიმ და ქრისტიან ღვთისმეტყველთა და მკვლევართა (ყამარ არიანი, სეიედ რეზა სადრი, გუსტავ ვაილი, რეინოლდ დოზი, უილიამ მონტგომერი უოტი...) შეხედულებებს, გადაარჩიოს, დააღაგოს და გაბნეული აზრები და დაკვირვებანი ერთიან სისტემაში მოაქციოს.

მარჯვედ აგებული და მიმზიდველად საკითხავი კომპილაციური, პოპულარიზატორული შინაარსის ნაშრომი იესო ქრისტესა და მარიამ ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ყურანისეული პასაჟების ირგვლივ უკვე მიღწევა იქნებოდა, მეტად შრომატევადი და ფასეული, მყარი საყრდენი შემდგომი შეპირისპირებითი ანალიზისა და განზოგადებისათვის. სრულ, გამომსახველ სურათზე უკეთესი ფონი და ბიძგი ხომ არც არსებობს მკვლევართათვის.

ამ ყაიდის მონოგრაფია თავისთავად მოვლენა იქნებოდა არა მარტო ჩვენს ორიენტალისტიკაში, არამედ სწორედ მსოფლიო განზომილებით, რადგანაც საღვთისმეტყველო და სამეცნიერო ლიტერატურის მთელს ამ ზღვაში ძნელად მოიძებნება ისეთი ნაშრომი, რომელიც თავს მოუყრიდეს ყველა მნიშვნელოვან დაკვირვებასა თუ ღრმა, ანალიტიკურ განსჯას, და თანაც, სრული მიუდგომლობით გამოიჩინოს. მონოგრაფიაში არ იჭრებოდეს არც ისლამური ფუნდამენტალიზმისა და არც ანტიმუსლიმანობისათვის ნიშანდობლივი მიდრეკილებანი, არც ხელშესახებად და არც შედარებით შეფარულად გამოხატული.

მხოლოდ ასე თუ გამოიკვეთება მუსლიმთა საღვთო წიგნისა და მის მიერ ამ სამყაროში სათავადადებული ქრისტოლოგიური ნაკადი იმ სახით, როგორც სინამდვილეშია. შექსპირული სიტყვების პერიფრაზისა არ იყოს, არც არაფერი აკლდებოდეს და არც არაფერი მიემატოს გაბოროტებით.

გიორგი ლობჯანიძის მონოგრაფია ამ თვალსაზრისითაც სანიშნოა. უმდიდრესი მასალაა მოძიებული, დახა-

რისხებული და ერთიან სისტემად დალაგებული, და ზოგად სურათს მსჭვალავს სწორედ ის მიუდგომლობა და მეცნიერული კეთილსინდისიერება, რაც ადასტურებს მის სანდოობას ყველა რელიგიის აღმსარებელთათვის.

ოღონდ ეს ამ ნაშრომის მხოლოდ ერთი ღირსება თუ ერთი მხარეა.

არსებობს მეორე მხარეც, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და მისი სამეცნიერო ღირებულების უმთავრესი განმსაზღვრავი.

მკვლევარი არ კმარობს მასალის ერთ სისტემაში მოქცევას და თვითონვე იყენებს ამ ზოგად ფონს საყრდენად შემდგომი ძიებებისათვის. თამამად და დამაჯერებელი საბუთიანობით ეპაექრება აღიარებულ სახელებს და კიდევ ერთხელ ხდის თვალსაჩინოს, რომ არ არსებობს არავითარი ავტორიტეტი სამეცნიერო კვლევა-ძიების გზაზე, მით უმეტეს, როდესაც პოეტური ექსტაზით შობილი წიგნი გიპყრია ხელთ, რომლის არაერთი პასაჟი, ფრაზა თუ სიტყვა საუკუნეთა მანძილზე ინვედა ცილობას თუ საკმაოდ მწვავე დისკუსიებსაც სწავლულთა წრეებში. განსაკუთრებით ითქმის ეს სწორედ ქრისტოლოგიურ სიუჟეტურ ხაზზე, ფრაგმენტულად რომ აირეკლავს ძველ და ახალ აღთქმათა რწმენა-წარმოდგენებს იესო ქრისტეს ღვთაებრიობისა და ჯვარცმა-აღდგომის – ამ უმთავრეს ქრისტიანულ დოგმათა – გამოკლებით.

თითქოს პოსტმოდერნისტული რომანი იყოს. იქნებ არც შემთხვევითია, რომ მუსლიმთა წმინდა წერილის სტრუქტურა საუკუნეთა შემდგომდროინდელ ლიტერატურულ სკოლას ეხმიანება; რაც მთავარია, მიზეზი ერთი და იგივეა. იგულისხმება, რომ თანამედროვე მკითხველისთვისაც ისევეა ნაცნობი და ადვილად გასახსენებელი ის ქმნილებანი, რომელსაც პოსტმოდერნისტი ავტორი ალუზიებითა თუ რემინისცენციებით მიანიშნებს (და ამიტომაც ძალდაუტანებლად ამოავსებს გამოტოვებულ პასაჟებს და ნამცეცებიდან სრულ სურათს აღადგენს გონებაში), როგორც მუსლიმ მორწმუნეთათვის სახარების ტექსტი და მარიამ ღვთისმშობლისა თუ იესო ქრისტეს ბიოგრაფიები. ყოველ შემთხვევაში, მოციქული მუჰამადი ამას მოითხოვს თავისი სამწყსოსაგან – ცალკეული რეალიებით შედარებით ვრცელი თხრობა გაუცოცხლდეთ თვალწინ.

ეს თუ არ გავითვალისწინებთ, იმ მცდარი შეხედულების ტყვეობაში აღმოვჩნდებით, ევროპელ მკვლევარებს რაც დაემართათ ისლამმცოდნეობის გარიჟრაჟზევე, თითქოს ყურანი სხვადასხვა ამბის სენტენციის, რელიგიურ კანონთა მუხლებისა თუ პოეტურ ფრაგმენტთა ქაოტური ნაზავი ყოფილიყოს. ასევე ქაოტური და ბუნდოვანი გამოჩნდება ქრისტიანობისადმი მიმართებაც.

იმის გასარკვევად, ქაოტურობა წარმართავს თხრობას თუ ღრმა შინაგანი კანონზომიერება, მონოგრაფიის ავტორი მოიშველიებს არა მხოლოდ ახალი აღთქმის კანონიკურ ტექსტს, არამედ ქრისტიანულ აპოკრიფებსაც (ეპიფანიტურ თუ თომას სახარებებს) და გადმოცემებსაც, რომელთაც უსათუოდ ეყრდნობოდა მუჰამადი თავისი შთაგონებისას.

ესეც კიდევ ერთი ფასეული დაკვირვება და მხარე ამ ნაშრომისა, და ანალიზის ნიუანსობრიობა თვალსაჩინოდ წარმოსახავს იმ გარკვეულ თანამიმდევრულობასა თუ

ორგანიზებულობას, რაც ქრისტიანობის მიმართ შეიმჩნევა ყურანში, იმ არაერთგვაროვნებასა და გარდამავლობას, კეთილგანწყობასა და მტრობას შორის რომ მერყეობს.

გარდამავლობა ყურანის ტექსტში ისტორიის შექრას გამოუნვევია, შემოქმედებით თუ რელიგიურ შთაგონებას პუბლიცისტური იერი შეჰპარვია და იდეოლოგიური დაპირისპირების კვალიც აშკარაა. თუმცა ყურანი მოციქულის მიერვე გამოცხადებულია ისეთ ღვთითშთაგონებულ ქმნილებად, რომელიც დამამტკიცებელ-დამადასტურებელია მანამდელი წიგნიერი რელიგიებისა – მოსეს თორასი და იესოს ევანგელესი – და ამათი უარყოფა საკუთარი თავის უარყოფასაც დაემსგავსებოდა, რეალობაში ისლამის დამკვიდრებას მოსდევს მძაფრი ჭიდილი მოსეს რჯულთანაც და ქრისტიანობასთანაც, და თუ ადრინდელ სურებში ერთმანეთისაგან გამიჯნულია ეს ორი რჯული და იუდეველებს თუ უპირისპირდება, შემწყნარებელია იესოს მიმდევართა მიმართ, ესეც ისტორიული სინამდვილის ანარეკლია. მუჰამადის ქადაგებებს ქრისტიანებს შორის თავდაპირველად არ გამოუნვევია მისი დათრგუნვის სურვილი, რაკილა დროებით, წარმავალ მოვლენად მიიჩნიეს. ოღონდ ესეცაა: შემდგომში, როცა ორივე მხარე გამკაცრდებოდა ერთმანეთისადმი, მოციქული მუჰამადი მაინც მეტ კეთილგანწყობას შეინარჩუნებდა ქრისტიანებისადმი, ვიდრე თორას მიმდევართა მიმართ.

არამც თუ მუჰამადი, თვით ფრიდრიხ ნიცშეც, ქრისტიანობის გაცილებით ულმოვლი და თანამიმდევრული კრიტიკოსიც, საბოლოოდ იესო ქრისტეს პიროვნული ხიზლის გავლენაში აღმოჩნდებოდა და მისი ფილოსოფიური რომანი – „ესე იტყოდა ზარატუსტრა“ – არა ქრისტეს მოძღვრების უარყოფად, არამედ თავისებურ მეხუთე სახარებად შემორჩებოდა კაცობრიობის ხსოვნას. ყურანიც სხვა არაფერია, თუ არა თავისებური გაგრძელება ევანგელეს ტრადიციისა და მალიარებელი იესო ქრისტეს კაცობრიული ბუნების სიდიადისა, თუმც მუჰამადი არ აღიარებდა უმთავრესს იესოს პიროვნებასა და ამქვეყნიურ მოღვაწეობაში – გამოსყიდვასა და მსხვერპლს და, არა ძე ღვთისად, არამედ წინამორბედ მოციქულად მიიჩნედა, სხვა მოციქულთაგან გამორჩეულად, რადგანაც მას მიაწერდა ისლამის წმინდა წერილის შემქმნელის მოვლინების წინასწარმეტყველებას.



მოგვთა თაყვანისცემა. XIII საუკუნის არაბული მინიატურა

ასეა თუ ისე, ყურანის ერთ-ერთი აია იესო ქრისტეს უჩვეულობასა და მის მონოლითურ, დაუნაწევრებელ მთლიანობას ღვთისმშობელთან ერთად ამგვარად გააცხადებს სამყაროს შემოქმედის ბაგით:

„და დავადგინეთ იგი (მარიამი) და მისი ძე სასწაულად სამყაროთათვის“ (XIX, 91)“.

ის ქრისტოლოგიური ნაკადი, რაც ჩაკარგულა და მიმოფანტულა ყურანის ტექსტში, პოლიტიკურ ბრძოლათა გავლენით კიდევ უფრო მიმალულა, და რომ არა მუსლიმთა წმინდა წერილის ანალიტიკური შესწავლა, მისი ქართული ორეულის შექმნის მიზნით, სხვაგვარად, თავიდანვე მეცნიერული ინტერესით მკვლევარი იქნებ არც ჩაკვირვებოდა და არც მოეხდომებინა ქრისტოლოგიური სიუჟეტური ხაზის ამოზიდვა იმ უბრალო მოტივით, რომ არც მოელოდეს, თუ რაოდენ ღრმა კანონზომიერება და ათასწახნაგა სინამდვილე გადაეშლება თვალწინ.

სიტყვებს დადგენილი, ლექსიკოლოგიური მნიშვნელობა მხოლოდ ოფიციალურ ტექსტებში აქვს და არა მხატვრულ ქმნილებებში, როდესაც ესა თუ ის გამოთქმა სწავლულებმა განსხვავებულად და, არცთუ იშვიათად, სრულიად საპირისპიროდ შეიძლება განმარტონ, არადა, მეტად და მეტად საფრთხილოა ამგვარი განმარტებანი რელიგიურ ქმნილებებში, რადგან ერთ უზუსტობას ზედ დაეშენება მცდარ წარმოდგენათა მთელი წყება და ყალბი თეორიებიც და სექტანტური მიდრეკილებანიც სწორედ აქედან ისახება.

იესოს ჯერ მარტო ერთი ეპითეტის – სიტყვა უფლისა – მრავალგვარი განმარტება ცხადყოფს, როგორ ცდილობენ მუსლიმი ღვთისმეტყველები და მკვლევარები, რამენაირად აერიდონ გამჟღავნებას იმ ჭეშმარიტებისა, რომ რომ ეს ეპითეტი იოანეს სახარების დასაწყისის გამოძახილია / „დასაბამიდან იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღმერთისა თანა და ღმერთი იყო სიტყვაი იგი“ / და, ამდენად, არც ადამის დაბადების ალუზიას ინვევს, არც იესოს საგანმანათლებლო-რჯულმდებითი მოღვაწეობის დახასიათებისა, არც ადრინდელ წინასწარმეტყველთა ქადაგებების რემინისცენციას გულისხმობს მაცხოვრის მოვლინების თაობაზე, არც თორას დაფარულის საზრისის ახსნასა თუ სხვა ამგვარებს.

მკვლევარს ამ შემთხვევაშიც და საერთოდაც შეუძლია გაბედულად ჩაერიოს მუსლიმ კომენტატორთა პაექრობაში, რისთვისაც უკმარია მარტოდენ ღრმა, ნიუანსობრივი ცოდნა კლასიკური არაბული ენისა და აუცილებელია ენის ფარული არსის შეგრძნება, იმ ისტორიული პერსპექტივის განცდა, რაც ხელოვანის ნიჭის თავისებურებაა და ასე მომადლება გიორგი ლობჯანიძეს, ვის მიერ ქართულად გადმოღებული ყურანის მხატვრულ-სტილურ ბრწყინვალეობას, მის ესთეტიკურ ღირებულებას ჩვენი კულტურული სივრცისათვის ხელშესახებად ადასტურებს ის ფრაგმენტებიც, ცალკეულ მოსაზრებათა თვალსაჩინოებისათვის რომ არის მოხმობილი და მიმოფანტული გამოკვლევის ტექსტში.

თვითონ მონოგრაფია ამ მხრივაც მეტად საგულისხმოა, თუ როგორ ენობრივ ქარგაშია მოქცეული მრავალმხრივი ძიებანი. ბოლოს და ბოლოს მეცნიერული ანალიზი, მეცნიერული მიგნება არ არის და არც შეიძლება იყოს შიშველი სქემა, გაყინული ფორმულა, ძნელად ამოსაკითხი თუ გასაშიფრი იდეოგრამა. ფილოლოგიური მეცნიერება სხვაზე კიდევ მეტადაა ვალდებული იზრუნოს გამოკვლევათა ენობრივ-სტილურ დახვეწილობასა და კომპოზიციური აგებულების, შეხედულებათა გადმოცემის ხელოვნებაზე, როდესაც გარეგნულად ცოტა არ იყოს მოსანყენი ტექსტი, დეტალიზებული მსჯელობაც იოლად მისანვდომია მკითხველისათვის. დეტალიზება ამ მონოგრაფიის ერთი ნიშანია, მისი ექსპრესიულად, შთამბეჭქდავად გადმოცემა კი კიდევ ერთი ღირსება.

ნურც ის გამოგვრჩება, რომ მონოგრაფიაში გაბნეული არაერთი დაკვირვება ხსნის კვლევის ახალ არეალს, თუნდაც „ზღუდეთა სურის“ მე-40 აიის /„ისინი არ უჯერებენ ჩვენს აიებს და ამპარტავნობენ მათზე... არ გაეხსნებათ მათ ცათა კარიბჭეები და ვერ შევლენ სამოთხეში, ვიდრე აქლემი არ გაძვრება ნემსის ყუნწში. ამგვარად ვუზღავთ ბრალეულებს“/ ირგვლივ გაშლილი მსჯელობა, უშუალოდ კი, აქლემისა და ნემსის ყუნწის მეტაფორა, რომლის სახარებისეული ნარმომავლობა უეჭველია, ოღონდ საგულისხმო და დამაფიქრებელი აქ ისაა, რომ მათეს ევანგელეს ამ პასაჟში „უადვილეს არს აქლემი განსვლად ხურელსა ნემსისასა, ვიდრე მდიდარი შესვლად სასუფეველსა ცათასა“, XIX, 24 – ბერძნული დედნის ძველ გადამწერთ მექანიკური შეცდომა მოსვლიათ და, ნაცვლად სიტყვისა „კამილოს“, რაც ბაგირს, მსხვილ თოკს ნიშნავს, ჩაუნერიათ „კამელოს“ – აქლემი. ტექსტოლოგებისათვის დიდი ხნის წინათ უკვე ცნობილ ამ შეცდომასა და მასზე დაფუძნებული ტრადიციის უწყვეტობას ბაჩანა ბრეგვაძე მიაქცევდა ყურადღებას და შემოიტანდა ჩვენს სალიტერატურო მიმოქცევაში. გიორგი ლობჯანიძე მსჯელობისას იმონებებს ებიონიტური სახარების ანალოგიურ პასაჟსაც,

რომელიც სიტყვა-სიტყვით იმეორებდა კანონიკურ ვერსიას და, მასთან ერთად, უძველეს ქრისტიანულ ტრადიციას, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ „ნემსის ყუნწი“ ერქვა იერუსალიმის ტაძრის მცირე კარს. იესო ქრისტე სწორედ ამას გულისხმობდა, მაგრამ გამოთქმის იდიომური შინაარსი რომ დაიკარგებოდა, სახარების მოგვიანო ხანის ტექსტოლოგები „ნემსის ყუნწს“ პირდაპირი მნიშვნელობით გაიგებდნენ, ლოგიკურად დაასკვნდნენ, რომ აქლემის ნაცვლად თოკი იგულისხმებოდა და მაშინ ფრაზა უფრო ბუნებრივი გახდებოდა: როგორც თოკი ვერ გაეტევა ნემსის ყუნწშიო...

ყურანშიც ასეთივე ტიპოლოგიური შეცდომის მოწმენი ვხვდებით. მუჰამადსაც „ნემსის ყუნწი“ არა იდიომური, არამედ პირდაპირი აზრით გაუგია, რაკილა იერუსალიმის ტაძრის მცირე კარი ისლამის სარწმუნოებრივ-თეოლოგიური სისტემისთვის უკვე აღარაფერს ნიშნავდა. ხოლო იდიომი უცვლელად რომ მეორდება, მონოგრაფიის ავტორს აფიქრებინებს, რომ სახარებისა და ყურანის ეს პარალელი სცილდება უბრალო სტილისტური ანალოგიის ფარგლებს და უფრო მკვეთრი დასკვნების გაკეთებისაკენ უბიძგებს მკვლევარებს.

ის, რაც მზამზარეული ნარკვევის სტრუქტურაა, მონოგრაფიაში სხვათა შორის არის მოხმობილი, მხოლოდ გარკვეული ფონის შესაქმნელად და იმ არეალისაკენ გაგვახედებს, „უფრო მკვეთრი დასკვნა“ რასაც გულისხმობს. გიორგი ლობჯანიძის მონოგრაფია ნარმოგვიდგება ბედნიერ გამონაკლისად და ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლის მსოფლიო რანგის კიდევ ერთ დადასტურებად – მისი ადგილი მხოლოდ უკეთეს სამეცნიერო ნიმუშთა შორისაა საგულგებელი.

ეს გარემოებაც თავისთავად ხომ არ გვავალებს, რომ გამონაკლისი იყოს ჩვენი დამოკიდებულებაც მისდამი? როდემდე შეიძლება ფორმალიზმის ჩარჩოები, რალაც დრომოჭმული ინერცია ზღუდავდეს მეცნიერული აზრის წინსვლას? ნუთუ სამეცნიერო საბჭოს არ უნდა ჰქონდეს უფლება, უარყოს ყოველგვარი შემზღუდავი ბარიერი და გამორჩეული მონოგრაფიები – განა რამდენი აღმოჩნდება ასეთი ბედნიერი გამონაკლისი – შესაფრისადაც შეაფასოს?

დაბეჯითებით შემიძლია განვაცხადო: შთაბეჭდილება, რასაც ინვესს ეს სამეცნიერო ნაშრომი, და მოსალოდნელი რეზონანსი საერთაშორისო ასპარეზზე, ძალდაუტანებლად მავალებს ვუშუამდგომლო სამეცნიერო საბჭოს წინაშე, რათა გიორგი ლობჯანიძეს მონოგრაფიისათვის „იესო და მარიამი“ ყურანში მიენიჭოს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

გიორგი ლობჯანიძის ამ დისერტაციის – „იესო და მარიამი ყურანში“ (სამეცნიერო ხელმძღვანელები ნანა ფურცელაძე და აპოლონ სილაგაძე) – დაცვა ორწლიანხვედრის წინათ შედგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, სემიტოლოგიის კათედრაზე.

რედაქციის
მინაწერი

ახლა აღარც ის ფაკულტეტია აღარც ის კათედრა. აღარც დისერტაციას იცავს ვინმე. ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებული უნივერსიტეტი თუ კიდევ არსებობს, ისიც საკითხავია, და ძალიან გაგვეხარდება, თუ სანუგეშოს გვეტყვიან რაიმეს.

ბევრი რამ მოშლილიყო საქართველოს უპირველეს უმაღლეს სასწავლებელში, თუნდაც დისერტაციის დაცვა საკმაოდ დაკნინებულიყო და ისეთი უფერული ნაშრომები მოზღვავედა, საკურსობედაც რომ ან ივარგებდა და ან არა; და დიპლომანტსაც კი მეტი მოთხოვებოდა, ვიდრე საკანდიდატო და სადოქტორო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილ ფურცელთა გროვას.

რეფორმა სუნთქვასავით სჭირდებოდა უმაღლესი განათლების სისტემას, მაგრამ ნამდვილი და არა მოჩვენებითი.

უნივერსიტეტის კომისიაც ვერ აღმოჩნდა თავისი – ასეთი საპასუხისმგებლო მოვალეობის – ღირსი და პროფესიონალიზმმა და მორალურმა პრინციპებმა კი არ გადაწყვიტა ლექტორების შერჩევა, არამედ უმეტესწილად ამფსოხურმა მოტივებმა და პირადმა ანგარიშსწორებამ.

ასე შევიქენით მოწმენი რეფორმის ნაცვლად რეფორმის პაროდისა.

უცნაურად შეკვეცილ ფაკულტეტებს კი აღმოსავლეთ-მცოდნეობის სკოლაც მიჰყვა, არადა, თუკი რაიმე ჰქონდა გამოსაჩინებელი უნივერსიტეტს, უმთავრესი სწორედ ეს ფაკულტეტი.

უნიჭო დისერტაციების მოზღვავება ვახსენეთ.

მათ შორის ჩაკარგულიყო, მაგრამ ხომ მაინც არსებობდა თვალსაჩინო სამეცნიერო ნაშრომებიც, ამა თუ იმ დარგის წინსვლისათვის მონოდებულნი, და უკეთესთა შორის უკეთესი დისერტაციების მხილველნიც გავმხდარვართ.

თუნდაც გიორგი ლობჯანიძის მიერ წარმართული კვლევა-ძიება მარიამ ღვთისმშობლისა და იესო ქრისტეს სახებათა გასააზრებლად ყურანში, მსოფლიო ყურანოლოგიასა და ისლამმცოდნეობას რომ დაშვენებოდა.

ნაშრომი აქამდე არ გამოცემულა ცალკე წიგნად, არადა, საშურია მისი გამოცემა, რადგანაც საერთაშორისო მნიშვნელობა ენიჭება, და უთუოდ ინგლისური ვერსიაც უნდა დაერთოს.

თუმც ჩვენი მკითხველისათვის ხელმისაწვდომია ამ გამოკვლევის მთავარი დებულებანი ცალკეული პუბლიკაციების სახით. ამასთან, მკვლევარმა ნაშრომის კონსპექტური ვერსია წაიკითხა საჯარო ლექციაზე დალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების ერთ-ერთ თავყრილობაზე და მისი შინაარსი პროფესიულად ჩაიწურა იმ დღის ლიტერატურულ რეპორტაჟში.

მკვლევარი ანალიზისას უმთავრესად ეყრდნობოდა მის მიერვე თარგმნილ ყურანს, რომლის პირველი ორი სურაც საჭაშნიკოდ უკვე გამოქვეყნებინა ჟურნალ „აფრას“ ფურცლებზე, და მკითხველი მოუთმენლად მოელოდა, რომ ადრე თუ გვიან სრულად ამეტყველდებოდა ქართულად უშუალოდ არაბული ენიდან გადმოღებული მუსლიმთა უპირველესი წიგნი.

დღეს ეს უკვე რეალობაა „აკაკასიური სახლისა“ და მისი დირექტორის, მწერალ ნაირა გელაშვილის დიდი თავგამოდების წყალობით, ყოველგვარი პირობა რომ შეუქმნა მთარგმნელს ქართული ვერსიის დასრულება-დახვეწისა და ვრცელი შესავლისა და განმარტებათა დართვისათვის.

ქართული აღმოსავლეთმცოდნეობითი სკოლის ეს კიდევ ერთი გამარჯვება, კვლავ რომ უნარჩუნებს ამ სკოლას საერთაშორისო ასპარეზს, ძალდაუტანებლად წამოატივტივებს გიორგი ლობჯანიძის სადისერტაციო ნაშრომს, რომლის დასკვნებიც და ცალკეული დაკვირვებანიც უხვადაა მიმოფანტული ყურანის განმარტებებში.

შემთხვევითი არა ყოფილა ირანელ მეცნიერთა მიერ გამოგზავნილი გამოსხაურების დიტირამბული იერი.

ძვირფასო მეგობარო,

დიდი ინტერესით გავეცანით თქვენ მიერ გამოგზავნილ ავტორეფერატს. გვინდა, როგორც თქვენმა კოლეგებმა გულწრფელად მოგილოცოთ ეს ბრწყინვალე მეცნიერული ნარმატება, რომელიც არაბული და სპარსული ენებისათუ, საერთოდ, ისლამური კულტურის ღრმა ცოდნას ემყარება.

ჩვენ ბედნიერება გვექონდა, ვყოფილიყავით თქვენი თანაკურსელი და მასწავლებელი თეირანის სახელმწიფო უნივერსიტეტში და თვალყური გვედევნებინა თქვენი ყოველდღიური ინტელექტუალური ზრდისათვის. დღემდე აღფრთოვანებულნი ვახლავართ თქვენი სპარსულით, რადგან ერთია, როცა ვინმე ენას საყველპუროდ სწავლობს და მეორეა, როცა, როგორც თქვენ, ერთადერთი უცხოელი სტუდენტი სპარსულენოვან თანაკურსელებს ტოლს არ უდებდით და ხშირად მათზე უკეთაც კი სწავლობდით.

თქვენი ნებართვით, ავტორეფერატის ერთი პირი თეირანში, დიდი ისლამური ენციკლოპედიის სამეცნიერო კოლეგიასა და მის პასუხისმგებელ მდივანს, დოქტორ ყამარ არიანს გადავუგზავნეთ. იგი ჩვენს აღფრთოვანებას სრულად იზიარებს და, ამასთანავე, გვთხოვა გადმოგვეცა, რომ თუ ნებას დაგვრთავთ, ის ორიგინალური შეხედულებები, რაც ამ დისერტაციის ავტორეფერატში უხვადაა, თქვენივე სახელით გამოქვეყნდეს ისლამის დიდ ენციკლოპედიაში.

გისურვებთ ნარმატებებს და ეჭვი არ გვეპარება, რომ 11 თებერვალს, ირანის ისლამური რევიოლუციის გამარჯვების დღეს, ღირსეულად წარდგებით დიდი ტრადიციების მქონე ქართული უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წინაშე, რომლის ერთ-ერთ სერიოზულ გამარჯვებად თქვენი სადისერტაციო ნაშრომიც მიგვაჩნია.

პატივისცემით,

მოჯთაბა ზარვანი

თეოლოგიის დოქტორი,
თეირანის უნივერსიტეტის პროფესორი

მოჰამად მაჰჰადი-ნუშაბადი

თეირანის უნივერსიტეტის თეოლოგიის მაგისტრი,
თაბრიზის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

შემთხვევითი არა ყოფილა თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი, ირანულ სამყაროში მარიამ ღვთისმშობლისა და იესო ქრისტეს კვლის მაძიებლის მაგალით თოდუას აღმტაცი რეცენზია, როგორც დისერტანტის ოფიციალური ოპონენტისა.


და არც მეორე ოფიციალური ოპონენტის, ბიბლიური სამყაროს მკვლევარის როსტომ ჩხეიძის მაღალი შეფასება შემთხვევითი, საკანდიდატო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომი საუკეთესო სადოქტორო დისერტაციებს რომ გაუთანაბრა.

როგორც მოსალოდნელი ვახლდათ, არცერთი ეს რეცენზია არა ყოფილა ტრაფარეტული და ერთხელ წარმოსათქმელად გამიზნული, ორივესათვის ნიშანდობლივია ის სიღრმე და პროფესიონალიზმი, რაც მათ რეცენზიებს ანიჭებს ისლამმცოდნეობითი ნარკვევების მნიშვნელობას და, ამდენად, ხელმისაწვდომი უნდა იყოს მკითხველისათვის, მით უფრო ქართული ყურანის გამოცემით გამონვეული სასიამოვნო აჟიოტაჟის ფონზე.

ამჯერად გთავაზობთ მეორე რეცენზიას და, ვიმედოვნებთ, ბატონი მაგალიც მოგვიმზადებს და მოგვანვდის თავისი გამოსვლის ტექსტს.

სერგეი მაქსიმოვი

პეჩორის თავადი



ღირს კი პეჩორისაკენ გზის გაგრძელება? ღირს ან დროის ფლანგვად, ან იმ საფრთხედ, საკუთარ ჯანმრთელობას რომ უნდა შევეუქმნა? სამუშაო ვადა შეზღუდულია, ზამთარი – სუსხიანი, და სასტიკ პოლარულ ყინვასაც ვერ გადავურჩები.

როგორც კი მდინარე მეზენის მთაგორიან ნაპირზე შეფენილი სოფლის, ვოჟგორის, ლამაზი ხედი გამოჩნდა, ჩემს აფორიაქებულ გონებაში ამ კითხვებმა კვლავ წამოყვეს თავი. საქმე ისაა, რომ ზამთრობით გზას სწორედ ვოჟგორიდან მივყავართ იმ მხარეში, რომელსაც ადგილობრივი უბირი გეოგრაფები „**მომორებულს**“* უწოდებენ და, კაცმა რომ თქვას, მართლაც ყოველმხრივ მოშორებულია არხანგელსკის ყველა სხვა დანარჩენი ნაწილისაგან.

პეჩორა თავისი ცხოვრებით ცხოვრობს, თუმცა ვაჭრობით პერმის მხარეზეა დამოკიდებული, ხოლო პურით – კამის სარაპულზე. არხანგელსკთან მისვლა-მოსვლა მხოლოდ ზამთრობითაა შესაძლებელი, ისიც მოკლე ხნით, ზაფხულობით კი იმავე არხანგელსკთან ყოველგვარი კავშირი განწყვეტილია. ამიტომაც, ათეული წლებია, გაცხოველებული მსჯელობაა იმაზე, თუ რა მოუხერხონ პეჩორას – იქნებ ცალკე გამოყონ მეზენის მაზრისაგან? თუმცა, რატომღაც მაინც არხანგელსკის გუბერნიაში უნდათ ჩატოვონ.

ამ მხარის გამოკვლევა, ჩანს, მომინევს განსხვავებული ხერხებით, ნაჩქარევად და, ამდენად, განწირული ვარ მარცხისათვის – ვერ მოვიპოვებ, რაცა მსურს და რაც მჭირდება და უნდა დავჯერდე იმას, რასაც ღვთისათვის ჩემთვის გამოიმეტებენ.

ნეტა აქაც დაუპატიჟებელი სტუმრის გამოუვალ და დამამცირებელ მდგომარეობაში ხომ არ აღმოვჩნდები, როგორც ეს სტაროვერთა პომორიეში დამემართა? პირველი სოფელი პეჩორის გზაზე – უსტ-ცილმა! – სწორედ სტაროვერებითაა დასახლებული; თანაც ესენი სხვისი ჯამიდან არ ჭამენ, დაბეჯითებით და დაუფარავად ამტკიცებენ საკუთარი რწმენის ჭეშმარიტებას და მოსახლეობის აღწერისას მამრობითი სქესის 1260 სულიდან მეზუთედზე უყოყმანოდ მიუთითეს – ესენი ნაბიჭვრები არიანო. აქ იმედებით აღსავსე შეხვალ და უკან პირში ჩალაგამოვლებულს გამოგიშვებენ. ამჟრისას იმ ფეხს არ ნადგამს შუაში შეტეხილი ცხენი ან მეეტლე მარცხნიდან აბობლდება კოფოზე, ან კიდევ რომელიმე დაელმებული კურდღელი გადავირბენს გზაზე, ამას ყველაფერს თავ-თავის მნიშვნელობას ანიჭებენ და, თითქოს პირი შეუკრავთო,

დადუმებულნი, ისე მჭიდროდ აღიმართებიან შენს წინ, რომ დიდად საყურადღებო, საინტერესო და იშვიათი სილამაზის პეიზაჟის დათვალიერების საშუალებასაც კი არ მოგცემენ.

იქაურობის მცოდნენი კი მეუბნებიან:

– პეჩორელები კეთილი, სტუმართმოყვარე, უბრალო და გულდია ხალხია. თქვენ წარმოიდგინეთ, იმდენად მიამიტები არიან, რომ ერთხელ ქონების სახელმწიფო პალატის ადგილობრივ მმართველთან, პაშჩენკოსთან, ერთად გავლით შემოხეტებული ვაჭარი ვიშაუ თვით პიტერიდან ჩამოსულ დიდკაცად მიიღეს. როდესაც დაინახეს, ეს უკანასკნელი თხილამურებს მარჯვედ ხმარობდა, კიდევ უფრო განუმტკიცდათ რწმენა – პიტერში დიდკაცებს სპეციალურად ასწავლიან თხილამურებით სიარულსო. „აბა, ვაჭარი ამას როგორღა მოახერხებსო“ – ერთმანეთს ეუბნებოდნენ. ხოლო როდესაც ვიშაუ თავის თანამგზავრიანად აიბარგა, მთელი პეჩორა იქ გაჩნდა. რომელიღაც მთვრალი ხალხს მოუწოდებდა – მუხლებზე დავეცეთო! შემდეგ კი დაძრულ სტუმარს აქეთ-იქიდან აედევნენ, „ვაშა!“ დასძახეს და ასე, – „ვაშა, ვაშა!“ ყიჟინით, – მთელი პეჩორა გადაირბინეს. დიდი დრო დასჭირდა მათ დარწმუნებას, რომ რალაც შეეშალათ.

იქაურები მირჩევენ:

– რადგან შემთხვევა გეძლევათ, აუცილებლად უნდა ნახოთ პეჩორა. მით უმეტეს, ახლა ზამთარია, ჭაობები გაყინულია და, საითაც მოგესურვებთ, ყველა გზა ხსნილი გაქვთ. მხარე ლამაზია და საინტერესო, ბუნება – შეურყვნილი, ამასთანავე, სავსებით შეუსწავლელი და, ამდენად, ყველასათვის უცნობი. იშვიათად, იქ უცხო სფეხი შეუცდეს, თუ მაინცდამაინც რომელიმე წვრილ სახელმწიფო მოხელეს თავისი რუტინული სამსახურებრივი საქმეები არ ჩაიყვანს. ერთხელ, 1838 წელს, 26 ნოემბერს, თვითონ იქაურთა თხოვნით, პეჩორას სასამართლოს მოხელეები ეწვივნენ – ბობოლა ჩინოვნიკები! ასეთი „დიდები“ პეჩორელებს ქვეყნიერების დასაბამიდან აქამდე არა ჰყავდათ ნანახი!

ადგილობრივ გუბერნატორს ხომ წამლად ვერ ნახავთ და თუ რომელიმე მათგანი მაინც გადაწყვეტს, იქაურობას თვალი მოავლოს, მხოლოდ და მხოლოდ ზაფხულობით, ისიც მოცალოების ჟამს და გზად ვოლოგდისაკენ ან პერმისაკენ და იქიდან – ქალაქ ჩერდინში. ასე რომ, ამ ღირსსახსენებელ გვამს ისედაც უსასრულო შემოვლითი გზის დაგრძელება ასეულობით ვერსით მოუწევს. არქიელის სტუმრობამ ხომ მთელი ეპოქა შექმნა, წარმოშვა ლეგენდები და ამ ლეგენდებს დღემდე აქვს ცხოველმყოფელობა შენარჩუნებული.

ყოვლად უმნიშვნელო, უშინაარსო, ბანალურ შემთხვევებს იქ საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებენ, ასეთი

* „მომორებული“ – სიტყვების თამაშია: ა) მოწყვეტილი, დაშორებული, შორს მდებარე; ბ) თავიდან მოშორებული, მოკვეთილი.

შემთხვევები მკაფიოდ ახსოვთ და, თუ ხელში ჩაგიგდეს, აუცილებლად მოგიყვებიან. ძირისძირამდე გადაგიშლიან ეპოპეას, თუ როგორ ეწვია 1831 წელს პეჩორას ხოლმოგორის ეპისკოპოსი გიორგი. არადა, კაცმა რომ თქვას, ეპისკოპოსის აქ მობრძანების ძირითადი მიზანი პეჩორის-პირელი სამწყსოს მონახულების კეთილი განზრახვა სულაც არ ყოფილა. მღვდელმთავარი სინოდის დავალებას ასრულებდა. სინოდი კი, თავის მხრივ, საგანგებოდ იყო დაინტერესებული სამოედთა* შორის მისიონერული საქმიანობით, რომელშიც, სხვათა შორის, აქტიურად მონაწილეობდა სიის მონასტრის არქიმანდრიტი ბენიამინ სმირნოვი.

ეპისკოპოსი ამალითურთ ცხენების შესაცვლელად ქობ-სასადილოსთან შეჩერდა. არქიელის ოთხთვალასთან დიაკვნები და მგალობლები ირეოდნენ, თვითონ მისი უსამღვდელოესობა კი ოთხთვალადან ცოცხალი თავით არ ჩამოდიოდა და თანმხლებთ მოუწოდებდა – ცხენების გამოცვლა დააჩქარეთ! ამასობაში ეპისკოპოსს მოახსენეს: გზად მიმავალ ერთ მოხუც დედაკაცს ბავშვი მიჰყავს სემინარიაში მისაბარებლად და მწყემსმთავრულ კურთხევას გთხოვთ.

ეპისკოპოსი ბავშვის გამოკითხვას შეუდგა:

– გალობა იცი?

– არც ისე.

– აბა, ერთი სცადე, თუნდაც „წმიდაო ღმერთო“.

ბიჭი დადუმდა. აქედან შეუძახეს, იქიდან შეუძახეს, მგალობლებმაც დატუქსეს, მაგრამ არაფერიც არ გამოვიდა – პატარა პეჩორელმა ველურმა ხმა სულ განყვიტა.

ეპისკოპოსმა დაფეთებულ ბავშვს მწყალობელი მზერა მიაპყრო და კეთილი ღიმილით დაასკვნა:

– ჯიუტი ყოფილა! მაგრამ არა უშავს, ამას სემინარიაში მიხედავენ!

სემინარიას რაც შეეხება, ჩვეულებრივი საზაფხულო გზით (რომლითაც დღემდე ფოსტას ეზიდებიან) იქ რომ ჩააღწიოთ, სრული ერთი თვე მოგიწევთ, მგზავრობისას მოგიწევთ ათეულობით დაბრკოლების გადალახვა და არც უანგარიშო თავგადასავალი მოგაკლდებათ. მეორე საზაფხულო გზა კიდევ უფრო უარესი და გაუვალია, ამიტომაც ამ გზაზე მგზავრს იშვიათად თუ გადაეყრებით.

ზაფხულობით პეჩორაში ჩასვლა გმირობაა. ზამთარში კი ჩვეულებრივად იმგზავრებთ ისეთი ტრაქტით, რომელზეც ცხენების გასაქირავებელი სადგომებია მოწყობილი. მართალია, ამ გზაზე სასტუმრო სახლს ვერ იპოვით, მაგრამ ალაგ-ალაგ შეგხვდებათ ქობმახები, რომელთაც ირგვლივ გაველურებული ზირნარი** აკრავს, ხოლო შიდა სივრცე მეზენელ დამშრალ-დაჩამიჩებულ ბერიკაცებს აქვთ ათვისებული. ამ ქობმახებში თავით ფეხამდე ჭვარტლსა და მურში ამოისვრებით, სამაგიეროდ, ზემო და ქვემო კიდურთა დაბოლოებების გათბობას როგორმე შეძლებთ. ქობ-სასადილოები საკვებითაც მარაგდება – აქ

* სამოედები (სამოდიელები) – სამოედურ (სამოდიურ) ენაზე მოლაპარაკე ჩრდილოელ ხალხთა (ნენები, ენები, ნგანასანები, სელკუპები) საერთო სახელწოდება.

** ზირა (ზირაკი) – მცენარე, რომლის ნაყოფი საკვებად გამოიყენება.

პურს დაგახვედრებენ, მარილსა და ვედროებში ჩაწყობილ დამარილებულ თევზს.

ამას ყველაფერს ჩემი იქაური ნაცნობები მეუბნებიან და თან გულმოდგინედ მიხსნიან, იმ ნაქები და ჩემთვის ჯერჯერობით უცნობი მდინარის სანახავად რატომ სჯობს ზამთარი ზაფხულს:

– თუ ახლა ამ შანსს ხელიდან გაუშვებთ, სინანული-სათვის მთელი დარჩენილი ცხოვრება არ გეყოფათ. ახლა გეტყვით, ზაფხულში როგორ მოხვდებით პეჩორაში: არხანგელსკის ნავმისადგომზე ადვილად იშვით კარბასს*. ამით უნდა იცუროთ ჯერ მდინარე დვინაზე, შემდეგ – მდინარე პინეგაზე და ამასობაში პინეგის წყალგამყოფიც გამოჩნდება. თვითონ წყალგამყოფი ხმელეთი დიდი არაა. იქ ორიოდ გროშად პატარა, – ერთი ხისაგან გამოჩორკნილ, – ნავს იყიდით და ნაკადულისოდენა მდინარეს გაუყვებით. ნაკადული თანდათანობით გაიზრდება, გაიზრდება და მგზავრობის მეორე დღეს მოზრდილ, ხოლო მესამე დღეს უჩვეულოდ ფართო და წყალუხვ მდინარე კულად გადაიქცევა. კულა სწრაფად გაგაქანებთ, ოღონდ არა პეჩორისაკენ, არამედ – საპირისპირო მიმართულებით. ასე ჩააღწევთ სოფელ დოლოგოშჩელიემდე. იქ კი ეს თქვენი ერთი ციციქნა ნავი სრულიად გამოუსადეგარი გახდება, ამიტომ იქვე უნდა დააგდოთ და ღია ზღვას მისცეთ თავი. ხმელეთს რკალად უნდა შემოუცუროთ და მიადგებით კიდევაც მდინარე მეზენის შესართავს, სადაც აუცილებლად რაიმე ფათერაკს გადაეყრებით. მდინარე მეზენზე სულ რაღაც 35-იოდე ვერსის გადალახვა მოგიწევთ, პეზის შესართავში შეცურავთ და მეორე წყალგამყოფზეც შედგამთ ფეხს. პეზის წყალგამყოფი დიდი არ არის – სიგრძით 15-20 ვერსი თუ იქნება, მაგრამ მის დაძლევის მხოლოდ ცხენებისა და მედროგეების დახმარებით შეძლებთ, მანამდე კი მდინარე როჩუგი უნდა გადალახოთ. შემდეგ ბუნებრივი სადინარებით გადაბმული ტბები უნდა გადაცუროთ. მხოლოდ ერთგან მოგიწევთ ნაძვნარში შესვლა. ნაძვნარი უკაცრიელია, მშრალი, მინა დაფარულია ძირს ჩამოცვენილი გამხმარი ნიწვების სქელი ფენით, ამიტომაც ფეხი სრიალებს და ასე, სრიალ-სრიალით, კარგა ხანს უნდა იაროთ. ტბებს რომ გადაცურავთ, ნავეებს მარხილებზე გადაათრევთ და გზას გააგრძელებთ ჭანჭრობაში, ლაფში, ტალახში... შიგადაშიგ გამოუშვებთ ცხენებს, ნავეებით ისევ ტბებზე გადაიყვანთ და შემდეგ დიდხანს ისეთ გზებზე ივლით, მინას ძლივს რომ ამჩნევია. და ასე, – ტანჯვა-წვალებითა და ოფლის ღვრით, – მიადგებით მდინარე ჩირკას. აქ ერთი გასაცურავებული ქობმახი დაგხვდებათ – ერთფანჯრიანი, ერთიანად გაკვამლული და გაბოლილი. სხვა გზა, უბრალოდ, არ არსებობს – გასურთ ესა თუ არა გასურთ, მაინცდამაინც იმ ქობმახსა და შიგ მოწყობილ სასადილოში უნდა შერგოთ თავი... შემდეგ ისევ ნაძვნარი, ისევ ჩამპალი და ჩამყაყებული ჭაობი. ადრე აქ ერთ მწკრივად ხე და ფიჩხი იყო ჩაყრილი მგზავრობის გასაადვილებლად, ერთ ნაკადულზე ბოგირიც კი იყო გადებული, მაგრამ დროთა განმავლობაში ეს ყველაფერი ჩაღპა და ჩაიქცა და, ამდენად, გზა და ბილიკიც მო-

* კარბასი – დიდი და ღრმა ნავი. გამოიყენება ზღვებსა და წყალუხვ მდინარეებზე.

იშალა. ამ გზაზე გამონვრთნილ და გამობრძმედილ გამ-
ყოლთა მწკრივს თუ ჩამორჩით, უსათუოდ გზა-კვალი
აგერევათ და, თუ ისე დაშორდებით გამყოლებს, რომ
ვერც თქვენს განწირულ ხმას გაიგონებენ და ვერც თქვე-
ნი განწირული ხმის ექოს, ე. ი. პირდაპირ სიკვდილის ხა-
ხაში ხართ ჩავარდნილი.

– ერთხელ ბებიაჩემთან ერთად შინ ვბრუნდებოდი,
იჟმაში, – მიყვება მიხეილ თედორეს ძე ისტომინი.ამ ადა-
მიანმა, როგორც ადგილობრივი პრესის ავტორიტეტულ-
მა მუშაკმა, წარმატებით იღვანა მშობლიური კუთხის სა-
სარგებლოდ.ახლა იგი თავისი შრომის ჯეროვან დაფასე-
ბას ელოდება და, კაცმა რომ თქვას, იმსახურებს კიდევაც
ამას, – აუცილებელი ბარგი-ბარხანის გარდა, ბებიას ერ-
თი ყუთიც მოჰქონდა და შიგ ათასგვარი ისედაც გადასაყ-
რელი ჩვრები და ჭინჭები ჰქონდა სასოებით ჩაფენილ-ჩა-
ლაგებული.მეეტლები წყალგამყოფზე გადაყვანაში 20
მანეთს ითხოვდნენ, ჩვენ კი ამდენი ფული არა გვქონდა.
სხვა რა გზა იყო, ეშმაკობა უნდა მეხმარა. ვითომ ისე, სას-
ხვათაშორისოდ, სიტყვა თოფისწამლის ქარხნებზე ჩამო-
ვადე და ისიც ვთქვი, რომ მათ უმეტესობას ხანძარი გა-
უჩნდა და ცეცხლში ჩაიბუგა. ამიტომაც თოფისწამალი
ძალიან გაძვირდა. ის კი არა, მგონი, აღარც იყიდება და
მდგომარეობა იმდენად საგანგაშოა, რომ დენთი თვით
სამხედრო საწყობებსაც კი შემოაკლდა-მეთქი. მეეტლე-
ებმა მაშინვე დაიჯერეს და ათუხტუხდნენ. მეც ეგ მივლო-
და! საქმე ისაა, რომ თან სამ გირვანქამდე თოფისწამალი
მიმქონდა. „აი, თითქოს ბევრი არაა, – ვეუბნები, – მაგრამ
ოცდაათი მანეთი კი დამიჯდა. ესეც ერთი მიდგომ-მიდ-
გომითა და ნაცნობების ჩარევით ვიშოვ“ . „ცოტა ჩვენც
გვინილაღვო“ – შემეხვეწნენ. მუქთად წაყვანის სანაც-
ვლოდ შევთავაზე და ამაზე მაშინვე დავითანხმე, მაგრამ
ბებიაჩემის ყუთის წაღებას დაადეს ცეცხლის ფასი. ამაზე
ბებიასთან შელაპარაკება მომივიდა – მე ყუთის მოშორე-
ბა მივლოდა, მაგრამ ის ვერ ელეოდა. მაშინ ავიღე და
ყუთს იქვე, მდინარეში, გადავუძახე. გაფითრებული ბებია
სიტყვის უთქმელად შეტრიალდა, ტყისკენ წავიდა და შიგ
გაუჩინარდა. ვიფიქრე, წყალგამყოფს სიგანეზე გადაჭრის
და, რადგან გზაც იქით გვიძევს, მოპირდაპირე მხარეს
დაგვხვდება-მეთქი. მივედით ჩირკის ნაპირთან, მაგრამ
ბებია იქ არ დაგვხვდა. ვფიქრობ: ან მხარი ექცა, ან კიდევ
გაჯავრებულია, ტყიდან არ გამოდის და ამით ჩემი შეშინ-
ება და დასჯა აქვს გადაწყვეტილი-მეთქი. ველოდებით,
ველოდებით, თვლები დაგვანყდა, მაგრამ ბებია არა და
არ ჩანს. დავძვრები მაღალი ნაძვების კენწეროებზე, ვი-
ყურები ირგვლივ, გულმოდგინედ ვათვალიერებ იქაურო-
ბას, ვყვირი და ვიძახი, რაც შემიძლია, მაგრამ მხოლოდ
ჩემივე ხმის ექო მესმის უღრანებიდან. ამასობაში ჩამო-
ნელდა კიდევაც და საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ ბები-
ას მხარი ექცა და სადღაც ტყეშია ჩარჩენილი. იმედს არ
ვკარგავთ, რომ დილას მაინც გამოჩნდება, თუ არადა,
ძებნას უნდა შევუდგეთ. მეეტლები უკანვე უნდა გაბრუ-
ნებულიყვნენ, მაგრამ გადაიფიქრეს და ღამე ჩემთან ერ-
თად დარჩნენ. იმ ღამეს ვერ დავივინყებ სიცოცხლის ბო-
ლომდე! ღუმელი მოშლილია, ფანჯრები ჩალენილია,
ოთახში ქარი დათარეშობს, ისე ცივა, ისე ცივა, რომ, რაც
არ უნდა შეიფუთონო, ნესტი და სუსხი მაინც ძვალ-რბილში

ატანს. ვერც თვალი მოვხუჭე: რა არ ვიფიქრე, რა არ წარ-
მოვიდგინე! მეცოდება ჩემი ბებია, სინანულის, დარდისა
და ვარამისაგან გული მენურება.

– გამოიხმო და თავი დააპატიუებინა თავის ქმარს,
მღვდელ იოანე ისტომინს, ბაბუაჩემს, რომელიც სწორედ
ამ მიდამოებში გაქრა და დაიკარგა მის თვალწინ 1806
წელს, სულიწმინდის გარდამოსვლის დღეს. ბაბუაჩემის
ტრაგიკული, ფანტასტიკური სახება წარმომიდგა თვალ-
წინ და მოსვენება არ მომცა. იქნებ მისმა აჩრდილმა გაი-
ყოლა ჩემი ბებრუხუნა ბნელ და საშიშარ უღრანში? იქნებ
ჩემს ბებიას ძვირფასი, მაგრამ დავიწყებული ხმა მოესმა
და იმ ხმას თვითონვე გაჰყვა ტყის სიღრმეებში? რაც შეე-
ხება ბაბუაჩემს, მისი საქმე აი, როგორ იყო: იგი ეპარქიის
მღვდელმთავართან დააბეზლეს – გლეხკაცებთან ერთად
დათვზე სანადიროდ დადისო. ვერ გეტყვით, რამდენად
მართალნი იყვნენ დამბეზლებლები, მაგრამ არც არაფრის
გამორიცხვა შეიძლება. გადმოცემით, ბაბუა მხიარული
და გულგაშლილი ადამიანი იყო და კომელებთან ძმაკაცო-
ბაც შეეძლო. ამასთანავე, უჩვეულო ძალ-ღონითაც გამო-
ირჩეოდა და თავისუფლად შეიძლებოდა, – განსაკუთრე-
ბით, ნასმურევზე, – დათვზე ნადირობის ცდუნებასაც აჰ-
ყოლოდა. ასე იყო თუ ისე იყო, მისმა მეუფებამ ბაბუაჩემს
გადაჭრით მოსთხოვა პასუხი. იმ სუსხიანი დროებისა და
აღვირახსნილი დესპოტიის ხანაში მღვდელმთავარს ად-
ვილად შეეძლო, – ბრალის აღიარების შემთხვევაში, –
მხედველობაში არ მიეღო არავითარი გამამართლებელი
საბუთი და ებრძანებინა, მღვდლისათვის ნახევარი თავი
და ნახევარი წვერი ჩამოეპარსათ. ზუსტად ეს დაუპირეს
ბაბუაჩემის ერთ წინამორბედს, რომელსაც შიშის ქარმა
საბოლოოდ ტოპოზეროში, სტაროვერთა სავანეში, ამოა-
ყოფინა თავი. ზაფხული იყო, რაც მღვდელმთავრისაკენ
მიმავალ გზას მეტისმეტად აძნელებდა. ბებიამ განსაცდე-
ლის ჟამს ქმრის გვერდით ყოფნა ინდომა და ბაბუაც სიტ-
ყვის შეუბრუნებლად დასთანხმდა. წინ გრძელი და ხიფა-
თიანი გზა ედოთ – შეკრული ლატნებით უნდა ეცურათ
ცილმაზე, სწრაფ და ჭორომიან მდინარეზე. ამ ჭორომებ-
ზე თავქვე ცურვა ხომ საშიშარია და აღმა-აღმა რა იქნება!
ხშირად მენიჩბეებისათვის დინების საწინააღმდეგოდ წა-
მოსულ ჩქერებზე არათუ წინ სვლა, ადგილზე ტრიალიც
კი შეუძლებელი ხდება ხოლმე. ასეთ პირობებში მხოლოდ
იქაურ გამოცდილ და გამოჯეკილ მენავებს შეუძლიათ
ცურვა. ამათვე მიანდეს თავი ჩვენმა მგზავრებმა ჩირკა-
ზეც – წყალმარჩხ, მაგრამ სწრაფ და ქვებამოშვერილ
მდინარეზე და 25 ვერსის ცურვის შემდეგ პეხის წყალგამ-
ყოფსაც მიადგნენ. თბილი და ნათელი დღე იდგა. გოქმაუი
და დაუდგრომელი ჩირკა კრიალებდა და დიდრონ ქვებს
შორის ხტოდა – გაქანდებოდა 50-100 საყენის მანძილზე
და უცებ განზე გაუხვევდა. მგზავრებმა გზა გააგრძელეს
და ცურვა-ცურვით კრემენცის ჭორომამდე მიაღწიეს.
მდინარე აქ თითქმის ერთი ვერსის მანძილზე გადადის კა-
ლაპოტიდან, შეგუბდება, მერე იპოვის გასასვლელს
უზარმაზარ ქვებს შორის და საშინელი სისწრაფით უკან-
ვე მოექანება. ასეთ გადასაშვებში შეცურვა მეტისმეტად
სახიფათოა – შეეხეთქება ნავი ქვას, შემოვარდება წყალი
და ჩაძირავს კიდევაც თვალის დახამამამებაში. აი, სადღაც
ამ ადგილებში ბაბუაჩემი უცებ წამოიშართა ნავში და ყუ-

რი გამიხვილა. სახეც შეეცვალა: წამონითლდა, თვალე-
ში უცნაური სხივი ჩაუდგა. კარგა ხანს იდგა ასე და ჩანდა,
რალაც ხმების დაჭერას ცდილობდა. შემდეგ ცოლს ხმა-
დაბლა გადაულაპარაკა: ტყიდან ჩუმი ჟღერა მესმის და ამ
ჟღერში შიგადაშიგ ზარების რეკვაც გამოისმისო. ბები-
აჩემმა ეჭვით გაიქნია თავი: საიდან უნდა ისმოდეს აქ ზა-
რების რეკვა, როცა გარშემო ორას ვერსზე ძეხორციელი
არ ჭაჭანებს? მაგრამ ბაბუაჩემმა თავისი დაიჟინა და მე-
ნავეებს ნაპირთან მიახლოება მოსთხოვა. ავიდა ბაბუა
მთაგორაკიან ნაპირზე, შევიდა ტყეში. ბებიჩემისათვის
კი დაბარებული აქვს: მივალ, ვნახავ, სად რეკავენ ზარებს
და მაშინვე გამოვბრუნდებიო. ელოდებიან ერთ საათს,
ორ საათს, მთელი დღე – მღვდელი კი არა და არ ჩანს. გა-
დავიდნენ ესენიც ნაპირზე, შევიდნენ ტყეში, დაიფანტნენ
სხვადასხვა მხარეს და შეუდგნენ ძებნას. ეძებეს ერთი
კვირა, ეძებეს ორი კვირა, ლამის იქ ჩაიხოცნენ, მაგრამ
ბაბუაჩემის კვალს ვერსად მიაგნეს – თითქოს ადამიანს
მინამ უყო პირიო. ერთადერთი, რაც ნახეს, გამოშვერილ
როკს შერჩენილი ქუდი იყო. დაბრუნდნენ, ბოლოს და ბო-
ლოს, დაზაფრულები შინ: რა ვქნათ, რა ვუპასუხოთ, რო-
ცა გვკითხავენ, სად გააქრეთ ცოცხალი ადამიანიო? იჟმი-
დან მაშინვე რამდენიმე პარტია გაემართა მღვდლის მო-
საძებნად, მაგრამ ამაოდ – ძებნით კი საგულდაგულოდ
უძებნიათ, მაგრამ ბაბუაჩემის კვალისათვის ვერსად მი-
უგნიათ. ერთი სიტყვით, დაიკარგა ადამიანი უგზო-უკ-
ვლოდ. შემდეგ სოლოვკის მონასტერში მოსალოცავად წა-
სულელები ჰყვებოდნენ, რომ თითქოს ბაბუაჩემი იქ სქიმო-
სანთა შორის ნახეს, მეჭეჭიანი შუბლით იცნეს და ა. შ. ზო-
გიერთი მათგანი თითქოს გამოელაპარაკა კიდევაც, მაგ-
რამ ეს ყველაფერი, რასაკვირველია, დასაჯერებელი არ
არის. ერთმა ღმერთმა იცის, თუ რა დაემართა მაშინ ბა-
ბუაჩემს.

– ჩემთვის ვფიქრობ: ეტყობა, ბებიჩემის ჯერიც მო-
ვიდა. ლამისაა, გული გამიჩერდეს. ვნევარ, მაგრამ ძილი
არ მეკარება, თავში ათასი ფიქრი ფუთფუთებს; წამოვ-
ვარდები, ისევ დავწვები. თანაც შიშმა ამიტანა: ასე მგო-
ნია, სადაც არის, მეც გავიგონებ იმ საბედისწერო ზარე-
ბის რეკვას. მომეჩვენა, რომ რალაც ამისი მსგავსი მარ-
თლაც მომესმა და ამასობაში გათენდა კიდევაც. სხვებ-
მაც გაიღვიძეს. ტყეში დავიფანტეთ და ძებნას შევუდე-
ქით. მეეტლეებიც ისეთი მონადინებულები არიან, რომ
მეტი არ შეიძლება. ამათ პასუხისმგებლობისა ემინიათ:
ღმერთმა დაიფაროს, რომ ეს საქმე საეროპო პოლიციამ-
დე მივიდეს! ტყეში შუადღემდე დავწრიალებდით, მაგრამ
სულ ამაოდ. მე სასონარკვევთამ შემიპყრო, მეეტლეები –
შიშის ზაფრამ. საღამოს პირზე კი ჩემი ბებრუცუნაც გა-
მოჩნდა – სული ძლივს ედგა, ჩამოძონძილი იყო, დაკან-
რულ-დასისხლიანებული, ლაფსა და ტალახში ამოთხვრი-
ლი. გავიხარეთ და რა გავიხარეთ! დაუწყეთ გამოკითხვა:
სად იყო, რა მოხდა, როგორ მოხდა? გვიყვება, რომ თავი-
დან გზას გაჰყვა, შემდეგ ტბას შემოუარა და ბილიკიც იქ
დაკარგა. გზის უკან გამოგნება ამაოდ სცადა. შემდეგ სა-
ბოლოოდ ექცა მხარი და თავი ტყესა და ჭაობს მისცა. მი-
დიოდა და მიდიოდა შეუსვენებლივ, მთელი დღე, დაღამე-
ბამდე. ირგვლივ სულ რომ ჩამობნელდა და ძალაც გამოე-
ცალა, ხის ძირას დაჯდა, პირჯვარი გადაიწერა და სიკ-

ვდილს დაელოდა. დარწმუნებული იყო, თავისი ქმარით
თვითონაც მხეცები დაგლეჯდნენ. ღამე სულ ახლოს
მგლების ყმუილი და დათვის ღმუილი ესმოდა. ამასობაში
გათენდა. ადგა და ალაღბედზე იარა. გზაში კენკრას
კრეფდა და იმას ჭამდა: ყოლოს, მოცხარს, მუჭში აგრო-
ვებდა ლურჯმოცვასა და მინამაყვალას. ასე, შუადღისას,
რალაც ხმები შემოესმა და იმ ხმებს გამოჰყვა – ჭონჭყო
და ჭაობი გამოტოპა, გაუვალი ტვერი გადმოლახა, გამ-
ხმარი ტოტებისაგან სახე დაეკანრა და დაუსისხლიანდა,
ტანსაცმელი სულ შემოეხა და შემოეფლითა, მაგრამ იმ-
დენი ქნა, ჩვენამდე მაინც გამოაღწია. აი, ესაა მთელი ის-
ტორია! მდინარე ჩირკა, – მდინარე კი არა, ქვებს შორის
მჩქეფარე, აქაფებული ჭორომი, – უკიდურესი ძალისხმე-
ვითა და იობის მოთმინებით გადავლახეთ. შემდეგ ჩვენი
ნავი მდინარეში ამოშვერილ ვეებერთელა ქვებს შორის
გამოვარდა და ისარივით შეიჭრა მდინარე ცილმაში. აქ
ცილმაც ვინროა, ქვიანია, მაგრამ იმასთან შედარებით,
რასაც ახლახან გამოვუსხლტით, ეს გაცილებით დინჯია,
გაცილებით თვინიერი და მშვიდობიანია. ისე, ჭორომები
აქაც მრავალადაა და ზოგიერთი – საკმაოდ საშიშიც. თუმ-
ცა, გაცილებით უფრო შიშის მომგვრელი ისაა, რომ პე-
ზისპირა უკანასკნელი სოფლიდან ცილმის სანაპიროზე
გაშლილ სოფელ ნოსოვოიმდე, – თითქმის 300 ვერსის
მანძილზე, – ვერც ერთ დასახლებას ვერ ნახავთ. ძალზე
იშვიათად ნაპირზე სახლი კი გამოჩნდება, მაგრამ ეს სო-
ფელი არ არის – უზარმაზარ სივრცეში ჩაკარგული, ეუ-
ლად მდგარი გლეხური სახლია. ასეთ სახლებში ძირითა-
დად სტაროვერები ცხოვრობენ: ოთახის აღმოსავლეთ
კუთხეში სანთიგე უდგათ, ზედ ძველნაბეჭდი ფსალმუნის
უდევთ, ჟამნი, იოანე ოქროპირის ქადაგებები, ტყავის
კრიალოსანი.* ჭვავს იშვიათად თესავენ – ნაადრევ ყინვას
ვერ უძლებს. ქერის პური თავისი აქეთ, ჭვავის ფქვილს კი
ყიდულობენ. თავი ძირითადად თევზის საოჯახო რეწვით
გააქეთ. ერთ ოჯახში დიასახლისმა ირონიანარევი კილო-
თი თქვა: „ჩვენ ძველისძველი შთამომავლობისანი ვართ
და ფესვებიც ღრმად გვაქვს გადგმული, მაგრამ კაცი არ
ჩანს, ჩვენს გაჭირვებას რამე უშველოსო“. ცილმა, რაც
უფრო უახლოვდება შესართავს, უფრო და უფრო ღრმავ-
დება. აქ ჭორომები არაა. ნაპირიც თანდათანობით დაბ-
ლდება. საქონელი უმეტესად ურქოა. ხშირ ტყეებს სათი-
ბები ცვლის. ცილმაზე თითქმის ერთი კვირა მივცურავ-
დით, სანამ სოფელი უსტ-ცილმა არ გამოჩნდა. იქმამდე
აქედან 100 ვერსია. მოკლედ, ერთი ხელის განვდენაზეა! –
დაასრულა ამბავი ისტორიამ.

ისე, კაცმა რომ თქვას (ჩემთვის ვამბობ), სულ გზაზე
არ ვარ გაბმული? 230-250 ვერსის გავლა რალა გახდა? რა
ვუყო, ახლოა თუ შორია, ძნელია თუ ადვილია, ესეც ხომაა

* კრიალოსანს (ხის, შუშის, ძვლის, ქარვისა და სხვ.) ლოცვა-
ნის კითხვის დროს იყენებდნენ წაკითხული ლოცვების,
აგრეთვე, თაყვანის დასათვლელად. სტაროვერები კი
ამისათვის ხმარობდნენ ტყავის კრიალოსანს – ტყავის
ზონარზე ტყავშივე გამოკერილი საკმეველები იყო აცმული,
ხოლო ეს საკმეველები იმავე ზონრის ნასკვებით იყო
ერთმანეთისაგან გამიჯნული.

ნათქვამი: გზას თუ დაადგები, ფეხის დასველებისა არ უნდა შეგეშინდესო და გრძელ გზასაც ბოლო აქვსო. სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ცინცხალი გამოცდილება მიკარნახებს – გზის სიგრძე-სიგანეში არაა საქმე! მთავარია, ეს ცდა უნაყოფო არ გამოდგეს, გასაჭირს უმინეო და უქომაგო არ შერჩე, პირდაპირი მნიშვნელობით არ აღმოჩნდე ისეთ სულელურ და კომიკურ მდგომარეობაში, გლინკას უკვდავი ოპერის უნიგნურ ლიბრეტოში რომაა ნათქვამი: „ვხედავ მინდორსა დაცემულს, გავყურებ მდინარეს სიგრძივ“.²

ერთი სიტყვით, როგორ გინდა, ამ მიყრუებულ გადაკარგულში შერგო თავი?

ამაზე ფიქრი ძიძგინს ჩემს გონებას. არადა, საითაც არ გაიხედავ, ყველგან ეს გესმის:

– იქ თავაღია, პირდაპირ იმას უნდა მიადგეთ! კეთილზე კეთილი ადამიანია!

– თავადი იქაურებს მეფედ უზით, მის სიტყვას უფლის ნებად აღიარებენ! – ამას მეზენში მეუბნებიან.

– იქ მის სიტყვას კანონის ძალა აქვს! – ჯერ კიდევ არხანგელსკში მითხრეს.

მართალია, ეს არ შედიოდა ჩემი მივლინების ფორმალურ გეგმაში, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მაინც გადაწყვიტე „**მოშორებულში**“ წასვლა.

მესამე დღეს უკვე პეჩორაში ვარ – სოფელ უსტ-ცილმაში. სოფლის განაპირას, ერთ გალუღუნებულ ქოხში, სიცხისაგან გაგიჟებული ნამძინარევი ბერიკაცი გავარვარებული ღუმლიდან ქვემოთ მობობდავს და თან თავის გაფაშფაშებულ დედაკაცს უღრენს:

– ერთი უყურე ამ სულელს, როგორი ბული დაუყენებია? შევინვი კაცი, სული შემეხუთა!

– გათომილია ადამიანი, მეოთხე დღეა, ყინვაში მოდის, – ჩემსკენ ანიშნებს.

გავხსენი ჩემი პატარა ჩემოდანი, გავალღვე სამეღნეში ჩაყინული მეღანი, გადავშალე დღიური, რათა სიტყვა-სიტყვით ჩავინერო პეჩორელთა პირველი სალამ-ქალამი.

ბერიკაცმა ბურახი გადაყლურნა, გრძლად დაამთქნარა, ერთიც ლაზათიანად გაიზმორა, თმები მიმოივარცხნა, შეძლებისდაგვარად მოწესრიგდა და ამასობაში თითქოს გამოფხიზლდა კიდევაც.

– თავადთან ჩამოხვიდოდი, ერთბაშად სხვასთან არ იყო ჩამოსული!

კიდევ დაამთქნარა.

– ჩვენს თავადს აქ გვერდს ვერავინ აუვლის! – ჩაერია ლაპარაკში დედაკაცი.

– კეთილია, კეთილი! ღმერთს ჩვენს პატრონად ჰყავს გამოგზავნილი, – ამას ბერიკაცი ამბობს.

– პატრონიც ეგ არის და ბატონიც, – კვერს უკრავს დედაკაცი, ჭრელჭრულებში გახვეული, ზორბა ტანისა, ფაშფაშა, როგორცა ვთქვით.

– ეს ადამიანი ღრმა კვალს დატოვებს ხალხის მეხსიერებაში, – ბერიკაციმ მჭევრმეტყველმა გაიღვიძა, – დიდთან დიდია და პატარასთან პატარა!

– მამაა ჩვენი! გავიხედოთ და ერთხელაც ავად გახდა, – დიასახლისი ამბავმა გაიტაცა, – ისე მოცელა, რომ მთელი დღეები გაუნძრევლად წევს და სიცხისაგან იწვის. საკუთარი თვალით ვუყურებთ – კვდება ადამიანი, მიდის და

ეგაა! ზოგ-ზოგებმა სუდარის ბლანდვა დაიწყეს. მივდექ-მოვდექით, რაც შეგვეძლო, მთელი სოფელი ფეხზე დადგა. ბევრი რომ არ გავაგრძელო, დაფეთებულებს ელეთ-მელეთი მოგვდის – ეგ რომ დაკვარგოთ, ხომ წყალმა წაგვიღო და მენყერმა!

– ქალები შეიკრიბნენ, ილაპარაკეს, იყაყანეს და გადანყვიტეს, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, სნეული უნდა მოვარჩინოთო, – ღიმილით გაანყვიტინა ბერიკაცმა, – მიდი ერთი, ეგეც უთხარი, როგორ გამოაბრუნეთ.

– ხომ გამოვაბრუნეთ? როგორ და – ვლოცულობდით! იმ დღესვე შეება იგრძნო, ამოისუნთქა, აზრზე მოვიდა, ფეხზე წამოდგა. ხომ არის ახლა კაჟივით? ციებ-ციხელება სჭირდა ან ისა, ახლა რომ ტიფს ეძახიან. ამისგან ხომ ხალხი პანტაპუნტით იხოცება! საძაგელი სნეულებაა – კედელზე არ გაგიყვანს, მაგრამ არც ფეხზე დაგაყენებს. ნევხარ გაბრუებული, გავარვარებული და შიგნეულს ცეცხლი გიბუგავს, გაჟრჟოლებს, გამტვრევს, გაკანკალებს, გაშფოთებს, რაღა ბევრი გავაგრძელო, სულის ამოხდას მოგანატრებს.

– ახლა ნახე, ამ დედაკაცებმა რა მოიფიქრეს?! – ისევ გაანყვიტინა ბერიკაცმა.

– რამდენი იყავით? – მეც ხომ უნდა მეთქვა რამე.

– ასე, ოცამდე ვიქნებოდით.

– ხის პატარა კასრებით ცივი წყალი მოთრატეს, – გააგრძელა ბერიკაცმა, – უკნიდან მიეპარნენ თავადის საწოლს და მთელი კასრი ზედ გადაათქრიალეს. მერე დააცხრნენ ამ ჩვენს დიდგვაროვანს...

– ხუთმა დედაკაცმა ძირს ჩამოიღო, – დაუდასტურა ფაშფაშამ, – ორიც შამფურივით ატრიალებდა...

– იმ დღიდან თავადმა მართლაც დაიწყო ჯანზე მოსვლა. აი, ამ დედაკაცთა სისულელის წყალობით! ამათ შეაშინეს ჭირი, თუ ამათ შემხედვარეს თვითონ შეეშინდა და მოკურცხლა, ეს ღმერთმა იცის. აი, ახლა, ჩემო კარგო, – დიასახლისს მიუბრუნდა, – ერთი დალაგებულად მოუყევი, ასეთი რამე როგორ მოგივიდათ თავში? კარგი, კარგი, მე თვითონ მოყვები... თავგზააბნეულმა დედაკაცებმა იმსჯელეს და ასეთი აზრი გამოიტანეს: თავადი წმინდა ადამიანი კი არის, მაგრამ ერთი რამე უფუჭებს საქმეს – პირჯვარს სწორად კი არ იწერს, არამედ ნიკონისებურად,³ სამი თითით,* და კიდევ, იმ თითებით, რომლებითაც პირჯვარს იწერს, ბურნუთს იყრის ცხვირში! ეტყობა, ღმერთიც ამიტომ სჯის. მოდით, ცოდვისაგან გავათავისუფლოთ! ჩვენს რჯულზე მისი გადმონათვლაა საჭირო! ეგ ისეთი მინა-წყლიდანაა, წყლის დასხმით იქნება მონათლული.** აიღეს დედაკაცებმა თავიანთი კურთხევანი და თავადის ოთახში რომ შეცვივდნენ, თან იმ კურთხევანიდან ნათვლის ლოცვებს მაღალი ხმით კითხულობდნენ. მოდი ახლა და დაარწმუნე ეგენი, რომ თავადი მათ რჯულზე არ არის მოქცეული. ახლაო, ამბობენ, იგი სულიანხორციანად ჩვენიაო. ზოგიერთი ვაჟბატონი ამის გამო თავადს კიდევაც აქილიკებს, რაზეც თვითონ თავადი მშვიდი და უბოროტო ქილიკითვე უბრუნებს პასუხს. ეკ-

* სტაროვერები პირჯვარს ორი თითით იწერენ.

** სტაროვერები წყალში შთაფვლით ინათლებიან.

ლესიაში კი ისევ ისე დადის, მაგრამ ამ ჩვენს დედაკაცებს რომ ჰკითხოს კაცმა, ამას უფროსობის თვალის ასახვევად აკეთებს. ამ აზრს გადამეტებული სიმტკიცით ადგანან და ვერც ვერავინ ამოუბერტყავს თავიდან.

აი, კიდეც ერთი ნიშანი ამათი გულგია ბუნებისა და კეთილმოსურნეობისა – სულ რომ არ წამიხალისებია, ისე მომიტხრეს ეს ამბავი, რომელიც, სხვათა შორის, ჯერ კიდევ არხანგელსკი მქონდა მოსმენილი და მოგვიანებით თვითონ თავადმაც დამიდასტურა. მართლაც, ქალები ძალით შეიჭრნენ მის სადგომში, გადათელეს გზად შემოყრილი მსახური, ხოლო რაც შეეხება მზარეულ დედაკაცს, იგი შეთქმულებთან ადრევე აღმოჩნდა განდობილი.

დასასრულ, უნდა დავსძინოთ, რომ კონსილიუმში უსტ-ცილმელი ქალები, არსებითად, სრული შემადგენლობით მონაწილეობდნენ.

იმ წელს დეკემბერი, საერთოდ, მოქუშულ-მოქურუხებული იყო, მაგრამ ის დილა ნათელი გათენდა. ეტყობა, აქეთ რომ მოვდიოდი, ჩემს ვინრო სამგზავრო ეტლში შებმული ცხენი მარჯვენა ფეხით დაიძრა, კურდღელს გზაზე ნამდვილად არ გადაურბენია, ხოლო რაც შეეხება მეეტლეს, იგი საერთოდ არ გაჰკარებია კოფოს – თოვლში მთელი გზა დანალიკებულებს უნდა გვევლო და ამიტომაც წინშებმულ ცხენზე იყო გადამჯდარი.

ვინროდ გაკვალული გზა გაყინული ტბებით მოფენილ თვალუნვედნელ, უღრან, დასაბამიდან აქამდე ადამიანი-საგან ხელუხლებელ ტყეში მიემართება. მე კი, ჩემდათავად, ინტერესითა და იმედებით აღსავსე ველოდები თავადთან შეხვედრას...

უსტ-ცილმა ალაგ-ალაგ დასახლებული, უწესრიგოდ მიმოფანტული უშველებელი სოფელია. ცენტრში, მოედანზე, ეკლესიის პირდაპირ, ადვილად მივაგენი ორსართულიან სახლს, ერთ-ერთ საუკეთესოსა და თვალში საცემს იმ უბანში. ეს სახლი სახაზინოა და მეტყვევის სადგომადაა განკუთვნილი. საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით გარემოსილ, მრავალთა მიერ აგრერიგად ნაქებ თავადს კი იმ დროს სწორედ მეტყვევის თანამდებობა ეჭირა. პინევაში, ნიკოლსკის ბაზრობაზე, ნებისმიერ პეჩორელისაგან პირველ რიგში ამ კითხვაზე მოითხოვენ პასუხს: „როგორ არის თავადი? ხომ მშვიდობით ბრძანდება?“ ნებისმიერ იუმელს წესად აქვს დადებული – თუ უსტ-ცილმაზე მოუხდა გავლა, უსიკვდილოდ უნდა შეუაროს თავადს, თავი მდაბლად დაუკრას და თავისი პატივისცემა დაუდასტუროს.

აი, ისიც – პეჩორის თავადი!

ჩემს წინ დგას ტანმორჩილი, ცოცხალი და ენერგიული, – ასე, სამოც წელს მიღწეული, – ბერიკაცი,⁴ ციყვის ბენვით განყოფილ ახალუხში ჩაცმული, ქალების მხურვალე სიყვარულის საგანი და მათი ნამდვილი კერპი. იგი თბილად და ალერსიანად ილიმება, შავი თვალები აქვს, ხშირი უღვაში და დიდი, აღმოსავლური, – უფრო ზუსტად, ქართული, – ცხვირი. სწორედ ეს არის ის იასე იოსების ძე ფალავანდოვი, რომელსაც ეძღვნება ეს ჩემი დაგვიანებული მოგონებები.⁵

თავადის თბილი და ალერსიანი ღიმილისაგან თითქოს გათოშილ სხეულში სითბო ჩამელვარა. მეუბნება, რომ დღე-ღამეზე მელოდა და იმ მასალიდან, რომელიც, მისი

აზრით, აქაურობის შესწავლაში გამომადლებს, ზოგიერთი რამის მოსაპოვებლად თადარიგი უკვე დაიჭირა: მიაგნო ძველი სიმღერების ჩინებულ შემსრულებელს; იცნობს ქალს, რომელმაც საქორწილო წეს-ჩვეულებები იცის, ელაპარაკა ამ ქალს და დაითანხმა კიდევაც, მომიყვებს ყველაფერი, რაც კი ჩემთვის საინტერესო იქნება; მზადაა, ამის შემდეგაც ყველაფერში ხელი შემინყოს, ელის ჩემგან სათანადო მითითებებს და, დასასრულ, მკითხა – კონკრეტულად რითი შემიძლია დაგვემართო?

როგორც კი ეს ყველაფერი მოვისმინე და, ასე თუ ისე, იქაურობაც მოვათვალე, თავადმა მაშინვე წამოიწყო, რომ იცის ჩემი ვინაობა და ფიქრობს, მის მეხსიერებაში ჩარჩენილი ზოგიერთი ფაქტი თუ მოვლენა ჩემთვის არ იქნება ინტერესს მოკლებული. კერძოდ, მას თბილისში ცხოვრებისას ზოგი რამ გაუგონია მარლინსკიზე,⁶ პირადად იცნობდა გრიბოედოს⁷ და ნანახი ჰყავს ალექსანდრე პუშკინი.⁸ თვითონ იმ დროს ჯერ კიდევ ყმაწვილი იყო, სათანადოდ არ ჰქონდა განვითარებული დაკვირვების უნარი და, როგორც ქართველსა და თბილისის მკვიდრს, თვალთახედვის არეალიც შეზღუდული ჰქონდა. თბილისური შეხვედრების შემდეგ ჩავლილმა სამმა ათეულმა წელმა, ბედისწერის სისასტიკემ და ცხოვრების ვაივავალახმა ამ შეხვედრებთან დაკავშირებული ბევრი საინტერესო დეტალი შთანთქა და ვინწყების წყვილადმი. მეხსიერებას მხოლოდ ის შემორჩა, რომელმაც მის გრძობა-გონებაზე შთამბეჭდავი კვალი დატოვა.

ამ უკეთილშობილესი ადამიანისადმი მადლიერებისა და მისი ხსოვნისადმი პატივისცემის ნიშნად აქვე მომყავს მისი, როგორც თვითმხილველის, ნაამბობი. ჩემს დღიურში ამ ამბების შეტანას შევუდექი მაშინვე, როგორც კი უსტ-ცილმა დავტოვე და გავაგრძელე გზა პეჩორის ჩრდილოეთისაკენ: პუსტოზერსკში, იქიდან – პეჩორის მიცკის კუნძულზე, სოფელ ხავრინსკში...

მარლინსკიზე (ა. ბესტუჟეზე) თავადმა ფალავანდოვმა მიაბო ცნობილი ლეგენდა, რომელიც კავკასიაში შეიქმნა და ელვის სისწრაფით მოედო მთელს რუსეთს⁹ – ეს რომანისტი ხომ მაშინ მკითხველი საზოგადოების გამორჩეული სიყვარულის საგანი იყო და მისი სახელი კიდით კიდემდე ქუხდა.

– თბილისში ყოფნისას მარლინსკი რიგით ჯარისკაცად ირიცხებოდა, თუმცა პრაქტიკულად არ მსახურობდა. იგი ყველას უყვარდა. მუდამ უნგრულ ქურთუკში – „ვენგერკაში“ – ჩაცმული დადოდა. ცხოვრობდა სულით ავადმყოფ ძმასთან ერთად.¹⁰ წერისა და ბეჭდვის უფლება კი ჰქონდა, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ მარლინსკის ფსევდონიმით. ერთი გარეწარი პოლკოვნიკის დაჟინებული მოთხოვნით პასკევიჩმა¹¹ ჩრდილოეთ კავკასიაში, მოქმედ ჯარში, განაწესა. სანდო წყაროებიდან ვიცოდით, რომ იქ გულით შეიყვარეს მშვიდობიანმა ჩერქეზებმა, რომელთაგან სამმა გააცილა კიდევაც მთებში. რა ბედი ენია ამის შემდეგ მწერალს – ეს თბილისში არ იცოდნენ.

ფალავანდოვის მეხსიერებას ყველაზე მკაფიოდ, რასაკვირველია, ჩვენი დიდი პოეტის ხატი შემორჩა.

– ქართველ არისტოკრატის სიმდიდრითა და ბრწყინვალეობით აღბეჭდილი ცხოვრება უყვარდა. მხოლოდ ამ სურვილის დაკმაყოფილებაზე ფიქრობდნენ და სხვაზე

არაფერზე, თვით მოსალოდნელ მატერიალურ გაჩანაგებზეც კი (სხვათა შორის, გაჩანაგდნენ კიდევაც ვორონცოვის¹² მმართველობის დროს). რალაც უცნაური ჟინი ფუფუნებისა და განცხრომისა დღითი დღე უძლიერდებოდათ. ამასთანავე, ქართველი არისტოკრატისათვის არც ქედმაღალი მედიდურობა იყო უცხო და თავ-თავიანთი გვაროვნული წარმომავლობით ყოყორბაც მათ წრეში უფრო ღირსებად ითვლებოდა, ვიდრე ნაკლად. ისე, ამათ-გან არა ერთი და ორი მართლაც მეფეთა, – ვახტანგ VI-ისა და გიორგის, – პირდაპირი შთამომავალი იყო. ეს ის გიორგია, რომელმაც საქართველო რუსეთს გადასცა¹³ და ამ უკანასკნელი მეფის შვილებს პირდაპირ სულში იძვრენდნენ. დიდგვაროვნათა ოჯახებში მოხვედრა არც ისე ადვილი იყო და იქ ადამიანებს იმის მიხედვით აფასებდნენ, თუ რა ნიშნითა და ხარისხით იყვნენ ისინი დაახლოებულინი კავკასიის ჯარების მთავარსარდალთან. ახლა წარმოიდგინეთ, რა ნადიმს დაახვედრებდნენ ახალმოვლინებულ მთავარმართველს, გრაფ პასკევიჩს! ამ ნადიმზე, სხვათა შორის, გამორჩეულ დიდგვაროვნათა შვილები ახალ მთავარმართველს პაჟებად ემსახურებოდნენ. როგორც თავადიშვილი, მეც მათ შორის ვიმყოფებოდი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

კომენტარები

1. უსტ-ცილმა – სოფელი მდინარეების, პეჩორისა და ცილმის, შესართავთან. პირველი დასახლება აქ XVI საუკუნის შუახანებში გაჩნდა. ამჟამად – ქალაქი-ნავისადგომი მდინარე პეჩორაზე. უსტ-ცილმასა და უსტ-ცილმელებს ს. მაქსიმოვის ნიგნში ცალკე თავი ეთმობა (С. Максимов, Год на Севере, М., 1890, с. 430-449).
2. იგულისხმება რუსი კომპოზიტორის, მიხეილ გლინკას (1804-1857), ოპერა „ივანე სუსანინი“ („სიცოცხლე მეფისათვის“), რომლის ლიბრეტოს ავტორია გერმანული წარმოშობის რუსი დრამატურგი იგორ როზენი (1800-1860).
3. ნიკონი (საერო ცხოვრებაში – ნიკიტა მინოვი. 1605-1681) – მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი 1652-1667 წლებში (ნიკონი ეროვნებით მორდველი იყო). რუსეთში საეკლესიო ცხოვრების ბერძნულთან უნიფიცირების მიზნით განახორციელა რადიკალური რეფორმები და ეს რეფორმები საბოლოოდ დიდი სარწმუნოებრივი განხეთქილებით (ე. წ. „რასკოლით“) დასრულდა. რუსეთის ეკლესიისა და საერო ხელისუფლების მიერ შერისხული და ბელოზერსკის მონასტერში განდევნილი, ხოლო შემდეგ მეფის, – თედორე ალექსის ძის, – მიერ შეწყალებული და ნოვი-იერუსალიმის ნიკონის მიერვე დაარსებულ მონასტერში გამწესებული ყოფილი პატრიარქი გზაში (იაროსლავლში) გარდაიცვალა.
4. იასე ფალავანდიშვილი 1803 წელსაა დაბადებული. შესაბამისად, 1856 წელს, როცა იგი ს. მაქსიმოვს შეხვდა, 53 წლისა იქნებოდა.
5. ს. მაქსიმოვმა ჩრდილოეთ რუსეთის ევროპულ ნაწილში 1856-1857 წლებში იმოგზაურა, ხოლო მოგონება იასე ფალავანდიშვილზე 30 წლის შემდეგ გამოაქვეყნა (იხ. С. Максимов, Печорский князь, „Русская мысль“, 1887, №12, с. 168-208).
6. ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ბესტუჟევი (ფსევდ. – მარლინსკი) (1797-1837) – რუსი მწერალი. დეკაბრისტი. აჯან-

ყების ჩაშლის შემდეგ გადასახლეს ციმბირში, საიდანაც მიხეილ თხოვნით კავკასიაში გადმოიყვანეს რიგით ჯარისკაცად (თბილისში ჩამოვიდა 1829 წლის აგვისტოში). ხანგამოშვებით ცხოვრობდა თბილისში, აგრეთვე, ახალციხესა და ქუთაისში განლაგებულ ბატალიონებში; მონაწილეობდა ჩრდილოეთ კავკასიის დასამორჩილებლად გაჩაღებულ სისხლისმღვრელ ბრძოლებში; დაიღუპა 1837 წლის 7 ივნისს, ადღერის კონცხის ალებისას (ამ ფაქტს ახსენებს დავით მაჩაბელი პოემაში – „მთიული“).

ალ. ბესტუჟევი-მარლინსკის თხზულებებს 1820-1830-იან წლებში გატაცებით კითხულობდა მთელი რუსეთი, თუმცა მწერლის დიდება მალევე ჩაქრა, რასაც ხელი შეუწყო, ერთი მხრივ, სამწერლო ასპარეზზე ახალგაზრდონილი გოგოლისა და ლერმონტოვის პოპულარობამ, ხოლო მეორე მხრივ, ბ. ბელინსკის კრიტიკულმა სტატიათ (ბელინსკი ბესტუჟევი-მარლინსკის ნაწერებს უწოდებს „ცრურომანტიკულს“).

ალ. ბესტუჟევი-მარლინსკის შემოქმედებაში თხზულია როგორც ზოგადად კავკასიური, ისე ქართული თემატიკაც („ამალათ-ბეგი“, „მოლა-ნური“, „გზა ქალაქ ყუბამდე“ და სხვ.; აგრეთვე, დაუმთავრებელი რომანი „ვლადიმოვი“).

7. ალექსანდრე სერგეის ძე გრიბოედოვი (1795-1829) – რუსი მწერალი და დიპლომატი. მოსკოვის უნივერსიტეტში მრავალმხრივი (ფილოლოგია, იურისპრუდენცია, ფიზიკა-მათემატიკა) და საფუძვლიანი განსწავლის შემდეგ რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიაში დაინიშნა სამსახური, მაგრამ სკანდალურ დუელში სეკუნდანტობის გამო მისი პეტერბურგიდან მოშორება გახდა საჭირო, ამიტომაც ირანში რუსეთის დიპლომატიური მისიის მდივნად დანიშნეს. ახალმა სამსახურებრივმა მოვალეობამ გრიბოედოვი ჩამოიყვანა თბილისში (1818 წლის ოქტომბერში), საიდანაც ირანში გაემგზავრა. 1819 წლის შემოდგომაზე უკან დაბრუნდა და მთავარმართველ ა. ერმოლოვს გაჰყვა ჩეჩნების წინააღმდეგ ბრძოლაში. 1822 წლიდან მსახურობდა თბილისში: ჯერ ა. ერმოლოვთან („დიპლომატიურ ნაწილში“), შემდეგ – ი. პასკევიჩთან. 1827 წელს ახალდანიშნულმა კავკასიის მთავარმართველმა ი. პასკევიჩმა (რომელიც, სხვათა შორის, მწერალს ნათესავად ერგებოდა) გრიბოედოვს ოსმალეთთან და ირანთან დიპლომატიური ურთიერთობების წარმართვა მიანდო. 1828 წელს გრიბოედოვი ირანში რუსეთის ელჩად (მინისტრ-რეზიდენტად) დანიშნეს. 1829 წლის 30 იანვარს რუსეთის პოლიტიკით აღშფოთებულმა ბრბოთ თეირანში რუსეთის საელჩოს თანამშრომლები ამოხოცა და გრიბოედოვიც ამას შეენირა (თეირანში წასვლის წინ ავი წინათგრძნობით შეპყრობილი გრიბოედოვი თბილისში ნაცნობებს ეუბნებოდა: „სპარსეთიდან ცოცხალი ვეღარ დავბრუნდები, მაგრამ ჩემს ძვლებს იქ ნუ დატოვებთ, საქართველოში დამმარხეთო“, ხოლო იმავე დღეებში მეუღლისათვის, ნინო ჭავჭავაძისათვის, უთქვამს: „თუ სპარსეთში მოვკვდე, ნუ დატოვებენ იქ ჩემს ძვლებს, თბილისში, მამადავითის მონასტერში, დამკრძალებით“. წინომ ქმრის ეს სურვილი შეასრულა, გრიბოედოვი მამადავითის ეკლესიის გალავანში დაამარხა და საფლავზე ძეგლიც დაუდგა).

ალ. გრიბოედოვი დაახლოებული იყო დეკაბრისტულ წრეებთან, რის გამოც დააპატიმრეს (გროზნოში) და გაგზავნეს პეტერბურგში (ციხეში იმყოფებოდა 1826 წლის თებერვლიდან ივნისამდე). გრიბოედოვს პეტერბურგში ორგანიზაციის წევრობა არ დაუმტკიცდა, ამასთანავე, მან გავლენიანი ნაცნობებისა და ნათესავების დახმარებით ყოველგვარი სასჯელიც აიცილა თავიდან და იმავე წლის სექტემბერში თბილისში პოეტ დენის დავიდოვთან ერთად დაბრუნდა.

ალ. გრიბოედოვი ლიტერატურის ისტორიაში შევიდა როგორც ავტორი პიესისა „ვაი ჭკუისაგან“, რომელიც მწერალმა თბილისში დაასრულა და ეს პიესა პირველად აქვე, თბილისშივე, დაიდგა.

8. ალექსანდრე სერგეის ძე პუშკინი (1799-1837) – რუსი მწერალი (ითვლება ახალი რუსული ლიტერატურის ფუძემდებლად). შესაბამისი წყაროებისა და ლიტერატურის მიხედვით, ა. პუშკინი თბილისში პირველად 1829 წლის 27 მაისს ჩამოვიდა, 10 ივნისს მოქმედ არმიასი წასვლისა და იქ გენერალ ნ. რაევსკის მონახულების ნებართვა მიიღო და მეორე დღესვე გაემგზავრა ყარსისაკენ, შემდეგ იყო არზრუმში (ერზურუმში), თბილისში 1 აგვისტოს დაბრუნდა, ხოლო 6 აგვისტოს დატოვა ქალაქი და ყაზბეგისა და ვლადიკავკაზის გავლით კავკასიის მინერალური წყლებისაკენ გაემგზავრა. ასე რომ, იასე ფალავანდიშვილის ცნობა – პუშკინი მთავარმართებლად „ახალმოვლინებულ“ პასკევიჩის პატივსაცემად ქართველი თავადაზნაურობის მიერ გამართულ ნადიმზე ვნახეო – არ არის სწორი (ამ დროს ი. პასკევიჩი დაახლოებით სამი წლის „მოვლინებულა“ საქართველოში: ჯერ მთავარსარდალი იყო, შემდეგ კი მთავარმართებელი გახდა).

რაც შეეხება ი. პასკევიჩს, იგი, წყაროების მიხედვით, 1829 წლის 12 მაისს (ანუ პუშკინის ჩამოსვლამდე) თბილისში ბრწყინვალე ნადიმს უმართავს საპატიო სტუმარს – ხოსროვ-მირზას. 19 მაისს პასკევიჩი უკვე ახალქალაქშია, საიდანაც 28 მაისს არდავანისაკენ მიემართება. მოგვიანებით პუშკინი მთავარმართებელს არზრუმისათვის გამართული ბრძოლის ველზე შეხვდა, ხოლო 19 ივნისს პოეტი უკვე აღებულ არზრუმშივე გამოემშვიდობა პასკევიჩს და თბილისისაკენ წამოვიდა. შესაბამისად, ამ მონაცემების მიხედვით, პუშკინი და პასკევიჩი, წესით, თბილისში საერთოდ ვერ უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს.

როგორც ჩანს:

ან პუშკინი და პასკევიჩი ჩვენ მიერ დასახელებულ თარიღებს შორის არსებულ ინტერვალებში მართლაც შეხვდნენ ერთმანეთს თბილისში გამართულ რომელიღაც ნადიმზე და ეს ფაქტი არ ასახულა წყაროებში, რაც ნაკლებად სავარაუდოა – თითქმის დაუჯერებელია;

ან მიხრობელს მესხიერება ღალატობს, ფაქტებს ერთმანეთში ურევს და სინამდვილეში მხედველობაში აქვს ის შთამბეჭდავი ნადიმი, რომელზეც პოეტი თბილისის სამხედრო გუბერნატორმა, გენერალმა ს. სტრეკალოვმა, მიიწვია („საჭმელეების ჩამოტარების დროს ჩინებს [ეტიკეტს] იცავდნენ, სუფრასთან კი გენერლის ეპოლეტებიანი ინგლისელი ოფიცრები ისხდნენ. მსახურნი ისე ამარიდებდნენ ხოლმე კერძებს, რომ სუფრიდან მშვირი ავდელიო“ – წერდა ამის თაობაზე ა. პუშკინი);

ან ი. ფალავანდიშვილს ახსოვს ის გამოსათხოვარი ნადიმი, რომელიც თბილისის საზოგადოებამ პოეტს ორთაჭალის ბაღში მოუწყო, მაგრამ ამ სადილზე ხელისუფლების წარმომადგენლები (მით უმეტეს, პასკევიჩი) არ ყოფილან;

ან კიდევ პოეტის ყოფნა ნადიმზე პასკევიჩთან ერთად და გრაფსა და გრაფინიასთან მისი ყურში ჩურჩული და სხვა ფამილიარობანი სულაც იასე ფალავანდიშვილის ფანტაზიის ნაყოფია.

9. ადლერის ბრძოლის დამთავრების შემდეგ ალ. ბესტუჟე-მარლინსკის ცხედარი ვერ იპოვეს, რამაც წარმოშვა ლეგენდა, რომლის მიხედვითაც მწერალი ამ ბრძოლაში კი არ დაიღუპა, არამედ მთიელების მხარეს გადავიდა და შემდეგ იბრძოდა კიდევაც რუსული ჯარების წინააღმდეგ.

10. ალ. ბესტუჟე-მარლინსკის ოთხი ძმა ჰყავდა, ოთხივე მონაწილეობდა დეკაბრისტების 1825 წლის აჯანყების მომზადებაში, რის გამოც ნიკოლოზ I-მა თითოეულ მათგანს სასტიკი სასჯელი არგუნა: ზოგი (მიხეილი, ნიკოლოზი) ციმბირის კატორღაში გაგზავნა, ზოგიც (პეტრე, პავლე) კავკასიაში რიგით ჯარისკაცებად განაწესა. ალ. ბესტუჟე-მარლინსკი თბილისში ძმებთან, – პეტრესა და პავლესთან, – ერთად ცხოვრობდა. იასე ფალავანდიშვილის მიერ ნახსენები „სულით ავადმყოფი ძმა“ არის პეტრე ბესტუჟევი – რუსეთ-ირანის

1826-1828 და რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წწ. ომების მონაწილე. ამ ომებში არაერთხელ დაჭრილი და დასახიჩრებული პეტრე ბესტუჟევი 1829 წელს ახალციხეზე მიტანილი შტურმისას კიდევ ერთხელ დაიჭრა. მოგვიანებით იგი შეიშალა. დარდისა და მწუხარებისაგან განადგურებულმა დედამ უკანასკნელი ძალისხმევით შეძლო შვილის გამოხსნა სასჯელი-საგან, თუმცა ავადმყოფის განკურნება შეუძლებელი შეიქნა. პეტრე ბესტუჟევი გარდაიცვალა 1840 წელს, სულით ავადმყოფთა სახლში, პეტერგოფთან ახლოს.

11. ივანე თედორეს ძე პასკევიჩი (1782-1856) – გენერალ-ფელდმარშალი (1829 წლიდან). მონაწილეობდა რუსების სამამულო ომში ნაპოლეონის წინააღმდეგ (1814 წელს პარიზში შევიდა). 1826 წელს იმ უმაღლესი სასამართლოს წევრი იყო, რომელმაც დეკაბრისტებს სასტიკი განაჩენი გამოუტანა. იმავე 1826 წელს იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა თავისი ფავორიტი ი. პასკევიჩი ირანის წინააღმდეგ მებრძოლი რუსული ჯარების მთავარსარდალად გამოგზავნა კავკასიაში და, ამასთანავე, აღჭურვა საიდუმლო ბრძანებით, რომლის მიხედვითაც ახალ მთავარსარდალს საკუთარი შეხედულებისამებრ შეეძლო მთავარმართებელ ა. ერმოლოვის გადაყენება (ამ უკანასკნელის ერთგულებას იმპერატორი ეჭვის თვლით უყურებდა). 1827 წელს ნიკოლოზ I-მა ა. ერმოლოვი გაიწვია კავკასიიდან, მის ადგილზე კი დანიშნა ი. პასკევიჩი, რომელმაც რუსეთს შეეზღუდა მოუტანა შთამბეჭდავი გამარჯვებები ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ ომებში. 1831 წელს ნიკოლოზ I-ის მიერ აჯანყებული პოლონეთის დასაშოშმინებლად გაგზავნილმა ი. პასკევიჩმა შტურმით აიღო ვარშავა და მის ქუჩებში ხოცვა-ყლეტა მოაწყო, ხოლო ჯილდოდ პოლონეთის სამეფოს მეფის-ნაცვლის თანამდებობა მიიღო. ი. პასკევიჩი თვალსაჩინო სამხედრო ფიგურა იყო რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 წწ. (ე. წ. ყირიმის) ომში, ხოლო მანამდე, უნგრეთის 1848-1849 წლების რევოლუციის ჩახშობისას, რუსეთის არმიას სარდალობდა.

ი. პასკევიჩს ერევნის აღებისათვის მოპოვებული შპონდა გრაფ ერევნელის (Граф Эриванский; 1828 წ.), ხოლო ვარშავის დამორჩილებისათვის – უგანათლებული თავად ვარშაველის (Светлейший князь Варшавский; 1831 წ.) ტიტულები.

რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომში რუსეთის გამარჯვების შემდეგ ი. პასკევიჩი წინააღმდეგ ქართველი მაჰმადიანებისაგან დაცლილ ჯავახეთში დასავლეთ საქართველოდან ქართული მოსახლეობის გადმოყვანის ინიციატივას და იქ ოსმალეთიდან გადმოსული ოსმებები ჩაასახლა.

ივანე პასკევიჩი იყო სასტიკი მეომარი, ამასთანავე, ეჭვიანი ბუნების ადამიანი, უაღრესად მკაცრად ექცეოდა ხელქვეითებს და ამის გამო სამხედრო წრეებში არ იყო პოპულარული.

12. მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვი (1782-1856) – გენერალ-ფელდმარშალი, კავკასიის მეფისნაცვალი („ნაიბესნიკი“) და ცალკე კორპუსის მთავარსარდალი 1844-1854 წლებში (კავკასიის მართვას პრაქტიკულად 1845 წლის გაზაფხულიდან შეუდგა).

მ. ვორონცოვი ყველაფერს აკეთებდა რუსეთთან საქართველოს სრული პოლიტიკური და ეკონომიკური შერწყმისათვის, თუმცა, იმავდროულად, – ამ თანამდებობაზე თავის წინამორბედთა თუ მემკვიდრეთაგან განსხვავებით, – ზრუნავდა რუსეთის სახელმწიფოებრივ ფარგლებში ქართველი ხალხის ნაციონალურ-კულტურული ინდივიდუალობის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის, ქართული საზოგადოებრივი და საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების ევროპეიზაციისათვის. ჩვენ საკვებით მართებული გვეგონია საქართველოში მ. ვორონცოვის საქმიანობის აკაკი წერეთლისეული შეფასება, რომლის მიხედვითაც, კავკასიის მეფისნაცვალი მომავლის საქართველოს უყურებდა როგორც „პოლიტიკურად გარუსებულს, მაგრამ თავის სარწმუნოებით, ენით და ეროვნულ ელფერით“. უნდა ითქვას, რომ მ. ვორონცოვის „კავკასიური

მომონებათა სკიპრი

პოლიტიკისადმი“ არც მის სიცოცხლეში და არც მისი სიკვდილის შემდეგ რუსეთის პოლიტიკურ წრეებში არ ყოფილა ერთგვაროვანი დამოკიდებულება, ხოლო ცნობილი ქართველ-თმოძულე მიხეილ კატკოვი (სხვათა შორის, დედით ქართველი – თულაშვილი) მ. ვორონცოვს მიიჩნევდა არარუსული თვითშეგნების სახელმწიფო პირად და პირდაპირ სდებდა ბრალს რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესების ლალატში.

ი. ფალავანდიშვილის მიერ ნახსენებ ქართული არისტოკრატიის გაჩანაგებაში იგულისხმება მის. ვორონცოვის მიერ თბილისში დაარსებული საკრედიტო დაწესებულება, ე. წ. „პრიკაზი“ (ერთგვარი საადგილმამულო ბანკი), რომელიც ითვალისწინებდა თავადაზნაურობის მიერ უძრავი ქონების დაგირავებას, ხოლო აღებული სესხით მამულების უკეთ მოწყობას. ქართველი არისტოკრატიის ერთმა ნაწილმა „პრიკაზში“ მამულები მართლაც დააგირავა, იქ აღებული ფული კი ქეიფებსა და დროსტარებას გადააყოლა და მატერიალურად განადგურებული დარჩა.

13. ავტორს მხედველობაში აქვს ავადმყოფობით, საგარეო საფრთხეებითა და სამეფო კარის აშლილობით უკიდურესად დასუსტებული და სასონარკვეთილი გიორგი XII-ის განწირუ-

ლი ნაბიჯი – რუსეთის იმპერატორის, პავლე პირველისადმი, 1800 წელს გაგზავნილი „სათხოვართა პუნქტები“, რომლითაც ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე თმობდა საშინაო ცხოვრებაში გეორგიევსკის ტრაქტატით განსაზღვრულ დამოუკიდებლობას და ქვეყანას, არსებითად, რუსეთის უშუალო გამგებლობაში გადასცემდა; მხოლოდ იმ პირობით, რომ რუსეთის იმპერატორი არ გააუქმებდა ამ „პუნქტებით“, ფაქტობრივად, ფიქციად ქცეულ სამეფო ტახტს და არ მოსპობდა მასზე გიორგი XII-ის პირდაპირ შთამომავალთა უფლებას.

უნდა ითქვას, რომ, როცა XIX საუკუნის ქართველი მონარქისტები საქართველოს რუსეთთან „ნებაყოფლობით“ შეერთებაზე წერდნენ და ლაპარაკობდნენ, მათ, არსებითად, მხედველობაში სწორედ გიორგი XII-ის ეს გაუფორმებელი და, ამდენად, იურიდიული ძალმოსილების არმქონე, „სათხოვართა პუნქტები“ ჰქონდათ მხედველობაში და არა ერეკლე II-ის მიერ 1783 წელს გაფორმებული „გეორგიევსკის ტრაქტატი“.

თარგმნა და კომენტარები დაურთო
თამაზ ჯოლობუაი

გამოხმაურება

საბა სულხანიშვილი

ლირიკული მე-ს ტრაგედია

– ესთეტიკა არ არის ეთიკა.

ესეც ის სენტენცია თუ ლიტერატურული ფორმულა, რომელმაც ყველაზე ბუნებრივი და მოხდენილი აკორდით უნდა დაავიჯინოს მინიატურა „ესთეტიკური დაუნდობლობის შესახებ“. და ეს სათაური უკვე მიგვანიშნებს განცდის უკიდურესობას, დაჭიმულ სიმზე ხელის შეხების შეგრძნებას, რითაც კიდევ განმსჭვალულა გივი მარგველაშვილის მცირე პროზაულ ქმნილებათა ის ნიმუში, მძაფრად რომ აირეკლავს იმ რკალის საერთო სულისკვეთებასა და განწყობილებას, ეს სახელწოდება რომელსაც ამთლიანებს – „მი ნიგნის გმირი ვარ“.

და ეს ის სახელწოდებაა, მწერლის ლიტერატურულ ღერბსაც რომ შეიძლება ნაწეროდა.

გივი მარგველაშვილს მაინც დაკარგული აქვს შეგრძნება, რეალობაში დააბიჯებს თუ კიდევ უფრო დიდ რეალობაში – ნიგნის ფურცლებზე. იგი ავტორიცაა და პერსონაჟიც ერთსა და იმავე დროს, და ეს პოსტმოდერნისტული მხატვრული მეთოდი აღმოჩენილი რომ არ დახვედროდა, თვითონ აღმოაჩნდა და ისე, რომ ვერც გაიგებდა, ახალ გზას თუ მიჰკვალავდა ლიტერატურაში.

მისთვის ეს სავსებით ბუნებრივი ყოფაა, მისი არსებობის გულისგული.

შედის და გამოდის სხვათა ნიგნებში, შედის და გამოდის თავის ნაწერებში, ხან ქმნის, ხან თვითონვეა შექმნილი, და ასე ძალდაუტანებლად ირღვევა მის წინაშე რეალური თუ მეტაფიზიკური მიჯნები. უხილავი და მყარი?

თურმე უხილავი და ძალიან მყიფე, თითქმის გამჭვირვალე, თუკი საიმედო მეგზური გვეულება გვერდით, ანდა... თვითონვე ხარ მეგზური.

ასე გადადიხარ დაუნდობელი სამყაროდან კიდევ უფრო დაუნდობელ სამყაროში – ყოფითი სინამდვილიდან ნიგნის სინამდვილეში, რომლის ესთეტიკური გარემო და სული ულმობელობით დაჟღენთილა და ეს მიიჩნევა ჰუმანიზმის მწვერვალად.

მკაცრი თვალთა და გასასტიკებული მარჯვენით გადაირჩეს სულიერი ფასეულობანი და ოდნავი ლიობი და ნაწვრეტიც არსად დარჩეს, რათა ნაკლები მნიშვნელობის ქმნილებებმა ვერაფრისღიდებით ვერ გააღწიონ სამყიდობოს.

არა ჭრის ვედრება, ლოცვა, ცრემლი, ალთქმა, თავის შეცოდება.

ლიტერატურას სრულებით არ ალღევებს, ესა თუ ის ავტორი ნატანჯი, განამებული ცხოვრებით ცხოვრობდა თუ დალხინებისაგან ნამითაც არ მოწყვეტილა.

მისთვის მარტოდენ შემოქმედებითი ნაყოფია შესაფასებელი და მწერლის ბიოგრაფიას მხოლოდ მას შემდეგ მიაპყრობს ყურადღებას, როდესაც ნაყოფს მიითვლის თავის კიდობანში.

მაგრამ დასამშვიდებელი არც მერეა რაიმე.

შესაძლოა ლიტერატურამ თავიდან იოლად არც გაგნიროს, მაგრამ ეპოქებმა კიდევ უფრო გაამკაცრონ სუსხი და ესა თუ ის ქმნილება თან შერჩეს მწერლობას და თან დაჰკარგოს მკითხველი, და მკითხველის დაკარგვასთან ერთად საბოლოოდ გაიწიროს.

უფრო დიდი ტრაგედია კი დაბადებისთანავე სიკვდილია და ეს პროცესი არ უნდა დარჩენილიყო მხატვრული გააზრების მიღმა.

სწორედ ეს ტრაგიზმი სუნთქავს გივი მარგველაშვილის ამ მინიატურაში, რომელიც ორიოდსტროფიანი ლექსის ლირიკული მე-ს გულისშემძვრელ განცდებს აირეკლავს, მის გადადგომას ლექსის გზაზე და ვედრებას მკითხველისადმი: შემეყვარეთო.

მაგრამ... მკითხველებმა აინუნშიც არ უნდა ჩააგდონ მისი მუდარა და აჩქარებით ჩაუარონ გვერდით.

ზოგმა – რეალურ ცხოვრებაში ფრიად დაფასებულმა და წესიერმა ადამიანებმა – ამ წაუკითხავ მე-ს უპატივცემულო მზერა შეავლოს და შეურაცხმყოფელი სიტყვებიც არ დაიშუროს.

სხვებმა გესლიანი სიცილი დააყარონ, როცა ეს სანყალი ლირიკული არსება ქუდს იხდის და თავის მხურვალე თხოვნას ამოთქვამს.

შეყვარებას კი არა, გადაკითხვასაც არავინ პირდება.

მაშინ ხომ მოკვდები! – ქვითინებს ლირიკული მე.

მერე მოკვდი! – გესლს არ იშურებენ გულქვა გამვლელი, – ყველასთვის ასე აჯობებს.

რამდენიმე სტრიქონში იმხელა განცდები ბოზოქრობს, თითქოს განწირული ლექსის უხილავ პერსონაჟს კი არ დასტეხოდეს თავს დაავიწყების გარდუვალობა, არამედ ადამიანები ქრებოდნენ ასე სასტიკად და დაუნანებლად.

თუმც გივი მარგველაშვილი აკი არც განასხვავებს პერსონაჟებს კაცობრიობისაგან.

და ისე ამკარად მოჩანს ცრემლი, რომელიც მის წამნამებს სწყდება უღვთოდ გამეტებული ლირიკული მე-სადმი თანაგრძნობის ნიშნად.

მაგრამ რა გინდა ილონო, თუნდ საშინელებად გეჩვენებოდეს გულქვა გამვლელთა მიერ გამოტანილი განაჩენი.

ესთეტიკა არ არის ეთიკა.

სოსო მახარაშვილი

შვილებსათვის აუცილებელ ნასაკითხად

– მამა, ეს რა არის, ეს რა არის! – გაჰყვირის პატარა ნიკუშა და ახალთახალ წიგნს ჩემსკენ მოარბენინებს. მიუხედავად იმისა, რომ აკრძალული აქვს ჩემს სამუშაო მაგიდასთან მისვლა და ნივთებთან შეხება, ამ აკრძალვას ბიჭი არად აგდებს, რადგან ჯერ სამი წელიც არ შესრულებია. ამჯერად ის როსტომ ჩხეიძის წიგნს – „ადათები ეშაფოტზე, ენა გილიოტინაზე“ დაუინტერესებია, უფრო სწორად, გარეკანზე შესრულებულ ნახატს მოუხიბლავს (მხატვარი ბადრი გაგნიძე) და ცნობისწადილით დაჰყურებს სურათს. ჯერ შვილის ტრადიციულ დამოძღვრას დაეპირებს, რომ ჩემი წიგნი აღარ „მოიტაცოს“, თავისი ზღაპრებით დაკმაყოფილდეს და ა. შ. ბოლოს ხელს ჩავიქნევ, ჩათრევას ჩაყოლას ვამჯობინებ და შევეცდები შეძლებისდაგვარად დაეკმაყოფილო ბავშვის ცნობისმოყვარეობა:

– ეს ეშაფოტია, ის – გილიოტინა... ეშაფოტზე აყვანილ კაცს შავ-წითელი ფერებით შემოსილი ჯალათი ენის მოკვეთას უპირებს. ის მხოლოდ ნიშანს ელოდება, რომ თოკი გამოსწიოს და გილიოტინა აამუშაოს...

– ეშაფოტი, გილიოტინა... – იმეორებს და იმეორებს ნიკუშა მისთვის უცხო და უცნობ სიტყვებს. ვხედავ, ცდილობს ამ ახალი სიტყვების დამახსოვრებას, რომ შემდეგ მოულოდნელად წარმოთქვას, გამოაცოს და ჩემი ქება დაიმსახუროს. ვატყობ, ამ ეტაპზე ბიჭი დაკმაყოფილდა ნახატის ჩემეული განმარტებით და წიგნიც დიდსულოვნად დამითმო.

... ჩანიშნული ადგილიდან ვაგრძელებ როსტომ ჩხეიძის წიგნის გაცნობას. კარგად წერს, ინტერესით იკითხება, როგორც მისი ყველა რომანი. არადა, წიგნში ასახული ამბები, ერთი შეხედვით, მთლად საამური საკითხავი არ უნდა ყოფილიყო: მისი დიდი ნაწილი ხომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის ცნობილ დადგენილებას („მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“) და ამ დადგენილებაზე ქართველი მწერლების გამოხმაურებათა განსჯას ეხება. მაგრამ როსტომს, როგორც მწერალს, სხვა უამრავთან ერთად ერთი კარგი თვისება აქვს: ფაქტიდან თუ მოვლენიდან მთავარს, ძირითად სათქმელს დაიჭერს, რიტმულ ფრაზად ჩამოასხამს, ამბებს შორის ბუნებრივად ჩაურთავს, რეფრენით გაიმეორებს, გაიმეორებს და გაგამეორებინებს; ამ ერთი ფრაზის რიტმი მთელ ტექსტს გაჰყვება და ბოლომდე დამუხტავს თხზულებას; თხრობის ეს შინაგანი მუხტი, მოქმედების დინამიკა, მსჯელობათა ლოგიკური მდინარეობა შიგადაშიგ გაზავებული ინტრიგის ელემენტებით მკითხველსაც ჩაითრევს, მასაც შეიპყრობს, გაიტაცებს და სულმოუთქმელად ჩამთავრებინებს რომანს. დიახ, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ როსტომ ჩხეიძე დოკუმენტური პროზის ნამდვილი ოსტატია, ჭეშმარიტი შემოქმედი.

ერთხელ, „ალექსანდრე ორბელიანის“ გამოქვეყნების შემდეგ, რომანის ნაკითხვისას მიღებული შთაბეჭდილებები გულწრფელად გავუზიარე ავტორს, არც აღფრთოვანება დავმალე და ვკითხე: ხომ არ დადგა დრო დოკუმენტური პროზიდან მხატვრულში გადაინაცვლო? – არაო! – მიპასუხა როსტომმა. ამ ჟანრში კიდევ ბევრი მაქვს გასაკეთებელი. ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ბოლო 200-წლიანი ისტორია დამახინჯებულადაა გაშუქებული ჩვენს ისტორიოგრაფიასა თუ ლიტერატურათმცოდნეობაში, ბევრი შავი ლაქაცაა და ეს უნდა გავასწორო, ეს უნდა ამოვავსოო! ამას რომ ამბობდა, ალბათ, იმასაც გულისხმობდა, რომ მამამისი, ოთარ ჩხეიძე, თავისი მშვენიერი რომანებით და მოთხრობებით ძირითადად ხსენებული ეპოქის მხატვრული მემკვიდრეა, პი-

რუთენელი მემბრანე. ასე, რომ თუ ოთარ ჩხეიძე მხატვრულად ძერწავს რუსეთისაგან უფლებაყრილი ჩვენი ხალხის ისტორიას, შვილი, – როსტომ ჩხეიძე, დოკუმენტური სიზუსტით განსჯის ჩვენთვის არც თუ ისე შორეული ეპოქის ამბებს. ორივე მწერალი ერთმანეთს ავსებს, ორივეს შემოქმედება ძვირფასია ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიისათვის.

არა, ამ წიგნს – „ადათები ემაფოტზე, ენა გილიოტინაზე“, მაინც სულ სხვა თვალთ, სხვანაირი ცნობისმოყვარეობითა და მონდომებით ვკითხულობ. ალბათ, იმიტომ, რომ მეც ვარ იმ ამბების მომსწრე და თვითმხილველი. მასხოვს, რა ხმაური და აჟიოტაჟი მოჰყვა მავნე ადათ-წესების წინააღმდეგ გამოცხადებულ ბრძოლას გასული საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარში. მთელი ძალით ამოქმედდა კომუნისტური პროპაგანდის მანქანა. აიკრძალა ხალხმრავალი ქორწილები, ქელები, დღეობები და სხვ. ქრისტიანულ დღესასწაულებზე ხალხს მილიცია უკეტავდა გზას – არ აძლევდა უფლებას შესულიყო ეკლესიაში და დაეკმაყოფილებინა რელიგიური მოთხოვნილებები.

1978 წლი 14 აპრილის მონაწილეთა ვარ, ერთი რიგითი მონაწილე. როდესაც საქართველოს კონსტიტუციის პროექტით ქართულ ენას უფლების აყრა დაუპირეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საპროტესტო წერილს მეც მოვანერე ხელი; სხვებთან ერთად მეც გავიზიარე ის დიდი სიხარული, როდესაც რუსთაველზე, მთავრობის სახლის წინ გამოსულ პროტესტანტებს გვაუწყეს, რომ კონსტიტუციის 75-ე მუხლი შესწორდა და ქართულ ენას კვლავ დაუბრუნდა სახელმწიფო სტატუსი. ეს იყო და ეს! არც მაშინ და არც შემდგომ არ დავფიქრებულვარ, თუ რა ღრმა კავშირი არსებობდა ამ ორ მოვლენას შორის. აი, ოთარ ჩხეიძეს კი იმთავითვე შეუმჩნევია. შეუნიშნავს, რომ იმპერიის მიერ ე. წ. მავნე ადათ-წესების წინააღმდეგ წამოწყებული კამპანია, რომელიც დიდი აღტყინებითა და გულმოდგინებით ხორციელდებოდა საქართველოს მარიონეტული ხელისუფლების მიერ, სხვა არა იყო რა, თუ არა – ბრძოლა ქართული ტრადიციების, ქართველი ხალხის სულიერი და კულტურული ღირებულებების წინააღმდეგ; ამ ბრძოლის ბუნებრივი გაგრძელება უნდა ყოფილიყო ენაზე შეტევა, რაც მისი პოზიციების შერყევით და, საბოლოო ჯამში, აღხოცვით უნდა დასრულებულიყო. სიტყვა „მავნე“ იმპერიის იდეოლოგიებს ოდენ სატყუარად, შირმად ჩაეფიქრებინათ, რათა ლამაზად შეეფუთათ თავიანთი ქვემარტი ზრახვები – აქაოდა მავნე ადათებს ვებრძვით, ნამდვილს კი არაო! ამ სატყუარას მაინც დაეგნია ცნობილ ქართველ მოღვაწეთა და მწერალთა ერთი ნაწილი, ღირსეული ნაწილი (ა. ბაქრაძე, ნ. ნუღლისკირი, ვ. ჭელიძე და სხვ.), მათაც აემადლებინათ ხმა მავნე ადათ-წესების წინააღმდეგ. თუმცა ქართულ ენას საფრთხე რომ დაემუქრა, სწორედ ისინი გამოვიდნენ პირველნი იმპერიული რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ საბრძოლველად. 1980 წელს ოთარ ჩხეიძემ დაწერა რომანი – „ვენეციური ჭალი“, რომელშიც ბოლო ხუთწლეულის ამბები მხატვრულად განაზოგადა და ერის ზნე-ჩვეულებათა დაცვის, მათი მოფრთხილებისა და გადარჩენის აუცილებლობა მთელი სიმძაფრით დააყენა.

ხსენებული რომანი უთუოდ ბიძგის მიმცემი უნდა გამხდარიყო როსტომ ჩხეიძისათვის, შეეფასებინა 70-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენები.

როსტომ ჩხეიძის წიგნს ჰყავს თავისი გმირები და ანტიგმირები, მაგრამ ყველაფერი მაინც ერთი კაცის, – მაშინდელი ცეკას პირველი მდივნის, ედუარდ შევარდნაძის ირგვლივ ტრიალებს. მოგვიანებით, უკვე საქართველოს პრეზიდენტად ყოფნისას, ბატონი ედუარდი ძველ ამბებს რომ გაიხსენებს, 14 აპრილის სტუდენტური გამოსვლების სულისჩამდგმელად, მოთავედ საკუთარ თავს გამოიყვანს: სტუდენტთა და ინტელიგენციის ერთი ნაწილის პროტესტს მე მივეცი ბიძგიო; ჩემს მოხსენებებში ყველგან ხაზს ვუსვამდი კონსტიტუციის 75-ე მუხლს, რომელიც ენის სტატუსს ეხებოდა, რომ საზოგადოების ინტრიგა გამოემწვია და ხალხი ქუჩაში გამოსულიყო; სხვანაირად კრემლი არ დათანხმდებოდა ქართულის სახელმწიფო ენად გამოცხადებასო. თავი დაერწმუნებინა და სხვა-საც არწმუნებდა: მე ყოველთვის ვებრძოდი იმპერიას, იმთავითვე ძირს ვუთხრიდი, ოღონდ – ფარულად და ჩუმად. შევარდნაძის „კარის“ მწერლები და ხელოვანნი, მისი გუნდრუკისმკმევებნიც დაადასტურებდნენ: მართალს ამბობსო! თავიდანვე ებრძოდა და ძირს უთხრიდა იმპერიას. ეს რომ ვიცოდით, იმიტომაც ვიდექით მის გვერდით. ეგ კი არა, ჩვენც ვწინააღმდეგებოდით კრემლის პოლიტიკას. მართალია, სიტყვით ვაქებდით, მაგრამ გულში ვებრძოდით, გონებაში ვებრძოდით, მალულად ვებრძოდით... არავის რომ არაფერი გაეგოო. ეჰ, სარკაზმი სარკაზმად და ნეტა, მართლა ასე ყოფილიყო, ნეტა, მართლა გულში მაინც ებრძოლათ! იქნებ მაშინ რაიმე შველებოდა ჩვენს მრავალტანჯულ ქვეყანას! იქნებ ასე უნუგეშოდაც არ ცყოფილიყავით!

„უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი“ – ბარათაშვილისეულ ამ ალუზიას გამოიხმობს როსტომ ჩხეიძე რომანის ფინალში. დამაინტრიგებელი დასაწყისი აქვს ხოლმე მის წიგნებს და კიდევ უფრო შთამბეჭდავი დასასრული. აქაც ასეა: ეპილოგში მოუხდენია მწერალს თავისი ძირითადი სათქმელის ეფექტური კონცენტრაცია: უკან მოგვჩხავის თვალბედითი შავი ყორანიო. დროს თითქოს არაფერი შეუცვლია. თითქოს ყველაფერი ერთ ადგილას ტრიალებს. ერის ზნე-ჩვეულებანი ისევ საფრთხის ქვეშაა, ენა ისევ დაცვას მოითხოვს. დრო კი არ შეცვლილა, თითქოს გადასხვაფერებულა, ფერი უცვლია. სოციალისტურ ინტერნაციონალიზმს ლიბერალური გლობალიზმი ჩანაცვლებია. მერედა, რა ნუგეშია ქართველი კაცისათვის ინტერნაციონალიზმი შთანთქავს თუ გლობალიზმი?... შორიახლოს ისევ ილანდება ემაფოტის აჩრდილი, სადღაც გილიოტინის სილუეტიც კრთება. აკი გვაფრთხილებს მწერლის ხმა: უკან მოგვჩხავის... უკან მოგვჩხავის... უკან მოგვჩხავის თვალბედითი შავი ყორანი.

... ისევ მორბის ნიკუშა როსტომის წიგნით ხელში ჩემკენ. ახლა უკვე ის მიხსნის გარეკანზე გამოსახული ნახატის შინაარსს:

– ეს ემაფოტია, ის კი – გილიოტინა. ჯალათი თოქს რომ გამოსწევს, ცული კაცს ენას მოჰკვეთს, – დანანებით ამბობს ბიჭი (ეცყობა ებრალება ემაფოტზე მყოფი კაცი).

გამოსაშრება

– ვერა, ვერ მოჰკვეთს! – ვეპასუხები შვილს, – ერის რჩეული ადამიანები ფხიზლად დარაჯობენ ეშაფოტზე აყვანილ კაცს და ხელს უშლიან ჯალათს ბოროტი ზრახვის განხორციელებაში (ახალ შტრიხებს ვუმატებ ბადრი გაგნიძის ნახატს).

გავა დრო და შესაძლოა, შენც მოგინოს ამ კაცის სადარაჯოზე ყოფნა.

ჩემი ნათქვამიდან ნიკუშამ მხოლოდ ის დასკვნა გამოიტანა, რომ შეეძლო ენის წარსაკვეთად გამზადებული კაცისთვის გუშაგობა გაენია.

– მამა, მარტო მე უნდა ვუდარაჯო? შეიძლება კოკაც თან წავიყვანო? – მეკითხება ბიჭი, რომელმაც ჩათვალა,

რომ თავის მეზობელსა და თანატოლ კოკასთან ერთად უფრო ხალისით გაართმევდა თავს საქმეს.

– რა თქმა უნდა, კოკაც უნდა წაიყვანო და ელისაბედიც, ლუკაც და მარიამიც... ყველა ერთად უნდა შეებრძოლოთ ჯალათს, რომ ეშაფოტზე მყოფი კაცი გამოიხსნათ და გადაარჩინოთ. ოღონდ, ჯერ უნდა გაიზარდოთ, კითხვა ისწავლოთ და ეს წიგნიც წაიკითხოთ.

როცა გავიზრდებით, როცა კითხვას ვისწავლით... იმეორებს თავისთვის ნიკუშა.

კარგია, ჩვენს პოსტმოდერნისტულ ეპოქაში ისეთი წიგნი რომ დაინერება, შენი შვილებისათვის რომ გადასდებ აუცილებელ წასაკითხად.

რეპორტაჟი

თამარ შაიშველაშვილი

„პარ უმტკიცესი რვალისა“

*

კოტე ხიმშიაშვილის
სსოვნის საღამო

კოტე ხიმშიაშვილი 90 წლისაა. სწორედამ რომ არის, რადგან თავისი სიცოცხლის ხანმოკლე, მაგრამ სახიერი გაღვებებით მარადისობას დაემგზავრა. 25 წლის ჭაბუკს, ნიჭიერ მწერალს 1942 წლის 17 ოქტომბერს სასტიკად გაუსწორდნენ, 16 მეგობართან ერთად დახვრიტეს, როგორც 1942 წლის შეთქმულების მოთავე და მისი იდეური ხელმძღვანელი.

კოტე ხიმშიაშვილის დაბადებიდან 90 წლისთავს მიძღვნა გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში გამართული საღამო, რომელმაც კიდევ ერთხელ გააცოცხლა ამ ტრაგიკული ბედის შემოქმედის ცხოვრება. საღამო გახსნა მუზეუმის დირექტორმა იზა ორჯონიკიძემ, რომელმაც კოტე ხიმშიაშვილს უანგარო მოღვაწე უწოდა: ქართველებს ასეთი მოღვაწე ცოტა გვყავს და რაც დრო გადის, მათი რიცხვიც მცირდება. „რალაცნაირი ხალხი ვართ, რაც გვაქვს, მისი მოფრთხილება არ ვიცით, მაგრამ როცა აღარ გვაქვს, მერე მასზე, აკაკის სიტყვებისა არ იყოს, მწარედ ვტირით“.

იზა ორჯონიკიძემ გიორგი ლეონიძის მიერ დაარსებული მუზეუმის ტრადიციებზეც ილაპარაკა. პოეტს ფეხით შემოუვლია საქართველო და ნამცეც-ნამცეც შეუგროვებია ჩვენი საუფხვენი, მათ შორის ილიასეული ოქროს საათიც, რომელიც მუზეუმში ინახება და გიორგი ლეონიძეს ქუთაისში, ვილაც ვაჭართან შეუძენია.

„უდროოდ წასული დიდი პატრიოტის, ლამაზი კაცის – კოტე ხიმშიაშვილის ეს საღამოც იმ დიდ ტრადიციებს აგრძელებს. ეს ის ზნეობრივი ხიდებია, რომელთაც ჩვენი

წინაპრები აგებდნენ და ურომლისოდაც არც ანწყო გვაქვს და არც მომავალი გვექნება“, – თქვა ქალბატონმა იზამ.

შემდეგ სცენა მსახიობებს დაეთმოთ. ერთ ამოსუნთქვას ჰგავდა სპექტაკლი, რომელმაც ორიოდე საათით კოტე ხიმშიაშვილის გულისცემას მიგვაყურადა. ყველაზე მეტად კოტეს და – საბავშვო მწერალი დოდო ხიმშიაშვილი-ვადაჭკორია ლელავდა – მათი 17-წლიანი დაძმობა ავბედითა ჟამმა შეწყვიტა, მაგრამ ხსოვნა სულისა ვერ გააფერმკრთალა, პირიქით – დრომ დავიწყების ბურუსის მაგივრად, სინათლის სხივით შემოსა კოტე ხიმშიაშვილისა და მისი მეგობრების სახელები.

ამაში გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის სპექტაკლმაც დაგვარწმუნა.

სპექტაკლში მოქმედება კოჯორში, თამარ და ალექსანდრე ხიმშიაშვილების სახლში ვითარდება, სადაც ხშირად იკრიბებოდნენ სტუმრები. „მასპინძელთან ერთად, გარიჟრაჟზე, სასმისებით ხელში აიძულებოდნენ, ქუჩაში გამავალ რკინის აივანზე გავიდოდნენ, „სამშობლოს“ ჩუმად მღეროდნენ და თან რიგრიგობით ნახვრეტში ღვინოს აწვევებდნენ. ეს რიტუალი ზამთარშიც სრულდებოდა. ნახვრეტში შეყინული ფიფქი წითელი ღვინით იფლინებოდა და ქვემოთ, დათოვლილ ქუჩაზე, სისხლის წვეთებით იღვრებოდა...“

1921 წელს რამდენიმე იუნკერს ხიმშიაშვილების სახლისთვის შეუფარებია თავი. წითელარმიელებს ალყა შემოურტყამთ, აივნის ქვეშ შეფარებულ წითელარმიელს იუნკრისთვის ქვემოდან უსროლია ტყვია, აივანი გახვრეტლიდა და იუნკერი მოუკლავს. სწორედ იმ ნახვრეტში აწვევებდნენ ღვინოს და მის შესანდობარს სვამდნენ...

აი, ასეთ გარემოში იზრდებოდა კოტე ხიმშიაშვილი. მოსწრებულად თქვა საღამოზე მწერალმა და კრიტიკოსმა ზაზა აპზიანიძემ – კოჯორში კარმიდამო იუნკრების სისხლით იყო გაჟღენთილი, ისინი კოტეზე ერთი თაობით უფროსები იყვნენ, კოტემ ცხოვრებაში სწორედ მათი სულიერი თვისებები და რაინდული შემართება გაიმეორაო.

მანამდე კი... ბრწყინვალედ სწავლობდა კოჯორის საშუალო სკოლაში. 1934 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა, ინგლისური ენისა და ლიტერატურის განხრით. 1939 წელს

დასავლეთ ევროპის ლიტერატურის სპეციალობით ასპირანტია. სტუდენტობისას და ასპირანტობისას მისი მასწავლებელი იყო თვალსაჩინო მოძღვარი და მოაზროვნე ერეკლე ტატიშვილი, ვინც კოტეს სულიერ ფორმირებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა.

სპექტაკლში გაიყვანეს კოტე ხიმშიაშვილის სტუდენტობა და ყრმობა, სიჭაბუკეშივე გამორჩეული რაინდული თვისებებით. 1934-35 წლებში გამოქვეყნებულმა კოტეს პირველმა მოთხრობებმა მიხეილ ჯავახიშვილისა და ლეო ქიაჩელის ყურადღება მიიპყრო, ხოლო მისმა მოთხრობამ „გლობუსი“ ყველა გააოგნა. სამყაროს სათამაშოდ გადაქცევის სიმბოლური აზრი რამდენიმე წლის შემდეგ ჩარლი ჩაპლინმაც გამოიყენა ფილმში „დიქტატორი“.

აი, როგორ აფასებდა ნიჭიერ პროზაიკოს მიხეილ ჯავახიშვილი: „ჩემი ღრმა რწმენით, ხიმშიაშვილს ბრწყინვალე მომავალი ხელთ უპყრია, მისგან ბევრ რამეს უნდა მოველოდეთ. სულაც არ ვეჭვობ, რომ ეს ასე იქნება“.

ეს სიტყვები მიხეილ ჯავახიშვილს იმ პერიოდში თბილისში სტუმრად მყოფ ანდრე ჟიდთანაც გაუმეორებია – განსხვავებულად ნიჭიერი, ენის მცოდნე, განათლებული და რაფინირებულიაო. 1937 წელს, როდესაც მიხეილ ჯავახიშვილი დააპატიმრეს, კოტეც რამდენჯერმე გამოიძახეს სუკში, რატომ გამოგარჩია ჯავახიშვილმაო, – ეკითხებოდნენ.

მაშინ კოტე ხიმშიაშვილი არ დაუპატიმრებიათ, მაგრამ შავი ღრუბლები მის თავზე უკვე იგრაგნებოდა.

1941 წელს უკვე ცნობილი პროზაიკოსი, რომან „ჯონქა ხორნაულის“ ავტორი კოტე ხიმშიაშვილი ომში წაიყვანეს. ასპირანტურა დაემთავრებინა და ბრწყინვალედ ფლობდა ინგლისურ ენას.

გერმანია-საბჭოთა კავშირის ომამდე გაცილებით ადრე არსებობდა საიდუმლო დაშიფრული ბარათი. ბარათი ინახებოდა რეჟიმთან შეურიგებელ პიროვნებასთან სოლომონ (ცუგრი) თევზაძესთან. ბარათის არსებობა იცოდა პოეტმა ალექსანდრე საჯაიამ. მისი მეშვეობით დაუკავშირდნენ ერთმანეთს სოლომონ თევზაძე და კოტე ხიმშიაშვილი, ვისაც უნივერსიტეტის ახალგაზრდებს შორის ერთ-ერთ ნიჭიერ და საიმედო პიროვნებად იცნობდნენ. ახალგაზრდების ამ ჯგუფმა, რუსეთის იმპერიასთან შედარებით, უპირატესობა ევროპის კულტურულ ქვეყანას – გერმანიას მიანიჭა და გადაწყვიტა, საქართველოს განთავისუფლების ახალი გზები ეძებნა. როდესაც გერმანიის ჯარები კავკასიონს გადმოლაზავდნენ, სრული უფლებამოსილებით ალჭურვილი პიროვნება ბარათს სამხედრო კომენდანტს გადასცემდა, რომ ქვეყანა განადგურებისგან ეხსნა.

მაგრამ შეთქმულება გასცეს და ეჭვიმტანილები დააპატიმრეს. არაადამიანური წამების მიუხედავად, კოტე ხიმშიაშვილი სულით რაინდი დარჩა, არ გასცა მეგობრები და სოლომონ თევზაძესთან ერთად სიკვდილს გადაარჩინა პოეტი ალექსანდრე საჯაია. ბოლომდე შეთქმულთა პაროლის – „ვარ უმტიციცესი რვალისა“ ერთგული დარჩა.

მასთან საკანში მყოფი დიმიტრი დადიანი იხსენებს მის უზადო თვისებებს, კოტეს სიტყვებს სატუსალოს ჩარკინული სარკმლის ცისთვის ნათქვამს: „იქნებ ის ლურჯი ცა გადმოინეროს ჩემს ხელის გულზე – მხოლოდ ეს, ხელისგულისოდენა საქართველოს ცალა მერგო“.

ამ ცის ხილვის საშუალებაც მოუსპეს და სიცოცხლე მოუსწრაფეს. მშობლებს კი უთხრეს, გადასახლებულია მიმონერის უფლების გარეშე. დარდისგან ლოგინად ჩავარდნილი დედა ყოველდღე წერილს უგზავნიდა შვილს, მაგრამ როცა ოჯახს დაემუქრნენ, შეენწყვიტათ ბარათების წერა, კოტეს დამ – დოდომ დედას არაფერი აგრძნობინა, მაგრამ მის წერილებს ჩუმად ხევდა და მტკვარს ატანდა...

ქალბატონმა დოდომ ბოლოს მაინც მიაღწია ძმის რეაბილიტაციას. მას დაეხმარა მწერალთა კავშირის მაშინდელი თავმჯდომარე გრიგოლ აბაშიძე, ვინც კოტე ხიმშიაშვილის გვარი წიგნის გამოსაცემ სიაში შეიტანა...

ტკივილი, სევდა და ცრემლი ახლდა თან ამ სპექტაკლს. 83 წლის დოდო ხიმშიაშვილი ამბობს, რომ 58 წლითაა კოტეზე უფროსი, მაგრამ როცა მისი ძმა გააქრეს, 6 წლით იყო მასზე უმცროსი...

ასეთი იყო დაწყვეტილი თაობის ბედისწერა. მადლობის მეტი რა ეთქმის გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმს, სცენარის ავტორს ნინო ვადაჭკორიას, რეჟისორებს მარინა კურტანიძესა და გიორგი მურაჩაშვილს, მსახიობებს – თიკო სოხაძეს, ბაჩო სოხაძეს, დათო დათუკიშვილს, მარინა კურტანიძეს, მუსიკალურ რედაქტორს ანანო ლლონტს.

სცენარისთვის გამოიყენეს მუზეუმში დაცული ხელნაწერები, დოდო ხიმშიაშვილის მოგონება „ბედისწერა – საქართველო“, როსტომ ჩხეიძის ორწიგნეული „დაწყვეტილი თაობა“.

წარმოდგენის დასრულების შემდეგ თითქოს თან მოგვედევდა კოტე ხიმშიაშვილის ძახილი: „მოვდივარ... მოვდივარ, მთებო!.. ჩემო მთებო, ჩემო აკვანო... მიმიღეთ შვილი, თქვენი შვილი, ერთხელ კიდევ ამიყვანეთ ხელში და მე თქვენს თვალუნვდენელ სიმაღლიდან დავანახებე ქვეყანას უქრობ ცეცხლს... მე მანდ მელიან...“



კოტე ხიმშიაშვილი

ნინო დეკანოიძე

უთვალავ ფერთა ქიეზაში...

*

**ვაჟა ხორნაშული
პოეზიის სალამო**

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონი... ტრადიციულად, ლიტერატურის პოპულარიზაცია და შესაბამისად საზოგადოების მოუწყინარი ინტერესი ცხადყოფს, ახალ მისამართზეც, უკვე მეორე წელია, გულმოდგინედ რომ სტუმრობენ ტრადიციულ სამშაბათობებს და განხილვებულნიც არასოდეს გაბრუნებულან.

იმდღევანდელ ღონისძიებასაც როსტომ ჩხეიძე უძღვებოდა.

„სხვადასხვა ყაიდის თავყრილობებში, როგორცაც გაგვიჩიანურდა პოეზიის სალამოები. დღეს შევხვდებით ვაჟა ხორნაშულს.

ჩვენ ვცხოვრობთ რეალობაში, სადაც თავდაყირა დგას ყველაფერი და უმთავრესად ცრუ პოეზია სადღება პოეზიად. კონკიაჟლარუნებს მიაქვთ ჩვენი რეალობა და შესაბამისად, მით უფრო მოვალენი ვართ, არ შევეპუოთ ასეთ რეალობას როგორი დამორგუნველიცაა და გავაგრძელოთ ნამდვილ ფასეულობათა პოპულარიზაცია. მოვუსმინოთ ნამდვილ პოეტებს, რომელთა ხმაც დღეს იკარგება „ბამბის ჩხრიალში“. მაგრამ ხვალ და ზეგ უნდა დადგეს ის დრო, როცა მათ მეტი მსმენელი ეყოლებათ – მათ სიტყვას, მათ აზრს, მათ შინაგან ექსპრესიას.

ვაჟა ხორნაშული ერთი იმ პოეტთაგანია, რომელსაც ყოველთვის აფასებდა ლიტერატურის მოყვარულთა ვინრო წრე, მაგრამ იმ ვინრო წრის გარეთ, მისი სახელი ნაკლებად იყო ცნობილი. ახლახან ვეკითხებოდით კიდეც, პოეზიის სალამო, ნიგნის განხილვა, როდის ჰქონდა ბოლოს. გაიხსენა, რომ სტუდენტობის დროს, როცა წარადგინა თავისი პირველი ლიტერატურული ცდები უნივერსიტეტის მწერალთა წრეზე, იმის მერე მას შეხვედრამკითხველთან აღარ ჰქონია.

ბოლოსდაბოლოს, ვინ არის რეალური მკითხველი, ვინ გისმენს, ვის აინტერესებს შენი სიტყვა. იმ ვაჟა ხორნაშულის სიტყვა, ვისი ხელიდანაც არაფერი გამოდის ზერე-

ლე. არაფერი გამოდის ისეთი, რაც ნამდვილ პოეტს არ ეკადრება.

მრავალფეროვანია მისი პალიტრა და არა აქვს მიდრეკილება, თითქოს, როგორც სულიერი შთამომავალი, მხოლოდ ვაჟა-ფშაველას გარემოსკენ მიელტვოდეს ან ხალხური პოეზიისაკენ. ეს მხოლოდ ერთი რკალია ვაჟა ხორნაშულის შემოქმედებაში... ბოლო დროს განსაკუთრებით მიიპყრო ყურადღება მისმა მინიმალისტურმა ლექსებმა. ამ ყაიდის პოეზია სულ უფრო პოპულარული ხდება, თუმცა საქართველოში საკმაო ისტორია აქვს. ჯერ კიდევ გრიგოლ ორბელიანსა და ნიკოლოზ ბარათაშვილს აქვთ დანერგილი მინიმალისტური პოეზიის ნიმუშები. სამსტრიქონედები არაერთ პოეტს მოუსინჯავს. ბოლო დროს ანთოლოგიის შედგენაც კი განიზრახეს და აი, აღმოჩნდა, რომ ვაჟა ხორნაშულს ჰქონია განსაკუთრებული მიდრეკილება ამ ჟანრისაკენ. და, თუ არ ვცდები, მთლიანადაა აგებული მინიმალისტურ პოეზიაზე ბოლო ორი კრებული – „ყვავილი ღმერთის უბეში“ და „სამოთხის წყალში ოქროს თევზი რომ გაილეკებს“. მეორე სათაური იმითაც არის საგულისხმო, რომ ისაა მთელი პოეზია – ნიგნის გარეკანზე ლექსია გატანილი.

სხვათა შემოქმედებაში ხშირად ვერ ნაანყდები იმ სისათუთეს, იმ სინათლესა და სისადავეს, რაც ვაჟა ხორნაშულის ლექსებშია. და ის მძაფრი დრამატიზმი, რაც მის გულში ბრუნავს და ტრიალებს, თითქოს შეფარულია და ამოიზრდება ბედნიერების, სიკეთის სიხარულის განცდად. ამ მხრივ შეიძლება რევაზ ინანიშვილის ნოველები და მინიატურები მოაგონდეს მისი პოეზიის მკითხველს – დრამატიზმის სიღრმე განათებული დიდი სინათლითა და სიკეთით.

და ერთი რამ მინდა ვთქვა. ჩვენში რატომღაც ამკვიდრებენ აზრს, რომ რაც გაუნათლებელია პოეტი, მით უკეთესიაო. რადგან დიდი განათლება ხელს უშლის პოეტურ განცდებს და პოეტურ სიღრმეებსო. არადა ასეთი პოეზია იმპულსებზეა ამოზრდილი. წარმოუდგენელია პოეტი განათლების გარეშე. ბ-ნი ვაჟას ფენომენი ამას ადასტურებს. იგი შესანიშნავი წერილების ავტორია. მონანილეთ თანამედროვე სალიტერატურო პროცესებისა, როგორც პოეტი, როგორც კრიტიკოსი და ესთეტიკოსი“.

როსტომ ჩხეიძემ, ვიდრე მაკა ჯოხაძეს შესთავაზებდა სიტყვით გამოსვლას, ვაჟა ხორნაშულს სთხოვა წაეკითხა ნიმუშები პოეტური კრებულებიდან, აგრეთვე ახალი ლექსებიც.

ფზიხელი და სადა ფრაზა, სხარტი და დანურული სტრიქონები, ფიქრიანი და მართალი ემოცია, რითაც გაჯერებულია ვაჟა ხორნაშულის შემოქმედება, სალბუნად ედებოდა მსმენელის გულს და ტაშით – გულწრფელი მონონების გამონგევით – დროდადრო ახმაურდებოდა ხოლმე დარბაზი.



ვაჟა ხორნაშული

მაკა ჯოხაძე:

„ვაჟას პოეზია აუცილებლად შენთვის, ჩემად უნდა ნაიკითხო. მის პოეზიას ახლავს დიდი სიმშვიდე და დიდი სიჩუმე. ეს ძალიან გასაკვირია დღევანდელ ატმოსფეროში, ჩვენს ეპოქაში და არა მარტო საქართველოში, სადაც გუგუნებს არა მხოლოდ ადამიანის ხელით შექმნილი სამყარო, არამედ ეკოლოგიური გარემო – მინა გუგუნებს. ერთი სიტყვით, ხმაურია ირგვლივ და შეიძლება იპოვო უჩვეულო სიმშვიდეც.“

სხვათა შორის, მე ვარ პირველი ოპონენტი ვაჟას ლექსებისა. უნივერსიტეტის ლიტერატურის წრეს ვიხსენებ. მე ავირჩიე ვაჟა იმ სიმშვიდისა და ახალგაზრდული სიბრძნის გამო, რომელმაც გამაოცა მაშინ. მას გააჩნია არაჩვეულებრივი მადლიერების გრძობა, რომ ცოცხლობს, არსებობს. მას უხარია და ეს მაჟორული განცდის გადმოცემით კი არ ხდება, არამედ ღრმა და შინაგანი სიბრძნით, რომელმაც იცის, რა არის ცხოვრება და რისთვის ცხოვრობს, რისთვის მოვიდა ამ ქვეყნად. ვაჟა არის სიყვარულისთვის მოსული პოეტი და მე დიდი სიყვარულით დავწერე წინასიტყვაობა მისი პოეტური კრებულით.

როცა რაიმეს ვწერ, მაქსიმალურად ვცდილობ არსებითი გამოვხატო, ამოვთქვა. მერე ძალიან მიჭირს ხოლმე ხელახლა მიბრუნება, ახლის დამატება. თუმცა ყოველნამიერად შეიძლება ახალი მოძებნო ვაჟა ხორნაულის პოეზიაში. მაინც დანერჩის ნაკითხვას ვამჯობინებ, რადგან უკეთ ჩანს ჩემი დამოკიდებულება მისი პოეზიისადმი. ხოლო ვისაც უკვე ნაუკითხავს, მოუუბოდიშებ ამის გამო.

**რას ერჩი სანუთროს? –
საითაც გაიხედავ, ყველგან უფალია**

– ეს რწმენა გამორიცხავს ლიტერატურულ სნობიზმს, რომელიც სამყაროს გამიჯვნას ამ შენიღბული იერარქიით თუ პრიორიტეტებით უპირისპირებს ერთმანეთს: „ქალაქური პოეზია“ – „სოფლური პოეზია“, „ქალაქური პროზა“ – „სოფლური პროზა“. რაღა თქმა უნდა, პერიფერიების გეოგრაფიული ადგილმდებარეობა არაფერ შუაშია აქ. ვაჟა ხორნაულის გულის სივრცე ამ წრეობანას პლებეურ თამაშებს ანგარიშს ვერ გაუწევს. მერე რა, რომ მის სტრიქონებში პიროვნული ამბიციის ჩქამიც კი არსად ისმის. როგორც პოეტს და ადამიანს, მას გაცილებით მნიშვნელოვანი მისია აქვს შესასრულებელი.

დახშული სივრცეები უნდა გადახსნას, სამყაროს უთვალავი ფერი ჟანგბადივით რომ მოგვანოდოს.

**სიცოცხლის მილიონი სარკმელი –
ყველა
სიყვარულის ხმებისთვის გახსნილი.**

მან იცის, როგორი დაღლილი, საპყარი და მიუსაფარია ადამიანი რწმენის გარეშე. შფოთი და განგაში როგორ ქამს კაცის გულს, შური და ლალატი როგორ ხრავს ტვინის უჯრედებს.

მან იცის, პირდამხობილი ნავებივით როგორ აწყვია საფლავის ქვები ხავსიან მინაზე, როგორც დამცხრალი სიმბოლოები ქარიშხლიანი დღეებისა.

მან იცის, რასაც მოიტანს გადამწვარი ტყეების სიმწარე და სიკეთედამშრალი სიცოცხლის შედეგება. „და როგორც გაკრეფილ ვენახში მტევნები, იშვიათია ქვეყანაზე მართალი გულები“.

პოეტმა იცის უღმერთობით გამოფიტული დაუნდობლობა, „ეპოქა კაცთა გამხეცების“ და მიუხედავად ამ მწუხარე ცოდნისა, ვერაფერმა შეცვალა მისთვის სინათლისა და სიყვარულის რელიგია.

ერთხელ ბორენა ჯაჭვლიანის საკმაოდ რთულ შეკითხვას, თუ რას გრძნობდა იგი ლექსის წერისას, ვაჟა ხორნაულმა საოცარი ბუნებრიობითვე შეუბრუნა შეკითხვა-პასუხი: „რას განიცდის ხე, როდესაც მის ტოტებზე ფოთლები და ყვავილები იბადებიან?“

ყოველი მისი სტრიქონი არის გულიდან ამოსული მზე. მიხარია, რომ ჩვენს სინამდვილეში ცხოვრობს ასეთი შესანიშნავი პოეტი, ასეთი არაჩვეულებრივი საინტერესო ადამიანი და მიყვარს მისი პოეზია და თავად ვაჟა ხორნაული“.

ვაჟა მანგოშვილი (ქართული საშუალო სკოლის „ლაშარის“ ხელმძღვანელი):

„მოგესალმებით. კარგია, რომ დროდადრო მაინც ვახერხებთ ასეთ შეხვედრებს, რათა სულს საგზალი არ გამოეღიოს.“

ქალბატონმა მაკა ჯოხაძემ ისაუბრა ვაჟა ხორნაულის პოეზიაზე და აღნიშნა, რომ საოცარი სიჩუმე, სიმშვიდე და სინყნარეა მის ლექსებში. ეს კი მკითხველს ამშვიდებს და სიამეს გვრისო.

ვაჟა ხორნაული არის მართალი კაცი. მართალი ღმერთთან, მართალი მოყვასთან, მართალი მამულთან და ტკივილთან მართალი.

ვინც კარგად ვიცნობთ და გვიყვარს მისი შემოქმედება, ყველას გაგკვირვებია, როგორ ახერხებს იგი ამ ამღვრულ, აფორიაქებულ, აგრესიულ გარემოსა და დროში სიმშვიდის შენარჩუნებას. ვაჟას მშვიდს ვერ დაარქმევ, მაგრამ მისი პოეზია ნამდვილად მშვიდია. ყველგან, ყველაფერში და ყველასთან მშვიდობისმყოფელია.

სულის ეს თვისება და უნარი მის ხასიათში, აზრებსა და ცხოვრების წესში უნდა ვეძებოთ.

ამ ქვეყანაზე ყველას თავისი დავლათი დაჰყვება. ამ დავლათს მოფრთხილება, შენახვა და სინმინდე სჭირდება, ამიტომ „ერში მონმინდარმა“ კაცებმა უნდა იმრავლონ, მართალმა კაცებმა უნდა იმრავლონ. მათზეა დამოკიდებული ქვეყნის ყოფნა-არყოფნა... ვაჟა ყველგან და ყველაფერში ღვთის ნაკვალევს, მის მადლს ეძებს და როცა პოულობს, ცდილობს მადლის წყარო გვიწილადოს.

მის სამყაროში ადამიანი ვერ მოიწყენს, რადგან აქ სიყვარული ტკივილით იკვებება და ტკივილი – სიყვარულით.

მის სამყაროში ყველა არსება ერთმანეთის დარდსა და სიხარულს იზიარებს:

**კენწეროზე გალობდა ფრინველი
და ფესვი
იმ ფრინველის გულივით ფეთქავდა.**

პროფესიით მათემატიკოსი გახლავართ და სულ მგონია, გარკვეული თეორემებივით და აქსიომებივით რაღაცას განვდის ამ თავისი მიგნებებით ვაჟა ხორნაული“...

როსტომ ჩხეიძე:

„დიდი მადლობა. მათემატიკოსები და ფიზიკოსები რომ მსჯელობენ პოეზიაზე შეგეხარბება. ბარემ გავაგრძელოთ თემატურად და ბრძანეთ ბ-ნო თემურ, თქვენია ახლა სიტყვა“.

თემურ ნადარეიშვილი:

„ისე მოხდა, რომ თბილისში არ ვიყავი და გუშინ შევიძინე ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“. გუშინვე წავიკითხე და ვაჟას რამდენიმე ლექსი განსაკუთრებულად მომეწონა.

წიშუაში მინიმალისტური პოეზიისა, რომელიც თქვენთან დაიბეჭდა, უცნაურად შთამბეჭდავია. ძალიან პატარაა, მაგრამ რომ გაიაზრო, მშვიდი სიფრთხილით და გულისყურით უნდა წაიკითხო.

აი, მაგალითად:

პატარა ნაპირები – ჰორიზონტის შვილთა-შვილები.

მიყვარხარ – მეტი არაფერი?

– მეტი რამე არსებობს სამყაროში?

ღმერთი, სალამური, პოეტი –

ხომ უნდა შეჩერდე და დაფიქრდე.

ეს პატარა ლექსები როდის იწერება? ალბათ ხაიამივით შესვენებებზე წერთ, არა? მინიმალისტური პოეზიას, ბ-ნმა როსტომმა ბრძანა და წიგნებიც მინიმალისტური გამოგივიდათ. უკვე როგორც ფიზიკოსი დავამატებ, ინტეგრალი არის უსასრულო მცირედთა უსასრულოდ დიდი ჯამი. ასე რომ, ამ ლექსების რაოდენობა რომ გაიზრდებოდა, ძალიან დიდი და საინტერესო წიგნიც გამოვა. ამას გისურვებთ“.

როსტომ ჩხეიძე:

„ბ-ნმა თემურმა თავისი სიტყვა ფორმულით დააგვირგვინა და ეგებ პასუხი ახლავებ ბრძანოთ“.

ვაჟა ხორნაული:

„გარეგნული მხარის გამოძახილია, რომ შესვენების დროს უნდა იწერებოდეს ამგვარი ლექსები. არა, ეს არაა ჩემზე დამოკიდებული. ხან რვამარცვლიანი მოვა, ხან – ურითმო, ხანაც ჩვეულებრივი კლასიკური ლექსი. ესენი უფრო ბუნების წიაღში ყოფნისას იწერება. ცოტა რთულია საკუთარ თავზე ლაპარაკი, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, ძალიან მიყვარს სპორტი და ვარჯიში. ყოველ დღით ვარ თბილისის ზღვაზე, ბუნების წიაღში იბადებიან ესენი თავისთავად, მაგრამ ჩემში რა ხდება, როგორი ტკივილი ტრიალებს... ასე რომ რაიმე დავგეგმო, არ გამოდის. შეიძლება სამსტრუქონიანმა ლექსმა უფრო განვალოს, ვიდრე ტაეპებად განყობილმა. პოეტები შემსრულებლები ვართ, უხილავ ძალებს ვემორჩილებით და არ უნდა შევეშალოთ ამას ხელი, გადავიდეს ლამაზად ფურცელზე“.

მაია ჯალიაშვილი:

„ამ სამყაროში სიკეთეც არის, სიყვარულიც. სამწუხაროდ, ბოროტებაცა და სიმახინჯეც. ვაჟა ხორნაული თითქოს ამ სამწუხაროს ვერ ამჩნევს, ან გვერდს უვლის. უნდა მხოლოდ სილამაზე დაინახოს და ახერხებს კიდევ ამას, რომ სამყარო გაიაზროს ჰარმონიაში, ბოროტებისა და სიძულვილის გარეშე. ის ცდილობს ყოველგვარი ემოცია, განცდა, გრძნობა დააკავშიროს ბუნების მოვლენებთან. ღმერთმა შექმნა უთვალავი სამყარო და ამ ლექსებში ძიებაა სწორედ ამ უთვალავისა. ყოველ ლექსში ფერები გაბნეული და კითხვისას ასოციაციებს იწვევს. გამოძახილს პოულობს გულში და აღვიძებს ყველა იმ შთამბეჭდავებს, რომელიც მიიღება ცხოვრებიდან თუ წიგნიდან. ეს ყველაფერი კი განგანყოფს სიკეთისათვის და სიყვარულისათვის.“

ვაჟა ხორნაულის ლექსებში ღმერთის არსებობა გამჟღავნებულია.

ქრონიკა

6 ივლისს „კავკასიურ სახლში“ გაიმართა განხილვა ნაირა გელაშვილის პოეტური კრებულისა „დრო, პური და ღვინო“, რომელშიც ლექსებთან ერთად თავმოყრილია პოემებიც და სიმღერებიც, ბოლოთქმად კი დაერთვის ოთარ ჩხეიძის, გურამ ლებანიძის, შოთა იათაშვილისა და გიორგი ლობჯანიძის სტატიები, აგრეთვე ლონდა ხასაიას მცირე ჩანაწერი.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა პოეტმა გიორგი ბუნდოვანმა, ვინც მოგვიანებით სიურპრიზი შესთავაზა მწერალსაც და აუდიტორიასაც იმით, რომ ნაიკითხა კრებულში შერჩეული რამდენიმე ლექსის რუსული თარგმანი. თარგმანებმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელზე და ძალდაუტანებლად გაჩნდა სურვილი, კვლავაც გაგრძელდეს ნაირა გელაშვილის პოეზიის რუსულად ამეტიყველება.

იმ საღამოს მწერალს უამრავი ლექსი წააკითხეს, თუმც თავიდან ასე არ ყოფილა განზრახული და მხოლოდ რამდენიმე პოეტური ნიმუში უნდა ეკმარა. მაგრამ თვითონაც და საღამოს ორგანიზატორებიც იძულებულნი გახდნენ ანგარიში გაენიათ საზოგადოების მოთხოვნისათვის - ეხილათ ერთი მსახიობის თეატრის სახელდახელო, ოლონდ მშვენიერი და შთამბეჭდავი დადგმა. თუ ვინმე კითხულობს ჩვენს დროში ჩინებულად საკუთარ პოეტურსა თუ ბელეტრისტულ ქმნილებებს, მათ შორის უდავოდ ნაირა გელაშვილიც.

მთავარმა მომხსენებელმა, პროზაიკოსმა და კრიტიკოსმა გაია ბენიძემ (მარსიანის ფსევდონიმით ცნობილმა) კარგად აულო ალლო აუდიტორიის განწყობილებას და, თუმც ვეებერთელა ლიტერატურული ნარკვევი ჰქონდა მოტანილი, მხოლოდ ერთი ფრაგმენტი ნაიკითხა, თავისთავად დასრულებული, მკაფიოდ რომ აგრძნობინა მსმენელს, როდესაც გამოქვეყნდება, არაორდინარული კრიტიკულ-ესთეტიკური ნაშრომის წაკითხვა მოგვინევსო.

წარმოითქვა კიდევ ორი მოკლე სიტყვა: კრიტიკოს ლევან ბრეგაძისა და პოეტისა და მთარგმნელის გიორგი ლობჯანიძის.

ნაირა გელაშვილმა ერთ ლიტერატურულ ნარკვევში ფრიდრიჰ შოლდერლინისა და ილია ჭავჭავაძის შედარებითი დახასიათებისას ილიას პოეზიის არსებით ნიშნად რელიგიურობისა და მოქალაქეობრიობის უღრმესი სინთეზი დაასახელა.

სწორედ ეს ესთეტიკური და იდეური მრწამსი მსჭვალავს თვითონ მის ბელეტრისტკასაც, ესეისტკასაც, პუბლიცისტკასაც და პოეზიასაც; და მისი ლექსის „დარბაისლური სიმძიმის“ სათავეც ამიტომაც საძიებელი ილია ჭავჭავაძის პოეტიკაში.

ამითვე აიხსნება კრებულის ფანრობრივი განსაზღვრა, როგორც „დღიურის ნაწილი“.

ანა ბერძენიშვილი

ჩიტი ბრძღვნად ღირდა

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა, წარმატებული „ქაქუცა ჩოლოყაშვილის“ შემდეგ, ახალ პრემიერაზე მიიწვია მაყურებელი. რეჟისორმა **ნინო ახვლედიანმა** „ჩიტი“ **ნაომი უოლესის** პიესის მიხედვით დადგა (რომანის ავტორია **უილიამ უორტონი**).

პრემიერა შედგა. მარჯანიშვილის თეატრის რეპერტუარს კი კიდევ ერთი საინტერესო სპექტაკლი შეემატა.

ინფორმაცია ცნობისათვის:

სპექტაკლის მხატვარია **ანა კალატოზიშვილი**;

ქორეოგრაფი – **გია მარღანი**;

მუსიკალური გაფორმება – **რეჟისორისვე, ნინო ახვლედიანის**;

რეჟისორის თანაშემწე – **ნათელა შალიკაშვილი**.

მონაწილეობენ: **ბექა გოდერძიშვილი, როლანდ ოქროპირიძე, გია გოგიშვილი, ონისე ონიანი, ნიკა კუჭავა, დავით დვალისვილი, ზურაბ ბერიკაშვილი**.

ისინი მეგობრები არიან.

ბავშვობის ბილიკებს ერთად მიიკვლევენ.

ერთს ჩიტები უყვარს და სჯერა, რომ ერთ დღეს თვითონაც აუცილებლად გაფრინდება.

მეორეს, მისგან განსხვავებით, სულაც არ ანუხებს ის, რომ მიწაზე დადის.

მას გოგონები უყვარს, მის მეგობარს კი ამქვეყნიური სიამებებისა არაფერი ესმის, ადამიანური ყოფისგან გაქცევას ცდილობს და ცხოვრების ფსკერზე აფრთხილებს ფრთებს ასაფრენად.

არა, სულელი არ გეგონოთ, უბრალოდ ჩიტად ყოფნა სურს.

იქნებ ბოროტებას და აგრესიას გაურბის.

იქნებ ჰგონია, რომ ჩიტს ადამიანისგან განსხვავებით მეტი ღირსება აქვს, ან იქ, თავისუფალ სივრცეებში ეგულდება სიყვარულიც, სიკეთეც, ბედნიერებაც – არსი ცხოვრებისა...

არა, გიჟი არ გეგონოთ!

ბოლოსდაბოლოს ან სიგიჟე რა არის მაშინ, როცა სამყაროში არსებობს ომი!.. სისასტიკე!..

ტრიალებს დედამიწა... ტრიალებს... ადამიანები მიწის ვენების მახეში გაბმულან.

მას კი ამ ცხოვრებიდან, ამ რეალობიდან გასვლა სურს, თავისუფლებაში გასვლა სულის გადასარჩენად.

ის ჩიტია და ამ მახედან დაღწევას ცდილობს.

მან იცის რას აკეთებს.

მას სწამს, რომ ეს შეუძლია.

თქვენ რა შეგიძლიათ?

თქვენ რისი გწამთ?

როგორ აპირებთ საკუთარი სულის გადარჩენას?..

ეს ურთულესი რამაა, მაგრამ...

ჩიტი ბრძღვნად ღირს!

ლევან წულაძე:

ძალზე საინტერესო სპექტაკლი იყო. კარგად მუშაობენ მსახიობები. პიესა მომეწონა ძალიან. ვფიქრობ, გამართლებული და წარმატებული არჩევანი აღმოჩნდა რეჟისორისთვის. თუმცა, იცით, არის პიესები, რომელსაც გამართლება არ სჭირდება, თავისთავად კარგია, რადგან მარადიულ სათქმელს ეხმიანება. ბევრნაირ ასოციაციას იწვევს სპექტაკლი, გაფიქრებს

წარსულზე, დაკარგულ ახალგაზრდობაზე... დაკარგულ თაობაზე. მარტო მეგობრობის მნიშვნელობა რა სიმალეზეა ნამოწეული, როგორი ურთიერთობებია მათ შორის, როგორ ეჭიდებიან ერთმანეთს, რომ გადარჩნენ ამ სასტიკ სამყაროში. ისინი თითქოს სხვა სამყაროში ცხოვრობენ, მათ გარშემო კი ძალზე მძიმე და სასტიკი გარემო ბრუნავს...

გოჩა კაპანაძე:

შესანიშნავად დადგმული სპექტაკლია. საერთოდ, როცა არსებობს პიესის ძალზე წარმატებული კინოვერსია, რთულია მუშაობა. თუმცა ნახეთ, რომ რეჟისორმაც და მსახიობებმაც კარგად გააჩვენეს თავი ყველაფერს. ახალგაზრდები ღირსეულად იდგნენ გამოცდილი მსახიობების გვერდით. ვფიქრობ ეს სპექტაკლი მარჯანიშვილის თეატრის წარმატებულ პრემიერათა რიგში ჩაენერება. ქალბატონი ნინო ახვლედიანის სახით კი კიდევ ერთი საინტერესო რეჟისორი შეემატა ქართულ თეატრს.

სოფიკო ჭიაურელი:

მომეწონა ძალიან. იცით უწინარესად რატომ? ასეთ სულიერ ღირებულებებზე რომ ვსაუბრობთ. დავიღალეთ ამდენი თავსდამტყდარი უბედურებისაგან. კიდევ მსახიობები მომეწონენ, ახალგაზრდები. იცით, ჩემი თაობის მარჯანიშვილის თეატრში ვარსკვლავთცვენა იყო, მერე



რეჟისორი ნინო ახვლედიანი და მსახიობი ონისე ონიანი

ერთხანს გარკვეული ჩავარდნა გაჩნდა, ახლა კი ამ ახალ-გაზრდებს რომ ვუყურებ, ვფიქრობ, რომ თეატრში ახალი ვარსკვლავთცვენა იწყება.

ვალერი კოშია:

ეს იყო რეჟისორის და ჩემი კოლეგების ძალიან დიდი გამარჯვება. საოცარი სპექტაკლია, დატვირთული ვარ ემოციებით. ბიჭებს რალაც-რალაცების ემინოდან, მაგრამ მაყურებელმა ყველაფერი ისე მიიღო, როგორც საჭირო იყო. პირადად მე ჩემი ოცნებები, ჩემი ბავშვობა გამახსენა. ეს საჭიროა. აუცილებელიც კია ფიქრი იმაზე, საიდან მოვდივართ. პრემიერის ასეთი წარმატება მარტო მათი კი არაა, ჩვენი თაობის გამარჯვებაც არის – გვიხარია, რომ თეატრში ასეთი კარგი და ნიჭიერი ახალგაზრდები მოვიდნენ.

გასაუბრება სპექტაკლის რეჟისორთან:

– ქალბატონო ნინო, როცა რეჟისორი პიესას ირჩევს, მას აუცილებლად აქვს თავისი სათქმელი. არც თქვენ შეაჩერებდით არჩევანს „ჩიტზე“ შემთხვევით...

– ეს არის არაჩვეულებრივად დაწერილი პიესა ძალიან ადამიანურ ურთიერთობებზე, მეგობრობაზე, ომის საშინელებაზე, ცხოვრების სისასტიკეზე და იმაზეც, როგორ უნდა იცხოვრო და ეცადო, რომ ამ გარემოში გადარჩე.

– პიესის მთავარი გმირი გაურბის ყოფიერებას, აგრესიას, ბოროტებას, სისასტიკეს... და ვიფიქრე, რომ ამ სპექტაკლით თქვენც თანამედროვე ყოფასთან დაპირისპირება გინდოდათ...

– არა, მთლიანად ყოფასთან არაა, რადგან მასში ბევრი რამ კარგიც არის. ეს უფრო სისასტიკესა და აგრესიასთან გაბრძოლებაა. ფრთების სიმბოლოს შემოტანა თავისუფლებაში გასვლა იქიდან, საიდანაც გამოსავალი არ არსებობს. ჩიტად ყოფნის სურვილმა, ფრთებშესხმამ გააძლევინა პიესის გმირს და დატოვა ადამიანად. ბოლოს ხომ სულიერ კათარზისამდე ერთად მიდიან მეგობრები, ერთმანეთისთვის განვდილი ხელით... და ეს ხელისგანვადობა, თანადგომა ასე აუცილებელი და მნიშვნელოვანია დღეს ყველა ადამიანურ გრძნობას შორის.

– თავის დროზე ეკრანებზე გამოჩნდა ალან პარკერის ძალზე განმაურებული ფილმი, გადაღებული ამ ნაწარმოების მიხედვით. როცა არსებობს ასეთი წარმატებული კინოვერსია, რეჟისორისთვის დრამატურგიული ცდა ცოტა რისკიანი ხომ არ არის? მინდოდა მეკითხა: ამ თვალსაზრისით რთული ხომ არ იყო თქვენთვის პიესაზე მუშაობა?

– ალან პარკერმა ფილმი უილიამ უორტონის რომანის მიხედვით გადაიღო. პიესისგან განსხვავებით ფილმში

უფრო მეტი პერსონაჟია. ამბავი ერთი და იგივეა, მაგრამ ერთსა და იმავე ამბავს ჩვენ ხომ ბევრჯერ ვყვებით, ვთქვით იმიტომ, რომ ის ამნუთიერ სიტუაციას, სათქმელს ეხმიანება. შესაძლოა კადნიერად გამომდის, მაგრამ ხომ არსებობს ბევრი წარმატებული „ჰამლეტი“, ამის გამო ეს პიესა აღარ დავდგათ? ყველაფერი სათქმელის აქტუალობაზე დამოკიდებული.

სხვათა შორის, ალან პარკერმა ფილმი 1983 წელს გადაიღო, ეს ბიჭები კი, სპექტაკლში რომ თამაშობენ, სწორედ 83-ში დაიბადნენ. ანუ იმ მარადიულ ღირებულებებზე, ადამიანურ გრძნობებსა და ურთიერთობებზე ახალი თაობა საუბრობს...

– პრემიერის წინ ყველაზე მეტად რისი გეშინოდათ?

– იცით, შესაძლოა არც უნდა ვამბობდე ამას, მაგრამ... მაინც ვაგიმხელთ: მე კინორეჟისორი ვარ და თეატრში მეორედ მიწვევს მუშაობა. აქ ყველაფერი განსხვავებულად კეთდება, სხვა სპეციფიკაა. ჩვენც სხვანაირად ვმუშაობდით, ცოტა კინოსავით ავანყვეთ... და ამის მეშინოდა, როგორ აღიქმებოდა ეს ყველაფერი მაყურებლის სკამიდან. ამ თეატრში მუშაობენ ადამიანები, რომელთა გარემოცვაშიც დიდ თანადგომას ვგრძნობ. ხანდახან, როცა მეგონა, რომ რალაც ისე კარგად არ გამომდიოდა, მაშინვე მამხნევებდნენ და ნერვიულობის დაწყებასაც ვერ ვასწრებდი. ეს ყველაფერი ძალიან დამეხმარა...

– იცით, როცა სპექტაკლს ვუყურებდი, ბევრნაირი ასოციაცია გამიჩნდა. გამახსენდა ერლომ ახვლედიანის „ნიკო და ვანო“... გამახსენდა სენტ-ვეზიუპერი... ის, რომ ორ პარალელურ სივრცეში მიმდინარეობს მოქმედება – დღევანდელობას წარსული კარნახობს, მომავალს ბავშვობა ალაპარაკებს – ძალზე მომგებიანი აღმოჩნდა შინაარსობრივადც და ფორმითაც...

– კინოს პრინციპით მუშაობა რომ ვახსენე, სწორედ ამ ფორმას ვგულისხმობდი. ფილმში ეს იოლია, აქ კი ძალზე რთული აღმოჩნდა. არ ვიცოდით, როგორ გაამართლებდა კინემატოგრაფიული საშუალება სცენაზე, თუმცა თუკი ამ ყველაფერმა ასეთი ასოციაციები გაგიჩინათ, თუკი დაგაფიქრათ იმაზე, რომ ჩვენ ბავშვობიდან მოვდივართ და მერე მთელი ცხოვრება იმ ხანას ვეხმიანებით, ვფიქრობ, მიზანი მიღწეულია.

– და ბოლოს: ახლა, როცა წინასაპრემიერო ვნებათაღელვა მეტ-ნაკლებად დამცხრალია, როგორ ფიქრობთ, თქვენთვის, რეჟისორისთვის ჩიტი ბრდღვნად ღირდა?

– ღირდა!.. აუცილებლად ღირდა!..



ნიკა კუჭავა (ჩიტი) და როლანდ ოქროპირიძე (ელი)

ნინო ვახანია

კოკლეზიანი ჭიქის საიდუმლო

ნინო თარხნიშვილის ნიგნში სიყვარული, სიცოცხლე ფეთქავს. ურთიერთობა ადამიანებს შორის სუფთა, გამჭვირვალე, წმინდაა. როცა კაცი გულში გულს ცვლის და სულში სულს დებს, მისთვის მეუღლე „მისის კაცობრიობაა“. კაცობრიობას მართლაც არაფერი აქვს გაჩენის დღიდან დღემდე უფრო ლამაზი, უფრო მშვენიერი, უფრო ამაღლებული და ფაქიზი ვიდრე სიყვარულია.

ალბათ, რამდენ ქალს უნატრია ხალხის ნიალიდან გამოსული მელექსესავით „ნეტავ მქნა ვერცხლის სათითე... ან მოვის პერანგო“, მაგრამ თავისი განსაკუთრებული, ორიგინალური ხერხი აქვს გამოსათქმელად ნინო თარხნიშვილს.

„მე ის ნათურა ვარ, ნუხელ რომ ანთე...“

მე ის ვაშლი ვარ, ახლა რომ ჩაკბიჩე...“

მე ის კოკლეზიანი ჭიქა ვარ, რომლითაც ყოველ დილა-სალამოს ჩაის სვამ...“

„შენ ის წვიმა ხარ, ნახევარ საათში რომ წამოვა და დამსველებს...“

როგორ ვერ ვიტან ამ გაფუქვალ ქოლგებს“.

სიყვარულისთვის, საყვარელი ადამიანისთვის ყველას როდი შეუძლია ყველაფრის დათმობა, განირვა, საკუთარის დაკარგვა და იმ მეორეში (სიყვარულში) გაქრობა, ნიველირება. ეს მხოლოდ დიდ, ნათელ, ღვთიურ გრძნობას ძალუძს, ოღონდ ეგვევ გრძნობა გულისხმობს, რომ კაცი მანც უნდა ხედავდეს, თუნდაც შეილის მეშვეობით, უმისოდაც, თვალიდან არასოდეს ეკარგებოდეს.

„- დედა სად არის?“

- აი სუბლი, აი თალი, აი ცვირი, აი ლოკა, აი პილი, აი ნიკაპი...“

...დამინახე? მაშინ ჩამაცვი...“.

წერილების, გრძელი წერილების, ხელით დანერილი წერილების (და არა „აკადნუსურით“ აკრეფილი იმეილების) მიღების და წაკითხვის სურვილიც ხომ სიყვარულის, სიცოცხლის, სიხარულის განცდის სურვილი და მონატრებაა. არც ჯოჯოხეთში, არც სამოთხეში, არამედ სალხინებელში. შუაში ცხოვრობს ამ წიგნის ავტორი. ნეტა ჩვენ სად ვცხოვრობთ ან ვარსებობთ?

გიფიქრიათ, როგორ უყვარდათ ერთმანეთი პირველ ქალსა და კაცს ამქვეყნაზე? რას ეძახდა მოფერებით ევა ადამს. ჰკითხეთ ნინო თარხნიშვილს და ღიმილით, მაგრამ არა ხუმრობით, ხალისით, მაგრამ არა იუმორით გეტყვი:

„- აუ, ად (ასე ეძახდა ევა ადამს მოფერებით)! შენც რა მაგარი შტერი ხარ, რა შუაშია აქ ძვალი, შენ არ მოუკვდი შენი ანატომიის მასნავლებელს... კომბოსტოში მიპოვეს...“

ვის შეუძლია წარმავალის შეჩერება, დროის უკან მობრუნება, პირველი შეხვედრის, პირველი სიყვარულის, სიხარულის თუ ტკივილის ჩარჩოში მოთავსება და სურათით შენახვა? ვის თუ არა მწერალს. ასე მხოლოდ ნამდვილ ხელოვანს შეუძლია: „რა იქნება, ერთ დღეს რომ მოხვიდე და პეპლების საჭერი ბადე მომიტანო? ქუჩაში გავიდოდი და იმ დღეს დავიჭერდი, პირველად რომ შემეხე და რაც კი სხეულზე ბუსუსი მაქვს, ყველა ყალყზე რომ დამიყენე...“

მწერალი ქალი ნაზი სევდით იგონებს გარდაცვლილ ბებია-ბაბუას, მკითხველი გრძნობს, რა მტკიცე, უწყვეტი ჯაჭვითა ვართ ადამიანები დაკავშირებული წარსულთან, ზოგადად რაღაც გაურკვეველ და გაუცნობიერებელ წარსულთან კი არა, ჩვენს ყველაზე საყვარელ კონკრეტულ ადამიანებთან - ბებოსთან, რომელიც ჩემს ქორწილს ვერ მოესწრო, პაპასთან, რომელიც ახლა ერთ ლამაზ მინდორში წევს გაშეშებული და გული სიყვარულით, სევდითა და ჩუმი სიხარულით გვევსება.

მზის შესახებ მსგავსი რამე პირადად მე არსად არ წამიკითხავს: „მზეს ვკითხე, მარტო საღამოობით რატომ ბანაობ-მეთქი. რა ვიცი, დღისით მერიდება, ცოტა მსუქანი ვარ და საცურაო კოსტიუმს ვერ ვიხდენო...“ მზესთან ასეთი შინაურული, უშუალო ურთიერთობა გვხიზლავს და სულს გვითბობს მზესთან, მთვარესთან, ვარსკვლავებთან ურთიერთობას გადაჩვეულებს.

არსად არ ჩანს მკითხველისთვის თავის მონონების სურვილი და ამით გამონვეული კეკლუცობა თუ პრანჭიაობა. ჩვეულებრივი (მხატვრული საშუალებების გარეშე) სიტყვებით მწერალი აღწევს საოცარ ინტიმს, რომელიც თავის თავში იტევს ბავშვობის მონატრებას, სევდას გარდასულის გამო, ოჯახის წევრთა სიყვარულს, სიხარულს და მწუხარებას ერთად, მოკლედ, „გაფრინდა ბავშვობის დღეები“.

აქ კი:

„მამა, მომიხადე ბოდიში, რომ თავის დროზე არ მიყიდე ორთვლიანი ველოსიპედი.“

დე, მომიხადე ბოდიში, რომ ვერ მიხვდი, როგორ ძალიან მინდოდა წითელი ველოსიპედი...“

ბე, მომიხადე ბოდიში...“

მიმართვა ჩემს ძმას: გიო, შენ არ მომიხადო ბოდიში“.

მიდიან წინაპრები, ჩუმად, უხმაუროდ, თან სახლის თითო აგური მიაქვთ, ავეჯიც, სურათები, ხმაური, საყვარელი სუნიც, კარს ღიად ტოვებენ და სწორედ იქიდან მოდის მომავალი, რომელიც წარსულს ჰგავს. მოდიან პატარები და სახლი უცებ ივსება ყველაფრით, რისი დაბრუნებაც შეუძლებელი გვეგონა.

სამყაროსთან შერწყმის, მთლიანობის, ჰარმონიის განცდას ბადებს მინიატურა „შობის ღამე“. „მე იმ ღამეს ღმერთი ვიშვილე. უმანკო სულის, ბედნიერი ადამიანი ამის მთქმელი.“

ცალკე აღნიშვნის ღირსია მწერალი ქალის დამოკიდებულება შვილთან, პატარასთან, სათუთი დამოკიდებულება მარტო ენის მოჩლეკით კი არ არის გადმოცემული, არამედ გამოხატულია ქცევით, განცდით: მაგ. თვითგვემით (მოგატყუე, შეილო), ნუხელი: (ვერსად ვერ გიპოვე ჩირჩილი).

პრიტიკა

და მინც მთავარია სიყვარული. სამყარო რადგან სიყვარულმა შექმნა, სიყვარულისთვის შექმნა და სიყვარულმა უნდა აცოცხლოს. მაშ, არსებობის მიზანიც და შედეგიც სიყვარულია. საყვარელი ადამიანისთვის ნათქვამი: „შენი ვარ“, „შენთვის ვარ“, „შენად მიგულებ“ მრავალნაირად ტრანსფორმირდება და ვიღებთ ულამაზეს განცდას: „გზადაგზა დაგეფანტე“, „რატომ წამაგე“, „თოვლში ჩარჩენილი ნაფეხურების წამოკრეფა რომ დამავინცდა, იმიტომაც მომაგენი“, „ნემსები გადაყარე, თორემ გეტკინებ“. .. „კიდევ ჩემს ლოდინს გჩუქნი, იქნებ ხანდახან შენც დამელოდო ხოლმე“.

ნინო თარხნიშვილი დაკარგული სიტყვების შემგროვებელია, გატეხილი სიტყვების შემწებებელი. სხვისი გატეხილი სიტყვებისა საკუთარი ნაღველით. და გჯერა თუ ადამიანები ერთმანეთის დარდს, ნაღველს, ტკივილს, სიხარულს გაიზიარებენ, საკუთრად მიიჩნევენ, უფრო თბილი და დიდი იქნება სამყარო.

მან არ იცის, რატომ ტირის ღამღამობით, ის ხომ ბოროტია (კვერცხს გულს უხეთქავს და ისე თქვეფს).

უნდა რომ ოდესმე ისეთი სუნი აუვიდეს, როგორიც მოხუცებს ასდით ხოლმე.

უნდა, ათასი წლის მერეც გაიგონოს... „რა ღამაში ხარ“. მე ჩემდა თავად პოეტის სიტყვებით მინდა ვუთხრა: „ათას წელს გაძლებს შენი მშვენება“.

ქალთარაფერა თურმე ქალის არამსგავსს ნიშნავს, უხელთური კი ადამიანს, რომელსაც არაფერი გამოსდის. მარცლა კი არა – ქალთარაფერა გაზაფხულზე აყვავებული ულამაზესი ატმის ხეა. სიყვარულის, სინაზის, სილამაზის ქალღმერთია. სიტყვების ჯადოქარი, რომელიც თავისი დარდით სხვის ნაღველს კურნავს. რომელსაც ჩინებულად გამოსდის კარგი, დასამახსოვრებელი, გულში ჩამწვდომი მინიატურების წერა.

ნინო თარხნიშვილმა ამ უთავფამო ნუთისოფელში ღვთისკენ, სინათლისკენ, სიყვარულისკენ მიგვახედა.

ლექსები პროზად

ნინო თარხნიშვილი

მინიატურები

კაცი

კაცი მინდა ვიყო
და მინდა ერთად ვიბრძოდეთ ომში.
შენი თანამოსანგრე მინდა ვიყო
და მინდა თხრილში ერთად გვეყრებოდეს თავზე ბელტები.

ერთი ღერი სიგარეტი მინდა გვექონდეს და
მინიანი თითებით ხან შენ მბოლღებინებდე და ხან მე.
ერთი იარაღი უნდა გვექონდეს – ერთადერთი ტყვიით
და ამ ტყვიას ყოველი შემთხვევისთვის საგულდაგულოდ ვინახავდეთ.

წერილს მინდა ვღებულობდეთ ერთ ქალისგან
და მერე ამ ქალს ცალ-ცალკე ვწერდეთ უხამს წერილებს.

და საერთოდ, ზიარი საყვარელი მინდა გვეყავდეს:
ერთ ღამეს შენთან ატარებდეს და მეორე ღამეს ჩემთან.

მერე მე შენზე მიყვებოდეს და შენ ჩემზე...
საინტერესო იქნება სხვა ქალისგან მოყოლილი შენი ამბები

და მერე ამ ქალთან ერთად დილაზე, ქანცის განყვეტამდე, ბრძოლა.

ერთ დილასაც ყოველი შემთხვევისათვის შემონახულ ტყვიას ვესვრი.

დაგჭრი, არ მოგკლავ.

კაცურად მინდა მოგიარო.

ზურგზე მოგიკიდო, ჩემს ბეჭებზე ვიგრძნო შენი სხეულის სიმძიმე და სითბო, მაგრამ ვერ გადაგარჩინო.

ბოლოს ძმაცაცურად
მიგაბარო მინას

და ზიარ საყვარელს შენი
უკანასკნელი სიტყვები
გადავცე: უერთგულე ჩემს
მეგობარსო...

ნუ დამესიზმრები ღამ-ღამობით,

ნურც ჩვენს საყვარელთან
ნებივრობისას წამადგები
თავზე აჩრდილად...

რატომ გესროლე ყოველი
შემთხვევისათვის საგულდაგულოდ
შემონახული ტყვია?

რა ვიცი, როგორც ქალს, ისე მიყურებდი...



მინა – მე

მინა ხარო, აღმოუჩენელიო...

ჰოდა, ორი სწორი გზა მოდის ჩემამდე,
ვაშლის კურკებივით ერთნაირი – ორი სწორი გზა(1)...
მარჯვენა გზას გამოჰყვები თუ მარცხენას, მნიშვნელობა არა აქვს – ორივე ჩემთან მოგიყვანს.

საცალფეხო ბილიკს დაადგები, დაახლოებით შუა გზაზე პატარა ბორცვი (2) შემოგხვდება, ისეთი პატარა, რომ მასზე ასასვლელად სულ ოდნავ მოგიწევს მუხლის მოხრა,

გადაივლი ბორცვს და გზა ნელ-ნელა გაფართოვდება, ისე გაფართოვდება, რომ შემხვედრს გვერდს ადვილად აუვლი, მაგრამ წინასწარ იცოდე, ამ გზაზე არავინ შეგხვდება...

მალე ორი გზა ჩაკეტილ ჭიშკართან (3) შეიყრება. ჭიშკრის კარს კი მანამდე ვერ გააღებ, სანამ ორი მთის წვერ-

ზე (4) შავი თუთის მნიფე ნაყოფით (5) არ მოითხვრი ტუჩებს... და ამ კარში მანამადე ვერ შემოხვალ, სანამ მლაშე წვიმა არ გაგლუმპავს...

გვერდი აუარე ჭიშკარს და გზა გააგრძელე – ფართო გზა, ფრთხილად იყავი, სულ მალე პანია ორმო(6) შეგხვდება, ფეხი თუ ჩაგივარდა, დუშმანს, ვერაფრით ამოხვალ...

ნუ შეგაშინებს თეთრ მინაზე შავი პანია ნერტილების დანახვა, ამ მინაზე შავი ყვავილები ხარობენ (7)...

მალე მთებსაც მიადგები... მარცხენა მთის ძირას მოცუცქნული გოგონა შემოგხვდება, მხრებზე შეისვი და მთაზე აიყვანე, თუთას არ შესჭამს, უბრალოდ მიეცაცუნება, მერე გაქრება...შენ ნუ გაგიკვირდება...

ვერსად ნახავ ამისთანა მნიფე თუთას...

თითებით რომ შეეხები, ქვევით ჭიშკრის ჭრიალის ხმას გაიგებ...

გემოს როცა გაუსინჯავ, კარიც მაშინ გაიღება, მაგრამ დაბრუნება არ იჩქარო...

მთები გადაიარე, და გზა განაგრძე...

დაილაღე? თეთრ მინაზე მარწყვის ბაღში (8) წამონექი, ოღონდ ფრთხილად, არ გათელო...

მერე ისევ გზა განაგრძე...

ზევით ცაში დაინახავ ორ შავ ღრუბელს (9)...არ შეშინდე, ეს ღრუბლები მთელს გალაქტიკაზე ორადორი შავი ღრუბელია, რომლებიც არასდროს ქუხან...

მხოლოდ ამ შავი ღრუბლებიდან წვიმს მლაშედ... დასველდი და გამობრუნდი...

უკან წამოსულს ორი ბილიკი შეგხვდება – მარჯვენა და მარცხენა (10)– არც ერთს დაადგე და არც მეორეს – ეს ბილიკები ჩემიდან გადიან...

პირდაპირ იარე, მთები ისევ გადმოიარე, არ გაგიკვირდეს, შენს ჩამოკრეფილ თუთას ისევ აყვავებულს თუ დაინახავ, შებინდებისას ფრთხილად იყავი, ზევიდან მომავალს, ჭიშკრის თავთან პანია ორმოში ფეხი არ ჩაგივარდეს, თორემ დუშმანს – ველარ ამოხვალ...

მინა ხარო, აღმოუჩინელიო...

ჰოდა, მოკვდი, მიდი მოკვდი,

იმ პანია ორმოში ჩადგი ფეხი...

ჩაგიმარხავ ჭიშკრის თავსა და მთების ძირას, სადღაც შუაში, გულზე ვარდისფერი მოგრძო ბაფთით ნათლობის ჯვარს დავიკიდებ – ჯვარს დაგადგამ...

შავლრუბლება გაწვნიმდები მლაშედ...

ფრინველი

გაგონილა ასე დილიდან დალამებამდე ერთ ადგილას გაშეშება და ცას მიშტერება?

არ გაგონილა, სად გაგონილა, მაგრამ შენ რაში გადარდებს გაგონილ-გაუგონრობა...

თვალები დაგელლება ბიჭო, დაახამხამე,

არაო, რომ გამეპაროსო.

ცრემლები მაინც მოიწმინდე-მეთქი,

იქნებ მოწყურებული მოვიდესო.

ლუკმა ჩაიდე მაგ გამომხმარ კუჭში-მეთქი,

არა, იქნებ არ შიპო.

ბიჭო, ქვაზე მაინც ჩამოჯექი, სტუმარს დამჯდარი ხომ არ შეგხვდებიო?

სუნთქვა რალატომ შეგიკრავს-მეთქი,

რა ვიცი, არ დაუბეროსო...

გული რატომ გავიჩერე და ხმაურმა არ შეაშინოსო.

იქნებ დაიძინო...

რას ამბობ, რომ დამეხიზმროს ველარ გავიღვიძებო...

...

გადამფრენებს ჩამოვყვები შენს სახლამდე.

აბა ფრთები მე ვინ მომცა...

შორიდანვე ჩამოგაკვივლებ, ნაკლანჭარ ზურგს შემოგტირებ...

ქალაქს ელდად დავეცემი...

შენ კი ვერ გიპოვი...

...

მაინც დამეყრება გულზე მე უფროთ ფრინველს!

თვალები მაინც დაგეხამხამებინა რომ გაგპარვოდი.

ცრემლები მაინც მოგეწმინდა, წყურვილით რომ დაგმხრჩვალყავი.

სუნთქვა მაინც არ შეგეკრა, ქარს რომ წაველე...

სად გაგონილა ჩემს ლოდინში სიკვდილი ფეხზე...

ან იქნებ ჩაგეძინა?..

აღბათ გეხიზმრები... ნაკლანჭარები მტკივა...

ჩუუუ...

უკუღმართი

გადმომაბრუნე! ახლა მივხვდი, თურმე, უკუღმა დავბადებულვარ.

უკუღმა ჩასახულს, მუცელიც უკუღმა გამომიბურცავს...

უფრო სწორედ კი დედის მუცელი, გამოზრდის ნაცვლად

ხერხემლის მალეებს აპკრობია, ზურგში გასულა...

სული მიჭერს ... პატარა მაქვს... ყელში ამომდის,

თასმებიც არ აქვს, რომ შევიხსნა...

ამოვისუნთქო!

ხან კი ეს სული ისე დიდი მაქვს, რომ ქუჩაში, დღისით, მზისით – ღილებს ვმათხოვრობ,

ზედ ვიკერებ და კისრამდე ვიკრავ – მეშინია, სადმე არ გამძვრეს.

გულის ერთ დარტყმად გადმომვარდა მკერდიდან შვილი და ახლა ჩემი გული ცერა თითს იწოვს დაძინებისას...

ასე ემართებათ გაუკუღმართებულებსო,

გულის ერთ დარტყმას უტოვებენ დედამინასო...

სხეული მხდება – მე უკუღმართად დაბადებულს.

გინახავთ სადმე სულის დამარხვა?

ახლა მივხვდი, დაბადებისას ქვევითკენ უნდა დამეხარა პანია თავი...

შემომაფურთხე ეგ შენი სისხლი,

სული გამეხა, შესანებებლად ერთი წვეთიც კი ეყოფაო,

შემომანერწყვე ეგ შენი სისხლი, სხეული მხდება...

ან არადა, გადმომაბრუნე...

მომეშველე...

გივი გამრეკელი

მსოფლიო ჩემპიონობის პრივატიზაცია?

ეს სათაური ჩვენი მოგონილი არ გეგონოთ. ეს არის აღშფოთებული კაცის შეძახილი, რომელმაც მსოფლიო პირველობაზე მატჩი წააგო, რის შედეგადაც მოჭადრაკე პირველი ადგილიდან, ზოგჯერ აყალ-მაყალით, ზოგჯერ კი საკმაოდ წყნარად, მეორეზე გადაადგილდება ხოლმე და ახალი ბრძოლებისათვის იწყებს მზადებას.

ამ შემთხვევაში კი დამარცხებული, სახელდობრ, ვესელინ ტოპალოვი მეორე ადგილზე კი არ გადასულა, არამედ საერთოდ „გააქრეს“.

გაქრობაა, აბა რაა, რომ როდესაც ახალი მსოფლიო ჩემპიონატისათვის პრეტენდენტების შერჩევა დაიწყო, ბულგარელი იმ 16 მაძიებლის რიცხვშიც კი არ მოახვედრეს (თუმცა იმ მომენტისათვის მსოფლიო რეიტინგში პირველი იყო, დღესაც მეორეა ინდოელ ვიშვანათან ანანდის შემდეგ და კვლავ უსწრებს თავის დამამარცხებელ ვლადიმირ კრამნიკს), და, უბრალოდ, ორი წლით „მოცდა“ უჩრჩიეს.

აი სწორედ ამის შემდეგ დაიწყო ტოპალოვმა ლაპარაკი საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის (ფიდეს) მიერ, რომელსაც რუსეთის მოქალაქე, ყალბუხეთის პრეზიდენტი კირსან ილიუშჩინოვი ხელმძღვანელობს, კრამნიკისათვის ყოველნაირად ხელის შეწყობისა და „მსოფლიო ჩემპიონობის პრივატიზაციის“ შესახებ.

პრივატიზაციაა, აბა რაა, როდესაც ახალი პირობებით ყველაფერი კეთდება, რომ კრამნიკმა მსოფლიო ჩემპიონობა (მაშინ, როდესაც იგი არც ფიშერია და არც კასპაროვი) კარგა ხნით შეინარჩუნოს. უყურეთ, როგორი „დამცავი ჯებირები“ შეუქმნეს!

უკვე ვთქვით, რომ ტოპალოვს იძულებითი, თანაც ორწლიანი „ტაიმ-აუტი“ ააღებინეს. სექტემბრის მეორე ნახევრიდან მექსიკაში მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება მ დიდოსტატის მონაწილეობით ორ წრედ, ზუსტად ისევე, როგორც ორი წლის წინათ სან-ლუიში (არგენტინა) იყო.

თუ გაიმარჯვა კრამნიკმა, ხომ კარგი, მაშინ ხმას ვილა ამოიღებს (ცხადია, გარეთ დარჩენილი ტოპალოვის გარდა). მაგრამ ხომ შეიძლება ვერ გაიმარჯვოს, მითუმეტეს, რომ კრამნიკი წრიულ ტურნირებში პირველი ადგილის მოპოვებისას ყოველთვის დიდ სიძნელეებს აწყდება. ამ მხრივ ძალიან ყოჩაღობენ ხოლმე იგივე ტოპალოვი და ანანდი. ვერ გაიმარჯვებს და დიდად არაფერიც დაუშავდება. რომელ ადგილზედაც უნდა გამოვიდეს, გნებავთ, სულ ბოლოზე, მეორეზე, უკვე 2008 წლისათვის უფლება აქვს მატჩ-რევანშში გამოიწვიოს ის, ვინც ოქტომბერში გაჩემპიონდება.

აქ კი კრამნიკი, რომელიც მატჩების დიდი სპეციალისტია, გავიხსენოთ მისი შედეგები გარი კასპაროვთან, პეტერ ლეკოსთან და იმავე ტოპალოვთან, ფიდეს ვიცე-პრეზიდენტ ზურაბ აზმაიფარაშვილის აზრით (რომელიც მექსიკაში მიემგზავრება, როგორც კომენტატორი), ალბათ,

კვლავ გაიმარჯვებს და გაამართლებს აზრს მსოფლიო ჩემპიონობის პრივატიზაციის (ანუ, რუსული ვარიანტით პრივატიზაციის) შესახებ.

ერთი სიტყვით, კრამნიკს მეტისმეტად დიდი უპირატესობები მიენიჭა, რაც სამართლიანი ნამდვილად არ არის.

ახლა კი ორიოდე სიტყვით, რა გარკვევა იმ 16 პრეტენდენტს შორის, რომლებიც მის-ივნისში ელისტაში ასპარეზობდნენ. მეტოქეები ერთმანეთს 6-6 პარტიას ეთამაშებოდნენ. დიდ ინტერესს იწვევდა 32 წლის ვატა კამსკის (აშშ) გამოსვლა, რომელმაც 10 წლის წინათ მსოფლიო პირველობაზე მატჩი ითამაშა, შემდეგ კი 10 წლით შეისვენა. კამსკის ბევრი გულშემატკივარი ჰყავს მათ შორის ფიდეს პრეზიდენტი ილიუშჩინოვიც, რომელმაც ელისტაში ჩამოსვლისთანავე აქლემი (!) აჩუქა.

კამსკიმ პირველ წრეში (ვუნოდოთ მას მერვედფინალი) დაამარცხა ბაკრო (საფრანგეთი), შიროვმა (რიგელმა ესპანური პასპორტით) – ადამსი (ინგლისი), ლეკომ (უნგრეთი) – გურევიჩი (ყოფილმა ხარკოველმა ჯერ ბელგიაში გადაინაცვლა, ახლა კი თურქეთის სახელით გამოდის), რუბლევსკიმ (რუსეთი) – პონომაროვი (უკრაინა), არონიანმა (სომხეთი) – 16 წლის კარლსენი (ნორვეგია), გრიშჩუკმა მალახოვი (ორივე რუსეთი), გელფანდმა (ისრაელი) – კასიმჟანოვი (უზბეკეთი), თემურ ლენგის ორდენის კავალერი, ხოლო ბარეევმა (რუსეთი) – იუდით პოლგარი (უნგრეთი), რომელიც მესამე შვილს ელის.

უფრო საინტერესო იყო მომდევნო წრე, სადაც ლეკომ მოუგო ბარეევს, კამსკის აქლემმაც ვერ უშველა და დამარცხდა გელფანდთან, არონიანმა მოუგო შიროვს, ხოლო გრიშჩუკმა – რუბლევსკის.

ერთი სიტყვით, გამოირკვა მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის ყველა მონაწილე. კრამნიკსა და წინა მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორებს ანანდს, სვიდლერსა (რუსეთი) და მოროზევიჩს (რუსეთი) დაემატებთან ლეკო, გელფანდი, არონიანი და გრიშჩუკი.

ხშირად გვეკითხებიან, სად არის და რას აკეთებს ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი, მას შემდეგ, რაც 2005 წლის აპრილში, როგორც ჩანს, სამუდამოდ გამოეთხოვა ჭადრაკს.

სად არის და საბოლოოდ გადაერთო თუ გადავარდა პოლიტიკაში, სათავეში ჩაუდგა პარტიას „სხვა რუსეთი“, რომელიც გაბატონებული პარტიის „ერთიანი რუსეთი“ ერთ-ერთი ოპონენტი. კასპაროვი მთელი ქვეყნის მასშტაბით მართავს აქციებს, რომელთაც „უკმაყოფილოთა მარში“ ჰქვია. და აი, ამასწინათ, როდესაც იგი ასეთ მარშზე სამარაში უნდა გამგზავრებულიყო, აეროპორტში დააკავეს იმ მოტივით, რომ „მისი ავიაბილეთი ყალბია“. კი მაგრამ „ყალბი ბილეთი“ სალაროში როგორ გაიყიდა?

უკბილო ხუმრობა და ასეთი?!

დაიბადა 1927 წელს საბერძნეთის ქალაქ თესლონიკში. თესლონიკის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ კერძო გიმნაზიებში დაიწყო მუშაობა. იმოგზაურა მთელს საბერძნეთში. 1962 წელს დაუბრუნდა საგანმანათლებლო საქმიანობას. თანამშრომლობდა თესლონიკის სხვადასხვა ლიტერატურულ ჟურნალსა და გაზეთთან. მწერალმა შეაგროვა და ანთოლოგიის სახით გამოაქვეყნა ბერძნული ხალხური სიმღერები და ზღაპრები, გამოსცა აგრეთვე გამოკვლევა ბერძნული ჩრდილების თეატრის შესახებ სამ ტომად. არის ე.წ. „თესლონიკის სკოლის“ უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი. სამწერლო ასპარეზზე პირველად 1954 წელს გამოჩნდა ლექსების კრებულით. ძირითადად წერს მოთხრობებს.

იორლოს იოანნუ

ქემალის სახლი

აღარ გამოჩენილა ის შაოსანი ქალი, ბჟოლის მწიფობისას ყოველ წელიწადს რომ მოდიოდა ჩვენს ზღურბლთან და თავაზიანად გვთხოვდა, ცოტა ეზოს ჭის წყალი დაგველევინებინა მისთვის. ძალიან დაღლილი ჩანდა, თუმცა დიდგვაროვანი სილამაზის კვალს მაინც ინარჩუნებდა. მარტო ისიც, თუ როგორ ეჭირა ჭიქა, საკმარისი იყო, რათა კაცს შთაბეჭდილება შეჰქმნოდა, რომ ეს ქალი უდავოდ დიდგვაროვანი იყო. დაგვიბრუნებდა ჭიქას და არასდროს დაავიწყდებოდა, დადგენილი ლოცვა-კურთხევა ეთქვა ჩვენთვის თურქულად, რომლის სიტყვებიც შესაძლოა ზუსტად არ გვესმოდა, მაგრამ მის აზრს მშვენივრად ვხვდებოდით: „ღმერთმა დიდი წყალობა მოგაგოთ!“ რა დიდ წყალობას გულისხმობდა? წარმოდგენა არ გაგვაჩნდა.

მშვიდად იჯდა ეზოს ზღურბლზე დიდი ხნით და იმის ნაცვლად, ქუჩისათვის ან თუნდ მებოზლად მდგარი ქემალის სახლისათვის ეცქირა, შემობრუნდებოდა და ჩვენი სახლისაკენ აპარებდა ქურდულ მზერას, თან ბუტბუტებდა. ხანდახან თვალებს დახუჭავდა და შორეული გაუხდებოდა სახე, როდესაც უცნაურ სახელებს მარცვლავდა. ჩვენ არასგზით არ დაგვაინწყდებოდა მისთვის ბჟოლა მიგვეცა, ჩვეულებრივ ხომ მთელ სამეზობლოსა თუ ნებისმიერ გამვლელსაც ვაძლევდით, ვინც კი გვთხოვდა. უცხოელი წყნარად, მაგრამ ცხოველი კმაყოფილებით ჭამდა. უცნაური არ გვეჩვენებოდა, რომ ასე ძალიან მოსწონდა ჩვენი ბჟოლა. ჩვენი ხე ჩვეულებრივი ბჟოლებისნაირი როდი იყო, უგემურ წყლიან ნაყოფს რომ ისხამენ. ჩვენსას დიდრონი, ალუბალივით მხე და ფერად მუქი წითელი ნაყოფი ჰქონდა. ბებერი, უშველებელი ხე იყო, მისი ტოტები ჩვენს ორსართულიან სახლსა სცდებოდა. მხოლოდ ერთი ნაკლი ჰქონდა: ხეში ფოთლები ესხა და ჩემი აბრეშუმის ჭიები ამ ფოთლებს ვერ ჭამდნენ. ყოველ შემთხვევაში, მთელ ისლახანეში და უფრო შორსაც განთქმული ხე იყო.

პირველად როცა ჩამოვდა უცნობი ქალი ჩვენს ზღურბლზე, მისთვის ბჟოლის შეთავაზება არც გვიფიქრია, მაგრამ ცოტა ხანში თვითონ გვთხოვა, გვითხრა, რომ ძალიან სურდა ამ ბჟოლის თესლი საკუთარ ბაღში დაერგო. ნაწილი შეჭამა, დანარჩენი კი ქალაღში გაახვია და გახარებული წავიდა.

მეორედ, ოცდათვრამეტი წელი იქნებოდა, ყოველ შემთხვევაში, პირველი გამოჩენიდან ორი წლის შემდეგ, ბჟო-

ლა ქალაღში აღარ გაუხვევია. ჩამოვდა და სათითაოდ შეექცა ზღურბლზე. ჩანს, წინათ მიცემულ თესლს გაეხარა, მაგრამ მსხმოიარობამდე, რასაკვირველია, წლებს უნდა გაეელო. ბჟოლა, ისევე, როგორც ყველა ხე, რომელიც წელა იზრდება, მრავალ წელს ცოცხლობს და ნაყოფის მოსხმას აგვიანებს.

ქალი მომდევნო წელსაც გამოჩნდა, ომამდე ცოტა ხნით ადრე. თუმცა ამჯერად ონკანის წყალი შეეთავაზეთ. წყლის დაღვებაზე უარი თქვა. პირთან მიიტანა თუ არა, თვალეში შემოგვხედა და სახე ჭიქა უკანვე დაგვიბრუნა. ძალიან შეშფოთებული გვეჩვენა და გვსურდა, ყველაფერი აგვეხსნა მისთვის. ჩვენს საძაგელ სახლის პატრონს სანაგვე ორმო ღრმა ჭაზე გაეტარებინა. ახლა, როცა წყალი სამზარეულოში შემოგიყვანეთ, ჭა აღარ გჭირდებათო, გვითხრა. ქალს ცრემლი მოერიო, თუმცა სიტყვაც არ უთქვამს, ასე რამ დაალონა. სანუგეშებლად მეტი ბჟოლა მივეცი, ბებიჩემმა კი რაღაც უთხრა, რამაც იგი ადგილიდან წამოახტუნა, ბჟოლას ქილაში ჩაგიდებდი, მაგრამ შორ გზაზე გაფუჭდებო. მართლაცდა რაღაცის ეჭვი გაგვიჩნდა. სხვა დროს დავინახეთ, უმაღლე როგორ გაგვიცილდა და ქემალის სახლს მიუახლოვდა, სადაც ტროტუარზე შეგროვილ თურქ მომლოცველთა ჯგუფი უცდიდა. მანამდე გვეგონა, რომ თურქეთიდან გადმოსახლებული ჩვენებური იყო, ერთ-ერთი იმ მრავალთაგან, ბერძნულად სიტყვაც რომ არ იცოდნენ, რადგან მოსახლეობის გაცვლა მოხდა სარწმუნოებისა და არა ენის საფუძველზე. თავდაპირველად შეგვაშფოთა ამ აღმოჩენამ. ის არ გვეყოფოდა, გვერდით ქემალის სახლი რომ გვედგა, როგორც უბედურების მუდმივი გამხსენებელი, ახლა თურქებიც ისევე უნდა გამოგვედებოდნენ ფეხებში? სახელდობრ რა სურდა ამ ქალს ჩვენგან? ამ კითხვაზე პასუხი არ გაგვიცია, თუმცა ღრმად დაეჭვებულებმა გადავხედეთ ერთმანეთს. ჩვენმა შემდგომმა სიტყვებმაც ცხადყო, რომ გული როგორღაც გაგვთბობდა თანაგრძობისა და იმედისაგან. იქ, მცირე აზიაში ჩვენცა გვექონდა სახლ-კარი და ზვრები მიტოვებული.

ომიდან ცოტა ხანში თურქი კვლავ გამოჩნდა. ჩვენ უკვე სხვა სახლში ვცხოვრობდით, ოღნავ ზემოთ, მაგრამ ერთ დღესაც დავინახეთ, რომ ჩვენი ძველი სახლის ზღურბლზე იჯდა დაქანცული. პირველი, ვინც დაინახა, შინ შემოვიდა და, თურქიო, დაიძახა. სარკმლებს მივანყდით და აღვუვებით ვუცქერდით. კიდეც ცოტაც და ზე-



მოდ, შინ შემოვიპატივებდით – იმდენად მოელო ჩვენთვის გული მის მძაფრ მონატრებას. ის კი გაუნძრევლად უცქერდა დაცარიელებულ ეზოსა და უკაცურ სახლს. იტალიურ ყუმბარას ალევავა ბჟოლა და კეთილნაგები ხის სახლიც დაენგრია, თუმც ბოლომდე ჩამოქცეული არ იყო.

მას შემდეგ აღარ გვინახავს. არ ვიცით, მოვიდა თუ არა. რომც მოსულიყო, შესასვენებლად ქათქათა მარმარილოს ზღურბლს ველარ იპოვინდა. სახლი, კარგა ხანი იყო, მენარდეთა ბანდას გადასცემოდა და მის ადგილას უსაშინლესი მრავალსართულიანი საცხოვრებელი ადემართათ. ახლა მის დანგრევას აპირებენ უდარდელნი. ვინ იცის, კვლავ რა დიდებული გეგმა მოაფიქრდა მათს გაქნილ კონებას?!

თუ ეს მოხდება, დღე და ღამე დავუდარაჯებ, განსაკუთრებით მაშინ, როცა თხრა საძირკველს მიაღწევს და ეგებ შევძლო ხელი შევეშალო ან თუნდ შევაცოვნო ახალი

სიმახინჯის აგება. ამას წინათ იქ, სიღრმეში, საკვირველი მოზაიკა აღმოჩნდა, რომელიც ჩვენი კარ-მიდამოდან იწყებოდა და ქემალის სახლის მიმართულებით გრძელდებოდა. ეს მოზაიკა გაქნილმა მუშებმა საჩქაროდ დაფარეს, რათა შესაბამის პირებს არ შეეჩერებინათ ისინი. თუმც იმ წუთებში, როცა მოზაიკას მზის სინათლე ეცემოდა, განცვიფრებულ სამეზობლოს სხვადასხვა შეფასებები აღმოსხდა. ყველა სილამაზესა და ძველ დიდებაზე უბნობდა, მათს ხმამაღალ ლაპარაკში კი მაინც გავარჩიე ერთი დედაბრის ჩიფჩიფი: “ამ სახლში ერთი ბეგი ცხოვრობდა, ერთი ცქრიალა, ანკარა წყაროსავით გოგო ჰყავდა. ქვემოთ ტრიალებდა, როცა მიდიოდნენ, ზღურბლსა ჰკოცნიდა. მაგგვარი ტკივილი აღარასდროს მინახავს.”

ახალბერძნულიდან თარგმნა ნიკა შაფუზია

დაიბადა ურფაში 1933 წელს და ბავშვობა კასტამონიაში, გაზინთეფესა და ანატოლიაში გაატარა. პირველდაწყებითი განათლების შემდეგ მერსინში, ხელოვნების ინსტიტუტში ჩააბარა და სწავლა სტამბოლში, 1951 წელს გაასრულა. 1955 წელს სტამბოლის ბექტდვით სკოლაში ასოთამწყობის პროფესიას დაუფულა. 1962-1966 წლებში გერმანიაში, სხვადასხვა ფაბრიკა-ქარხანაში, მუშაობდა.

მართალია, რამდენიმე რომანის ავტორია, მაგრამ სახელი ძირითადად ნოველებით მოიხვეჭა. ქურთი ხალხის ტრადიციების ღრმა ცოდნით, ფსიქოლოგიზმით, ორიგინალური თემატიკით, ლაკონური სტილითა და ხედვის თავისებურებით მწერალმა მეოცე საუკუნის თურქულ ლიტერატურაში განუმეორებელი ადგილი დაიმკვიდრა. 1971 წელს საით ფაიქის პრემიით დაჯილდოვდა.

გარდაიცვალა 1998 წელს გერმანიაში.

ბექირ ილდიზი

ალაჩოყის* კანონი

სოფელ შიამში უკვე ინათა.

მზე დღესაც გაცეცხლებული ჩანდა. ციებიანი ბავშვით შეეგება მას ტრამალი: ჯერ გააჟრჟოლა, მერე კი მთელ სხეულზე აღმური მოედო.

ფენქელი სულთანი თვალვებახუჭული ინვა ჯერ კიდევ მერე მამლების ყვილი ჩაესმა და მძიმე-მძიმედ გაახილა თვალი.

ერთ პატარა კარავში ცხოვრობდა ვაჟიშვილ ზაროსთან ერთად. ზაროს ძილისთვის ჯერაც ვერ გაერთმია თავი, ისევ ეძინა.

– ადექი, შვილო! – გასძახა დედამ, – კვერი გელოდება! მამლების ყვილი თითქმის მიწყდა. ფენქელი სულთანი წამოდგა, კარი გააღო და ეზოს მოავლო თვალი. მზის სხივებს ალაგ-ალაგ აეჭრებოდა სოფლის მოედანი. ქალს გულში რალაც შიში ჩაუდგა. უკან გამობრუნდა, კარის ჩარჩოს ემთხვია და მძინარე შვილს თავზე დაადგა:

– ადექი, ჩემო ობოლო ბიჭო, – ჩასძახა სანყალობელი ხმით.

ზარომ ჯერ ფეხი აითრია, მერე კი წამოხტა და ხმამაღლად წამოიძახა:

– ვაჰმე! მზის სხივები ოთახშიც კი შემოჭრილან! სასწრაფოდ ტანთ ჩაიცვა და კარისკენ გაემართა. მერე შეჩერდა და დედას ჰკითხა:

– დედი, საგზალი გამომზადე?

ფენქელი სულთანი იატაკზე დაჩოქილიყო და შვილს საგზალს უმზადებდა. ზარო ნორჩი ტანის მოხდენილი მოძრაობით დედას მიუახლოვდა და გამომძინებული კრიალა თვალვებით დააკვირდა: ვარცლთან ჩაცუცქეული ორად მოხრილი დედა დაჩივებული ეჩვენა. გული ეტკინა: დედის სხეული მიწასთან ჭიდის უდროოდ გაეცვიტა.

– ცუდი ყოფილა სიბერე, შვილო, რას დამამსგავსა ამ ნათელჩასაქრობმა ბედმა, თორემ ისეთი ქალი ვიყავი, რომ...

ზარომ ფუთაში გამოკრული საგზალი აიღო და ოთახიდან გასვლამდე დედას ხელები დაუკოცნა.

– მითხარი, დედა, რას მიმალავ, რად ემდური ბედს, რა დაგიშავა, განა ეს დაწყველილი ბედი ჩვენი წარსული არ არის?

ფენქელი სულთანმა თვალზე მომდგარი ცრემლები თავსაფრის ბოლოთი მოიწმინდა.

– გულში ცეცხლი მიტრიალებს, შვილო, ჯერ ზრდაც კი არ დაგისრულებია და...

ზარო კალთზე წასვლას ჩქარობდა. ერთი ნაბიჯი გადადგა კარისკენ, მაგრამ უეცრად უკან მობრუნდა. უკვე მერამდენე დღეა, დედამისი მწარე-მწარე სიტყვებს ეუბნებოდა. მას კი არ ესმოდა მათი მნიშვნელობა. ზარომ დედა-შვილს შორის აღმართული უხილავი ზღუდის დანგრევა სცადა:

* ალაჩოყი – მომთაბარეთა კარავი

– დარდს რად მიმაღავ, დედი, გამენდე და თავს განაცვალე.

ფენქლი სულთანს ისევ აუნწყლიანდა თვალეები.

– შენი თავი მიცოცხლოს ღმერთმა, შვილო. ერთი სურვილი მაქვს, რომელიც მოსვენებას არ მაძლევს. ეს კანონია, რომელიც მშობელმა დედებმა კი არა, მამებმა დააწესეს.

– მეც ხომ მამა გავხდები, არა? – უთხრა ზარომ და ფეხი მიწას დაჰკრა, – პატარა ხომ არა გგონივარ? აბა მითხარი, ვინ დააქროლებს ალას კევრს, ვინ ახტება ზურგზე დაუწოქებელ აქლემს? ვინა და შენი შვილი ზარო, გაიგე, დედაჩემო?

ფენქლი სულთანმა თავს ძალა დაატანა და შვილს გაუღიმა:

– შენ შემოგვევლოს ჩემი სიცოცხლე. შენც გაერიე მარაქაში? უკვე გაზრდილხარ...

მანაც არ თქვა თავისი დარდი ბოლომდე ფენქლი სულთანმა.

– ეეე... – ჩაიბურღლუნა ზარომ, – არ ნავალ და ის იქნება. მიწა დავაყარე ალასაც, მის კევრსაც...

ამის გაგონებაზე ფენქლი სულთანი შვილს მივარდა, მკლავში სწვდა და კარისკენ ძალით წაიყვანა.

– მოინანიე, შვილო, შენი სიტყვები, ალაზე გაბრაზება ვის გაუგია? სადაცაა თავად მოგვადგება კარზე. ეშმაკს ნუ აპყვები, ბიჭო!..

ზარო ცოტა მოლბა:

– კარგი, ნავალ, ოღონდ იცოდე, მერე ყველაფერი გულახდილად უნდა მიაბმო.

– ჯერ ტუჩებზე დედის რძე არ შეგშრობია, შენ კი გგონია, რომ უკვე დიდი ხარ, მაგრამ ჩემთვის ისევ პატარა ბიჭი ხარ, შვილო...

– ჰო, კარგი, ეგრე იყოს, – უთხრა ზარომ, – ჩვიდმეტი წლის თოთო ბავშვი ვარ. ეს არის შენი დარდი?

ფენქლი სულთანმა ჭალარა თავი მკერდზე მიადო შვილს და ატირდა. ზაროს ასეთი დედა არასოდეს ენახა. ხელეზამოშვებული იდგა ერთხანს.

ალაყაფის კარებთან ხათქა-ხუთქით ჩაიარა რამდენიმე ცხენოსანმა. ფენქლი სულთანი ფიქრებიდან გამოერკვა:

– კალოზე უკვე დაგაგვიანდა, შვილო, მოსახდენი მოხდა. მე კი ამხელა დარდის გულით ტარება აღარ შემიძლია.

ფენქლი სულთანმა სიტყვა მანაც არ დაასრულა. მკერდში მუშტები წაიშინა, თითქოს ამით დარდის გულში ჩაკვლას ლამობდა.

ზაროს ვერ გადაეწყვიტა, კალოზე მანაც წასულიყო თუ შინ დარჩენილიყო. რამდენჯერმე დატრიალდა მიწურში.

– მიგიხვდი, დედაჩემო, ჩემი გაგიჟება გინდა.

ფენქლი სულთანი ხმას არ იღებდა. მას ახლა თვალწინ ედგა ქმრის სისხლიანი სხეული. რამდენიმე წლის წინ მოუკლეს იგი. იმ დროს ზარო აკვანში ჩაკრული ბავშვი იყო. მამამისის უკანასკნელი სიტყვები ჩაესმა დედას:

„ჩემმა შვილმა შური იძიოს ჩემ მკვლელზეო“.

უცბად ზაროს მიუბრუნდა და ჰკითხა:

– შვილო ზარო, იცი ვინ არის ის კაცი, ახლახან რომ ჩამოსახლდა ჩვენს სოფელში?

– არა, არ ვიცი, საიდან უნდა ვიცოდე, დილიდან დაღამებამდე კალოზე ვტრიალებ ციბრუტივითა...

– რომ გცოდნოდა, მიხვდებოდი, რა დარდი მიდულს გულში.

– ვინ არის, მითხარი.

– მამაშენის მკვლეელი...

– რააა?..

.....

ზარო კევრში შებმულ ცხენს მიაშტერდა. ყვითელი თავთავებით მოფენილ კალოზე წრიულად დაატარებდა კევრს ცხენი. უბრძანებდა, შეჩერდებოდა. უბრძანებდა, კვლავ დატრიალდებოდა...

ერთი წამით თავისთავი წარმოიდგინა ზარომ ცხენის ადგილზე. თვითონაც ხომ ისე იქცეოდა ხშირად, როგორც უღელში შებმული პიროუტყვი. ალა უბრძანებდა: „მიდი, ბიჭო, ეს საქმე გააკეთეო“, აკეთებდა... დაღამდებოდა, იძინებოდა. გათენდებოდა, იღვიძებდა. მზესავით და მზესთან ერთად ჩადიოდა და ამოდიოდა... „რაღაც სხვაობა ხომ არსებობს ჩემსა და ცხენს შორის“, გაიფიქრა ზარომ. „რა თქმა უნდა, არსებობს განსხვავება იმის გარდაც, რომ მე ორი ფეხი მაქვს და ცხენს – ოთხი“. იფიქრა, იფიქრა და ერთი უმთავრესი განსხვავებაც აღმოაჩინა: „მე კაცის მოკვლა შემიძლია“...

კევრის ძირზე დამაგრებული კაუჭების ღრჭიალი შემოესმა უეცრად. გამოფხიზლდა, თითქოს ცივი წყალი გადაასხესო. „აგერ ამ პურის თავთავებსაც კი ჰყავთ მტერი და ადამიანის რა უნდა გიკვირდეს“, გაიფიქრა ზარომ.

მზე უკვე ზენიტში იყო. ცხენი შეასვენა. გალენილი პურის გროვაზე წამოწვა. ჭამა არც კი გახსენებია. შინიდან წამოღებული საგზალი იქვე ედო, მაგრამ ხელიც არ უხლია... კარგა ხანს ინვა ასე საკუთარ გულში ჩაკეტილი.

გახურებულმა პურის თავთავებმა სახე აუღლენეს. ისევ დაბრუნდა ამქვეყნად ზარო. ცხენი ცოტა მოშორებით იდგა თავისთვის. „ესე იგი ჩემი თავისებურება კაცის მოკვლა ყოფილა“, გაიფიქრა ისევ ზარომ. ღრმად ამოიოხრა. ეგონა ამოიხვრიტ თავს დააღწევდა დარდს, მაგრამ სევდა-ნალღველი ეგრე ადვილად მოსაშორებელი როდი იყო. თვითონ ზარო თავით ფეხამდე უკვე დარდად გადაქცეულიყო. ეს კარგად ჰქონდა გააზრებული, მაგრამ რა ექნა. ასულიყო მალალ მწვერვალზე და იქიდან გადმომხტარიყო, თუ ევფრატის წყალში დაეხრჩო თავი... ცოტა ხნის შემდეგ ჩაილაპარაკა: „თავს ნუ იტყუებ, ზარო, კარგად იცი, რომ ახლა კაცის მოკვლა შენი ვალია, ნუ გაურბიხარ“...

ისევ კევრზე შედგა ფეხი. ცხენი დაატრიალა. კარგა ხანს იტრიალა კევრმა. ზარო ფიქრს მიეცა. ხორბალი მარცვალ-მარცვალ გამომძვრალიყო უკვე ბუდიდან. ლენვა შეწყვიტა. „ეს საქმეც მოთავდა. ყველა თავთავი დაიღლენა და დაცილა“, – შეეხმინა ზარო ცხენს. ის კი უხმოდ იდგა თავჩალუნული. „ესეც ასე, მარტო მე და შენლა დავრჩით ცოცხლები“, – ოღნავ გასაგონი ხმით მიმართა ახლა თავის ცხენს. ისევ ის მოსაკლავი კაცი გაახსენდა უეცრად და ცხენს მიუბრუნდა: „შენ რა გენალვლება, ასეთი ფიქრები ხომ არ განუხებს. მეც შენსავით ვიყავი აქამდე: შენ იღვიძებდი, მეც ვიღვიძებდი. შენ გარს უვლიდი კალოს, მეც შენთან ერთად ვტრიალებდი. რამდენი თვე ვიტრიალეთ ასე ერთნაირად, ჰა? ახლა კი სულ სხვა კაცი უნდა გავხდე. კაცი უნდა მოვკლა, გესმის? მე უნდა მოვკლა, შენ კი არა. თუ კაცი ვარ, უნდა მოვკლა აუცილებლად, მაგრამ რა ვიცი, როგორ კლავენ ადამიანს. თურმე თითო უნდა გამოკრა ჩახმასხს, ან დანა ჩასცე გულში. თურმე მოკვლის უფლებაც მქონია, როგორც დედის თეთრ რძეზე მქონდა უფლება ბავშვობაში. მამაჩემი მოუკლავს იმ ოღრასს. სხვა რა გზა მაქვს. სისხლი პირველად იმათ დაღვარეს. ალაჩოყმი სისხლის ალე-

ბა კანონია. მაგრამ მე რა დავაშავე? როცა მამაჩემი მოკლეს, ერთი ციციქნა ბავშვი ვყოფილვარ. ცოდო არა ვარ, პირდაპირ ციხეში ამოვყო თავი? ჯერ ქალაქიცი კი არ მინახავს. არ ვიცი, როგორია. ეს არის ალაჰის სამართალი?

ზარომ ცხენი უღლიდან გამოუშვა. მერე დაღლილი თავი ორხელშუა მოიქცია და ცხენს შეეხმინა, თითქოს გულითად მეგობარს უზიარებდა გულისნადებს: „მეც შენნაირი ვარ, ზუსტად შენნაირი. შენც ხომ არა გწყალობს ბედი. რამდენი ცხენი მინახავს. ზოგმა არც კი იცის, რა არის კვერი. ყოველდღე პატარძალივით მორთულ-მოკაზმულე-ბი დასეირნობენ. ჭია-ლუის დანახვაზეც კი ფრთხილბიან. ხმაური აღიზიანებთ, ადამიანებს კი მათი ჭიხვინი საამო ხმად ჩაესმით. შენც ხომ განსხვავდები მათგან, ჰა, ჩემო ნაღვლიანო ცხენო? რა შენ და რა მე, ჩემო კარგო“.

განაბული იყო ტრამალი, თითქოს სიცოცხლე ჩამკვდარიყო. ზაროსთვის ახლა მხოლოდ მზის სხივები და ცხენიღა არსებობდა... ცხენს ზურგზე მოექცა და მის ფაფარს მოუაღერსა, მერე გადაიხარა და თანაგრძნობით სახე შეავთვალე აკოცა ცხენს. „ეჰ, ჩემო სანყალო სევდიანო ცხენო. მე და შენ მარტონი ვართ. ახლა მიგიშვებ და გაჭენდები, მერე ლაგამს დავჭიმავ და შეჩერდები. როგორ ფიქრობ, ეს არის საქმე? გამამხნევე, დაიჭიხვინე და წინააღმდეგობა გამინიე. გადმომაგდე შენი ზურგიდან, დამანარცხე მიწაზე. ეგ შენი უნაგრიც და თექალთოც მოიწყვიტე და მოისროლე. ნადი აქედან, შორს ნადი და თავს უშველე. ისე გაკურცხლე, რომ ის პატარძალივით მორთული ცხენებიც კი ვერ დაგენიონ და შეშურდეთ შენი... რას დგახარ ეგრე მორჩილად, მიდი, გაქუსლე, ყალყზე შედექი, ქაფი ყარე მაგ ლაშებიდან... მეც მოგბაძავ და გავგულისდები, პატიოსან სიტყვას გაძლევ. მოდი, ორივემ ერთად ვქნათ ეგ საქმე. შემისვი ზურგზე და ქარმა გაგვიტაცოს ორივე ერთად. მერე თავზე გადავუქროლოთ იმ ჩვენს ალაჩოყს და შორს, შორს წავიდეთ. ისეთ ქვეყანას მივაშუროთ, სადაც სისხლი მდინარესავით არ მოედინება... რად გაიქნე თავი, არ გინდა, რომ კარავში დამაბრუნო? მიდი, შედექი ყალყზე, დაიჭიხვინე და რაშვივით გამაქროლე... იცი რა, ცხენო, მე მოვალე ვარ, დავბრუნდე კარავში. მინდა თუ არა, ხელში დანა უნდა ავიღო და მოვკლა ის კაცი, რაკი მამამ მიანდერდა...“

ზარო ცხენს მოახტა. ცხენი ჯერ შედგა, მერე დაიძრა და სოფლისკენ გააქანა ზარო. ორივენი დაღლილები იყვნენ, მაგრამ ზაროს რომ მოენდომებინა, ცხენს უფრო სწრაფად გააჭენებდა. „ხედავ, ძალას არ გატან. ვიცი, რომ დაღლილი ხარ. მეც ეგრე რატომ არ მექცევინა ჩემი თვისტომნი. რად მაძალებენ სისხლის ალებას. შენ მეტყვი, არ მოკლა კაციო.

როგორ ფიქრობ, მე რომ დაგაძალო, ვერ გაგაჭენებ? მეტყვი, არ შემიძლია, დაღლილი ვარ, მთელი დღეა კევრს დავათრე კალოზე-თქო? ჰოდა, მეც შენსავით ვიქცევი, ჩემო შავთვალავ; მამაჩემის მკვლელები რომ არ გამოვასაღმო ნუთისოფელს, ძალზე უარესი ვიქნები მაშინ. საქმელს არ მაღირსებენ, ქალს არ მომათხოვებენ, რომ გამიჭირდეს, დახმარების ნაცვლად ზედ შემდგებიან. ახლა ჩემი ცხოვრების მიზანი მხოლოდ კაცის მოკვლაა. მამაჩემმა ეს იმისთვის მიანდერდა, რომ ჩემი გადარჩენა უნდოდა. თუ მის მკვლელს მოვკლავ, შუბლგახსნილი ვიცხოვრებ მერე. ჩვენში კაცის კვლა სიცოცხლის წყაროა... მაგრამ შორს დიდი ქალაქებიც არსებობს თურმე. ჩვენს სოფელშიც არიან იქ ნამყოფები, მარტო ციხეში ჩასაჯდომად კი არ მიდიან ქალაქში. ზოგიერთები ნავთის, მარილის, შაქრის საყიდლადაც დადიან ხოლმე. იქიდან ფოტოსურათებიც ჩამოაქვთ. მთელი ტანით არიან გადაღებულნი პატარა ქალაქზე. თურმე რალაც ყუთის პირდაპირ დასვამენ, დაანკაპუნებენ და სურათი მზად არის. შენ იცნობ მამაშენს, ცხენო? თავს რატომ იქნევ, ჰა? აგერ მე ვითომ ადამიანი ვარ, მაგრამ მამაჩემს არ ვიცნობ, იმიტომ, რომ მისი სურათი არა გვაქვს. აბა აკვნის ბავშვს როგორ უნდა ახსოვდეს მამა?“



მხატვარი ბადრი გაგნიძე

შორიდან სოფელი გამოჩნდა. სახლები ერთ მთლიან ტალახის გროვას ჰგავდა. ცოტაც გაიარეს. ზარომ ირგვლივ მიმოიხედა. მხოლოდ სიცარიელე იყო ყველგან. მერე უსულო ტალახის გროვა გამოცოცხლდა, სული ჩაიდგა და ალაჩოყად გადაიქცა.

– აი, ამ კარავში მოკლეს მამაჩემი, – თქვა ზარომ და მწარედ გაიცინა, – ახლა რომ გაცოცხლდეს მამაჩემი, გამომეცხადოს და მითხრას „მამაშენი ვარო“, რა, ვიცნობ თუ რა?!..

ამ დროს ცხენმა თავი ასწია და დაიფრუტუნა. ძალიან დაღლილი ჩანდა. ზაროც მასავით დაქანცული იყო. ცხენზე ფიტულივით იდო. ცოტაც და, მიწაზე ჩამოვარდებოდა...

ძაღვების ყეფა გაისმა. სახლებიც გამოკვეთილად გამოჩნდა. ეს აღარ იყო ერთი მთლიანი ტალახის გროვა – ცალ-ცალკე იდგა ყველა კარავი.

სოფლის მოედანს მიადგა ზარო. ცხენმა თავი აღას თავლისკენ მიაბრუნა. საღამოს ნიაგი ჰაერში აფრიალებდა მიწიდან ატაცებულ მსუბუქ საგნებს...

სამი-ხუთი კარავიღა ამორებდა ზაროს აღას თავლისკენ. ამ დროს ერთი ცხენოსანი შემოხვდა გზაზე. ერთმანეთი შეათვალიერეს.

– სელამალიქუმ! – მიესალმა ცხენოსანი.
– ალიქუმ სელამ! – საღმითვე უპასუხა ზარომ თბილი ხმით.

ცხენოსნებმა ერთმანეთს გვერდით ჩაუარეს. უეცრად ზარომ თავი მოაბრუნა:

– დაიცა ერთი! მე მგონი გიცანი! – მიაძახა მგზავრს.

კაცმა ბებრული თვალებით გახედა ზაროს:

– კარგად ვერ ვხედავ, შვილო, – მიუგო ცხენოსანმა.

მათი ცხენები ადგილზე ტოკავდნენ. ზარო შეჭალარავებულ თმასა და მობერებულ სახეს კარგად დააკვირდა. მოხუცი კაცი ჩქარობდა, მზის ჩასვლამდე უნდოდა სოფლიდან გასვლა, გრძელი გზა ჰქონდა გასავლელი.

– შარშან ერთ ქორწილში გნახე. სოფელ ჰოიუკიდან ხარ, ხომ? მახოს ნათლია არა ხარ შენა?

– არა, – უპასუხა ცივად მოხუცმა, – ამ სოფელში ვცხოვრობდი ერთ დროს. კაცი კაცსა ჰგავს, ჩემო ლომო...

ზარო მიხვდა, რომ შეეშალა და ცხენი თავლისკენ შეატრიალა, მაგრამ უცბად გულმა რეჩხი უყო: დედამ რომ აუნერა, იმ კაცს ძალიან ჰგავდა ეს მოხუცი. სწორედ იმ ასაკის იქნებოდა. „ისედაც მიმავალია უკვე. ნეტავი რას ვქექავ წარსულს“ – გაიფიქრა ზარომ.

– გზა ხსნილი გქონდეს, მოხუცო! – ხმის კანკალით უთხრა მგზავრს. მერე ლაგამი მოზიდა. ის იყო ერთმანეთის გვერდით უნდა ჩაეელოთ ცხენებით, რომ ხუთიოდე ცხენოსანი დაინახა ზარომ. კალოდან ბრუნდებოდნენ. მათ შორის ერთი მოხუცი კაციც ერია.

– გამარჯობა! – თქვა იმ მოხუცმა, მერე საპასუხო სალაშს არც კი დალოდებია, იჩი ჩაილაპარაკა:

– ძველ მტრობას ამ საღამო ჟამს ნუ გაიხსენებთ.

თვისტომთა გარემოცვაში სულ შეიცვალა ზარო. მიხვდა, რომ ასე ადვილად იქაურობას ველარ გაეცლებოდა.

– ესე იგი მამაჩემი შენ მოკალი?! – გაბრაზებით შესძახა მოხუცს.

– ვაჰ, ეს ლეკვი აკვანში მწოლიარე ზარო არ იყოს, – თქვა მოხუცმა.

– ჰო, მამაჩემის შვილი ვარ მე! – უპასუხა ზარომ.

ახალმოსული მოხუცი ცხენოსანი ახლავდა მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა, მაგრამ რაღას უშველიდა. ორი მოსისხლე უკვე ერთმანეთს შეება. მათი ცხენები ხან ერთმანეთს სცილდებოდნენ, ხან კი მთელი ძალით ეხეთქებოდნენ.

– შეჩერდით! – დაიყვირა ახალმოსულმა მოხუცმა, – საღამო ჟამს ანგარიშის გასწორება არ შეიძლება, ეშმაკის ცდუნებას ნუ აჰყვებით!

მაგრამ მას უკვე აღარავინ უსმენდა. ზარომ კაცის მოსაკლავად დანა დაადრო. არც ზასრი იყო და არც ბლაგვი... მამამისის მკვლელი უიარაღო იყო. ხელი არც ჯიბისკენ წაუღია და არც ქამრისკენ...

იმ მოხუცმა ერთხელ კიდევ შეუძახა იქ მყოფთ:

– გააშველეთ, ბიჭებო!

მაგრამ ერთი შუახნის კაცი ჩაერია საქმეში:

– ხელი არ ახლოთ, ზარო ვალდებულია სისხლი აიღოს. შეგულიანებულმა ზარომ ცხენი ზედ მოსისხლესთან მიაგდო და წინ გადაიხარა. შემდეგ დანა მოიქნია და მოხუცებულს ატაკა... ორივენი მიწაზე გაგორდნენ...

მოხუცმა ფეხზე წამოდგომა სცადა, მაგრამ ზარომ არ აცალა და ციხეში ჯდომისგან გამხმარ მკერდში რამდენჯერმე ჩაარჭო დანა...

ზარო წელში გაიმართა და დანას დახედა. ფერი შეცვლოდა დანას. მერე მიწაზე გამოტილ მოხუცს დააქცურდა. მასაც ტანსაცმელი ალაგ-ალაგ გასწითლებოდა.

სისხლიანი დანა ხელში შეეყინა ზაროს. აქეთ-იქიდან სოფლები გამოვლინდნენ შემთხვევის ადგილისკენ. ზარო თვალს ვერ აშორებდა სისხლიან მიწას.

უმხედრებოდ დარჩენილი ცხენები ერთხანს ერთმანეთის გვერდიგვერდ იდგნენ, მერე გაიყარნენ. ზაროს ცხენმა თავის მეგობარ პატრონს მიაშურა. ზარო უძრავად იდგა. ცხენმა თავი გაუსვ-გამოუსვა ზაროს, მაგრამ გაქვავებულივით იდგა მისი მხედარი. ცხენი მოშორდა პატრონს და მოკლულის ცხენთან მივიდა. ერთმანეთი დაყნოსეს და დაიჭიხვივნეს. ეტყობოდათ, რომ უკვე დაძმობილებულიყვნენ...

უეცრად ქალის კივილი გაისმა. საღამოს ქართან ერთად მოქროდა აქეთ. ზაროსთან მივარდა, გული გახეთქვაზე ჰქონდა. შვილს შეხედა. მისი შვილი მონუსხულივით იდგა და სისხლს მიშტერებოდა.

ქალი მოკლული კაცისკენ დაიხარა და დახედა:

– სწორედ ეს იყო, – თქვა ფენქლი სულთანმა ტირილით, – ტყუილბრალოდ არ მოგიკლავს, შვილო, მამის წინაშე ვალი უკვე მოხდილი გაქვს.

ახლა ყველა ზაროს უყურებდა. გაკვირვებულნი ჩანდნენ, თითქოს პირველად ხედავდნენ კაცს, რომელიც მტრის მოკვლის შემდეგ გაქცევას არ ფიქრობდა.

ფენქლი სულთანი შვილს მიუახლოვდა:

– უნდა გაიქცე, შენ შემოგველოს ჩემი სიცოცხლე. სადაცაა მოკლულის პატრონები მოვლენო, – უთხრა, მაგრამ ზაროს დედისკენ არც კი გაუხედავს, მიწაზე გაშხლართულ მკვდარზე იყო მთელი არსებით მიჯაჭვული.

ფენქლი სულთანი გონს მოეგო, წარსული წლების სიღრმეში ჩაიხედა და იქ უკვე მივინყებულნი ადათი მოძებნა. ზაროს მიმართა:

– მივხვდი, შვილო, შენც მამაშენს ჰგავხარ, მასაც შენსავით უდუღდა სისხლი.

მერე აცახცახებული ხელებით შვილს პერანგში სწვდა და თავიდან ბოლომდე ჩაუხია. ახლა კარგად გამოჩნდა ახალგაზრდა ბიჭის შეუღინღავი შიშველი მკერდი.

– ჩემო ობოლო შვილო, – ატირდა ფენქლი სულთანი, – მამას მკერდზე დაასხი შენი სისხლი, შენ შემოგველოს დედაშენი.

ამ სიტყვებზე დედამ მობერებული სხეულისთვის უჩვეულო ღონით ზაროს ხელიდან გამოსტაცა მაგრად ჩაბლუჯული დანა და გაღვლილ მკერდზე გარდიგარდმო რამდენჯერმე გადაუსვა. ზაროს თეთრ მკერდზე სისხლი ჩამოეღვარა. ზარო მუხლის ჩოქებზე დადგა. მისი გაქვავებული სხეული უცბად მოეშვა, მოდუნდა და დაძაბულობა მოეხსნა.

ფენქლი სულთანმა გადაულაპარაკა:

– გაიქცი, შვილო, აქედან შორს გაიქცი. აქ შენ მაგივრად დედაშენი დაიმარხოს, შენ კი იჩქარე და თავს უშველე!

ზარო შეირხა, ფეხზე წამოდგა. სისხლიანი შიშველი მკერდი მზეს მიუშვირა და იქით გაიქცა, სადაც ტრამალი უსასრულობას უერთდებოდა...

თურქულიდან თარგმნეს
ირინა გოცირიკაძე
და
ნინო მათიაშვილია

**სკოტ ფიცჯერალდი
ჰოლივუდში**



„ამქვეყნად ყველაზე მეტად ენადა ფილმების გადაღება... ეს ერვენებოდა ძალზე რომანტიკულ ხელობად“, – წერდა სკოტ ფიცჯერალდი (1896-1940) თავის გამირზე, პროფესიით ფსიქიატრზე, რომანის „ნაზია ღამე“ ადრეულ ვარიანტში.

რიჩარდ დაივერის გულისწადილი აისრულა თავად ფიცჯერალდმა, ოღონდ სხვა ცნობილ მწერალთაგან განსხვავებით, რომლებიც გასული საუკუნის 30-იან წლებში მოეფინენ ჰოლივუდის კინოსტუდიებს, ძირითადად, ფულის საშოვნელად, „დიდი გეტსბის“ ავტორს უფრო მეტი სურდა: მოეპოვებინა დაკარგული რწმენა თავისი ძალებისა, აღედგინა თავის სულში შემოქმედი. მაგრამ მალე მიხვდა, რომ მის ოცნებას არ ეწერა განხორციელება ჰოლივუდში. სიყვარული ცალმხრივი გამოდგა და ხელმოცარული დატოვა კაცი, ვისაც ცოტა ხნით ადრე ამერიკის ყველაზე დიდ მწერლად მიიჩნევდნენ.

ფიცჯერალდის მიერ დაწერილ სცენარებს ინუნებდნენ. „მადამ კიური“ – ძალზე ბლომადაა სინჯარები და რომანტიკა აკლიაო; „ორგულობა“ – ძალზე სკანდალური აო; „მწითურთმანი ქალის“ სცენარი დროზე ვერ გადაამუშავა ოჯახურ გარემოებათა გამო და სხვა სცენარი ჩაუშვეს წარმოებაში.

ორი კვირის განმავლობაში თხუთმეტ სცენარისტთან ერთად თავაუღებელი შრომობდა მარგარეტ მიტჩელის რომანის „ქარნალეზული“ დამუშავებაზე კინოსათვის. საინტერესო რომანია, კარგად არის დაწერილი, ამბობდა ფიცჯერალდი, მაგრამ მებრალეზიან ისინი, ვისაც იგი ადამიანური გენიის უმაღლესი მიღწევა ჰგონიათ.

ფიცჯერალდს ყველაზე კარგად ერის მარია რემარკის „სამი ამხანაგი“ გამოუვიდა, მაგრამ პროდიუსერმა კატეგორიულად მოითხოვა, სცენარს ჰეპი-ენდი მოარგეო. ფილმის ფინალში გამირი ქალი ქლექით არ უნდა მომკვდარიყო, უნდა განკურნებულიყო. მშვენიერი სურვილია!

„კინობიზნესის კაპიტნებს“ არ ექაშნიკებოდათ თავნება შემოქმედი. ფიცჯერალდი ეკინკლავებოდა ადმინისტრატორებსა და რეჟისორებს, ერთი სტუდიიდან მეორეში გადადიოდა და თან დაჰყვებოდა სახელი ლოთისა, სკანდალისტისა და შეუფუბელი ადამიანისა.

სინამდვილეში ყოველთვის ფხიზელი იყო მუშაობისას. კვირაში ხუთი დღე, დილის ცხრა საათიდან საღამოს ხუთამდე, ეს არცთუ ახალგაზრდა, დაღლილი კაცი იჯდა ერთ პატარა ოთახში და დაუღალავად მუშაობდა. ელტვოდა დუმილს და ფიცჯერალდსაც იშვიათად თუ გამოეღაპარაკებოდა ვინმე. უფმური იყო მისი საღამოებიც: ცარიელი და ცივი ბინა, ცოლი – ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, შვილი – შორეულ კოლეჯში, აღმოსავლეთ სანაპიროზე.

სიკვდილამდე ერთი წლით ადრე თავის თვრამეტი წლის ასულს წერდა: „შენ ტყუილად ფიქრობ, რომ კინოს გავეყრები. სად უნდა გავექცე, სხვა რა გზა დამრჩენია. უკვე შეეჭვება, რომ კინომრეწველობის იმპერატორად

გამომაცხადონ, თუმცა ათი თვის წინათ მეგონა, ეს დროის ამბავია-მეთქი. კეთილი, ჩემო ჩიტო, ცხოვრებას საკმარისად გავუთელივარ და როგორმე თავს გავიტანთ, გავხდები იმპერატორი თუ არ გავხდები. ვიცე-იმპერატორობაზეც უკვე თანახმა ვარ! ხუმრობა იქით იყოს და, როგორც ჩანს, სიცოცხლის ბოლომდე მომიწევს პერიოდულად დავუბრუნდე ხოლმე კინოს, რაც არავითარ კმაყოფილებას არ მანიჭებს, რადგან საჭიროა მხოლოდ ამბების თხრობა, რითაც ბავშვები თუ გაერთობიან... დარწმუნებით მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ჩემს სიცოცხლეში აღარასოდეს მოვანერხელს კონტრაქტს, რომელიც დამავალდებულებს მთელი წელიწადნახევარი ვიჯდე და ვთხზა მარტოოდენ საბავშვო ამბები!“

1940 წლის დამდეგს გაუყვია უფლება თავისი მოთხრობის „ისევ ბაბილონი“* ეკრანიზაციაზე. ქალიშვილს სწერს: მისი ერთ-ერთი პერსონაჟი ხომ შენა ხარ, მიღებული თანხა შენთვისაც, ჩემთვისაც და ამ მშვენიერი მოთხრობისათვისაც დამამცირებელია, მაგრამ რას გაანყო. სცენარის შექმნაც ფიცჯერალდს დაავალეს და ჰონორარი კვლავ მიზერული გამოდგა.

სასტიკად მობზრდა კინო, მაგრამ ასევე სასტიკად სჭირდებოდა ფული და რა უნდა ექნა?!

ერთ-ერთ წერილში ჩივის, „დიდ გეტსბის“ აღარ გამოსცემენ, ვინაიდან აღარავინ ყიდულობსო.

1959 წელს ჰოლივუდში ფილმი გადაიღეს ფიცჯერალდზე. ჰენრი კინგმა, რომელსაც უკვე მოესწრო ჰემინგუეის „კილიმანჯაროს თოვლის“ დასახიჩრება, ეს ფილმიც ობივატელის გემოვნებას მოარგო. სხვას რომ თავი დავანებოთ, მთავარი როლის შესრულება დაავალეს მაყურებელთა შორის უაღრესად პოპულარულ გრეგორი პეკს, რომელსაც არც გარეგანი და არც შინაგანი მსგავსება არა ჰქონდა ფიცჯერალდთან.

ფიცჯერალდის მეგობარი და მოგონებათა ავტორი, ჟურნალისტი შეილა გრემი წერდა: „როდესაც თქვენ მიჰყიდით თქვენს ნაწარმოებს ჰოლივუდს, თითქოსდა სული მიგიყიდიათ ეშმასთვის. ისინი შეცვლიან სცენარის სახელწოდებას, დაამახინჯებენ სიუჟეტს, ამოგლეჯენ იმას, რაც არ ნებაზე და ჩატენიან იმას, რაც ნებაზე. ერთადერთი, რაც არ შეუძლიათ, როგორც დალაღებს კონტრაქტი, ისაა, რომ საჯარო დაცინვითა და ზიზლით შეგამკონ. მაგრამ ჩემთან დაკავშირებით ესეც მოახერხეს“.

ვერა და ვერ გაიხარებდა ფიცჯერალდი ჰოლივუდში. თავის სახელოვან თანამედროვეთა მსგავსად ისიც გაანბილეს. ჰოლივუდის დევიზი იყო: მაყურებელი მიიღებს იმას, რისი ნახვაც სურს.

ფიცჯერალდი საპირისპირო პოლუსზე იდგა.

* ქართულ ენაზე გამოქვეყნებულია ამ მართლაც მშვენიერი მოთხრობის ორი თარგმანი: ციალა თოფურიძის და ვალენტინა ტატიშვილისა.

შე ყურუშსალო, შენაო

შაჰ-აბასის შვილიშვილი, მომავალი შაჰ-სეფი, ქვეყნიერებას რომ მოეველინა, თურმე ახალშობილს ორივე პეშვი სისხლით ჰქონია სავსე. როდესაც შაჰ-აბასმა ეს შეიტყო, მყისვე წარმოთქვა: აბა ეს ვაჟბატონი ხელეებს სისხლში ისე ამოისვრის, აქამდე არავის მოლანდებიაო.

გერმანელი სწავლული და მოგზაური ადამ ოლეარიუსი თავის ვეება თხზულებაში იმონებს ამ გადმოცემას და დასძენს: მართლაც ასე მოხდაო. შაჰ-სეფის სისხლი ისე სწყურდა, რომ არც მტერს ინდობდა და აღარც მოყვარეს – უახლოესი ნათესავების ჩათვლით.

ერთადერთი ნათელი შტრიხი შაჰ-სეფის პორტრეტში ისაა, რომ გაგიჟებით უყვარდა... ქართველები!

იტყვი, აბა ეგ რა გასაკვირია, ქართველები ვის არ უყვარსო?! არაბი იქნება თუ ბერძენი, ჩინელი თუ ინდოელი, ფრანგი თუ თურქი, ქართველები და ტურფა საქართველო არ უყვარდეს, მართლაც რომ წარმოუდგენელიაო! მაგრამ შაჰ-სეფის განსაკუთრებული სიყვარულით უძგერდა გული. საამისოდ სერიოზული მოტივებიც მოეპოვებოდა. ჯერ ერთი, დიდდა ჰყავდა ქართველი და, მეორეც, რაც მთავარია, სწორედ ქართველების წყალობით იჯდა სამეფო ტახტზე. სწორედ ქართველმა კაცმა, ბაგრატიონთა გამაჰმადიანებულმა ნაშიერმა, ირანში ხოსრო-მირზას რომ ეძახდნენ და შემდგომში როსტომ ქართლის მეფედ მოგვევლინა, შაჰის გვარდიის მეთაურმა მოელვარე ქართული ხმლების მეოხებით სძლია კონკურენტი შვილიშვილის მომხრეებს და, შაჰ-აბასის ანდერძის თანახმად, ტახტზე აიყვანა ჩვიდმეტი წლის საამ-მირზა, რომელსაც შაჰ-სეფი უწოდებს მისი მამის, ტრაგიკულად დაღუპული უფლისწულის სეფი-მირზას პატივმიგების ნიშნად და სახსოვრად.

ჰოდა რა გასაკვირია, რომ სეფიანთა ირანის ჭაბუკ მბრძანებელს გაგიჟებით ჰყვარებოდა ქართველები?!

მაგრამ ეს სასახელო გრძნობა, ვაი რომ, ხელს არ უშლიდა, სისხლის ზღვა დაეყენებინა თავის საბრძანებელში.

ზემოსხნებული ოლეარიუსის გადმოცემით, შაჰ-სეფი ძალზე კარგი თვალით უყურებდა თავის ერთ კარისკაცს ჯირა-ხანს (წარმოშობით ისიც ქართველი ყოფილა) და დიდი კეთილგანწყობის დასტურად თავისი ჰარამხანიდან უბოძა ცოლი. სეფიანთა კარზე ეს უმაღლესი ჯილდო იყო.

ერთხელაც ჯირა-ხანი აბანოში შეყვონებულა და ხელმწიფის სადილზე დაუგვიანია. სახე გაღაჟაჟებული ჰქონ-

დაო. შაჰ-სეფის უკითხავს: იმიტომ ხომ არ დაგაგვიანდა, რომ ახლად შერთულ

ცოლს ბეჯითად მოემსახურეო? გალალეულმა ჯირა-ხანმა ასე მიუგო: დიდებულ ხელმწიფე, გამოცანა გერგება, ცოლს დიხაც კარგად მოვემსახურე, ოღონდ ეს ჩემი ცოლი არ ყოფილა, ალასი-ბეგის ცოლი გახლდათო.

საბრალო ალასი-ბეგი იქვე, ორიოდ ნაბიჯზე იმყოფებოდა.

შაჰ-სეფის არ ეჭაშნიკა კარისკაცის ესოდენ უტიფარი გამოხდომა. განრისხებული ჩააშტერდა იატაკს. ერთხანს დუმდა, მერე წამოდგა და უხმოდ მიატოვა გასუსული დარბაზი.

ახლა კი მიხვდა ჯირა-ხანი, გადავამლაშეო და სასწრაფოდ მოუსვა შინისაკენ.

ოლეარიუსის სიტყვით, შაჰ-სეფის იმდენად კარისკაცის უზნეობამ კი არ ატკინა გული, რამდენადაც მისმა უტიფარობამ, მთელი სამეფო კარის თვალწინ თავსლამი რომ დაასხა ალასი-ბეგს და, მაშასადამე, ხელმწიფესაც.

ალასი-ბეგი იხმო და უთხრა: „ხომ ნახე, როგორ გაგათახსირა ჯირა-ხანმა. ახლავე წადი, თავი მოჰკვეთე მაგ არამზადას და აქ მომართვი!“

ალასი-ბეგმა დაუყოვნებლივ გასწია ჯირა-ხანთან.

დრო გადის და არც ალასი-ბეგი ჩანს და არც ჯირა-ხანის მოკვეთილი თავი. ამბის მოსატანად შიკრიკი აფრინეს. მალე დაბრუნდა და ხელმწიფეს მოახსენა: ალასი და ჯირა ერთმანეთის გვერდიგვერდ სხედან, ტკბილად მასლაათობენ და ღვინოს შეექცევიანო.

შაჰ-სეფი ახარხარდა და ალასი-ბეგის მისამართით წამოიძახა: აჰ, შე ყურუშსალო, შენაო! („ყურუშსალი“ ნიშნავს მაჭანკალსაც და რქოსანსაც).

მერე ისევე შეიპყრო რისხვამ და უბრძანა დივანბეგს ანუ უზენაეს მსაჯულს ალი-ყული-ხანს (თქვენ წარმოიდგინეთ, ისიც ქართველი იყო, გვარად სააკაძე), წადი და ორივეს მოჰკვეთე თავიო.

ალასი-ბეგს, ჩანს, გულმა ამცნო საფრთხე და დროზე გაიძურწა ჯირა-ხანის სახლიდან. კარგა ხანს სადღაც იმალებოდა, ვიდრე შაჰ-სეფის წყრომა გადაუვლიდა. ასე რომ, განწირეს მხოლოდ ჯირა-ხანი. ქართველობამ ველარ უშველა. სხვათა ცოლების მოყვარულს თავი მოჰკვეთეს და შაჰ-სეფის მიართვეს.

ქრონიკა

3 ივლისს კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი მასპინძლობდა ეთნომუსიკის თეატრს „მთიები“, რომელიც ამოიზარდა ედიშერ გარაყანიძის მიერ 1980 წელს დაარსებული ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლიდან.

„მთიები“ სხვა ანსამბლებისაგან მალევე გამოირჩა თავისი შემოქმედებითი პრინციპებით. მათგან უმთავრესია ფოლკლორული ნიმუშის ისე შესრულება, როგორც მას ასრულებდნენ — და ნაწილობრივ დღესაც ასრულებენ — ჩვეულ ეთნოგრაფიულ გარემოში. „მთიებმა“ დაამკვიდრა სცენაზე სადა ფერხულებისა და გაშიარების ხალხური ტრადიცია, მანვე გააცოცხლა პირველად ეგრეთწოდებული თურქეთის საქართველოს ფოლკლორიც. ეთნომუსიკის თეატრი წარმატებით აგრძელებს მისი დამაარსებლის, თვალსაჩინო ეთნომუსიკოლოგის შემოქმედებით

პრინციპებს და ნიშანდობლივია, რომ თეატრს ხელმძღვანელობს ტრაგიკულად აღსრულებული მუსიკათმცოდნის ვაჟი გიორგი გარაყანიძე, ვინც 2003 წელს განაახლა ანსამბლი და ჩამოაყალიბა ქალ-ვაჟთა შერეული ჯგუფი.

იმ დღესაც „მთიებმა“ პირველყოფილი უშუალოდ წარმოადგინა წეს-ჩვეულებათა და სხვადასხვა ცხოვრებისეული მომენტის განუყოფელ ნაწილად ქვეული მუსიკალური ნიმუშები ცეკვა-ფერხულებსა და მსგელობებთან ერთად ჩინებულ თეატრალიზებულ სანახაობად.

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პრორექტორმა რუსუდან ნურნუმიამ და გელათის აკადემიის პრეზიდენტმა მიხეილ ქურდიანამ მოკლედ და ტევადად წარმოაჩინეს „მთიების“ მოღვაწეობის მნიშვნელობაც და ედიშერ გარაყანიძის სილუეტიც.